


ISNN 1512-0597

# ძიებანი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის  
ჟურნალი



№ 8

2001

# **ძ ე ბ ა ნ ი**

**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
არქეოლოგიური კვლევის ცენტრის  
ჟურნალი**

**№ 8**

## **D Z I E B A N I**

**The Journal  
of the Centre for Archaeological Studies  
Georgian Academy of Sciences**

**Tbilisi**

**2001**

**თბილისი**

63.4 (2Г)  
902/904 (479.22)  
д531

მთავარი რედაქტორი: ოთარ ლორთქიფანიძე  
Editor-in-Chief: Otar Lordkipanidze

სარედაქციო საბჭო: გ. ლიჩელი, ირ. ჯალაღანია, გ. კვირკველია,  
გ. ჯაფარიძე, გ. ნარიმანიშვილი,  
გ. მინდიაშვილი, ა. ჭყონია, დ. ბაქრაძე

Editorial council: V. Licheli, I. Jalaghania, G. Kvirkvelia,  
V. Japaridze, G. Narimanishvili, G. Mindiashvili,  
A. Chqonia, D. Bakradze

სარედაქციო პოლეგია: დ. კაჭარავა, გ. კვირკველია,  
გ. ნარიმანიშვილი, ნ. მიწიშვილი,  
გ. კვაჭაძე

Editors of the Volume: D. Kacharava, G. Kvirkvelia,  
G. Narimanishvili, N. Mitsishvili,  
M. Kvachadze

# შინაარსი Contest

## სტატიები Articles

<b>გ. გაბუნია, ს. ფანჩულიძე.</b> ამხერისგორის აშელური ზანის ადგილსაპოვებელი .....	<b>5</b>
<b>M. Gabunia S. Panchulidze.</b> Acheulean Station of Amkherisgora (Summary) .....	<b>8</b>
<b>ლ. ქორქია.</b> მინერალური სალებავების გამოყენება ქვის ზანის ადამიანთა საყოფაცხოვრებო საქმიანობაში აფიანჩის მასალების მიხედვით .....	<b>12</b>
<b>L. Korkia.</b> The Use of Mineral Dyes by Palaeolithic Man in his Daily Activities (According to Apiancha Finds) (Summary) .....	<b>14</b>
<b>გ. ჩიქოვანი.</b> სოფელ ნიჩბისის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი .....	<b>16</b>
<b>G. Chikovani.</b> Site of Early Husbandry Culture Discovered in the Village of Nichbisi (Summary) .....	<b>18</b>
<b>ლ. ნებიერიძე.</b> ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი ოკრიბაში .....	<b>23</b>
<b>L. Nebieridze.</b> Site of Early Husbandry Culture in Okriba (Summary) .....	<b>26</b>
<b>ლ. ჯიბლაძე.</b> დასავლეთ საქართველოს ბრინჯაო-ადრერკინის ზანის ნამოსახლარების არქეოლოგიური რუკა .....	<b>34</b>
<b>L. Jibladze.</b> Archaeological Map of Bronze-Early Iron Age Sites from Western Georgia (Summary) .....	<b>35</b>
<b>ლ. ფანცხავა, ბ. მაისურაძე, გ. გობეჯიშვილი.</b> ბრილის სამაროვანზე 1939 წელს გათხრილი № 12 სამარხის დათარიღებისათვის .....	<b>39</b>
<b>L. Pantskhava, V. Maisuradze, G. Gobejishvili.</b> Toward Dating of Burial № 12 Excavated at Brili Necropolis in 1939 (Summary) .....	<b>44</b>
<b>ე. გიგოლაშვილი.</b> ვერცხლის არიბალოსი ვანიდან .....	<b>49</b>
<b>E. Gigolashvili.</b> Silver Aryballos from Vani (Summary) .....	<b>52</b>
<b>ქ. რამიშვილი.</b> აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზოომორფული გამოსახულებანი (ჯიხვი, ვერძი) .....	<b>53</b>
<b>K. Ramishvili.</b> Zoomorphic Representations (Ibex, Ram) from the Eastern Georgian Highland (Summary) .....	<b>62</b>
<b>ც. ჩიკოიძე.</b> ანტიკური ზანის ქვევრსამარხები თელავიდან .....	<b>66</b>
<b>Ts. Chikoidze.</b> The Ancient Jar Burials from Telavi (Summary) .....	<b>71</b>
<b>ნ. კიღურაძე, თ. თოდუა.</b> ვერცხლის სარკე ბიჭვინტის სამაროვნიდან .....	<b>76</b>
<b>N. Kighuradze, T. Todua.</b> Silver Mirror from Bichvinta Necropolis (Summary) .....	<b>77</b>
<b>ვ. ჯაფარიძე.</b> აღმოსავლეთ კოლხეთის გზების საკითხი .....	<b>79</b>
<b>V. Japaridze.</b> On the Roads of Eastern Colchis (According to Recent Archaeological Data) (Summary) .....	<b>87</b>
<b>თ. ჩიქოვანი.</b> ჭურჭლის სულხან-საბა ორბელიანისეული კლასიფიკაცია .....	<b>92</b>
<b>T. Chikovani.</b> Terms Denoting Kitchenware According to Sulkhan-Saba Orbeliani's Classification (Summary) .....	<b>95</b>

## ა რ ქ ე თ ლ თ გ ი ი ს ი ს ტ თ რ ი ა

### History of Archaeology

თ. აბულაშვილი. ბ. ა. კუფტინი თრიალეთის ყორდანების მკვლევარი .....	96
T. Abulashvili. B. Kuftin - a Researcher of Trialeti Barrows (Summary) .....	102
ლ. მაღრაძე. ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე (1798-1850) .....	108

### დ ი ლ თ ც გ ა C o n g r a t u l a t i o n

ლამარა (დოდო) სახაროვა .....	111
ოთარ ჯაფარიძე 80 წლისაა .....	111
ირინე ჯალაბაძიძე 75 წლისაა .....	112
ვერა (ცაცა) თოლორდავა .....	114

### ქ რ თ ნ ი გ ა C h r o n i c l e

გ. მინდიაშვილი. საველე სამუშაოები 2000 წელს .....	115
G. Mindiashvili. Field Work in 2000 .....	117


## მანანა გაბუნია, სოფიო ფანჩულიძე

### ამხერისგორის აუკლური ხანის ადგილსაპოვებელი

დღეისათვის სულ უფრო და უფრო იზრდება ინტერესი სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლი ქვის ხანისადმი. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია დანანისის (ქვემო ქართლი) უძველესი სადგომის აღმოჩენა [8, გვ. 140-159; 12, გვ. 344-349; 25, გვ. 299-305; 21, გვ. 67-116], რომელმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მას შემდეგ, რაც 1991 წელს აქ მოპოვებული იყო ძეგლი აფრიკული *Homo erectus*-ის ტიპის ადამიანის ქვედა ყბა [13, გვ. 3-72], ხოლო შემდგომ (1997, 1999 წწ.) წინა ტერფის ძვალი და ორი თავის ქალა [25, გვ. 299-305; 26, გვ. 163-166]. საგულისხმოა, რომ დანანისის ადამიანს ახლა აკუთვნებენ ჰომინიდების აფრიკიდან ევრაზიაში მიგრაციის ერთ-ერთ უძველეს ტალღას [14, გვ. 254; 28, გვ. 1019-1025; 29, გვ. 55-56; 31, გვ. 451-488].

ზედა ნაწილი) აშელის უადრესი საფეხურის შესატყვისი ადგილსაპოვებული – ამირანისგორა [1, გვ. 5-6; 2, გვ. 15-16; 3, გვ. 14-15; 4, გვ. 5-15; 5, გვ. 77-81; 7, გვ. 5-207; 23, გვ. 237-240; 22, გვ. 1-7; 24, გვ. 130].

ისტორიული სამცხის ტერიტორიაზე ძირითადად წარმოდგენილია ცალკეული მონაპოვრები. მაგალითად: ს. ფერსაში (ახალციხის რ-ნი) მოპოვებულია ორი ხელცული [24, გვ. 130], ადივენის რაიონის ს. ხაკში და უდეში (ქვემო წყისი) მოპოვებულია ბიფასი და საჩენი იარალი [3, გვ. 14-15] და სხვ. ამ მონაპოვრების კვლევა ჩვენს სამომავლო გეგმას შეადგენს, წინამდებარე წერილში კი გვინდა ყურადღება შევაჩროთ ადიგენის რაიონის ამხერისგორის ადგილსაპოვებლებზე, რომელიც თავისი ტექნიკურ-ტიპოლოგიური ნიშნებით მეტად თავისებური ჩანს.



სურ. 1. სამხრეთ საქართველოს კულტანური მთიანეთის რეგიონის წინააშელური და აშელური ხანის ადგილსაპოვებლები და ცალკეული მონაპოვრები: 1. დაბანისი; 2. ამირანისგორა; 3. ახალქალაქი I; 4. ახალქალაქი II; 5. ახალქალაქი III; 6. ახალქალაქი IV; 7. დილისკა; 8. ჭიქიანი; 9. ამხერისგორა; 10. ფერსა; 11. ფერსა; 12. ხაკში; 13. წყისი.

აღნიშნულ რეგიონში გავრცელებული ქვედა პალეოლითური ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯავახეთის ზეგანზეა მიკველეული. ესენია: ჭიქიანი [17, გვ. 19-26; 18, გვ. 188-193; 19, გვ. 55-63], ახალქალაქი I-IV და დილისკა [6, გვ. 5-13; 9, გვ. 5-7; 10, გვ. 3-54]. ამ ადგილსაპოვებელთა კომპლექსები ზედაპირულად აკრეფილი მასალითაა წარმოდგენილი და სრულიად მოკლებულია ყოველგვარ სტრატიგრაფიულ დასაბუთებას. ზოგადად ისინი შუა ან გვიანი აშელით თარიღდება [6, გვ. 5-13; 9, გვ. 5-7; 10, გვ. 3-54]. ჯავახეთის ზეგანზევეა მოპოვებული სრულიად გარკვეულ სტრატიგრაფიულ დონეზე მოქცეული (ადრეული პლეისტოცენის სულ

ამხერისგორას მიაკვლია 1987 წელს სამცხე-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა ოთ. ღამბაშიძემ [15, გვ. 54; 16, გვ. 47]. ადგილსაპოვებელი მდებარეობს ადიგენის რ-ნის სოფ. ამხერთან, მის ჩრდილო-დასავლეთით 1 კმ-ის დაშორებით (იხ. რუკა, სურ. 1), ერუშეთის მთის ჩრდილო კალთაზე. ეს უკანასკნელი აგებულია ზედამიოცენურ-ქვედაპლეისტოცენური შემადგენლობის ლავებითა და პიროკლასტოლიტებით [20, გვ. 5-554].

როგორც ოთ. ღამბაშიძე აღნიშნავს, ამხერისგორა მრავალფენიანი ძეგლია. აქ გამოვლენილია მტკვარ-არაქსის კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები [15, გვ. 54], გვიან ბრინჯაოს, ადრე რკინის ხანის და ადრეული შუა საუკუნეების ნაწილი) აშელის უადრესი საფეხურის შესატყვისი ადგილსაპოვებული – ამირანისგორა [1, გვ. 5-6; 2, გვ. 15-16; 3, გვ. 14-15; 4, გვ. 5-15; 5, გვ. 77-81; 7, გვ. 5-207; 23, გვ. 237-240; 22, გვ. 1-7; 24, გვ. 130].

ბის ნაშთები [16, გვ. 47], ხოლო მთის თხემზე შემორჩენილია ფეოდალური ხანის ამხერის ცინის მართკუთხა ნაგებობების ნანგრევები.

ამხერისგორის ფერდობსა და ძირში აკრეფილია ანდეზიტ-ბაზალტის ქვისაგან დამზადებული იარაღ-ანატეპეცები. მთლიანად კომპლექსი 49 ერთეული ნაკეთობისაგან შედგება. აქედან 65,3 % წარმოების ნაშთია, ხოლო 35 % – იარაღები.

წარმოების ნაშთებიდან მნიშვნელოვან ჯგუფს შეადგენს ნუკლეუსები – 8 ცალი, მთელი მასალის 16,3 %. ერთ-ერთი მათგანი წარმოადგენს სამკუთხა მოყვანილობის უნიფასიალურ ნუკლეუსს, დამზადებულს მასიურ შეუაზე გაპობილ კაჭარზე (ტაბ. I). კაჭრის ქვედა სიბრტყე უხეშად არის ჩამოტეხილი, ხოლო ზურგზე ემჩნევა უსისტემოდ განლაგებული არაღრმა ნეგატივები. თავი სწორად გადამტვრეული და თითქმის ჰორიზონტალური აქვს. ნაკეთობის წიბოები მკვეთრია, პატინა სუსტი. მისი ზომებია: სიმაღლე – 10 სმ; სიგანე – 10,4 სმ; სისქე – 5 სმ.

ერთ-ერთი ნუკლეუსი დისკოსებურია, დამზადებულია მასიურ კაჭარზე (ტაბ. I<sub>2</sub>). ზედა სიბრტყეზე დაუყვება რადიალურად განლაგებული ნეგატივები და პატარა მონაკვეთზე შერჩენილი აქვს კაჭრის ქერქი. ის ცროფილში ცალმხრივაში განვითარდა. ორივე სიბრტყიდან მთელ პერიმეტრზე გაკეთებული აქვს განიერფაცეტიანი რეტუში. ამ გზით ნუკლეუსი გადაკეთებულია საჩეს იარაღად. ემჩნევა ინტენსიური გამოყენების ნიშნები. წიბოები მკვეთრია, პატინა არა აქვს. მისი ზომებია: დიამეტრი – 9,5 სმ; სისქე – 5,3 სმ.

კიდევ ერთი ნუკლეუსია ოვალური მოყვანილობის, ერთფუძიანი (ტაბ. I<sub>3</sub>), დამზადებულია საშუალო ზომის სქელ ანატეპეცზე. ზურგის მხარეზე ემჩნევა უხეში უსწორმასწორო ნეგატივები, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება ბუნებრივი ატკეცის შედეგი იყოს. ქვედა სიბრტყის მარცხენა ნაწილში მთელ სიგრძეზე აცლილი აქვს განიერი, მოგრძო, თხელი ფირფიტა. მუცლის დანარჩენი ნაწილი უსწორმასწოროდა დამუშავებული. დარტყმის მოედანი გლუვი, განიერი და ჰორიზონტალურია. ეს ნუკლეუსიც, მთელს პერიმეტრზე განიერფაცეტიანი საფეხუროვანი რეტუშით ორივე სიბრტყიდან დამუშავების გზით, საჩეს იარაღადა გადაკეთებული. მას წიბოები მკვეთრი აქვს, პატინა არ გააჩნია. ემჩნევა გამოყენების კვალი. მისი დიამეტრია 8,3 სმ; სისქე – 3,7 სმ.

დანარჩენი ხუთი ნუკლეუსი ასევე საქმაოდ მასიურია. მათგან 3 ცალი კაჭარზეა დამზადებული და ორიც – ანატეპეცზე. ანატეპეცზე ჩამოყალიბებული ნუკლეუსები სახოკისებურ იარაღებადა გადაკეთებულია: ერთი – ორმხრივი განიერფაცეტიანი რეტუშით, მეორე კი – ჩანატეხოვანი რეტუშით ზურგის მხრიდან.

<sup>1</sup> ამხერისგორის კოლექციის ნაწილის შეადგენს მასალა, რომელიც მოგვიანებით დამატებით აკრიფა სამ-

ამხერისგორის კომპლექსში საჩეს იარაღებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მათი რიცხვი 10 ერთეულს შეადგენს, მაგრამ, თუ ჩავთვლით საჩეს იარაღებად გადაკეთებულ უკვე ზემოთ აღწერილ ნუკლეუსებს, მათი რიცხვი 13 ერთეულამდე გაიზარდება, ე.ი. სულ 26,5 %-ია. ისინი ძირითადად დამზადებულია სქელ მასიურ ანატეპეცზე და ანამტვრევებზე. მათთვის დამასასიათებულია ჩანატეხოვანი და საფეხურისებრი განიერი რეტუში, უპირატესად ორივე სიბრტყიდან გაკეთებული. მათ წიბოები მკვეთრი აქვთ, პატინა კი სუსტი. ერთ-ერთი ეგზეპლარი წარმოადგენს ორმაგ ჩაღარულ-ამოღარულ და ამოზნექილ სამუშაოპირიან საჩეს (ტაბ. I<sub>4</sub>). ის დამზადებულია განივ, დაბალ სქელ ანატეპეცზე-ქვედა სიბრტყეზე ემჩნევა დარტყმის წერტილი, სუსტი ბურცობი და სხივისებრი ბზარები. განივალ განლაგებული ზიგზაგისებური წახნაგი ზედა სიბრტყეს ორ ნაწილად ყოვს. ზედა ნაწილს მარცხენა შევიწროებულ მხარეს აკლილი აქვს ორი პატარა ანატეპეცი. ქვედა ნაწილზე ემჩნევა განიერი ფირფიტის ატკეცის კვალი. მარჯვენა მხარე აქვს უფრო სქელი და განიერი. იარაღს ზედა სამუშაო პირი ორმხრივი განიერფაცეტიანი და ჩანატეხოვანი რეტუშით ოდნავ ამოღარული აქვს; მეორე სამუშაო პირი განლაგებულია ანატეპეცის ფუძისეულ ნაწილში. ის სუსტად ამოზნექილია და ასევე ორმხრივი განიერფაცეტიანი ჩანატეხოვანი რეტუშითაა გამოყვანილი. მისი ზომებია: სიმაღლე – 8,5 სმ; სიგანე – 13,5 სმ და სისქე – 4 სმ.

კიდევ ერთი საჩესი იაპრობს ფურადლებას. ის ოთხუთხა მოყვანილობის მასიურ ანატეპეცზე დამზადებული (ტაბ. II). ზურგის მხარე მთლიანად კაჭრის თხელი ქერქითაა დაფარული; მუცლის მხარე აქვს საქმაოდ უსწორმასწორო, ჩაზექილ-ამოზნექილი, ემჩნევა სხივისებური ბზარები. ფუძისეულ ნაწილში ანატეპეცი ვიწროა, ოდნავ მომრგვალებული და დაჩერქვილი. ორი მარჯვენა-შემხედრი გვერდი როგორც ზედა, ისე ქვედა სიბრტყიდან განიერფაცეტიანი ჩანატეხოვან-საფეხურისებრი რეტუშით აქვს დამუშავებული, რის შედეგადაც მიღებულია კონვერგენტული საჩეს-საჭრელი იარაღი, რომლის ერთი, შედარებით თხელი სამუშაო პირი, ალბათ, საჭრელი იყო, ხოლო მეორე, სქელი – საჩესად გამოიყენებოდა. მისი ზომებია: სიმაღლე – 11,6 სმ, სიგანე – 9,6 სმ, სისქე – 3,8 სმ.

ერთი საჩესი იარაღი დამზადებულია სქელ ანატეპეცზე (ტაბ. II<sub>2</sub>). მას აქვს გულისებრი მოყვანილობა, ნაწილობრივ ბიფასიალური ტექნიკით ჩანს დამუშავებული. ზურგის მხარეზე ფუძისეულ ნაწილში ოდნავ შერჩენილი აქვს კაჭრის ქერქი. მარჯვენა მხარეზე ერთი ფირფიტიანი აცლილი. გარდა ამისა, შუაშიც ემჩნევა წინამორბედი ატკეცის კვალი. ქვედა სიბრტყე თითქოს უფრო გულდასმითაა დამუშავებული, და აქვს სხვადასხვა მიმართულების რამდენიმე ნეგატივი. მუცლის მხარეზე წახნაგები მკვეთრია და პატინა არ გააჩნია. ანატეპეცის მარჯვე-

ნა გვერდი ზურგის მხრიდან განიერფაცეტიანი რეტუშითაა დამუშავებული და ქმნის საჩეხის-სებურ სამუშაო პირს. ფუძე აქვს ოვალური მოყვანილობის, განიერი; თავისკენ ანატკეცი შევიწროებულია. მისი ზომებია: სიმაღლე – 9,2 სმ; სიგანე – 8,7 სმ და სისქე – 3,6 სმ.

ერთი საჭრელი იარაღი ოვალური მოყვანილობის თხელ ანატკეციზეა დამზადებული (ტაბ. II<sub>3</sub>). ანატკეცს მარცხნა გვერდი და შომრგვალებული თავი ორმხრივი უხეში, უსახო-ჩანატეხოვანი რეტუშით გათხელებული აქვს და ქმნის სამუშაო პირს. დარტყმის მოედანი აქვს მცირე ზომის, სწორი და გლუვი. ზურგის მხარე ძირითადად უხეშადაა ჩამოტეხილი, ხოლო ქვედა სიბრტყეზე ემჩნევა რამდენიმე ფირფიტის აცლის კვალი. იარაღი არაა პატინირებული. მისი ზომებია: სიმაღლე – 10,5 სმ; სიგანე – 7,7 სმ და სისქე – 2სმ.

ამ საინტერესო მონაპოვართა ჯგუფში გვხვდება 4 ც. სახოკი და 2 ც. სახოკისებური იარაღი. თუ მათ მივათვლით 2 ნუკლეუსს, გადაკეთებულს სახოკად – მათი რიცხვი 8 ერთეულს მიაღწევს, ე.ი. 16,3 %.

სახოკებში გამოიყოფა შემდეგი ტიპები: სწორპირა, გვერდის, ჩაღარულ-ამოღარული და ამოღარული. გარდა ზემოთ აღწერილი (ნუკლეუსებზე გაფორმებული) ეგზემპლარებისა, კველა ანატკეცებზეა დამზადებული. მათი ზომები მერყეობს: სიმაღლე 11 და 8,6 სმ შორის, სიგანე – 8,2 და 3,9 სმ შორის და სისქე – 2,4 და 1,1 სმ შორის.

ერთ-ერთი ორმაგი სწორპირა სახოკი დამზადებულია მოგრძო ოთხწახნაგა ანამტვრევზე (ტაბ. II<sub>4</sub>). ანამტვრევის ზედა სიბრტყე მაღალია, მას მარჯვენა მხარეზე ერთი ღრმა განიერი და ორიც მცირე ზომის ნეგატივი ემჩნევა. მარცხნა მხარის ნაწილი კაჭრის ქერქითაა დაფარული. ციცაბო სამუშაო პირები ანამტვრევის საპირისპირ მხარებზეა (თავსა და ბოლოში) მოთავსებული. ისინი გამოყვანილია განიერფაცეტიანი, მეტ-ნაკლებად საფეხუროვანი რეტუშით, რომელიც ზედა სიბრტყიდანაა გაკეთებული. სახოკის ზომებია: სიმაღლე – 9,5 სმ; სიგანე – 7 სმ; სისქე – 4,4 სმ.

გარდა ჩამოთვლილისა, ამხერისგორის კომპლექსში გვხვდება 12 ანატკეცი, რომელთაგან 5 ცალი თითქოს გამოყენებულია – ზოგი სახოკად და ზოგიც საჩეხს და საჭრელ იარაღებად. მათი ზომები მერყეობს: სიმაღლე – 17,1 სმ და 6,5 სმ-ს შორის; სიგანე – 10 სმ და 4 სმ-ს შორის, სისქე – 3,9-1,8 სმ-ს შორის.

დანარჩენი 7 ანატკეციდან 3 ცალს შერჩენილი აქვს სუსტად გამოსახული ბურცობი. ორს ემჩნევა მცირე ზომის გლუვი, პორიზონტალური დარტყმის მოედნები. კველაზე დიდი ანატკეცის ზომებია: სიგრძე – 10,3 სმ; სიგანე – 8,7 სმ; სისქე – 3 სმ, ხოლო კველაზე პატარის სიგრძე კი – 4,3 სმ, სიგანე – 8,1 სმ და სისქე – 2,5 სმ.

კოლექციაში ასევე 3 ცალი უხეში ანამტვრევი და 9 ცალი მასიური მრგვალი კაჭარი მოიპოვება.

როგორც დავინახეთ, ამხერისგორის ადგილ-საპოვებლის კოლექცია მიუხედავად თავისი სიმცირისა უკვე აშკარად ავლენს თავისებურ დამახასიათებელ ნიშნებს, რაც ძირითადად გამოიხატება ბუნებრივ კაჭრებსა და მასიურ ანატკეცებზე დამზადებული საჩეხი და საჩეხ-საჭრელი იარაღების განსაკუთრებულ სიჭარებეში. ხშირია შემთხვევები მეორადი დამუშავების შედეგად ნუკლეუსების საჩეხებად და სახოკებად გადაკეთებისა. სახოკები რაოდენობრივად შედარებით ნაკლებია საჩეხებთან, მაგრამ მაინც იარაღის წამყვან ფორმას წარმოადეგნს.

დამუშავებულ ანატკეცითა მნიშვნელოვანი ნაწილიც, ჩანს, გამოყენებული უნდა ყოფილიყო ასევე საჩეხებად და სახოკებად.

მხოლოდ ორი ეგზემპლარითა წარმოდგენილი დუბლირებული იარაღები. ესენია: ორმაგი სახოკი და ორმაგი საჩეხი. კომპლექსის დანარჩენ ნაწილს, როგორც აღნიშნეთ, შეადგენს დიდი და საშუალო ზომის ანატკეც-ანამტვრევები და მასიური კაჭრები.

თვალში საცემია, რომ მეორად დამუშავებაში გაბატონებულია ორმხრივი განიერფაცეტიანი საფეხუროვან-ჩანატეხოვანი რეტუში. იშვიათია ცალმხრივი რეტუშის შემთხვევები.

თავისი ტექნიკურ-ტიპილოგიური ნიშნებით ამხერისგორის კომპლექსი ბევრად უფრო პრიმიტიული ჩანს, ვიდრე სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის რეგიონის ისეთი ძეგლები, როგორიცაა დილისკა, ახალქალაქი I-IV და თვით ამირანისგორაც კი.

კომპლექსის ზემოქმედობით ნიშნები და მისი საერთო არქაული იერი უფლებას გვაძლევს იგი წინასწარულად, სავარაუდოდ დავათარილოთ აშელის ეპოქის აღრუები საფეხურით (ქვედა პლეისტოცენის ბოლო და შუა პლეისტოცენის დასაწყისი). თუმცა, არაა გამოიცხული, რომ ძეგლის აღნიშნული თავისებურებები გამოწვეული იყოს არა ქრონოლოგიური სხვაობით ადრეული აშელის საზღვრებში, არამედ მისი რეგიონალური თავისებურებებით. აქვთ გვინდა აღვნიშნოთ, რომ გაკირვებას იწვევს ამხერისგორაზე მოპოვებული იარაღ-ანატკეცების დაცულობის ხარისხი. როგორც შევამჩნიეთ, მიუხედავად მიმისა, რომ ეს მასალა ზედაპირულადაა აკრეფილი, მას საკმაოდ მკვეთრი წიბოები და უმნიშვნელო პატინა გააჩნია. ჩანს, ეს მასალა არა მიწის ზედაპირზე დიდი ხნის მოხვედრილი და ინტენსიურად გადაადგილებული.

დღესდღეობით, სანამ არ გავეცნობით ძეგლს ადგილზე, არ დავადგენთ მისი გავრცელების საზღვრებს, არ ჩავატარებთ თუნდაც მცირე-მასშტაბიან გათხრებს და არ მოვიპოვებთ დამატებით მასალას, გაგვიჭირდება ამ ფაქტის სხვაგარად ახსნა და პასუხის გაცემა მთელ რიგ საკითხებზე, რომლებსაც ეს საინტერესო კომპლექსი ბადებს.

**M. Gabunia S. Panchulidze**

**ACHEULEAN STATION OF AMKHERIS-GORA**  
(Summary)

The site is situated on the territory of the historical province of Samtskhe, 1km north-westward of the village of Amkheri, Adigeni district, on the northern slope of Erusheti mountains consisting of the Upper Meocene-Lower Pleistocene sediments – volcanic andesite-dacites and pyroclastolithes [20, 1971, p. 5-554].

The site of Amkherisgora was discovered by the archaeologist O. Ghambashidze in 1987 [15, 1995, p. 54]. The Director of the Historical-Ethnographic Museum of Samtskhe Ts. Lapachi, O. Ghambashidze and I. Ghambashidze have contributed to the creation of the collection of artifacts obtained from Amkherisgora. It is a multilayered site: fragments of Kura-Araxes pottery, remains of the Late Bronze Age, along with relics of the Middle Ages have been brought to light [16, 1997, p. 47].

49 hand-made andesite-basalt articles were collected on the slopes and foothills of Amkherisgora.

The station reveals typological uniformity. Its main characteristics are as follows: plenitude of chopping and sharp-hack tools (26.5 %) made on natural cores and massive flakes. Nuclei are often turned into chopping tools through secondary processing. A large part of the worked flakes must have been used as choppers and scrapers.

Scrapers constitute 16.3% of the collection. Only two items of double tools – a double scraper and double chopper are found.

The same amount of nuclei (16.3 %) are principally made on natural cores and massive flakes. Unifacial triangular, unifacial disk-shaped and single-plane oval nuclei should be noted.

The rest of the complex is represented by flakes of average and large size, fragments and massive cores.

Secondary treatment is dominated by broad faceted gradual retouch at the two sides of the tools, while treatment of a tool only at one side occurs rarely. Judging by its typological-technical characteristics, Amkherisgora seems to be more primitive than the Middle and Lower Acheulean sites of the southern Georgian plateau – Diliska, Akhalkalaki I-IV and Amiranisgora (Upper Acheulean period).

The above features and general archaic appearance of Amkherisgora allow the authors to suggest a preliminary and approximate attribution

– Upper Acheulean period (end of the Lower Pleistocene and beginning of the Middle Pleistocene), though it not ruled out that the cited characteristics may not account for the chronological divergence within the Acheulean period, but for its regional peculiarity.

**ლიტერატურა**

1. გაბუნია მ. ჯავახეთის უძველესი ქვის ხანა და მისი გარესამყარო. – სამეცნიერო სესია: „მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესი და საქართველო“ (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით), მოხსენებათა ოებისები, თბ., 1993, გვ. 5-6.
2. გაბუნია მ. ჯავახეთის ამირანისგორის ძველი ქვის ხანის ნაბინარი. – კავკასიის არქეოლოგია: უახლესი აღმოჩენები და პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 1997, გვ. 15-16.
3. გაბუნია მ. სამხრეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის უკანასკნელი წლების (1992-1997 წწ.) ანგარიში. – კავკასიის არქეოლოგიური კონფერენცია I, მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ., 1998, გვ. 14-15.
4. გაბუნია მ. ჯავახეთის ამირანისგორა. – „ძიებანი“, № 2, 1998, გვ. 5-15.
5. გაბუნია მ. უძველესი ადამიანი სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის რეგიონში. – „მეცნეთი“, ახალციხე, 2000, გვ. 77-81.
6. გრიგორიან გ. ჯავახეთის ქვედა პალეოლიტური ძეგლები. – მსკა, ტ. IV, თბ., 1965, გვ. 5-13.
7. ვეკუა ა. ახალქალაქის ქვედაპლისტოცენური ძუძუმწოვრების ფაუნა. თბ., 1962.
8. ნიორაძე მ. იუსტუსი ა. ქვის იარაღები დმანისის ადრეპალეოლიტური ძეგლიდან. – დმანისი, I. თბ., 1998, გვ. 149-159.
9. გაბუნია მ. კ., კალანდაძე კ. ს., ბუგიანიშვილი თ. ვ. არхеологическая экспедиция Южно-Грузинского нагорья. – ПАИ, 1980, (1981), с. 5-7.
10. გაბუნია მ. კ. Древнекаменный век Южно-Грузинского вулканического нагорья. Автореферат дис. на соиск. уч. степени доктора исторических наук. Тб., 1994.
11. გაბუნია მ. კ. Человек древнекаменного века на Джавахетском плоскогорье и среда его обитания. – Всероссийское совещание "Главнейшие итоги в изучении четвертичного периода и основные направления исследований в XXI веке", тезисы докладов. СПб., 1998, с. 254.
12. გაბუნია ლ. კ., ვეკუა ა. კ., ბუგიანიშვილი თ. ვ. Среда обитания древнейших ископаемых людей Кавказа. – Известия

АН ГССР, серия Биологическая, т. 14, № 5, 1998, с. 344-349.

**13. Габуния Л. К., Векуа А. К.** Дманисский ископаемый человек и сопутствующая ему фауна позвоночных. Тб., 1993, с. 3-72.

**14. Габуния Л. К., Векуа А. К., Лордкипанидзе Д. О.** Расселение ранних гоминид на территории Закавказья. – Всероссийское совещание "Главнейшие итоги в изучении четвертичного периода и основные направления исследований в XXI веке", тезисы докладов. СПб, 1994, с. 253-254.

**15. Гамбашидзе О. С., Гамбашидзе И. О.** Работы Месхет-Джавахетской экспедиции. – ПАИ, 1987 (1995), с. 54.

**16. Гамбашидзе О. С., Гамбашидзе И. О.** Работы Месхет-Джавахетской экспедиции, – ПАИ, 1988, (1997), с. 47.

**17. Кикодзе З. К., Коридзе И. Д.** Краткий отчет о работах проведенных Параванской разведовательной археологической экспедицией в 1977. – АЭГМГ, т. 6, 1978, с. 19-26.

**18. Кикодзе З. К.** К методике изучения нижнепалеолитических бифасов. – СА, № 3, 1983, с. 188-193.

**19. Кикодзе З. К.** Бифас-колун в ашеле Кавказа. – ВГМГ, т. 38-В, 1986, с. 55-63.

**20. Маруашвили Л. И.** Южно-Грузинское вулканическое нагорье. Геоморфология Грузии, Тб., 1971.

**21. Bosinski G., Bugianischwili T., Mgelandze N.** et al. Steinarte Acte. In: der Altpaläolithische Fundplatz Dmanisi in Georgien (Kaukasus). – JRGZ, 3b, 1989, S. 67-116.

**22. Gabunia M.** On Ancient Man in the Volcanic Mountainous Region of South Georgia. Les premiers hommes aux portes de l'Europe. – ERLAUL, 92. Liège, 2000, p. 43-47.

**23. Gabunia M., Vekua A., Tvalčrelidze M.** Der altpaläolithische Fundplatz Achalkalaki am Amiranis-Berg im Dzavacheti-Gebiet (Süd-Georgien). – Archäologisches Korrespondenzblatt, RGZM, 24, Mainz, 1994, S. 237-240.

**24. Gabunia M., Nioradzé M., Tushabramishvili N.** Les industries du Paléolithique inférieur dans le Caucase du Sud. – Les premiers habitants de l'Europe. Résumés des communications, Tautavel, 2000, p. 130.

**25. Gabunia L., Vekua A., Lordkipanidze D., Justus A.** Ein neuentdeckten Hominiden-Rest vom Fundplatz Dmanisi (Ostgeorgie). – Archäologisches Korrespondenzblatt, 29/3, 1999, S. 299-305.

**26. Gabunia L., Vekua A., Lordkipanidze D.** The hominid remains from Dmanisi. – Anthropologie, XXVII/II, Paris, 1999, p. 163-166.

**27. Gabunia L., Vekua A.** et al. Early Pleistocene Hominid Cranial Remains from

Dmanisi, Republic of Georgia: Taxonomy, Geological Setting and Age. – Science, 288, New York, 2000, p. 1019-1025.

**28. Gabunia L., Vekua A., Lordkipanidze D.** Taxonomy of the Dmanisi Crania. – Science, 289, New York, 2000, p. 55-56.

**29. Gabunia L., Joris O., Justus A., Lordkipanidze D.** et al. Neue Hominidenfunde des Altpaläolithischen Fundplatzes Dmanisi (Georgien, Kaukasus) im Kontext aktueller Grabungsergebnisse. – Archäologisches Korrespondenzblatt, 29. 1999, heft 4. RGZM, Mainz, S. 451-488.

### ტაბულების და სურათის აღწერილობა

სურ. I. სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთანეთის რეგიონში წინააშელური და აშელური ეპოქების ძეგლების გავრცელების რუკა.

ტაბ. I – 1. ნუკლეუსი სამკუთხა მოყვანილობის, უნიფასიალური; 2. ნუკლეუსი დისკოსტრური; 3. ნუკლეუსი ერთფუძიანი, ოვალური მოყვანილობის; 4. ორმაგი საჩები იარაღი ჩაღარულ-ამოდარული ამოზნექილსამუშაობირიანი, დამზადებული განივ ანატკეცვებ.

ტაბ. II – 1. საჩები იარაღი, დამზადებული ოთხკუთხა მოყვანილობის მასიურ ანატკეცვებ; 2. საჩები იარაღი, დამზადებული სქელ ანატკეცვებ ბიფასიალური ტექნიკით; 3. საჭრელი იარაღი, დამზადებული თხელ ანატკეცვებ; 4. სახოკი იარაღი სწორბირა, დამზადებული ოთხკუთხა ანამტკეცვებ.


### Description of the plates and figure

Fig. 1. Map showing the spread of the proto-Acheulian and Acheulian sites on the territory of the southern Georgian volcanic plateau.


Pl. I – 1. Unifacial triangular nucleus; 2. Disk-shaped nucleus; 3. Single-plane oval nucleus; 4. Double chopper with convex-concave and convex working parts, made by transverse flaking.

Pl. II – 1. Chopping tool made of a quadrangular massive flake; 2. Chopping tool made of a thick flake by bifacial technique; 3. Chopping tool made of a thin flake; 4. Double scraper with straight working edges made of tetrahedral fragment.


გაბ. I




1




2




3



4





## ლიანა ქორქია

### მინერალური საღებავების გამოყენება ქვის ხანის აღაშიანთა საყოფაცხოვრებო საქმიანობის აზიანების მასალების მიხედვით

მინერალური საღებავების ნაშთები ხშირად გვხვდება ქვის ხანის ძეგლებში, განსაკუთრებით კი ზედაპალეოლიტურ კულტურულ ფენებში. მათი დიდი რაოდენობით არსებობა მკვლევარების მიერ დადასტურებულია კოსტიონგების, ბორშევოს, მეზინისა და სხვა ძეგლებში.

საქართველოს ტერიტორიაზე შესწავლილ ქვის ხანის ძეგლთა შორის მინერალური საღებავების ნაშთების სიუხვით გამოირჩევა აფიანჩის მდვიმე. იგი მდებარეობს მდინარე კოდორის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ წებელდის სამხრეთაღმოსავლეთით, მთა აფიანჩის ფერდობის ძირში, ზღვის დონიდან 450 მ-ის სიმაღლეზე [2, გვ. 213]. მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ მდვიმეში არსებული კულტურული ფენები კარგადაა შემონახული და მათ არავითარი დაზიანებისა თუ გადაადგილების კვალი არ ეტყობა. ეს გარემოება რამდენადმე გამოწვეულია იმით, რომ მდვიმის შესასვლელთან (მარცხენა მხარეს) მდებარეობს დიდი ზომის კირქვის ლოდი, რომელიც ბუნებრივ ზღუდეს ქმნიდა მდვიმის საკმაოდ დიდ ფართობზე და იცავდა მასში მცხოვრებთ ატმოსფერული და ანთროპოგენური ფაქტორების უარყოფითი ზეგავლენისაგან. ამავე დროს მდვიმის ფენები უფრო კარგადაა შემონახული და გარკვეულ საზღვრებშია მოქმედი. გეოგრაფიული. გეოგრაფიული. მ. თვალსრულიძის აზრით, ლოდი ჩამოვარდნილია მდვიმის თაღური ნაწილიდან ჯერ კიდევ ადამიანის იქ დასახლებამდე.

აფიანჩის მდვიმის ფენებში ოქრის არსებობა პირველად დადგინა ლ. სოლოვიოვმა, რომელმაც მდვიმეში 1940 წელს სადაზვერვო შურფი გააკეთა. მან სწორად აღნიშნა, რომ ოქრი მდვიმეში მოიტანა აფიანჩელმა ადამიანმა თავისი საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. შემდგომში (1978-1992 წწ.) კოდორის ხეობის შემსწავლელმა ქვის ხანის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაადგინა, რომ აფიანჩის მდვიმე მრავალფენანია. ლითოლოგიურმა შესწავლამ გამოავლინა ცხრა პორიზონტი, რომელთაგან ორი – მე-6 და მე-8 – სტერილურია, შეიძი კი – კულტურული ფენის შემცველი. ეს გარემოება დამაჯერებლად მიუთითებს იმაზე, რომ მდვიმე ათვისებული იყო ქვის ხანის ადამიანის მიერ ისტორიულად ხანგრძლივი დროის მანძილზე – მუსტიედან ნეოლიტური ეპოქის ჩათვლით [5, გვ. 11]. გათხრების დროს მდვიმეში არქეოლოგიურ მასალასთან ერთად გვხვდებოდა დიდი რაოდენობით მინერალური საღებავის – ოქრის ნაშთები როგორც ცალკეული ნატეხების, ისე დაქუცმაცებული ნაწილაკების სახით, რომლითაც შეფერილი იყო

კულტურული ფენების მნიშვნელოვანი ფართობი.

აფიანჩის მდვიმეში გათხრების შედეგად ნაპოვნია რამდენიმე ნივთი, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ოქრის დამუშავებასთან.

1. გვიანზედაპალეოლიტურ ფენაში (IV პორიზონტი) აღმოჩენილია ოქრის სასრესი ნივთი. იგი დამზადებულია კარბონატული ქვიშაქვისაგან, რომელიც ფორმით ჯამს წააგავს. მისი ზომებია: დიამეტრი 16 სმ, სიმაღლე 8 სმ; ქვის სასრესი ცენტრალური ნაწილი ხელოვნურადაა ჩაღრმავებული, რომლის ძირშიც შემორჩენილია მოწითალო ფერის ოქრის ნაშთი. ცნობილია, რომ მინერალური საღებავების დასანაყავად იყენებდნენ როდნისა და ქვასანაყს, საღებავების გასასალესად კი – ამოღრმავებულ ქვის ნატეხების ხ4, გვ. 84ჯ. აფიანჩაში აღმოჩენილი ქვის სასრესი კი, როგორც ვხედავთ, სპეციალურადაა დამზადებული (ტაბ. I).

ზედაპალეოლიტურ ფენაში (V პორიზონტი), რომელიც დათარიღებულია შუა ზედაპალეოლიტური ეპოქით, აღმოჩენდა დათვის მხრის ძვლისაგან დამზადებული სასრესი იარაღი. ძვალი ორივე მხრიდან არის გადაჭრილი და გარკვეული ფორმა აქვს მიცემული. მის ბუნებრივად ჩაღრმავებულ ნაწილში ჩარჩენილი იყო ოქრის ნაშთი. ვფიქრობთ, რომ აღწერილი ნივთი გამოიყენებოდა აღმოიყენოდა ოქრის გასაფარებლად (ტაბ. I).

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ნივთი ნაპოვნია საფრანგეთის ერთ-ერთ მდვიმეში – ლეკოტეში. იგი დამზადებულია ორმის მხრის ძვლისაგან, რომლის ბუნებრივ ჩაღრმავებულ ნაწილშიც, ისევე როგორც ჩვენთან, ჩარჩენილია ოქრის ნაშთი [6, გვ. 299]. სხვადასხვა ქვაყანაში მსგავსი იარაღის არსებობა, კულტურათა ერთიანობას კი არ უნდა მივაწეროთ, არამედ ერთმანეთზე დამოკიდებული სხვადასხვა კულტურის განვითარების კანონზომიერებას.

ურადღებას იმსახურებს მეოთხე კულტურულ ფენაში (V პორიზონტი) აღმოჩენილი ქვის ფრაგმენტი, ორივე სიგრძივივ გვერდზე ხელოვნურად გამოყვანილი ნაჭდევებით. იგი მართკუთხედის ფორმისაა და მთლიანად დაფარულია ოქრით (ტაბ. I). ამ ნივთის დანიშნულების შესახებ მსჯელობა მნელია, მით უფრო, რომ ანალოგიური არსად გვეგულება. არ არის გამორიცხული, ამ ნივთს საკულტო დანიშნულება ჰქონდა. შესაძლებელია, იგი მზის სიმბოლური გამოსახულებაც იყო.

ვიდრე განვიხილავდეთ რისთვის და როგორ გამოიყენებოდა ბუნებრივი საღებავი (ან საღებავები), ჩემთვის მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, თუ სად მოიპოვებდნენ აფიანჩელი ადამიანები

ოქრის ან სხვა საღებავებისათვის ნედლეულს, მათვის საჭირო რაოდენობით.

ი. მონცელიძის მონაცემებით [3, გვ. 665], საქართველოს ტერიტორიაზე, თითქმის ყველა რეგიონში, აღმოჩენილია მრავალრიცხოვანი რეინის შემცველი საღებავების საბადოები. დასავლეთ საქართველოში – ცარცული კირქვების გავრცელების ზოლში ოქრის არასაწარმოო მნიშვნელობის „საბადოები“ ძირითადად დაკავშირებულია არსებულ ნაპრალებთან, ჯიშებთან, ბუღებთან და სხვ. ხშირად ნაპრალებში მათი დანაგროვი 4-5 მ სიმძლავრისაა. ასეთ ადგილებში ოქრა ხშირად სუფთაა, ზოგჯერ კი – კალციზირებული. აფხაზეთში ოქრის ადგილ-საპროცესულები ცნობილია გალის, გაგრის, სოხუმისა და ოჩამჩირის მიდამოებში, ჩვენთვის ასევე საინტერესო კოდორის ხეობაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებულია აგრეთვე წითელი უანგმიწა (ნარევი), რომელიც, შესაძლებელია, ისევე როგორც ოქრა, გამოიყენებოდა საღებავების დასამზადებლად.

სპეციალისტთა აზრით, ასეთი ნიადაგების წარმოქმნის პროცესი უკავშირდებოდა აღნიშნულ ტერიტორიაზე თბილ კლიმატს, რომელიც გავრცელდა მნიშვნელ-რისის გამყინვარებათა პერიოდში.

ცნობილია, რომ თითქმის ყველა მინერალი (გამჭვირვალე მინერალების გარდა), წვრილად დანაყილი, ამა თუ იმ ხარისხით გამოიყენებოდა საღებავების წარმოებაში, მაგრამ მინერალურ საღებავებად იწოდება მხოლოდ ის საღებავები, რომლებიც ბუნებრივად, ანდა მექანიკური თუ თერმული დამუშავების შედეგად ამჟღავნებდნენ ამ თვისებებს.

მინერალური საღებავები განსხვავდება ფერით. ასე მაგალითად: თეთრია ცარცუ, ბარიტი და სხვ., ფერადია მიწისებრი ნივთიერებები, რომლებიც ძირითადად თიხისაგან შედგება და შეღებილია რკინის უანგეულებით, როგორიცაა, მაგალითად, ოქრა. ოქრის შემაღებელობაში რკინის უანგეული უნდა იყოს არანაკლებ 12%-სა, კალციუმის მარილები – 2%, ხოლო გაუხსნელი ნაშთი – 75%. ბუნებრივ საღებავებში ძირითადი ყურადღება ექცევა რკინის უანგეულებს (ან მათ პიდრატებს), როგორც ძირითად მღებავ პიგმენტებს. ფერის ინტენსივობა კი დამოკიდებულია არა მარტო პიგმენტის რაოდენობაზე, არამედ დისპერსიის – წვრილად დანაწილების ხარისხზეც. ი. შოვკოპლიასისა [8, გვ. 113-114] და სხვა მკვლევარების აზრით, ოქრას ურევდნენ ცხიმს, ცხოველის ტვინს, რის შეძეგაც იყენებდნენ ნივთების შესაღებად, სხეულის ძოსახატავად, ე.წ. ტატუირებისათვის, რაც ტოტემური წეს-ჩვეულებების შესრულებას ემსახურებოდა და სხვ. ცხოველის ტვინი ქვის ხანის ადამიანისათვის არა მარტო სასიმოვნო საკვები, არამედ მნიშვნელოვანი ტექნიკური მასალაც იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძვლის

ტვინთან ერთად ოქრის გარდა, სრესდნენ სხვა მინერალურ საღებავებსაც.

ოქრით შედებილი სხეული თავისი ტონალობით (სხვა სამკაულებთან ერთად) გამოხატავდა ინდივიდუალურ მიღვომას, ხოლო ორიგინალური მოხატულობა სხეულზე საწინააღმდეგო სქესის ყურადღებას იქცევდა. გარდა აღნიშნულისა, სხეულის შეღებგა ქვის ხანის ადამიანებს განაწყობდა სხვადასხვა რიტუალებისათვის და მნიშვნელოვნად განაპირობებდა წარმატებას ნადირობისა და საომარი მოქმედებების დროს.

საინტერესოა ინფორმაცია მიცვალებულის დამარცვის რიტუალის შესახებ, რომლის ერთერთი წესი გარდაცვლილის სხეულის შეღებგა იყო. საფრანგეთში ადგილ ლაშოპელო-სენის მუსტიეური ეპოქის შესატყვის ერთ-ერთ სამარხში აღმოაჩინეს მიცვალებულის წითელი ოქრით შეღებილი სხეული, რომელსაც ახლდა მშვილდწვეტება, სახოკები და ოქრის ნატეხები [7, გვ. 81-85] ქვის ხანაში მიცვალებულის სხეულის შეღებგა აუცილებელი პირობა იყო გამოჩენილი ადამიანის დამარცვისას. როგორც ჩანს, ამით პატივს მიაგებდნენ მიცვალებულს და მოპოვებდნენ სულიერ სიმშვიდეს.

ქვის ხანის ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვანა ასპექტს ასახავს საღებავებით შესრულებული კედლის მხატვრობა. XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე დედამიწის სხვადასხვა კუთხეში არაერთი ძეგლია აღმოჩენილი და აღწერილი. კედლის მხატვრობის შესანიშნავი ნიმუშები გვხვდება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, აგრეთვე აფრიკაში, ციმბირში, სამხრეთ კავკასიაში, სახელდობრ, სომხეთში, აზერბაიჯანსა და აღმოსავლეთ საქართველოში – ე.წ. პატარა ხრამის ხეობაში. ნახატები ძირითადად ცხოველთა სამყაროს ასახვდა – აქ ვხვდებით ცხენებს, ბიზონებს, ღორებს, ჯიზვებს, ირმებს, ლომებს, თევზებს, ფრინველებს, მცენარეებსა და ქვის ხანის ადამიანის ნადირობის ცალკეულ ეპიზოდებს.

როგორც არსებული მრავალფეროვანი იღუსტრაციებიდან ჩანს, ნახატების ხარისხი უკვე იმდროიდელი „მხატვრის“ ამა თუ იმ ობიექტისადმი ინდივიდუალურ მიღვომაზე, სხვადასხვა მინერალური საღებავების გამოყენებასა და ოსტატობაზე იყო დამოკიდებული. მ. გაბუნიას აზრით [1, გვ. 73, 74], ერთნაირ გარემოსა და ეკონომიკურ პირობებში ყალიბდებოდა მსგავსი სულიერი სამყარო, ხოლო აქედან გამომდინარე – მსგავსი ხელოვნებაც.

ცხადია, რომ პირველყოფილი ადამიანის მხატვრობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის ყოველდღიურ ცხოვრებასთან და პრაქტიკულ საქმიანობასთან. მათ ნახატებში, შესაძლოა, აისახებოდა მათი მრწამსიც.

აფიანჩის მღვიმეში კედლის მხატვრობის ნიშნები არ აღმოგვიჩენია. მღვიმის კედლები საკმაოდ სქელი ფერის კალციტის ნაღვენთებით არის დაფარული. ვფიქრობთ, კედლის მხატ-

ვრობა შესაძლებელია იყოს კიდეც, მაგრამ სპეციალური ფოტოგრაფირებისა და გამწმენდი საშუალებების გარეშე მისი აღმოჩენა შეუძლებელი გახდა.

ამრიგად, ჩვენ მიერ მოკვლეულ არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში მცხოვრებმა ადამიანმა აღრევე მიაქცია ყურადღება ბუნებრივ საღებავს – ოქრას. იგი მოიპოვებდა მას, ამუშავებდა და ეფექტურად იყენებდა საყოფაცხოვრებო საქმიანობაში. ზედაბალეოლითურ ეპოქაში უკვე შეიქმნა სპეციალური იარაღები ოქრის დასანაყად და გასაღესად. ჩვენი აზრით, აღწერილი ნივთები საყოფაცხოვრებო იარაღის აღრეულ ნიმუშებად შეიძლება ჩავთვალოთ და პირველყოფილი საზოგადოების პროგრესული განვითარების ნიშნადაც მივიჩნიოთ.

L. Korkia

### THE USE OF MINERAL DYES BY PALAEOLITHIC MAN IN HIS DAILY ACTIVITIES (ACCORDING TO APIANCH FINDS) (Summary)

Apiancha is situated in the basin of the river Kodori, in the vicinity of the village of Tsebelda. 9 lithological horizons comprising 5 cultural and 2 sterile layers can be identified in the cave.

All the cultural layers reveal pieces or powder of red ochre. A stone curved bowl with a hollow preserving ochre powder was found in the final layer dated to the Upper Palaeolithic period (the fourth and fifth horizons). In the Middle Palaeolithic layer a device was found designed for grinding dyes - it represented a part of bear bone with its natural hollow suiting neatly the purpose of rubbing.

A stone (shale) article of rectangular shape with 6 and 9 perpendicular incisions (slits) on each of its longitudinal sides is of special interest. The item was painted with ochre. It is to be noted that this find is unique on the territory of Georgia.

Ochre mixed with grease was apparently used for dying certain articles and besides, for making tattoos during totemistic rites or religious performances of the cited age, etc.

### ლიტერატურა

1. გაბუნია მ., გეგუა ა. პატარა ხრამის პეტროგლიფები. თბ., 1980.
2. გაბუნია მ., წერეთელი ლ. მეზოლითი. – საქართველოს არქეოლოგია. თბ., 1991.
3. მონცელიძე ი. საქართველოს მინერალური რესურსები. თბ., 1933.
4. ნიორაძე გ. ქვის ხანის ადამიანები. ზედაბალეოლითი. თბ., 1948.
5. ქორქია ლ. აფიანჩას მღვიმური ნასახლარის პალეოეკოლოგიური ინტერპრეტაცია. – ძიებანი, № 1, თბ., 1998, გვ. 9-14.
6. Ефременко П. Первобытное общество. М., 1938.
7. Лолвик Г. Человек в ряду живых существ. Киев, 1924.
8. Шовкопляс И. Мезинская стоянка. Киев, 1965.


### ტაბულის აღწერილობა

ტაბ. I – აპიანჩას მღვიმის მონაპოვარი.

### Description of the plate

Tab. I – Finds from Apiancha cave.

გაბ. I



## გურამ ჩიქოვანი

### სოფელ ნიჩბისის აღრესაშირებული პელტურის ნამოსახლარი

ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი მდებარეობს მცხეთის რაიონში, სოფელ ნიჩბისის ჩრდილოეთით, მტკვრის მარჯვენა მხარეს, შემაღლებულ ტერასაზე, საბაღ-ბოსტნედ გამოყოფილ ნაკვეთებზე. აქ გვიანბრინჯარის ხანის სამაროვნის შესწავლისას გამოვლინდა ადრესამიწათმოქმედო კულტურის მასალების შემცველი ფენა [4, გვ. 69-70].

არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა 1988 წელს № 116 საბაღ-ბოსტნე ნაკვეთში, სახლის სასაძირკვლე ქვაბულში. სულ გაითხარა 70 მ<sup>2</sup> ფართობი და დადგინდა, რომ კულტურული ფენა, რომლის სისქე შეადგენდა 0,70 მ, გადის ქვაბულის გარეთ დასავლეთის, ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მიმართულებით.

კულტურული ფენაში არქეოლოგიურ მასალებთან ერთად პრეპარაციისას ჩნდებოდა უსისტემოდ განლაგებული მცირე და საშუალო ზომის რიყის ქვები. თხრილის სამხრეთ კუთხეში გაიწმინდა წაგრძელებული ფორმის კერა-ნაცეცხლური ზომით 1 მ × 0,70 მეტრზე. პერის ირგვლივ ჩნდებოდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, ობსიდიანისა და კაჟის ანატეცები და ცხოველთა ძვლების ფრაგმენტები.

პერის ჩრდილოეთით 4 მეტრის დაშორებით გაიწმინდა მრგვალი ფორმის ორმო (დიამეტრი 0,70 მ), რომელიც შევსებული იყო წითლად გამომწვარი ნაცარმინარევიანი თიხით. ორმოს სიღრმე შეადგენდა 0,30 მეტრს.

ნამოსახლარზე კულტურული ფენის სხვადასხვა დონეზე ჩნდებოდა თიხის ჭურჭლის ნატეხები, ობსიდიანისა და კაჟის ლამელა-ანატეცები, ბაზალტის ქვის დიდი ზომის პირბასრი ანატეცები. ცხოველთა ძვლების ფრაგმენტები კი აღმოჩნდა უმნიშვნელო რაოდენობით. იარაღებიდან აღსანიშნავია რქისგან დამზადებული თოხისებრი იარაღი, რქის თავგამოყვანილი და მრგვალფორიანი ნაკეთობა, ფერადი ქვისაგან დამზადებული მინიატურული სატეხისებრი იარაღი და ლულოვანი, ნაპიბი ძვლის სახვრეტი (ტაბ. II<sub>3</sub>). თიხის ჭურჭლის ნატეხების უმრავლესობა ფრაგმენტულია და წარმოდგენილია პირ-გვერდის, ძირ-გვერდისა და უსახური ნატეხებით. ისინი ნაძერწია ხელით, კეცში არაორგანული მინარევებით და გამომწვარია მოყვის-ფრო-მოჩალისფროდ. გვხვდება მოშავო და მოვარდისფრო ნატეხებიც.

ჭურჭლის ნატეხები ძირითადად სუფრისა და სამზარეულო დანიშნულებისაა. ისინი უნდა ეკუთვნოდნენ სასმისებს, ჯამებს, ქილებსა და ქოთხებს. ფორმის მიხედვით განირჩევა სწორი, ოდნავ პირგადაშლილი და პირმოყრილი ჭურჭლის ნატეხები. პირ-გვერდის ნატეხებს პირი

მომრგვალებული, მოსწორებული ან ოდნავ გამოყოფილი აქვთ, ნაწილს კი – შეთხელებული.

ნიჩბისის სამეთუნეო ნაწარმიდან აღსანიშნავია ოდნავ პირგადაშლილი (ტაბ. I<sub>1,2,6,9,25</sub>), აგრეთვე პირმოყრილი მცირე ზომის ჭურჭლის ნატეხები (ტაბ. I<sub>4,8,10,11-12,15,21-22,26</sub>), რომელთა კეცის სისქე – 0,6-0,8 სმ-ს შეადგენს.

პირგვერდის ორ ნატეხსბაკო ოდნავ გამოყოფილი აქვს (ტაბ. I<sub>2,3</sub>). საყურადღებოა პირგვერდის ორი ნატეხი. პირგველი (ტაბ. I<sub>9</sub>) წარმოადგებს სასმისისებრი ჭურჭლის მცირე ფრაგმენტს. თიხა წმინდად განლექილი, კარგად ნაპრიალები გარე და შიდა პირით, მოგარდისფროდ გამომწვარი. ასეთი მაღალი ტექნიკით დამზადებული და გამომწვარი ჭურჭლი არ არის დამახასიათებელი შიდა ქართლის ამ წრის ნამოსახლარებისათვის და შესაბამისად „იმპორტულ“ ნაწარმად უნდა მივიჩნიოთ.

პირ-გვერდის მეორე მცირე ნატეხს კი პირი ტალღისებრი ორამენტით აქვს შემცული და ამ მხრივ ერთადერთია ნამოსახლარის სამეთუნეო ნაწარმიდან (ტაბ. I<sub>6</sub>).

პირ-გვერდის ზოგიერთ სწორ თუ სფერულ-ტანიან ნატეხს პირს ქვემოთ აქვს ერთი ან ორი გამჭოლი ნასვრეტი (ტაბ. I<sub>1,5,7,8,10,11,15</sub>).

ძირ-გვერდის ნატეხი კი სულ ექვსი ერთეულია. მათგან ხუთი მუცლინ ჭურჭლის ეკუთვნის, ერთი კი – შედარებით სწორტანიანს. ხუთს გამოყოფილი ქუსლი აქვს (ტაბ. I<sub>13-19</sub>), მათგან ორს კი – განზიდული ქუსლი, შეზნექილი ძირი აქვს (ტაბ. I<sub>4,9</sub>). ქუსლის სიმაღლე ერთი სმ-ია, ერთი კი უქუსლო ბრტყელძირა (ტაბ. I<sub>20</sub>).

ობსიდიანისა და კაჟის ანატეცეცი მასალა შედარებით მრავალიც ცხოვანია. მათი საერთო რაოდენობა 522 ერთეულს შეადგენს. მათგან დაუმუშავებელია 385, ხოლო 137 სხვადასხვა იარაღს წარმოადგენს (25%). ისინი თითქმის მთლიანად დამზადებულია ობსიდიანისაგან და წარმოადგენს მცირე და საშუალო ანატეცეცებს. ლამელაზე დამზადებულია მხოლოდ 17 იარაღი. ანატეცები ძირითადად არასწორი, ოვალური, მომრგვალებული, სამკუთხა და ოთხკუთხა ფრონტისაა, ხოლო ამორფული – ნაკლებია. ვიწრო და ფართო ლამელების რაოდენობა თანაბარია, ძირითადად არასწორი, ფორმის, პროფილში ოდნავ მოხრილი. ვიწრო ლამელებიდან გვხვდება სწორი ფორმისა და პროფილის ლამელები.

გულგულებს ეტყობა სწორი ნამუშევრის კვალი. ისინი ძირითადად ამორფულია, მაგრამ გვხვდება კონუსური და პრიზმული ფორმისაც.

მეორადი დამუშავების ტექნიკიდან წამყვანია დიდი დამაბლაგვებელი, ხოლო ნაკლებია მცირე,

ნახევრად ციცაბო რეტუში. გამაფხიანებელი რეტუშიდან კი უფრო ჭარბობს – მცირე.

იარაღთა მეორადი დამუშავებისას ფართოდ გამოიყენება ბოლოების ბრტყლად ათლა, ხოლო შედარებით ნაკლებად – სასაჭრისე ჩამონატეხი. კონუსური გულგუალა მხოლოდ ერთი ცალია (ტაბ. IV<sub>21</sub>).

შრომის იარაღებიდან წამყვანია ხოწები – 58 ერთეული. მათგან 43 ერთი სამუშაო გვერდით, ხოლო 15 კი – ორით (ტაბ. IV<sub>4,7</sub>). პრაქტიკულად ყველა დამზადებულია ანატკეცზე.

რეტუშირებული ანატკეცი 27 ერთეულია. მათგან 19 დამაბლაგვებული და 8 გამაფხიანებელი რეტუშით (ტაბ. III<sub>6,13-14,16-17</sub>; ტაბ. IV<sub>1-2,11,16,18-19</sub>).

რეტუშირებული ლამელა კი 9 ერთეულია. ყველა დამუშავებულია გამაფხიანებელი რეტუშით (ტაბ. III<sub>1-3</sub>; ტაბ. IV<sub>15,17,20</sub>).

ამოღარული ანატკეცი 12 ერთეულია, ასეთი ვე ლამელა კი – მხოლოდ 3 (ტაბ. III<sub>15</sub>; ტაბ. IV<sub>3</sub>).

ბოლორეტუშიანი საფხეცი და ლამელა შესაბამისად 5 და 2 ერთეულია (ტაბ. III<sub>4-5</sub>; ტაბ. IV<sub>10</sub>).

ანატკეცზე დამზადებული საჭრისი 9 ერთეულია, მათგან 3 დამზადებულია ანატკეცის კუთხეზე, 2 – ლამელაზე, 1 კი – გადანატეხის კუთხეზე. 2 გვერდითა საჭრისია, 1 კი – შუალა (ტაბ. III<sub>8,10-11</sub>).

ანატკეცზე დამზადებული ბურლი 1 ცალია. სახვრეტი 9 ერთეულია, ოდნავ გამოყოფილი წვერით (ტაბ. III<sub>12,18-20</sub>).

ასევე წარმოდგენილია კომბინირებული იარაღები (ტაბ. III<sub>6</sub>; ტაბ. IV<sub>8-9,12,14</sub>).

ცხოველთა ძლევი იმდენად მცირე და ფრაგ-

მენტული იყო, რომ შეუძლებელია ინდივიდთა მინიმალური რაოდენობის დადგენა. ვიზუალური დაკვირვებით თითქოს ჭარბობდა წვრილუება საქონლის ძლევი.

თიხის ჭურჭლის ნატეხები კეცისა და ფორმის მიხედვით მსგავსებას ამჟღავნებენ აღმოსავლეთ საქართველოში გამოვლენილ, შულავერშომუ თევზე კულტურისაგან განსხვავებულ ნამოსახლარების მასალებთან, ხოლო ნატკეცი ქვის მასალა უფრო შიდა ქართლისა და ალაზნის ველის მასალებთან. ზოგადად ნიჩბისის ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარი დასახლების ტიპითა და მოპოვებული მასალებით მიეკუთვნება ჩვენ მიერ გამოყოფილ ე.წ. წოფი-გინჩის წრის ძეგლებს [9, გვ. 84-86], რომლის ძირითად გეოგრაფიულ არეალად მიგარჩნა აღმოსავლეთ საქართველო და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასია [3, გვ. 6].

ამასთანავე ნიჩბისის ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარზე მოპოვებული თიხის ჭურჭლის ნატეხები ზოგიერთი თავისებურებითაც გამოირჩევა. კერძოდ, აქ მხოლოდ ერთ ნატეხს აქვს ამ წრის ძეგლებისათვის დამახასიათებელი პირზე გაფორმებული ჭდეული ორნამენტი, დანარჩენი კი უორნამენტოა და ამ ნიშნით ისინი მსგავსია

ბოლორნის თიხის ჭურჭლის ნატეხებისა. ამასთანავე აქ ნაკლებია მაღალი, ცილინდრულყელიანი თიხის ჭურჭლის ნატეხებიც და ესეც ნამოსახლარის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს.

ირმის რექისაგან დამზადებული იარაღები უფრო დამახასიათებელია შულავერ-შომუ თევზეს კულტურისათვის [1, გვ. 122-123], მაგრამ გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს წოფიგინჩის წრის ნამოსახლარებშიც [3, გვ. 28]. თუმცა ნიჩბისის თოხისებრი იარაღის თავისებურებაა გამჭოლი სატარჯ ნახვრეტის ნაცვლად მრგვალი ფოსოს არსებობა. დაახლოებით მსგავსი ფოსოებიანი რქის საჩიჩქი იარაღები ცნობილია არუხხლო I-დან [7, გვ. 97-100].

ჩვენთვის უცნობია პარალელი რქის თავფოსიანი ნაკეთობისა. საკარაულოა, ის რაღაც იარაღის სამაგრი ტარი იყოს.

ხოლო ლულოვნები, ნაბობ ძვალზე დამზადებული, თავმოტეხილი სახვრეტი წარმოადგენს უნივერსალურ იარაღს და დამახასიათებელია სხვადასხვა კულტურის ადრეული და მოგვიანო ხანის ნამოსახლარისათვის.

რაც შეეხება მინიატურულ სატეხისებრ იარაღს, მისი ანალოგი აღმოჩნდილია არაგვის ხეობაში, აბანოსხევში „მწითურების მამულზე“ [3, გვ. 28]. მის პარალელად ასევე შეიძლება დავასახელოთ სათლელები ანასეული II [2, ტაბ. XII<sub>6-8</sub>], შულავერის გორის სხვადასხვა პორიზონტებიდან [1, გვ. 6], იმირის გორიდან [1, ტაბ. XVIII<sub>3</sub>], კვირიასწყალზე [6, ტაბ. XXXIX<sub>4, 7</sub>]. შორეულ პარალელად შეიძლება დავასახელოთ უნგრეთში ბიუკის შუა ნეოლითური კულტურის „ცულების“ ერთი ჯგუფი, რომლებიც დამზადებულია მომწვანო ან მოშავო ამფიბოლიტისაგან [5, ტაბ. CXXXIII<sub>3,4</sub>], რომლებიც ზომით (4-6 სმ) უახლოვდება ნიჩბისისა და „მწითურების მამულის“ ცალებს. ასევე აღსანიშნავია იარიმ თევზე I აღმოჩნდილი მომწვანო და მოშავო ქვებზე დამზადებული ასეთივე იარაღები, რომლის ფესვებს უფრო ადრეულ იერიქონის მასალებში ხედავენ [8, გვ. 123].

ნიჩბისის ადრესამიწათმოქმედო ნამოსახლარის თარიღის შესახებ ჩვენ უკვე გვაქვს მოსაზრება გამოთქმული, რომ ის მიეკუთვნება წოფიგინჩის წრის მოგვიანო ჯგუფის ძეგლებს [3, გვ. 37]. მართლაც, როგორც აღვნიშნეთ, აქ თითქმის გამჭრალია ამ წრის ნამოსახლარებისათვის დამახასიათებელი ჭურჭლის შეკრიბა ჭდეული ორნამენტით, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ მას არ ახასიათებს მოგვიანო ჩინთის ნამოსახლარის სამეთუნეო ნაწარმის შემციბა სხვადასხვა რელიეფური ორნამენტით და მცირე ზომის ყურებით. თუმცა აქ მაღალხარისხის სამისისებრი ჭურჭლის ნატეხის გამოჩენა მას აახლოებს ისეთ მოგვიანო ძეგლთან, როგორიც წოფის ნამოსახლარია და შესაბამისად ნიჩბისის

ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარი შეიძლება დათარიღდეს ძვ.წ. IV ათასწლეულის პირველი ნახევრის მეორე მეოთხედით.

### G. Chikovani

#### SITE OF EARLY HUSBANDRY CULTURE DISCOVERED IN THE VILLAGE OF NICHBISI

(Summary)

The site is located on a high terrace of the right bank of the river Mtkvari, northward of the village of Nichbisi (Mtskheta district). It was brought to light during excavations of the Late Bronze Age burials. A 0.70 m. thick cultural layer was discovered during the excavations carried out in 1988, covering an area of some 70 m<sup>2</sup>. No constructional remains were attested, though an elongated hearth (1-0.70 m) was found.

Tools shaped on stone, antler, bone, obsidian and flint lamellae, fragments of pottery were discovered at different levels of the cultural layer. "Imported" whitish-pink drinking cups are worth noting among the fragments of pottery. The bulk of clayware is lacking any decoration, though the stamped-mouthed and shaft fragments characteristic of the so-called "Tsoppi-Ginchi" culture sites are attested. Stone industry artifacts are mainly worked on average-sized and small flakes. The site is datable to the second quarter of the 4<sup>th</sup> millennium B.C.

### ლიტერატურა

1. კილურაძე თ. აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის პერიოდიზაცია. თბ., 1976.

2. ნებიერიძე ლ. დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი. თბ., 1972.

3. ჩიქვანი გ. შიდა ქართლი ძვ.წ. V-IV ათასწლეულებში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1999.

4. ოპაკიძე ა.მ., ნიკოლაიშვილი ვ. ვ., ნარიმანიშვილი გ. კ., დავლიანიძე რ. ვ., საძრავ ვ. გ., ირემაშვილი შ. ა., აბუთიძე ა. ვ., მურვანიძე ბ. მ., გიუნაშვილი გ. დ., დვილაძე მ. ს., გავაშელი ე. ი., ჩიკოვანი გ. ჭ., მცხეთის ექსპედიცია. – პაი, 1988 (1997), с. 65-70.

5. Археология Венгрии. Каменный век. М., 1980.

6. ვარაზვილი ვ. ვ. Раннеземледельческая культура Иоро-Алазанского бассейна. Тб., 1992.

7. Коробкова Г. Ф. Древнейшие землекопные орудия из Арухло I. – მცა, VII, 1979, გვ. 97-100.

8. Мунчаев Р. М., Мерперт Н. Я. Раннеземледельческие поселения Северной Месопотамии. М., 1981.

9. Чиковані Г. Ч. Нові пам'ятники раннеземледельческої культури Арагвського ущелья. – Кавказ і цивілізації Древнього Востока, тезиси докладів, Орджонікідзе, 1989, с. 84-86.

### ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. – თიხის ჭურჭლის ნატეხები ნიჩბისის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარიდან.

ტაბ. II. – 1. მოლურჯო ქვისაგან დამზადებული სატეხისებრი იარაღი; 2, 3, 4 – ძვლისა და რქის იარაღები.

ტაბ. III. – 4. მოვარდისფერო კაუისაგან დამზადებული იარაღი; 1-3, 5-20. ობსიდიანისგან დამზადებული იარაღები.

ტაბ. IV. – 1-20. ობსიდიანისაგან დამზადებული იარაღები. 21. ობსიდიანის კონუსური გულგულა.


### Description of the Plates

Pl. I. – fragments of pottery from the Nichbisi site of early husbandry culture.

Pl. II. – 1. chisel-like tools made of bluish stone. 2, 3, 4. bone and antler tools.


Pl. III. – 4. tool made of whitish-pink flint. 1-3, 5-20. tools made of obsidian


Pl. IV. – 1-20. obsidian tools, 21. conic flake made of obsidian.



0 2


♂♂. II





0      2

გაბ. IV




## ლამარა ნებიერიძე

### აღმოსაშიშათმოქმედო ქალტურის ნამოსახლარი რპრიბაში

ლითონის ხანის ადრეული ეტაპის (ენეოლითი) ძეგლები დასავლეთ საქართველოში ჯერჯერობით სუსტადაა შესწავლილი. განსაკუთრებით სუსტადაა გამოვლენილი და გამოკვლეული ღია ნამოსახლარები. მათგან დღემდე არც ერთი არ არის მონოგრაფიულად შესწავლილი. შედარებით უკეთაა გამოკვლეული ამავე პერიოდის მღვიმური ძეგლები. შათგან რამდენიმე (სამელე კლდე, დარკვეთი, თეთრი მღვიმე) გამოქვეყნებულიცაა [10; 7; 4].

აღნიშნული პერიოდის ღია ნამოსახლარების მცირე რაოდენობის გამო განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უკანასკნელ ხანებში ისტორიული ოკრიბის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ახალსოფლის (ტყიბულის რ-ნი) ნამოსახლარის ენეოლითური კომპლექსის მასალის გამოქვეყნებასა და მის მეცნიერულ მიმოქცევაში ფართოდ შეყვასს, რაც უაჭველად შეუწყობს ხელს ამ კულტურის შესწავლას. მითუმეტეს, რომ მის შესახებ არქეოლოგიურ ლიტერატურაში სადღეისოდ მეტად მწირი ცნობები მოგვეპოვება [6, გვ. 145; 9, გვ. 258].



სურ. 1

ნამოსახლარი მდებარეობს ქ. ტყიბულის მახლობლად, მისგან სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებით 3 კმ-ის მანძილზე, მდ. ტყიბულას ვრცელ ტაფობში მდებარე ს. ახალსოფლის ტერიტორიაზე (იხ. სიტუაციური გეგმა, სურ. 1). სოფლის მიერ ეს ფართობი ინტენსიურად მუშავდებოდა, ხოლო კულტურული ფენები ნადგურდებოდა. შემდგომ ამას დაემატა ტყიბულჲესის წყალსაცავის მოწყობა, რის გამოც სოფლის ადგილი მოუნაცვლეს. ღღეს ეს ფართობი წყალსაცავს, ძეგლის დიდ ნაწილს კი წყალი ფარავს. გვალვების პერიოდში, წყლის დონის დაწევის დროს განთავისუფლებულ მო-

ნაკვეთებზე დიდი რაოდენობით ჩნდება არქეოლოგიური მასალა.

ძეგლი აღმოჩენილი იყო ტყიბულის მხარეთ-მცირენობის მუზეუმის თანამშრომლების მიერ, რომლებმაც ყურადღება მიაქციეს მეთევზეთა მიერ მუზეუმში მიტანილ კაუის იარაღებს, შეკრიბების მრავალრიცხოვანი მასალა და შეატყობინეს არქეოლოგიური კალევის ცენტრს.<sup>2</sup> მრავალრიცხოვან ზედაპირულ მასალას დაემატა აგრეთვე თერჯოლა-ტყიბულის არქეოლოგიური ექსპედიციის ექვსიოდე საველე სეზონის დროს ჩვენს მიერ ნამოსახლარზე ჩატარებული მოკლევადიანი დაზვერვებისას მოპოვებული მასალა.

იმის გამო, რომ კულტურული ფენები ძლიერ იყო გადარეცხილი და დარღვეული, ძეგლზე გაკეთებულმა სადაზვერვო თხრილებმა არ მოგვცა სტრატიგრაფიული სურათის ადდგენის საშუალება. სამავიეროდ მასალის ტიპოლოგიურ-შედარებითმა ანალიზმა ცხადჰქო, რომ აღნიშნული კოლექცია ძირითადად მომდინარეობს ორი სხვადასხვა კულტურული ფენიდან – ზედაპალეოლითურიდან და ენეოლითურიდან. კოლექციის საერთო მასიდან გამოვყავით ენეოლითური კომპლექსები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ზედა პერიოლითთან.

ახალსოფლის ენეოლითური კომპლექსი შეიცავს კაუისა და ქვის სხვადასხვა ქანებისგან (რიყის ქვა, არგილიტი, ბაზალტი, ფიქალი) დამზადებულ იარაღ-ხელსაწყოებს, ცალკეულ ნივთებს, ობსიდიანის მასალას და მცირეოდენი კერამიკის ფრაგმენტებს.

კაუის იარაღები წარმოდგენილია ნამგლისპირებით, შუბისპირებით, ისრისპირებით, დანებით, საფხექ-საჭრისებით, სახვრეტებით, რეტუშორებით; ქვის მასალა – ცულგბით, სატეხ-სათლელებით, ეზოსებური იარაღებით, სახეხ-სასრესებით, საბეგველ-სანაებით, ხელსაფქავების ქვებით, გახვრეტილი ბორბლისებური ქვებით (ავგაროზები), სამაჯურის ფრაგმენტებით.

ახალსოფლის მთელი კოლექცია დამუშავების მომენტისათვის შედგებოდა ქვის მასალის 764 ერთეულისაგან. მათგან 642 ერთეული კაუისაა, 83 – ქვის სხვადასხვა ქანისა და 39 – ობსიდიანის. კაუის 642 ერთეულიდან 159 იარაღია, 483 – წარმოების ნარჩენები (ნუკლეუსები, ახალსოფლის მთელი კოლექცია დამუშავების მომენტისათვის შედგებოდა ქვის მასალის 764 ერთეულისაგან. მათგან 642 ერთეული კაუისაა, 83 – ქვის სხვადასხვა ქანისა და 39 – ობსიდიანის. კაუის 642 ერთეულიდან 159 იარაღია, 483 – წარმოების ნარჩენები (ნუკლეუსები,

<sup>2</sup> აღმოჩენის ადგილი და მასალა შემოწმებულ იქნა არქეოლოგ გ. ფხავაძის, ხოლო შემდეგ კი ჩვენ მიერ.

<sup>3</sup> ტყიბულის მუზეუმის მთელი კოლექცია ჩვენ მიერ იყო დამუშავებული, კლასიფიცირებული და საინვენტარო დაგთარები გატარებული.

<sup>4</sup> პალეოლითურ კოლექციას შეისწავლის ამ პერიოდში მომუშავე სპეციალისტი.

ნამზადები, ანატკეც-ანამტვრევები). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის კოლექციის სრული რაოდენობა, რადგან იგი მატულობს ახალ-ახალი შევსების ხარჯზე, თუმცა, როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, თვისობრივად ახალი ნაშთების შემომატება თითქოს არ ხდება. ამიტომ ვფიქრობთ, რომ უკვე შესაძლებელია ამ კომპლექსის დახასიათება და მისთვის გარკვეული ადგილის მიჩნა.

განვიხილავთ ენეოლითური კომპლექსის ტიპურ კომპონენტებს.

ნამგლისპირები (37 ერთ.). ნეოლითური სამკელი დანებისგან განსხვავდით, რომლებიც სწორწახნაგა ლამელებისგანაა ნაკეთები, ახალ-სოფლის ნამგლისპირები წარმოადგენდნენ მოხრილი ნამგლის ჩასართებს, დამზადებულს ანატკეცებისაგან ორმხრივი, მსხვილფაცეტა წრევითი რეტუშის მეშვეობით. ნამგლების მოხრილობამ და სამუშაო პირის გაზრდამ განაპირობა სწორკუთხა, სამკუთხა და ოვალური ფორმის ჩასართების გაჩენა (ტაბ. I). 37 ნამგლისპირიდან 11 ოთხკუთხაა (ტაბ. I<sub>2,4</sub>); 9 – სამკუთხა (ტაბ. I<sub>1,5,9</sub>); 6 – ოვალური (ტაბ. I<sub>3</sub>), დანარჩენი ფრაგმენტებია და ჭირს მათი თავდაპირველი ფორმის დადგენა. მათგან 22 ცალი დაუკბილავია, 14 ცალს კი ემჩნევა სუსტად გამოხატული ქბილანები. როგორც ვხედავთ, კოლექციაში სჭარბობს ოთხკუთხა მოყვანილობის და დაუკბილავი ცალები. ჩასართების დაქბილვა დაწყებულია, მაგრამ მათ ჯერ არ მიუღწევიათ ისეთი დახვეწილი ფორმისათვის და სიჭარბისათვის, როგორც ეს თეთრამიწის ნამოსახლარზეა [2, გვ. 286]. იქ თითქმის ყველა ნამგლისპირი დაკბილულია, დამუშავების ტექნიკა კი უფრო დახვეწილი. ფორმებით და დამუშავების ტექნიკით ახალ-სოფლის ნამგლისპირები ახლოს დგანან ჩიხორის ნამოსახლარის ჩასართებთან [5, გვ. 146, ტაბ. XVII]. ისინი ზოგჯერ ზედმიწევნითაც კი იმეორებენ მათ ფორმებს.

შუბისპირები (17 ცალი) წარმოადგენილია სხვადასხვა ფორმებით. საერთო ნიშანი, რაც მათ აერთიანებს, არის დიდი ზომები და ორმხრივი დამუშავება მსხვილფაცეტა მცოცავი რეტუშით. მათ შორის არის ოვალური, ფორმისებრი მოყვანილობის უყუნწო ცალები (ტაბ. II; III<sub>10</sub>); ყუნწიანი ფრთამორკალულები (ტაბ. II<sub>2-5</sub>); ყუნწიანი, სწორფრთიანი სამკუთხა მოყვანილობის (ტაბ. II<sub>8</sub>); დაშვებულ-ამოღარულ-ფრთიანი (ტაბ. III<sub>1</sub>) და ფუძეამოღარულ-ფრთადაშვებულები (ტაბ. III<sub>2,12</sub>). ახალ-სოფლის შუბისპირების ფრთების ამოღარვა ოდნავ შესამჩნევია, ამასთანავე ეს ცალები დაუხვეწავი ფორმისაა, ჩიხორში კი უკვე გვაქვს ფრთებამოღარული და ფრთებდაშვებული დახვეწილი ფორმის წვრილფაცეტა რეტუშით შესრულებული შუბისპირები და ისრისპირები [5, გვ. 146, ტაბ. XVII]. სამაგიეროდ მათთან ერთად აღარ გახვდება რიყისქვის იარაღები. შუბისპირების

უფრო მოგვიანო ფორმა უნდა იყოს ფუქტეამოღარულ-ფრთადაშვებული ცალები (ტაბ. III<sub>2,12</sub>).

ისრისპირები (9 ც) გამოირჩევა მცირე ზომებით. მათი უმეტესობა კაჟის თხელ ლამელაზეა დამზადებული. მათ შორის არის ფუნწიანი, ფრთებმომრგვალებული ცალები (ტაბ. III<sub>4,6</sub>), რომელთა ზურგის დიდი ნაწილი დამუშავებულია, მუცლის მხარე კი ხელუხლებული და მხოლოდ ირგვლივ აქვს რეტუში. ზოგიერთ ცალს ეტყობა ოდნავი ამოღარვა (ტაბ. III<sub>3,7-8</sub>).

საფხეცები (5 ცალი) ნაკეთებია მასიურ ანატკეცებზე, მომრგვალო სამუშაო პირი გამოყვანილია მსხვილფაცეტიანი რეტუშით (ტაბ. IV<sub>5</sub>).

საჭრისებში (4 ცალი) არის ანატკეცებზე გაფორმებული ხიწვიანი და ირიბი ცალები. მათ შორის ერთი ორმხრივ ირიბი საჭრისი ლამელაზეა დამზადებული (ტაბ. IV<sub>7</sub>).

სახვრეტების უმრავლესობა (8 ცალი) ანატკეცებზე ჩამოყალიბებული ორმხრივ გამოყვანილი სამუშაო პირით (ტაბ. IV<sub>4</sub>).

კომბინირებული იარაღი – საფხეც-საჭრისი სქელ, მოგრძო ლამელაზეა დამზადებული (ტაბ. IV<sub>3</sub>).

კოლექციაში არის კაჟის ორი გაურკვეველი დანიშნულების იარაღი, რომელთაგან ერთის წვერი გამოყვანილია მსხვილფაცეტიანი მაღალი რეტუშით (იარაღი დაზიანებულია) (ტაბ. IV<sub>6</sub>), მეორე ჩამოყალიბებულია ორფერდა ლამელაზე, რომლის ცალი ფერდი დამუშავებულია მაღალი მცოცავი წნევითი რეტუშით, მეორე ფერდზე კი აქვს გამოყენების კვალი (ტაბ. IV<sub>8</sub>).

რეტუშორი წარმოადგენს კაჟის მოგრძო მაკროლითს, ერთ ბოლოზე გამოყენების კვალით (ტაბ. IV<sub>2</sub>).

მიწის დასამუშავებელ იარაღებად გამოყენებული უნდა ყოფილიყო ქვის მოგრძო ფორმის, ტრაპეციის მოყვანილობის ეჩისებრი იარაღები, რომლებიც ხეხვა-გაპრიალების საშუალებითაა დამზადებული, აქვთ ორმხრივ ნახეხი სამუშაო პირი. მათ სათლელების მსგავსი ფორმა აქვთ, მაგრამ უფრო დიდი ზომისანი არიან (ტაბ. V<sub>2,3</sub>; VII<sub>1,4</sub>). აღნიშნული იარაღების ტრასოლოგიური ანალიზი გაკეთებული არ არის, მაგრამ უნდა ვთვიქროთ, რომ მათი ნაწილი მიწის დასამუშავებლად – გასაფხვიერებლად გამოიყენებოდა. იმერთში დღესაც ნიადაგის გასაფხვიერებლად მსგავსი ფორმის ლითონის იარაღს ხმარობენ, რომლებსაც ჩეკიებს უწოდებენ. ასეთი იარაღები შესაძლოა ომდენიმე ფუნქციის მატარებელი ყოფილიყო. ანალოგიური იარაღები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი თეთრამიწის ნამოსახლარზე [2, გვ. 284-285].

ხის დასამუშავებლად ცულები (ტაბ. V; VII<sub>3</sub>) და სატეხ-სათლელები (ტაბ. VI<sub>1,9</sub>) უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ცულები კოლექციაში ცოტაა (4 ერთ.). ისინი წარმოადგენილია სოლისებური, ზურგ და ფერდშემაღლებული, ყუისაკენ შევიწროებული ცალებით, რომლებსაც ზედა ნაწილში ემჩნევა სატარე ჭდეები. იარა-

ღები ნახებ-ნაპრიალებია. არის აგრეთვე სამკუთხაგანივებითიანი, ოვალურპირიანი ცალები.

სატებ-სათლელები სიმრავლითა და მცირეზომებით გამოირჩევა (ტაბ. VI). მათ ტრაპეციის ფორმა და განიველები აქვთ.

მარცვლეულის დასამუშავებელი იარაღები წარმოდგენილია სახებ-საბეგველებით, სანაყ-სასრესებით (ტაბ. VII<sub>2</sub>) და ხელსაფქვავის ქვებით.

ახალსოფლის ნამოსახლარზე ნაპოვნი რიყისა და ქვიშაქვის მრგვალ-ბრტყელ გახვრეტილ ქვების ავგაროზების დანიშნულება უნდაჰქონდა (ტაბ. IV<sub>9,11</sub>). ამგვარი ნივთები გვჩვდება მლვიმური და ღია ნამოსახლარების ენეოლით-ადრებრინჯვაოს ხანის ფენებში.

ფიქალის სამაჯურების ზუსტი ანალოგიები დიდი რაოდენობითაა ცნობილი საგვარჯილედან, თეთრამიწიდან, დარკვეთიდან და სხვა ამავე პერიოდის ძეგლებიდან.

კერამიკა თიხის ჭურჭლების ნატეხების ორი განსხვავებული ჯგუფითაა წარმოდგენილი: მოგარდისფროდ გამომწვარი, კვარცისა და ქარსის მინარევებიანი და შავპრიალა, ვარდისფერსარჩულიანი ნაკეთობების ფრაგმენტებით, რომელისაც აგრეთვე ურევია კვარცისა და ქარსის ნაწილაკები. მასალის ფრაგმენტულობის გამოჭირს მათი პროფილისა და ფორმების აღდგენა.

რქისა და ძვლის იარაღები ნამოსახლარმა არ შემოგვინახა მასზე არსებული პირობების გამო.

ძეგლის მდებარეობა გამორიცხავს მასალის საიდანმე ჩამორეცხვის შესაძლებლობას. მასალას არ გააჩნია გადაადგილების (ხეხვის) კვალი. ამასთანავე ახლოს არ არის მაღალი წერტილები, საიდანაც ვივარაუდებდით მის ჩამორეცხვას.

ახალსოფლის კაჟის ინდუსტრიას (ნამგლისპირები, შუბისპირები, ისრისპირები) უახლოესი პარალელები გააჩნია იმერეთის ღია ენეოლითური ნამოსახლარების (თეთრამიწა, ჩიხორი) იგივე სახეობის ქვის ნაწარმთან. მის ცალკეულ ელემენტებს (შუბისპირები, ისრისპირები) კი ანალოგიები მდვიმურ ენეოლითურ ძეგლებში (საგვარჯილე, დარკვეთი) მოეპოვება. რაც შეეხება ნამგლისპირების, იარაღთა ეს სახეობა მლვიმურ ძეგლებს არ ახასიათებს. ახალსოფლის რიყისქვის გახეხილ-ნაპრიალებ იარაღებს (ცულები, სატებ-სათლელები და სხვ.) ზუსტი შესატყვისები ეძებნება თეთრამიწისა და საგვარჯილის კომპლექსებში. ჩიხორის ნამოსახლარს რიყის ქვის გახეხილ-ნაპრიალები იარაღები არ ახასიათებს.

იმერეთის ღია ენეოლითურ ნამოსახლარებზე სტრატიგრაფიის უქონლობის პირობებში, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ამ ძეგლების ცალკეული კომპონენტების შეჯერება-შეპირისპირებას და გამორიცხვის მეთოდის გამოყენებას, რაც გარკვეულ საფუძველს გვაძლევს ქრონოლოგიისათვის და მეურნეობის წამყვანი დარგის განსაზღვრისათვის.

ახალსოფლის, თეთრამიწისა და ჩიხორის ქვის ინდუსტრიის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ იარაღთა ფორმებისა და დამუშავების ტექნიკის საფუძველზე ახალსოფლის ენეოლითური კომპლექსი თეთრამიწისა და ჩიხორის ნამოსახლართან შედარებით ენეოლითის შიდა ქრონოლოგიურ ჩარჩოში უფრო ადრეულად გამოიყერება.

ახალსოფლის ქვის ნაწარმი მოწმობს, რომ განვითარების გარკვეულ საფეხურზე იდგა მიწათმოქმედება, რაზედაც მიგვანიშნებს ნამოსახლარზე აღმოჩენილი მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ასაღები – ნამგლისპირები, ხელსაფქვავის ქვები, სახებ-საბეგველები და რიყის ქვის მთელი რიგი იარაღები, რომლებიც მიწის დამუშავებას უნდა უკავშირდებოდეს.

ახალსოფლის ნამგლისპირების ტრასოლოგიური ანალიზი არ გაკეთებულა, მაგრამ ამგვარი გამოკვლევა გ. კორობკოვამ და ქ. ესაკამ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჩაატარეს ახალსოფლის ანალოგიურ და ტერიტორიალურად მასთან ახლო მდგომი ჩიხორის ნამოსახლარის ნამგლისპირებზე [3, გვ. 13-15], რის შედეგადაც დადგინდა, რომ ეს ნამგლისპირები ნახმარია კულტივირებული მარცვლეულის ასაღებად. ამასთანავე ამ ძეგლზე ნ. რუსიშვილის მიერ დადგენილი იყო რბილი ხორბლის (*Triticum aestivum*) და შიშველმარცვალა ქერის (*Hordeum vulgare v. nudum*) სახეობები [3, გვ. 13-15]. ამიტომ ამ ძეგლების ტერიტორიული სიახლოვე და თითქმის იდენტური სამკელი იარაღები გვაფიქტებინებს, რომ ახალსოფლის ნამგლისპირებიც ანალოგიური დანიშნულებით გამოიყენებოდა.

ზემოთქმული მოწმობს, რომ ახალსოფლის მცხოვრებთა მეურნეობის წამყვანი დარგი მიწათმოქმედება, იყო, თუმცა გამორიცხური არ უნდა იყოს მესაქონლეობის არსებობაც, რადგან მის სინქრონულ მღვიმურ და ღია ნამოსახლარებზე ნაპოვნია მესაქონლეობის დამადასტურებელი ცხოველთა ძვლები. ამასთანავე ეთნოგრაფიული მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე მიგვაჩნია, რომ ახალსოფლის კოლექციის გახვრეტილი მრგვალ-ბრტყელი ქვები (ავგაროზები) მიგვანიშნებს ამ ნამოსახლარზე შინაური საქონლის არსებობაზე [1, გვ. 8-19; 8, გვ. 9-10]. გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდა ნადირობასაც, რაზეც უნდა მიუთითებდეს შუბისპირებისა და ისრისპირების სიმრავლე, თუმცა მათ, რა თქმა უნდა, თავდაცვის ფუნქციაც უნდა ჰქონდა.

## ლიტერატურა

1. ბარდაველიძე გ. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. თბ., 1941.

2. ბერძენიშვილი (კილაძე) ნ. პირველი ფილი მიწათმოქმედების ისტორიასათვის საქართველოში. – ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II, 1956, გვ. 257-297.

3. ესაკია ქ., რუსთაშვილი ნ. ჩიხორის ნამოსახლარი პალეოთნობოტანიკური და ტრასოლოგიური მონაცემებით. – მიებანი, № 6, 2000, გვ. 13-15.

4. კალანდაძე კ. თეთრი მღვიმე. თბ., 1994.

5. კილაძე (ბერძენიშვილი) 6. ახალქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან. – მსკი, ნაკვ. 29, 1951, გვ. 237-262.

6. ნებიერიძე ლ. დასავლეთ ამიერკავასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის განვითარების ადრეული საფეხურები. თბ., 1986.

7. ნებიერიძე ლ. დარკვეთის მრავალფენიანი ეხი. თბ., 1978.

8. ნებიერიძე ლ. საკულტო რიტუალები (მღვიმე საგვარჯილეს მასალების მიხედვით). – ძიებაზი, № 3, 1999, გვ. 5-18.

9. ფხაკაძე გ. ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოში. – საქართველოს არქეოლოგია, ტ. II, თბ., 1992, გვ. 216-280.

10. ჯავახიშვილი გ. დასავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის. საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1972.

## L. Nebieridze

### SITE OF EARLY HUSBANDRY CULTURE IN OKRIBA

(Summary)

The paper is actually a publication of the archaeological material obtained from the site of early husbandry (Aeneolith) culture in Western Georgia. The site was discovered in the village of Akhalsopeli (Tqibuli district). At present the territory is under a water storage reservoir. The stratigraphy is damaged, artifacts collected on the surface are stored in the museum of local lore, history and economy of Tqibuli. Archaeological material is mainly represented by flint and stone tools, pottery is so fragmented that it seems impossible to reconstruct the shape and design of the vessels. The closest analogies of the above settlement are Tetramitsa (Kutaisi), Sagvarjile and Chikhori (Terjola district).

### ტაბულებისა და სურათის აღწერილობა

სურ. 1. – ახალსოფლის ნამოსახლარის სიტუაციური გეგმა.

ტაბ. I – ახალსოფლის ნამოსახლარის კაუის ნამგლისპირები.

ტაბ. II – შუბისპირები.

ტაბ. III – შუბისპირები და ისრისპირები.

ტაბ. IV – კაუის მასალა და მრგვალბრტყელი გახვრეტილი ქვები.

ტაბ. V – 1, 4. ქვის ცულები; 2-3. ეჩოები.

ტაბ. VI – ქვის სატეხ-სათლელები.

ტაბ. VII – 1, 3. ცულები; 2. სანაყი; 4. ეჩო.

### Description of the Plates and Figures:

Fig. 1 – site plan of Akhalsopeli settlement.

Pl. I – flint insets of sickles from Akhalsopeli settlement.

Pl. II – spearheads.


Pl. III – spearheads and arrowheads.

Pl. IV – 1-8. flint artifacts; 9-11. shaft stone disks


Pl. V – 1,4. stone axes, 2-3. adzes.


Pl. VI – stone chisels and adzes.

Pl. VII – 1,3. axes, 2. pestle, 4. adze.





ტაბ. II







გაბ. IV





გაბ. VI





## ლერი ჯიბლაძე

### დასავლეთ საქართველოს პრინტორიაზე ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები გამოვლენილია სტაციონარული არქეოლოგიური გათხრებით, სადაზვერვო თხრილებითა და ზედაპირულად აკრეფილი მასალების მიხედვით (ტაბ. I).<sup>5</sup> ამ პრიოდში ერთ-ერთ ძირითად სამოსახლოდ გამოიყენება ხელოვნური ბორცვები („ზურგა“, „ზუგა“, „ნაკარღალი“, „ნამჭედური“, „გორიგა“, „ნამარნუ“, „ნაოხვამუ“, „დიხა-გუმუბა“და სხვ.), რომლითაც არის მოფენილი კოლხეთის დაბლობის როგორც ზღვისპირა, ასევე შიდა მხარე [5, გვ. 111, 114, 115, 117, 450, 452, 522; 6, გვ. 53-55; 7, გვ. 13-14; 8; 9, გვ. 17-38; 26, გვ. 52-59; 33, გვ. 109-110; 35, გვ. 297]. ხელოვნური ბორცვების კონცენტრაცია შეინიშნება მდინარეების რიონ-ფიჩორის, აბაშა-ნოღელას, ენგურ-კოდორის, ცივი-ხობის, ჩოლოქ-ოჩხამურისა და ყორანთაწყლის-მუხიას აუზებში [3, გვ. 8-9; 10, გვ. 4-8; 14, გვ. 48-51; 15, გვ. 21-23; 16, გვ. 21-22; 17, გვ. 51-53; 19, გვ. 2-3; 20, გვ. 9-11; 21, გვ. 13; 24, გვ. 56-61; 25, გვ. 61-67]. ჩრდილოეთით მათი გაგრცელების უკიდურესი პუნქტია ოჩამჩირის ნამოსახლარი და, როგორც აღნიშნავენ, ტამიში [20, გვ. 10; 34, გვ. 264-274]. ამ მიმართულებით უფრო სიღრმეში ჭაობიან ზონას ენაცვლება კლიმატურად შედარებით მშრალი, ბუნებრივად შემაღლებული აღგილები, სადაც საჭიროებას აღარ წარმოადგენს ხელოვნური ბორცვების გამართვა. სამხრეთ-დასავლეთით მისი არეალი იფარგლება ნამჭედურისა და ჩოლოქის ნამოსახლარებით [19, გვ. 3-30; 36].<sup>6</sup> ხელოვნური ბორცვების რამდენიმე ტიპს გამოყოფენ. გვხვდება დიხა-გუმუბები, რომლებიც

<sup>5</sup> რუკაზე დავიტანეთ პროტოკოლზური და ძველკოლხური ნამოსახლარები (მათ შორის დიუნური სადგომები), პროტოკოლზური და მტკვარ-არაქსული (არგვეთა, დაბლაგომი) კულტურების თანხვედრის ძეგლები; ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე (აფხაზეთი) დღემდე ცნობილი ყველა ნამოსახლარი, სადაც რამდენადმე განსხვავებულ მასალებთან ერთად გვხვდება პროტოკოლზური კულტურის მდლავრი ელემენტები (მაჭარა, გუანდრა, გუმისთა, აჭანდარა, კამან I და სხვ.). რუკაზე ასევე დავიტანეთ ყველა ის ხელოვნური ბორცვი, სადაც ბრინჯაო-ადრერკინის ხანაზე უფრო მოგვიანო პერიოდია წარმოდგენილი. აგრეთვე ამ ტიპის ის ძეგლებიც, რომლებიც არ გათხრილა, მაგრამ მათზე მოსალოდნელია ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ფენების არსებობა. თ. თოდუას ცნობით, ხელოვნური ბორცვები ცნობილია ზუგდიდის რ-ნის სოფ. ახალ კახათში, დარჩელში და ცაცხვში.

<sup>6</sup> ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები გამოვლენილია გურიის ტერიტორიაზეც [18, გვ. 218, 220, 221, 223].

წარმოიქმნა კულტურულ ფენათა თანდათანობითი დაფენების შედეგად [37, გვ. 16-17; 38, გვ. 67]. კულტურული ფენები ხშირად ერთმნეთისაგან გამიჯნულია მონაზვინი სტერილური მიწით. ასეთ სამოსახლო ბორცვებს განეკუთვნება ნოსირი III, ფიჩორის ცენტრალური ბორცვი და სხვ. მეორე ტიპის ბორცვებიც ხელოვნური წარმოშობისაა, მაგრამ არავითარი კავშირი არა აქვთ მათ ქვეშ აღმოჩენილ ნამოსახლართან. ისინი ჩნდება ნამოსახლარებზე ცხოვრების შეწყვეტის შემდეგ. ასეთი ტიპის ბორცვებს ეკუთვნის სიმაგრე, ანაკლია II [38, გვ. 67]. უფრო იშვიათად გვხვდება დიხა-გუმუბების ერთი ჯგუფი, სადაც კულტურული ფენები საერთოდ არ დასტურდება. მათ რიცხვს განეკუთვნება ქორეფის, განმუხურის (№ 2 ბორცვი), ესართიას [24, გვ. 30; 25, გვ. 168], შეშელეთის, რეფისა და წყემის (№ 2, 3) ბორცვები [3, გვ. 6]. ისინი ზედა ორისაგან განსხვავებით შესაძლოა წარმოადგენდნენ სამეურნეო მოედნებს [24, გვ. 30]. ანდა საცხოვრებლად აღმართვის შემდეგ, ახალზღვური ტრანსგრესიული მოვლენების გამო მათზე დასახლება ვერ მოესწრო [3, გვ. 6].

ქვეწ. III-II ათასწლეულებში კოლხეთის დაბლობის მთისწინა ბორცვებიან ზოლში დასტურდება ნამოსახლარების გამართვა ბუნებრივ ბორცვებზე, მთის ფერდობებზე, ზღვისპირა და მდინარისაპირა ტერასებზე (საკირე, ნასაყდრევი, სოხუმის მთა, ვერეშჩაგინის მთა, გუანდრა, მაჭარა და სხვ.).

ქვეწ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში ჩნდება ახალი ტიპის ძეგლები, მდ. ტეხურისპირა I და II სადაზვერვო მოედნები, სოფ. ჭალადიდის საბაჟოს I, II უბნები, ზღვისპირა ზოლში განლაგებული დიუნური სადგომები [39, გვ. 36-44; 40, გვ. 265-286] და საწარმოო ნამოსახლარები (ოჩხამური, სოფ. მუხურჩას ნაწისქვილარი) [1, გვ. 60-68; 27, გვ. 14-15].<sup>7</sup>

კოლხეთის მთიანეთში (რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი), იშვიათი გამონაკლიის გარდა, დღემდე არ არის გამოვლენილი პროტოკოლზური და ძეგლკოლზური ნამოსახლარები. მიუხედავად ამისა აქ აღმოჩენილი კოლხეთის დაბლობისათვის დამახასიათებელი ტიპიური მასალები (ყუამილიან-ყუადაქანებული, ბრტყელი და კოლხური ცულების სხვადასხვა სახეობა, ბოგრეშის, ბრილის, სამარხების ცალკეული ნივთები და სხვ.) გვაფიქრებინებს, რომ ეს მხარე დასახლებული

<sup>7</sup> ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, კოლხურ კულტურაში გამოყოფენ თოხი ტიპის ნამოსახლარს [2, გვ. 343-344].

იყო პროტოკოლზური და ძველკოლზური კულტურის მატარებელი ტომებით.<sup>8</sup>

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის (აფხაზეთის) ტერიტორიაზე პროტოკოლზური (ადრე და შუაბრინჯაოს ხანა) ნამოსახლარები და ამ კულტურისათვის დამახასიათებელი მძლავრი ელემენტები გამოვლენილია მთელ რიგ ძეგლებზე: ოჩამჩირე, გუმისთა I, მაჭარა, გუანდრა და სხვ. ამ კულტურის ელემენტები, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი უწოდებს ოჩამჩირულს ან სამხრეთ დოლმენურს [29, გვ. 112; 31, გვ. 17-20; 41, გვ. 15; 42, გვ. 1]. გვხვდება რამდენადმე განსხვავებული ტოპოგრაფიის მქონე ძეგლებზე – მდვიმე-ნამოსახლარებზე [29, გვ. 67-71; 30, გვ. 33-34; 32, გვ. 17]. შესაძლოა, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე (ძირითადად მხედველობაში გვაქვს ქ. სოხუმის ჩრდილოეთი მდებარე მხარე) ადრე და შუაბრინჯაოს ხანში რამდენადმე განსხვავებული მასალების არსებობა გამოწვეული იყოს ლოკალური თავისებურებებით [4, გვ. 27-31]. თუმცა არ უნდა გამოვრიცხოთ მისი დაკავშირება რამდენადმე განსხვავებული (დოლმენური?) კულტურის წრესთან [24, გვ. 118; 25, გვ. 118].

ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე მრავლად არის წარმოდგენილი ძველკოლზური კულტურის, განსაკუთრებით მისი მეორე ეტაპის ნამოსახლარები: მოქვი, ტამიში, სოხუმის მთა, ვერეშხაგინის მთა, ბომბორა, კისტრიკი და სხვ. [3, გვ. 7; 11; 24, გვ. 35-36; 25, გვ. 17-41; 28, გვ. 11-17; 43, გვ. 5-23].

ამრიგად, ძალზე მოკლედ და ზოგადად დავახასიათეთ დასავლეთ საქართველოს ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით რუკაზე დავიტანეთ ყველა ის პუნქტი, სადაც აღმოჩენლია ამ პერიოდის ნამოსახლარები.

## L. Jibladze

### ARCHAEOLOGICAL MAP OF BRONZE- EARLY IRON AGE SITES FROM WESTERN GEORGIA (Summary)

Proto-Colchian sites, discovered on the territory of Western Georgia and representing mainly artificial hills are concentrated in Kolkheti lowland. They are clustered in basins of the rivers Rioni-Pichori, Abasha-Noghela, Enguri-Kodori, Tsivi-Khobi, Choloki-Ochkhamuri and Qoranta-Tsqali-Muchia.

<sup>8</sup> ძველკოლზურ II ეტაპზე (ძვ.წ. X-VII სს.) ინტენსიურად ჩანს დასახლებული სამხრეთ-აღმოსავლეთი კოლხეთის ტერიტორია (მდ. ყვირილას ხეობა) [12, გვ. 9-26; 13, გვ. 17-32; 22, გვ. 82-92; 23, გვ. 63-65, 90, 117-128].

By the 3<sup>rd</sup> millennium B.C. settlements of the Kolkheti lowland were situated at foothills and hills, mountain slopes, along the coastal line and river banks.

A new type of settlement emerged by the first half of the 1<sup>st</sup> millennium B.C. It is represented by open unfortified sites located in river basins, dune stations situated along the coastal line and settlement-manufactories.

## ლიტერატურა

1. აფაქიძე ჯ. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ახალი ძეგლი ცენტრალური კოლხეთიდან (საწარმოო ნამოსახლარის გათხრები ჩხოროწყეს რაიონის სოფ. ოჩამურში). – ძმ, № 70, 1985, გვ. 60-68.

2. აფაქიძე ჯ. კოლზური ბრინჯაოსა და ადრეული რეინის ხანის ნამოსახლართა შესწავლისათვის. – სმამ, ტ. 149, № 2, 1994, გვ. 341-345.

3. ბარამიძე გ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ.წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 1991.

4. ბარამიძე გ. ძვ.წ. III ათასწლეულის არქეოლოგიური კულტურები და მათი ეთნიკური ატრიბუცია (აფხაზეთის მასალების მიხედვით). – აფხაზეთის მოამბე, № 2-3, 1999, გვ. 23-27.

5. ბერძენიშვილი გ. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII. თბ., 1975.

6. გამყრელიძე გ. ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. თბ., 1982.

7. გამყრელიძე გ. ფორმულირებულისათვის. თბ., 1998.

8. გოგაძე ე. კოლზურის ბრინჯაოსა და ადრეული რეინის ხანის ნამოსახლართა კულტურა. თბ., 1982.

9. გრიგოლია გ., ფხავაძე გ., ბარამიძე გ., ლორთქიფანიძე გ. დასავლეთ საქართველოს საძიებო არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წ. მუშაობის შედეგები. – მსკა, V, 1979, გვ. 17-38.

10. გრიგოლია გ. ეგრის-ლაზიკის საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები. თბ., 1994.

11. გვირკველია გ. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის მატერიალური კულტურა ძვ.წ. VIII-V სს-ში. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1981.

12. მახარაძე გ., ლომთაძე გ. კოლზური კულტურის გავრცელება ყვირილის ხეობაში. – სხსმ, II, 1997, გვ. 9-26.

13. მახარაძე გ. ყვირილას ხეობის ნამოსახლარების ქრონოლოგია (ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი). – სხსმ, VI, 2000, გვ. 17-32.

14. **Мицхеладзе Т.** Человек в археологии Южной Грузии в 1964 году. – XIV съезд по археологии СССР. Тб., 1965, с. 48-51.
15. **Мицхеладзе Т.** Человек в археологии Южной Грузии в 1965 году. – XV съезд по археологии СССР. Тб., 1966, с. 21-23.
16. **Мицхеладзе Т.** Археология Южной Грузии в 1966 году. – РИИОН. Кавказ и Восточная Европа в древности. М., 1969.
17. **Мицхеладзе Т.** Археология Южной Грузии в 1966 году. – История Абхазии с древнейших времен до раннего средневековья. Автореферат канд. дисс., М., 1971.
18. **Мицхеладзе Т.** Археология Южной Грузии в 1966 году. – Древности Азанской долины. Тб., 1982.
19. **Мицхеладзе Т.** Археология Южной Грузии в 1966 году. – Бюллетень комиссии по изучению четвертичного периода, № 6-7, 1940, с. 109-110.
20. **Мицхеладзе Т.** Археология Южной Грузии в 1966 году. – Культура и быт народов Южной Грузии в античные и средневековые века. Тб., 1978.
21. **Мицхеладзе Т.** Археология Южной Грузии в 1966 году. – Культура и быт народов Южной Грузии в античные и средневековые века. Тб., 1987, с. 51-53.
22. **Мицхеладзе Т.** Археология Южной Грузии в 1966 году. – Культура и быт народов Южной Грузии в античные и средневековые века. Тб., 1987, с. 217-225.
23. **Мицхеладзе Т.** Археология Южной Грузии в 1966 году. – Культура и быт народов Южной Грузии в античные и средневековые века. Тб., 1987, с. 292-314.
24. **Мицхеладзе Т.** Археология Южной Грузии в античные и средневековые века. Тб., 1987, с. 364-380.
25. **Мицхеладзе Т.** Археология Южной Грузии в античные и средневековые века. Тб., 1987, с. 381-400.
26. **Мицхеладзе Т.** Археология Южной Грузии в античные и средневековые века. Тб., 1987, с. 401-420.
27. **Апакидзе Д. Б.** Центральная Колхида в эпоху поздней бронзы – раннего железа. Тб., 1991.
28. **Бгажба О. Х., Воронов Ю. Н.** История изучения археологии Абхазии. Тб., 1982.
29. **Бжания В. В.** Поселения очамчирской культуры в горах Абхазии. – Кавказ и Восточная Европа в древности, М., 1973, с. 65-71.
30. **Воронов Ю. Н.** Археологическая карта Абхазии. Сухуми, 1969.
31. **Воронов Ю. Н.** История Абхазии с древнейших времен до раннего средневековья. Автореферат канд. дисс., М., 1971.
32. **Воронов Ю. Н.** Древности Азанской долины. Тб., 1982.
33. **Гоголишвили В. И.** Проблемы изучения древних памятников Колхидской низменности. – Бюллетень комиссии по изучению четвертичного периода, № 6-7, 1940, с. 109-110.
34. **Куфтин Б. А.** Материалы к археологии Колхиды, II, Тб., 1950.
35. **Лордкипанидзе О. Д., Микеладзе Т. К.** О демографической ситуации в Восточном Причерноморье (Колхида) в период Великой Греческой Колонизации. – ДССПВГК, Тб., 1981, с. 292-314.
36. **Микеладзе Т. К., Хахутайшвили Д. А.** Древнеколхидское поселение Намчедури. Тб., 1985.
37. **Микеладзе Т. К.** К археологии Колхиды (эпохи средней и поздней бронзы – раннего железа). Тб., 1990.
38. **Микеладзе Т. К.** Протоколхидская культура. – Эпоха бронзы Кавказа и Средней Азии. М., 1994 с. 67-74.
39. **Рамишвили А. Т.** О назначении стоянок с "текстильной керамикой" Восточного Причерноморья. – СА, № 4, 1975, с. 36-44.
40. **Соловьев Л. Н.** Селища с текстильной керамикой на побережье Западной Грузии. – СА, № 4, 1950, с. 265-286.
41. **Соловьев Л. Н.** Новый памятник культурных связей Кавказского Причерноморья в эпоху неолита и бронзы. Стоянки Воронцовской пещеры. – ТАИЯЛИ, XXIX, 1958, с. 115-135.
42. **Цвианирия И. И.** Новые памятники дольменной культуры Абхазии. Тб., 1990.
43. **Шамба Г. К.** Раскопки древних памятников Абхазии. Сухуми, 1984.

### ტაბულის აღწერილობა


ტაბ. I – კოლხეთის ბრინჯაო-ადრენკინის ნამოსახლარების არქეოლოგიური რეკანულტება: 1. კოლხიდა, 2. ბიჭვინთა (ლძაა), 3. იუპი, 4. კისტრიკი, 5. ბომბორა, 6. ააქსტა, 7. ყულანურხვა, 8. ოთხარა, 9. პრომორსკოე, 10. ანაკოფიის ციხე, 11. ანუხვა აბხაზებია, 12. ახალი ათონი (ორი დიუნური სად-

გომი), 13. გუანდრა, 14. ლეჩქოფი, 15. აბგიძრა, 16. ამჟასარა, 17. ვერეშჩაგინის მთა, 18. გუმის-თის ნამოსახლარები (გუმისთა I, გუმისთა II, აჭანდარა), 19. ეშერა, 20. სოხუმის მთა, 21. სოხუმის კონცხი, 22. წითელი შუქურა, 23. გუაღისხუ, 24. ლემსა, 25. აღექსევგა, 26. ბაგრატის ციხე, 27. სოხუმის ნამოსახლარები (№ 4 სკოლა, რკინიგზის სადგური), 28. ახრა-კაპში, 29. პალი, 30. ოთორი ძღვიმე, 31. ზედა ძღვიმე, 32. ჯამპალ I, 33. კამან I, 34. აბ-გარხუკი, 35. აგუშერა, 36. შიცქუარა, 37. მაჭარა (სამი ნამოსახლარი), 38. მერხეული, 39. ათარა არმიანსკაია, 40. ტამიში, 41. მოქვი, 42. ივაშენკო (ორი ნამოსახლარი), 43. აგუბედია, 44. ოჩამჩირე I (დასავლეთი, ცენტრალური, სამხრეთი ბორცვები), 45. ოჩამჩირე II, 46. გუდავა (ორი დიუნური სადგომი), 47. ოქუმი, 48. გაგილა, 49. ფიჩორი (10-11 ბორცვი), 50. განმუხური (ორი ბორცვი), 51. ნაკარდალი (4-5 ბორცვი), 52. ჯვარალები (5-6 ბორცვი), 53. თაგილონის „წიფურია“ (3-4 ბორცვი), 54. ჭუ-ბურხინჯი, 55. განახლება, 56. აბაუე, 57. გა-ლი, 58. მზიური (ორი-სამი ბორცვი), 59. რეფო-შეშელეთი (4-5 ბორცვი), 60. წარჩე, 61. ბაქ-სანია, 62. პალური („უირ-სუკი“), 63. ლია („დი-დი ქირსა“), 64. მახარია, 65. ჯვრის ნამო-სახლარები („ფერდის გორა“, „ჯვრის ციხე“), 66. ანაკლია I, 67. ანაკლია II, 68. ორული (წურწუმიებისა და პერტიების დიხა-გუმბა), 69. ახალი კახათი, 70. ცაცხვი, 71. დარჩელი, 72. ერგეტა (მამულიების ბორცვი),<sup>9</sup> 73. ცვანა, 74. ყულევი I, 75. ყულევი II, 76. ხეთა („ოტო-რენჯე“), 77. დღვაბა, 78. ბულიცხუ, 79. წინა-გოლა, 80. გურილუფუ, 81. ნაღმაპიჯი, 82. ოჩ-სამური, 83. ჭოლა (ორი ნამოსახლარი ჭოლა I, ჭოლა II – „გაბაცხა“), 84. ჭალადიდის „ზურ-გა“, 85. საბაუო (I და II უბანი), 86. ნამარნუს ნამოსახლართა სისტემა (რამდენიმე ბორცვი), 87. სირიაჩქონის ოხოჯე. 88. ნანდევუ, 89. სა-გვიჩის ნამოსახლარები („ზურგანი“, „პატარა კონძა“, ფიჩორისპირა ნამოსახლარი № 3 და № 4 ბორცვები), 90. სიმაგრე, 91. ჭალადიდი (ჩხა-რის ტყე 3-4 ბორცვი), 92. ნაოხვამუ, 93. ეკი, 94. ხორში („ლომურა“), 95. ბეთლემი, 96. ქვა-ლონის დიხა-გუმბა, 97. საკირე, 98. სენაკი (ცემენტის ქარხნის მიდამოები), 99. გეჯეთი, 100. ნოქალაქევი, 101. ბატ ნაოხურუ, 102. ნო-ქალაქევი (ყოფილი საბჭოთა მეურნეობის ტერი-ტორია), 103. ძიგური, 104. ნოსირი III, 105. ტეხურისპირა ფლატის I საძიებო მოედანი, 106. საელიაოს კურზია, 107. ნახუნაო (ადგილი კო-კიეთი), 108. სერგიეთის ნამოსახლარები (სერგი-ეთი I, სერგიეთი II), 109. სერგიეთი (ტერასაზე გამართული ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლა-რი), 110. ნაგვაზაო (ტერასაზე გამართული ად-რებრინჯაოს ხანის ნამოსახლარი), 111. ნაგვაზა-

ოს ზურგა, 112. აბედათი, 113. მუხურჩას ნამო-სახლარები („ნაჭვის ზუგა“, „პეპელურის ზუ-გა“), 114. მუხურჩას საწარმოო ნამოსახლარი, 115. ვედიდგარი („ნავისუ“), 116. სალხინო (ლე-ცავას მთა), 117. ბანძის ნამოსახლარები (ტაბა-კური I, ტაბაკური II, დიხა-გუმბა I „ბალდუ-რა“), 118. ლეხაინდრაო (ორი ნამოსახლარი – გოგიაშ ნაოხვამუ I, გოგიაშ ნაოხვამუ II), 119. ხელოვნური ბორცვები მდ. ხობის წყლისა და ჭურიის ორმდინარეთში (2-3 ბორცვი), 120. ნა-ხარებაო, 121. წყემი (სამი ბორცვი), 122. ქო-ლობანი, 123. პირველი მაისი, 124. ნაესაკავო („ოჭინკე“), 125. ზანათი (ორი ბორცვი – ნამანც-ხვარი, დიონი), 126. კოდორი („ობერგულე“), 127. დაბლაგომი, 128. ბაგნარი, 129. იანეთი, 130. ჯიხაიში (რამდენიმე გორიკა), 131. ბაში, 132. ეწერ-ბარი (ორი-სამი გორიკა), 133. კო-პიტარი, 134. საყულია, 135. პატრიკეთი (ორი-სამი ბორცვი), 136. ბორწეულა, 137. ქვედა მე-სხეთი, 138. ფარცხანაყნები (ოთხი გორიკა – „კირიები“, „შროშანები“, „ანარია“, „უსახელო ბორცვი“), 139. მაღლაკი, 140. ქვიტირი, 141. ვანი („ახვლედიანების გორა“), 142. ჭოგნარი (სამი ნამოსახლარი – „ნასაჯვარევი“, ფარნალისა და ბარონის გორა), 143. დათეშიძეების გორა, 144. გაბაშვილების გორა, 145. დიმი, 146. ბანოჯა, 147. დღნორისა, 148. ცხეთა, 149. ურევი, 150. გრიგოლეთი, 151. ჭოლიპა, 152. ფიჭვნარი (დიუნა), 153. ფიჭვნარი, 154. ხუცუბანი, 155. ნამჭედური, 156. ჩოლოქი, 157. ისპანი, 158. ბო-ბოყავთი, 159. შემოქმედი, 160. ვაკიჯვარი („ქო-რის ბუდე“), 161. ვაკიჯვარი (ოთიგვანის გამო-ქვაბული), 162. შეკვეთილი, 163. შუხუთი, 164. ბაილეთი, 165. ლაითური, 166. ბუკისციხე, 167. ლესა-ჯუმათი, 168. ქებნობანი („კოურა“), 169. ციხისძირი (დიუნა), 170. ციხისძირი, 171. ჩაქი I, 172. ჩაქი II, 173. გონიო, 174. მახო, 175. ბათუმის ციხე, 176. ქვემო საზაო, 177. სვირი („ციხურა“), 178. ილემი, 179. ცხენთარო, 180. ჯიეთი, 181. სევრის ციხე, 182. ნიგოზეთი, 183. ქაცხის ციხე, 184. ნარაბეთი, 185. საირხის ნა-მოსახლარები (ვეშაპიძეების გორა, სკომიეთის გორა, საბალურის გორა, წყაროსთავის გორა, კოდისწყალი, ღელიპირა გორა, თოდაძის ციხე, სახოველა, ჭიჭინაძეების გორა), 186. ითხვისი, 187. არგვეთი, 188. კორბოული, 189. რგანი, 190. მოდინახე, 191. კალვათა (უდერძის გორა).

<sup>9</sup> ერგეტას მიდამოებში გამოვლენილია 30-ზე მეტი ხელოვნური ბორცვი [17, გვ. 5].

# ტაბ. I



## ლეილა ფანცხავა, ბესარიონ მაისურაძე, გელა გობეჯიშვილი

### პრილის სამართლაწევ 1939 წელს გათხოვლი № 12 სამარხის დათარიღებისათვის

ბრილის სამაროვანი მდებარეობს სოფ. ლეილა ჩრდილო-დასავლეთით 11 კმ-ზე. სამაროვანზე სხვადასხვა დროის: ბრინჯაოს ხანიდან ვიღრე ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში 200-ზე მეტი ორმოსამარხი, ქვაყუთი და საკრემაციო მოედანი გაითხარა, მაგრამ ამათგან გამოიჩევა № 12 ქვაყუთი და № 31 ორმოსამარხი,<sup>10</sup> რომელთა ინვენტარი ერთმანეთის მსგავსია. ამჟამად ჩვენი კვლევის საგანია № 12 ქვაყუთი,<sup>11</sup> რომელიც დათარიღებულია შუაბრინჯაოს ხანით [2, გვ. 114; 4a, გვ. 232]. ამ სამარხის აღმოჩენიდან 60 წელზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში დაგროვილმა მასალამ საშუალება მოგვცა გადაგვესინჯა № 12 სამარხისათვის მიღებული თარიღი.

ქვაყუთი № 12 მდებარეობდა 2 მ სიღრმეზე თიხნარში. იყო გადახურული იყო 5 ფილისაგან შემდგარი სახურავით; დამხრიბილი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. სამარხი ქვის ფილით გატიხული იყო ორ სართულად. ზედა სართულის სიმაღლე 30 სმ-ია; ქვედასი კი – 65 სმ. ქვაყუთის შიდა ზომებია: 1,24×0,65×1,0 მ. გაწმენდის შემდეგ აღმოჩენდა, რომ ფილაზე იდო შუახნის ან ახალგაზრდა ინდივიდის კიდურებ მოხრილი ჩონჩხი, მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთისაკენ. ხელები სახესთან პქონდა მიტანილი. ჩონჩხი კარგად იყო შენახული. მიცვალებულთან იდო რკინის თავჩახვეული საკინძის ფრაგმენტი და სხვადასხვა საკინძის ლეროს ფრაგმენტები (ტაბ. III<sub>34-36</sub>).

გამტიხვრელი ფილის ჩრდილოეთი ბოლოსა და ქვაყუთის კედელს შორის ამოჩრილი იყო ტიხრის ქვეშ მოთავსებული მიცვალებულის ცუდად შენახული დიდი წვივის ძალი, რომელიც ბოლოთი ეყრდნობოდა მარჯვენა ლოფაზე მდებარე დაშლილ თავის ქალას. ამავე დონეზე ან ოდნავ ქვემოთ მოელ სამარხში იყო ჩაშავებული ძვლების ნაშთები. ეს ინდივიდიც დაკრძალული ყოფილა კიდურულმოხრილ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთისაკენ. თავის ქალის ქვეშ იდო: შავი ფერის კერამიკის ნატეხი, ბრინჯაოს 2 ქინძისთვის და 2 მძივი.

ტიხრის ქვემოთ, 20 სმ-ის სიღრმეზე, სამარხის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებთან ახლოს გამოჩენდა ორი ინდივიდის თავის ქალის ნაშთები, რომლის ნატეხები უფრო ღრმად ჩნდებოდა, თვით იატაკამდეც. მთელ სამარხში (ქვედა სართული) მიმობნეული იყო უამრავი ცისფერი პასტის იოტები, რომელთაგან ისახებოდა

<sup>10</sup> მასალა ინახება სსმ არქეოლოგის განყოფილების „მცირე ექსპედიციების“ I ფონდში, კოლ. № 5-993:32-103.

<sup>11</sup> № 31 ორმოსამარხის გამოცემა გამიზნული გვაქვს უახლოეს მომავალში.

სპირალური სახე, მაგრამ პრეპარაციის პროცესში ორნამენტი ვერ შეინარჩუნეს, იქვე იყო ბრინჯაოს გაურკვეველი დანიშნულების ნივთი.

სამარხის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლის გასწვრივ იდო ბრინჯაოს საკინძები, ცულები და სატევრები. დანარჩენი ნივთები კი გვხვდებოდა სამარხის ნებისმიერ ადგილზე: შუა ნაწილში იდო 3 წყვილი ბრინჯაოს სამაჯური, 2 სასაფეთქლე რგოლი, ვერცხლის ფირფიტების 2 ნატეხი, გიშრის რამდენიმე მძივი. მთელ სამარხში მიმოფანტული იყო სხვადასხვა ზომის ბრინჯაოს ვერძის თავები და ვერძის თავებით შემქული საკიდები. აქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს შუბისპირები, სატევრები და ყუამილავინი ცულები.

აღსანიშნავია, რომ სამარხში აღმოჩენილი ზოგიერთი ცული თავიდანვე შტანდარტებად და პარადულ იარაღად მოიხსენიებოდა [29, გვ. 274; 1, გვ. 58; 4a, გვ. 213], მაგრამ ცულების ტიპოლოგიურად შესწავლის დროს მათ ყოველთვის ცულებად განიხილავენ [14, გვ. 28, 29; 11, ტაბII<sub>18</sub>]. ოთ. ლორთქიფანიძის აზრით, ჩნდება სრულიად ახალი ფორმა ყუამილიანი ცულისა, რომელიც მეფე-ქურუმთა ინსიგნიებად მიაჩნია. მან პირველმა შენიშნა, რომ ამ ინსიგნიის სახით, გაჩნდა ცულის ახალი სახე [4, გვ. 140-141, 124 შენიშვნა; 25, გვ. 208] და მათ წინამორბედი ფორმები არ გააჩნიათ. ისინი რომ შტანდარტებია და პარადული ხასიათის არიან, უეჭველია. ამიტომ, მათი ცულებად მიჩნევა მიზანშეწონილი არ უნდა იყოს, და ჩვენ მათ განვიხილავთ, როგორც პარადულ ნივთებს.

მასალის განხილვას დავიწყებთ ბრინჯაოს შტანდარტებით და ცულებით. მათ ყველას პარალელი დივორიაში (ჩრდ. ოსეთი) ექცნება, მაგრამ აქვე უნდა საგანგებოდ აღვნიშნოთ, რომ ისინი ყველა კომპლექსის გარეშეა აღმოჩენილი. პირველ რიგში განვიხილავთ იმ შტანდარტებს, რომელსაც გრძელმილიანი ყუა აქვს და პირი ორი ნაწილისაგან შედგება (ტაბ. I).

ს. კორენევსკის კლასიფიკაციით ისინი თავს-დებიან 2,16 ჯგუფში და გამოყოფილია, როგორც ფასკაუ 6. ანალოგიური ნივთები თოთხმეტი ცალია. აქედან ათი ცალი ნაპოვნია ფასკაუს სამაროვანზე, ერთი მათგანი ცნობილია ყობანიდან, ერთი ჩრდილოეთ ოსეთიდან, რომლის აღმოჩენის ზუსტი ადგილი უცნობია [18, გვ. 28, 29, სურ. 7, 14, 21]. მისი აზრით, მნელი სათქმელია თუ რას წარმოადგენენ ამგვარი ცულები, რომლებსაც დანისებური პირი აქვთ, თუ ეს არის იარაღი, ტრადიციული ფორმისაგან განსხვავებული [18, გვ. 30]. და ამდენად მათი დათარიღება არცოდ ისე სამედოა. თუმცა, ზოგადად თარიღის განსაზღვრა მაინცაა შესაძლე-

ბელი: ისინი გვხვდებიან მაიკოპის კულტურის შემდგომ ხანაში და ყობანის კულტურის პერიოდამდე და თარიღდებიან ძვ.წ. II ათასწ. შუახანებით და მეორე ნახევრით, ძვ.წ. XII საუკუნეში [18, გვ. 36, 37]. მაგრამ აქ ერთ უხერხულობას ვაწყდებით, დღეისათვის ჯერ კიდევ დაზუსტებული არ არის ყობანის კულტურის ქვედა ქრონოლოგიური თარიღი. ჩვენი ლრმა რწმენით, ყობანის კულტურის საწყისი ძვ.წ. XII-X სს. ადრეული არ უნდა იყოს. აღსანიშვავია, რომ ი. მოცენბეკერი ამ შტანდარტებს აკუთვნებს საჩხერულ ტიპს და გამოყოფს, როგორც ფორმა A3 [33, გვ. 56, 57].

საერთოდ ცულების ადრეულობის განმსაზღვრელი ნიშანია მრგვალი სატარე ხვრელი, მაგრამ, რადგანაც შტანდარტები ამკიბენ დღოშის ტარს [1, გვ. 58], ამდენად სატარე ხვრელის სიმრგვალეს ადრეულობის ნიშნად ვერ მივიჩნევთ.

ე. გოგაძე შტანდარტებს ათარიღებს ძვ.წ. II ათასწლ. პირველი ნახევრით და შუა ხანებით [11, ტაბ. II<sub>2</sub>, ვა. 82]. ე. კრუპნოვი კი – ძვ.წ. II ათასწლ. მეორე ნახევრით [19, ნახ. 27, 31].

ვფიქრობთ, რომ ამ ტიპის შტანდარტებისათვის უფრო მისაღები უნდა იყოს ძვ.წ. XIV საუკუნის ბოლო და ძვ.წ. XII საუკუნის პირველი ნახევვარი.

მეორე სახის შტანდარტს S-ბური ფორმის ტანი აქვს, რომელიც ცხვრის თავების სკულპტურული გამოსახულებით არიან შემკული, ხოლო სატარე ხვრელის კედლები – სამკუთხა ნაჭერებით და მოკლე ხაზებისაგან შედგენილი სახით. აღსანიშავია, რომ მიღის დასაგრძელებლად სატარე ხვრელში, ერთი მხრიდან უკეთდება სამკუთხა ნაჭერებით შემკული წაკეთილი კონუსის ფორმის ნაკვთი (ტაბ. I<sub>2</sub>, 3).

ანალოგიური შტანდარტები ცნობილია ფასკაუს სამაროვნიდან [29, გვ. 275, სურ. 210; 33, ტაბ. 2, 3, 4]. ს. კორენევსკის კლასიფიკაციით ისინი თავსდება 2,17 ჯგუფში და გამოყოფილია, როგორც ფასკაუ 7 [18, გვ. 30, სურ. VIII<sub>1-3</sub>].

ამ ტიპის შტანდარტებს, ვ. კოზენკოვა ათარიღებს ძვ.წ. XIV ს-ის დასაწყისითა და ძვ.წ. XII ს-ის პირველი ნახევრით [16, გვ. 91, სურ. 34, 37] და ე. გოგაძე, კი – ძვ.წ. II ათასწ. შუა ხანებით და მეორე ნახევრით [11, ტაბ. II<sub>22</sub>, ვა. 8].

აღსანიშავია, რომ ბრინჯაოს ცულებისა და სატევრების სკულპტურული გამოსახულებებით შემკობა დამახასიათებელია ყობანის კულტურის გვიანდელი ძეგლებისათვის. საინტერესოა, რომ ბრილის სამაროვანზე აღმოჩენილი ერთი სატევარი, რომლის თავი შემკულია ჩვენთვის საინტერესო შტანდარტებზე დატანილი ცხვრის თავების გამოსახულებების მსგავსი ფიგურით, თარიღდება ძვ.წ. VI ს-ით. ვფიქრობთ, 7-8 საუკუნის განმავლობაში სტილისტურად ერთაირი გამოსახულებების არსებობა შეუძლებ-

ლია და ისინი უფრო გვიანდელი ხანისა უნდა იყვნენ.

აქვე უნდა განვიხილოთ კიდევ ერთი შტანდარტი, რომელსაც მთლიანადსხმული სატარე მიღი აქვს, მაგრამ იმით არის საინტერესო, რომ მიღის მარვენა მხარე, ზემოთ აღწერილი შტანდარტების დამატებითი ნაკვთის ფორმისაა და ისევეა შემკული ჭდეული სამკუთხედებით როგორც ცალკე დამატებითი ნაკვთები (ტაბ. I<sub>4</sub>).

ბრილის სამარხში აღმოჩენილი ცულები ოთხი სახისაა. პირველი სახის ცულები (ტაბ. I<sub>5</sub>, 6) მორფოლოგიურად მსგავსია ზემოაღწერილი შტანდარტისა, მაგრამ მათ არა აქვთ დამატებითი ნაკვთები, ცხვრის თავების სკულპტურული გამოსახულები, ე.ი. ყველა ის ნიშანი, როთაც ისინი განხილული უნდა იყვნენ როგორც საბრძოლო იარაღი. მსგავსი ცულები პარალელებს ისევ ფასკაუს სამაროვანზე [29, ტაბ. II<sub>1-3</sub>, ვა. 33, ტაბ. 1, 5, 8; 2, 1, 5; 3, 1; 4, 1] პოულობს. ყუბანისპირეთში აღმოჩენილი ამ სახის ცულები მიუთითებენ მეტალურგიისა და ლითონდამუშავების კავშირებზე დიგორიარაჭის მხარესთან. აქ აღმოჩენილი ეს ნივთები დათარიღებულია გვიანბრინჯაოს ხანით [13, გვ. 84, 85, ნახ. 8] და აღნიშნულ ცულებს ს. კორენევსკი ათარიღებს ძვ.წ. II ათასწ. შუახანებით და მეორე ნახევრით [18, გვ. 37] და ე. გოგაძე კი – ძვ.წ. II ათასწ. შუახანებით [11, ტაბ. II<sub>4</sub>] და აღნიშნულ ცულებს ძვ.წ. პირველი სახის ცულები (ტაბ. I<sub>7</sub>) ასევე ცნობილია დიგორიიდან და ყობანიდან [18, გვ. 30; 11, ტაბ. II<sub>3</sub>, 72, 73] და ამ ცულების თარიღის შესახებ პ. უვაროვა გარკვევით არაფერს ამბობს, ე. კრუპნოვი კი მათ ძვ.წ. II ათასწ. შუახანებით ათარიღებს [20, ნახ. 27] და ანალოგიური შემთხვევით აღმოჩენილი ცული ცნობილია მესტიიდან [30, ტაბ. XVII<sub>3</sub>].

მეორე სახის ცულები (ტაბ. I<sub>8</sub>) [2, ტაბ. X<sub>9</sub>] ანალოგია სვანეთში შემთხვევით აღმოჩენილი ცულია [30, ტაბ. XVIII<sub>1</sub>]. ამ ტიპის ცულებს ე. გოგაძე ათარიღებს ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახევრით და შუა ხანებით [11, ტაბ. II<sub>6</sub>] და ს. კორენევსკი აერთიანებს ფასკაუ 8 ტიპში, ჯგუფი 2, 18 [18, გვ. 31, სურ. 8] და მიაკუთვნებს გვიანდელი ცულების ჯგუფს და ათარიღებს ძვ.წ. II ათასწ. შუახანებით და მეორე ნახევრით, თვით ძვ.წ. XII საუკუნებმდე [18, გვ. 37].

მეოთხე სახის ცული (ტაბ. I<sub>9</sub>) [2, ტაბ. X<sub>7</sub>] ექცევა ე. კორენევსკის მიერ გამოყოფილ ფასკაუ 3 ტიპში, ჯგუფი 2, 11 [18, გვ. 27, სურ. 6] და ცულის ანალოგად შეიძლება გამოდგეს თლიას სამაროვნის № 46 სამარხში აღმოჩენილი ცული, რომელიც თარიღდება ძვ.წ. XVI-XV სს., შუაბრინჯაოს დასასრულით [28, გვ. 6, 9, ტაბ. XVII<sub>1</sub>]. ბ. ტეხოვს თლიას ცულის ყველაზე ახლო ანალოგად მიაჩნია თეთრიწყაროში აღმოჩენილი ცული [27, გვ. 17] და მეორე ნახევრით, ის შეიძლება

პირობითად იყოს მიღებული ანალოგად, რადგანაც მას მკვეთრად გამოსახული ტრაპეციის ფორმის ტანი აქვს, ამიტომ თლიას და თეთრიწყაროს ცული მხოლოდ შორეულ პარალელად შეიძლება იყოს მოყვანილი ბრილის ცულისათვის. ბრილის ცულის მსგავსი ცულები ცნობილია ფასკაუს სამაროვნიდან, რომელთაც სატარე ხვრელის ნაპირი „გორგოლაჭიანი“ აქვთ. სამწუხაოდ, ბრილის ცულს უკავშირდებული აქვს. ე. გოგაძე ბრილის ცულს ათარიღებს ძვ.წ. II ათასწ. პირველი ნახევრით [1, ტაბ. II].

გ. გოგეჯიშვილმა შუბისპირები (ტაბ. II<sub>14</sub>) დაათარიღა ძვ.წ. II ათასწ. დასასრულით და I ათასწ. პირველი საუკუნეებით [1, გვ. 132] შემდეგ კი ბრილის სამაროვნის უტელესი ფერა – ძვ.წ. II ათასწ. შუახანებით [2, გვ. 56]. ამ ფერის სამარხებია № 12 და № 3<sup>15</sup>, რომელთა შემცველი ნივთები მრავალრიცხოვნია. მისი აზრით, ეს მოვლენა ძვ.წ. II ათასწ. უკანასკნელი საუკუნეებისათვის არის დამახასიათებელი [2, გვ. 57], მოგვიანებით კი მის მიერ დაზუსტებული იქნა საქართველოში შუაბრინჯაოს ხანის არსებობის დრო – ძვ.წ. XVII-XIII სს-ით [4a, გვ. 107].

ბრილის ზოგიერთი შუბისპირი მსგავსია ქვასათალის № 1 ქოლექტიურ სამარხში და № 3 ორმოსამარხში<sup>16</sup> აღმოჩენილი შუბისპირებისა, რომლებიც გვიანბრინჯაოს ხანის აღრეული ეტაპით არის დათარიღებული [12, გვ. 30].

ოთ. ჯაფარიძე ბრილის სამროვნის № 12 და № 3<sup>17</sup> სამარხებს ძვ.წ. II ათასწ. პირველ ნახევრის აკუთვნებს და ფიქრობს, რომ მდ. რიონის სათავეებში გამოვლენილი კულტურა უნდა მიეკუთვნებოდეს შუაბრინჯაოს ხანის გვიანდელ საფეხურს ან შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოს ხანაზე გარდამავალ ეტაპს [5, გვ. 193; 6, გვ. 233].

ე. გოგაძე თრიალეთის XV ყორლანს (III ჯგუფი) ათარიღებს 1600-1450 წწ. აღსანიშნავია, რომ ყორლანში აღმოჩენილი შუბისპირის ანალოგად მოყვანილი აქვს ნულის, ქვასათალის, ბრილის და თლიას სამაროვნებზე აღმოჩენილი შუბისპირები. მაგრამ ამავე დროს ე. გოგაძის აზრით, მოსალოდნელია ამ ქრონლოგიური საზღვრების, განსაკუთრებით კი, ზედა ზღვარის რამდენადმე გადაადგილდება, აქ აუცილებელია გვიანბრინჯაოს საწყისი თარიღების გათვალისწინება [3, გვ. 69].

თლიას<sup>18</sup> № 1 და № 2 სამარხებში<sup>14</sup> აღმოჩენილი შუბისპირების ანალოგებად ბრილის შუ-

ბისპირებია მიჩნეული. ბ. ტეხოვის აზრით, ისინი უფრო შუბისპირებიას ხანისაკენ იხრებიან ვიდრე გვიანბრინჯაოს ხანისაკენ, თუმცა სამარხები გვიანბრინჯაოს ხანით არის დათარიღებული [26, გვ. 74]. ვფიქრობთ, რომ თლიას სამაროვნის № 1 და № 2 სამარხების თარიღები, როგორც ყოველთვის, დასაზუსტებელია. თლიას № 1 სამარხი ძლიერ არეულია, აქ ერთ კოლექტიურ კი არა, არამედ რამდენიმე სამარხთან უნდა გვქონდეს საქმე, ყოველ შემთხვევაში ორ სამარხთან მაინც. რაც შეეხება № 2 სამარხს, მისი აღწერილობიდან გარეგვით არ ჩანს, რომელ მიცვალებულს ეკუთვნის რკინის ორი დანა (ერთი მოხრილია). აქ აღმოჩენილი ბრინჯაოსა და რკინის ნივთები სხვადასხვა პერიოდისაა [26, გვ. 42, 43, ტაბ. IV]. თლიას შუბისპირები გავრცელებულია ცენტრალურ კავკასიაში და სამხრეთ კავკასიაში. ბ. ტეხოვს მიაჩნია, რომ მასრაგახსნილი შუბისპირები აღრეულია [26, გვ. 69], თუმცა ეს მოსაზრება ბრილის სამარხის მაგალითზე არ დასტურდება, აქ მასრაგახსნილ შუბისპირთან ერთად გვხვდება მთლიანმასრიანი შუბისპირებიც.

ჩვენი აზრით, თლიას № 1 სამარხში გამოიყოფა ორი კომპლექსი, რომლებიც უნდა დათარიღონენ ძვ.წ. XII-XI სს. და ძვ.წ. VII-VI სს. და № 2 სამარხი ძვ.წ. VIII-VII სს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ ბრილის შუბისპირები დათარიღებულ იქნას ძვ.წ. XIII-XII სს.

სამარხში ბრინჯაოს რვა სატევრის პირი აღმოჩნდა (ტაბ. II<sub>19</sub>). გ. გოგეჯიშვილის აზრით, ეს სატევრები უფრო ორპირიან დანებს ჰგვანან, ვიდრე სატევრებს და ზოგიერთ მათგანს უკვე საკმაოდ კარგად აქვთ გამოსახული შუა ქედი [2, გვ. 58, 59]. ოთ. ჯაფარიძე ბრილის სატევრების შესახებ წერს, რომ ისინი შედარებით მომცრო ზომისანი, უპირატესად ფოთლისებური მოყვანილობისაა, ოდნავ შესამჩნევი ქედით, თუმცა გვხვდება ისეთი ცალებიც, რომლებსაც უკვე კარგად გამოსახული ქედი აქვს [6, გვ. 232]. მისი აზრით, ფართო პირიანი იარაღი ახლოს დგას კატაკუმბურ კულტურაში გავრცელებულ სატევრებთან. ვხვდებით მათ აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაშიც. შედარებით ვიწრო და მოგრძო პირიანი იარაღი, რომლებსაც პირზე ორი მკვეთრი ქედი დაუყვებათ და ყუნწევა ნახვრეტი არ გააჩნიათ, კარგადაა ცნობილი ჩრდილოეთ კავკასიაში. ოთ. ჯაფარიძეს მიაჩნია, რომ ორივე დანისპირი ჩვენში ჩრდილოეთ კავკასიის გზით უნდა გავრცელებულიყო [9, გვ. 156, 157]. ვფიქრობთ, რომ მათ არავთარი საერთო არ უნდა გააჩნდეთ ბრილის სამარხის სატევრებთან, ისინი აღრეული პერიოდისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი.

<sup>12</sup> მასალა ინახება სსმ არქეოლოგიის განყოფილების „მცირე ექსპედიციების“ I ფონდში, კოლ. № 9-61:155-157.

<sup>13</sup> არქეოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში პ. უვარვას მიერ დამკიდრებული სახელწოდება „თლი“, რომელიც რესული ტრანსგრაფით არის მოცემული, უნდა შესწორდეს და ეწოდოს ქართული სახელი „თლია“.

<sup>14</sup> 1956 წელს გათხრილი თლიას სამაროვნის № 1-8 სამარხები თლიას სამაროვნების კატალოგში შეტანილი არ არის [28].

ჩვენთვის საინტერესო სატევრები მსგავსია ზედა რუთხასა და ფასკაუს სამაროვნებზე აღმოჩენილ სატევრების [29, გვ. 227, 271, ტაბ. XCV, სურ. 5, XCVI, სურ. 3-5]. პ. უვაროვას ფასკაუს სამაროვნი დათარიღებული აქვს რკინის გამოჩენის ეპოქით [29, გვ. 376]. ფასკაუს, კუმბულთის, ლონიფარსის სამაროვნებიდან ცნობილია ბრინჯაოს დანები თუ პატარა სატევრები, რომელთა შორის გახვდება, როგორც ფოთლისებური ისე წაგრძელებული ფორმის სატევრები. ე. კრუპნოვს მიაჩნია, რომ ზოგიერთი მათგანი, პატარა წვეტიანი სატარე ყუნწის გამო, შეიძლება მიჩნეული იყოს შუბისპირებად და არა დანებად ან სატევრებად [19, გვ. 48]. აღნიშნული სამაროვნები დათარიღებულია ძვ.წ. II ათასწ. მეორე ნახევრით [19, გვ. 43]. ბრილის № 12 სამარხში აღმოჩენილი ერთი სატევარი (ტაბ. II<sub>1</sub>) შორეულ ანალოგს პოულობს ე.პ. პჩელინას მიერ გათხრილ ნულის № 5 კოლექტიურ სამარხში აღმოჩენილ სატევართან [23, ტაბ. XVIII<sub>8</sub>], რომელიც ზოგადად შუაბრინჯაოს ხანითა დათარიღებული [23, გვ. 31, 34].

ვფიქრობთ, რომ № 12 სამარხის სატევრისპირების არსებობის თარიღი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს შუბისპირების არსებობის თარიღს.

სამარხში აღმოჩენილი დისკოსებურთავიანი საკინძები შემკულია პუნქტირით (ტაბ. III<sub>1, 4</sub>) და გრავირებით დატანილი გეომეტრიული სახეებით (ტაბ. III<sub>2</sub>); უმეტეს შემთხვევაში კი სადაა (ტაბ. III<sub>2, 3, 5-12</sub>). მათ ზუსტი ანალოგი არ ეძებნებათ. ბრილის საკინძების ორნამენტის დატანის ტექნიკით ემსგავსება კუმბულთაში აღმოჩენილი ორი [29, ტაბ. LXXVII<sub>5, 6</sub>] და ზედა რუთხის სამაროვნის № 10 კომპლექსის ორი საკინძი [19, სურ. 14, 8, 9]. კოსნიერსკის კოლექციაში შემავალი ფასკაუსა და ზედა რუთხის სამაროვნებზე აღმოჩენილი საკინძები მცირე ზომისაა, მაგრამ დისკოზე დატანილი დეკორით და ნაჩრეტით ემსგავსება ბრილის საკინძებს [33, ტაბ. 42<sub>1-4</sub>; 58<sub>3, 4</sub>]. საკინძის თავის ფორმით მსგავსი საკინძები ცნობილია ქვასათალის № 1 სამარხიდან [12, სურ. 3, 1-4], თლიას № 1 [26, ტაბ. II<sub>20-22</sub>], №№ 29, 42, 56 სამარხებიდან [28, ტაბ. X; XIV<sub>2, 5; XXI<sub>2</sub></sub>] და სხვა. ყობანური საკინძები შეიძლება შორეულ ანალოგებად ჩაითვალოს [29, ტაბ. XXVI<sub>3</sub>; XXVIII<sub>3</sub>]. ყობანური და კუმბულთაში აღმოჩენილი საკინძები დათარიღებულია რკინის გამოჩენის ხანით [29, გვ. 361], ზედა რუთხის – ძვ.წ. II ათასწ. მეორე ნახევრით [19, გვ. 43], ქვასათალის № 1 სამარხი – გვიანბრინჯაოს ადრეული სტადიით № 12, გვ. 30], თლიას № 1 სამარხი – გვიანბრინჯაოს ხანით, თუმცა მის გამთხრელს მიაჩნია, რომ აქ აღმოჩენილი ზოგიერთი ნივთი: შუბისპირები, სატევრები და დისკოსებურთავიანი საკინძები თარიღდება შუაბრინჯაოს ხანით. ამ მოვლენას ის ხსნის შუა და გვიანბრინჯაოს ხანების მო-

ნაცვლეობით [26, გვ. 130, 131]. № 29 და № 42 სამარხი შუაბრინჯაოს ხანის დასასრულით, ხოლო № 56 სამარხი კი ძვ.წ. XIV-XIII სს. თარიღდება № 28, გვ. ნეკ ვ. კოზენკოვა მსგავს საკინძებს ათარიღებს ძვ.წ. XIV ს-ის დასაწყისით და ძვ.წ. XII ს. [16, გვ. 91].

დისკოსებურთავიანი საკინძები აღმოჩენილია სამცხეშიც, რომელიც მათი წარმოების სავარაულო კერადაა მიჩნეული და დათარიღებულია ძვ.წ. XV-XIV სს. [7, გვ. 10]. ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ვფიქრობთ, რომ ბრილის სამაროვნის საკინძებიც უნდა დათარიღდეს ძვ.წ. XIV-XII სს.

ბრინჯაოს სამაჯურები დამზადებულია სამუთხაგანივეთიანი შესქელებული ღეროსაგან (ტაბ. III<sub>13-23</sub>). ისინი XVI ტიპად არიან გამოყვილი [15, ტაბ. XXVIII<sub>17</sub>]. მსგავსი სამაჯურები გვხვდება ქვასათალისა და ნულის სამაროვნებზე, აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში, სადაც ისინი ადგილობრივ ნაწარმად არ არის მიჩნეული [17, გვ. 54]: ფასკაუსა და ზედა რუთხის [33, ტაბ. 46, 14, 16; 47, 2; 72, 10-12, 15, 19, 21; 73, 9, 15], ჩმის (ბეანი-კუპის) სამაროვნებზე (ყობანის კულტურის ცენტრალური ვარიანტი) და თარიღდება ძვ.წ. XIII-X სს. [16, ტაბ. I, სურ. 34, 52]. ასეთი სამაჯურები დამახასიათებელია ყობანის კულტურის დასავლური ვარიანტისათვის და ძვ.წ. XI-V სს. არის დათარიღებული. სამაჯურები განაგრძობენ შემდგომ არსებობას ძვ.წ. I ათასწ. დასაწყისშიც. ასე მაგ., ტერეზეს სამაროვნის № 2 და ეშკაკონის სამაროვნის № 1 აკლდამები თარიღდება ძვ.წ. XII-V სს. [16, ტაბ. II]. ამ ტიპის სამაჯურების შემცველი ზედა ბაქსანის განძი თარიღდება ძვ.წ. X ს. [16, ტაბ. II].

საინტერესოა, რომ ყობანის კულტურის დასავლური ვარიანტის ძეგლებზე სამაჯურები № 24 ცალია აღმოჩენილი, აღმოსავლური ვარიანტის ძეგლებზე კი – 16 ცალი, რომლებიც უფრო მოგვიანო ხანისანი არიან [15, გვ. 49, ტაბ. XXVIII<sub>17</sub>], მაშინ, როდესაც ბრილის № 12 სამარხში ისინი 11 და № 31<sup>1</sup> სამარხში კი – 17 ცალია. აქ აღარაფერს ვამბობთ იმ ცალებზე, რომლებიც ბრილის სამაროვნის ტერიტორიაზე შემთხვევით არის აღმოჩენილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამაჯურები უნდა დათარიღდეს ძვ.წ. XII-X სს.

სამარხში აღმოჩენილი საკიდები ხუთი სახისაა:

პირველი სახის ბრინჯაოს საკიდი (ტაბ. III<sub>24</sub>) დამზადებულია ბრინჯაოს სქელი სამკუთხაფურცლისაგან, რომლის ზედა კუთხე წარმოადგენს რქებჩახვეული ცხვრის სკულპტურულ გამოსახულებას. მსგავსი საკინძები ბალზე მცირერიცხოვნია, ისინი გვხვდება ბრილის № 31<sup>1</sup> სამარხში<sup>15</sup> და სვანეთში [30, გვ. 181, ტაბ.

<sup>15</sup> კოლექციის № 5-993:300

XXX<sub>6</sub>]. საინტერესოა, რომ ისინი დიგორიის ძეგლებისათვის უცნობია.

მეორე სახის საკიდი ყუისთავებით შეერთებული ორმაგი ცულის მარტივი ფორმისაა (ტაბ. III<sub>25</sub>). მათი ზუსტი ანალოგია აღმოჩენილია ფასკაუსა [33, ტაბ. 43<sub>6-8</sub>] და ზედა რუთხის [33, ტაბ. 64<sub>1-4</sub>] სამაროვნებზე. საკიდები თარიღდება პროტოყობანური ხანით ხ16, ნახ. 43<sub>2</sub>].

მესამე სახის საკიდი ძირითადად იმეორებს ზემოთ აღწერილი საკიდის ფორმას, მაგრამ დამატებითი ნაკვთებით – ვერძისთავის სკულპტურული გამოსახულებით და დისკოსებური და ოთხკუთხა გეომეტრიული სახის ნაკვთით, რომელიც მოთავსებულია ვერძის თავის საპირისპირო მხარეს, აგსებს ცულისტეურ ნაკვთებს შორის არეს. ცხოველის სკულპტურული გამოსახულების თავი შემკულია ირიბი ნაჭდევებით, ხოლო ნივთზე დატანილია სამკუთხა ნაჭდევებით შექმნილი გეომეტრიული სახე (ტაბ. III<sub>37</sub>). ასეთი საკიდები ცნობილია ფასკაუს სამაროვნიდან [29, გვ. 279; 33, ტაბ. 13<sub>2-4</sub>; 43<sub>5</sub>], დიგორიიდან [20, ტაბ. LXXV<sub>1</sub>] და კუმბულთიდან [29, ტაბ. XCIII<sub>1</sub>]. პ. უვაროვა მათ ათარიღებს რკინის გამოჩენის ხანით [29, გვ. 279] პ. კოზენკოვა კი პროტოყობანური ეპოქით ხ16, ნახ. 43<sub>1</sub>.

მსგავსი საკიდის საინტერესო ცალი, რომელიც შედგება ორმაგი ასეთი საკიდისაგან აღმოჩენილი უნდა იყოს ფასკაუში ან კუმბულთაში ხ33, ტაბ. 37<sub>9</sub>].

მეოთხე სახის ბრინჯაოს საკიდი წარმოადგენს ცენტრალურ-ამიერკავკასიური ცულის ფორმის ნაკვთს, რომელიც შემკულია ცხვრის თავის სკულპტურული გამოსახულებით, ხოლო ზედაპირი სამკუთხა ნაჭდევებისა და ზოლების რიგით (ტაბ. III<sub>38</sub>). მისი ზუსტი ანალოგია ცნობილია ფასკაუდან [33, ტაბ. 13<sub>1</sub>].

მრავალფეროვნებით გამოირჩევა საკიდების კიდევ ერთი ჯგუფი, რომელიც წარმოადგენს განზე გაზიდული, სპირალურად ჩახვეულრქებიან ვერძის თავის სკულპტურულ გამოსახულებას. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან რქების ხვიების რიცხვით (ერთნახევარი, ორნახევარი და სამნახევარი) და მათი გაშლილობის მიხედვით (ტაბ. III<sub>39-42</sub>). მსგავსი ნივთები გვხვდება ბრილის 3<sup>1</sup> სამარხიდან, ფასკაუსა და ზემო რუთხის სამაროვნებიდან [33, ტაბ. 43<sub>1-25</sub>; 44<sub>1-4</sub>; 64<sub>16-23</sub>; 65<sub>1-4, 9, 11</sub>]. ბრილის საკიდები დათარიღდებულია ძვ.წ. XVIII-XVI სს. [31, გვ. 243; 32, გვ. 152]. საკიდი ცხვრისთავის სკულპტურული გამოსახულებით ცნობილია ზემო რუთხის ძვ.წ. IX-VIII სს. დათარიღებულია №№ 1, 5, 18 კომპლექსებიდან [20, გვ. 236], თლიას სამაროვნის №№ 56, 17, 23a, 86, 105, 156, 217 სამარხებიდან, რომლებიც დათარიღებულია ძვ.წ. XIV-XIII სს. – სამარხი № 56, ხოლო

დანარჩენი კი – ძვ.წ. XII-X სს. [28, გვ. 14]. ჩვენი აზრით კი, თლიას სამარხები უნდა დათარიღდეს ძვ.წ. IX-VIII სს.

აღსანიშნავია, რომ ვერძისთავიანი საკიდები აღმოჩენილია ზედა ყობანის №№ 9, № 12 და 15 სამარხებში (ე. შანტრის გათხრები). № 12 სამარხი თარიღდება ძვ.წ. VIII საუკუნით [14, გვ. 146], №№ 9 და 15 სამარხები კი – ძვ.წ. XI-IX სს-ით [16, გვ. 85]. ვფიქრობთ, რომ ა. იესენისეული თარიღი – ძვ.წ. VIII საუკუნე, სავსებით შესაფერისი უნდა იყოს ე. შანტრის მიერ გათხრილი დანარჩენი სამარხებისათვის.

ზემო რუთხის (ე. კრუპნოვი), თლიას და ყობანის (ე. შანტრი) საკიდები სტილისტური ნიშნებით განსხვავებულია ბრილისა და მისი ანალოგიური საკიდებისაგან, რაც მათი ქრონოლოგიური სხვაობით უნდა აიხსნას. ბრილის საკიდები, ჩვენი აზრით, უფრო აღრეულები უნდა იყოს და მათი თარიღი არ უნდა განისაზღვროს ძვ.წ. XII საუკუნეზე ადრე.

ვერცხლის თმის სამაგრების (ტაბ. III<sub>28-32</sub>) ანალოგები გვხვდება ზემო რუთხას სამაროვანზე [33, გვ. 127, ტაბ. 49, 25] და თარიღდება ძვ.წ. II ათასწ. ბოლოთი [25a, გვ. 78].

ბრინჯაოს ერთნახევარი ხვიები (ტაბ. III<sub>26,27</sub>) დიდი ხნის განმავლობაში იხმარებოდა, დაწყებული ძვ.წ. II ათასწ. შუახანებიდან ვიდრე ძვ.წ. I ათასწ. შუახანებამდე. ბუნებრივია, რომ მათ ამ ხნის განმავლობაში განვითარების გარევეული გზა გაიარეს, რაც ფორმის ცვალებადობაში აისახა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ბრილის ეს სამგაული თავისი ფორმით (ღეროზე ქედით) ძვ.წ. I ათასწ. დასაწყისით უნდა დათარიღდეს.

ბიკონუსური გიშრის მძივები (ტაბ. III<sub>33</sub>) დამახასიათებელია ამ პერიოდის სამარხებისათვის (ქვასათალი, ნული, ბრილი).

ცისფერი პასტის ოოტები,<sup>16</sup> როგორც ცნობილია, გამოყენებული იყო დროის ხანგრძლივით მონაკვეთში, ამიტომ ჩვენ მათზე აღარ შევჩერდებით.

ამით ვამთავრებთ ბრილის № 12 სამარხის ინვენტრის განხილვას.

ყველივე ზემოთქმულის შედეგად ვფიქრობთ, რომ ბრილის № 12 სამარხი უნდა დათარიღდეს ძვ.წ. XIV საუკუნის დასასრულით და XII საუკუნით. რასაკვირველია, ჩვენ მიერ მიღებული თარიღი შესაძლებელია შემდგომში კიდევაც დაზუსტდეს, მაგრამ ერთი კი ცხადია, ბრილის № 12 სამარხი შუაბრინჯაოს ხანას არ უნდა მიეკუთვნებოდეს. სავსებით სწორედ მიგვაჩნია ბ. კუფტინის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც დიგორიული ძეგლები ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ ყობანის სამაროვანს [22, გვ. 12].

ბრილის № 12 სამარხი თავისი ხასიათით დიდ მსგავსებას იჩენს ჩრდილო კავკასიის შემ-

<sup>16</sup> გამოფენილია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ არქეოლოგიის კათედრის გამოფენაზე. ინახება სსმაგ „მცირე ექსპ. 5-993:103.

დეგ ძეგლებთან: კუმბულთაში – ზემო რუთხის სამაროვანი, გალიათში – ფასკაუს სამაროვანი, რომლებიც გვიანბრინჯაოს ხანის დასაწყისისათვის გაერთიანებული არიან ერთ კულტურულ კერად, განსხვავდებიან კავკასიის სხვა სინქრონული კულტურებისაგან და მათ „დიგორიის“ კულტურად გამოყოფენ [19, გვ. 17].

„დიგორიის“ კულტურის არეალი დიდი არ არის. აღსანიშნავია, რომ ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ძეგლები ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რეგიონებში არ ვრცელდება და, როგორც ზემოთ დავინახეთ, იგი სამხრეთით მხოლოდ ზემო რაჭასა და სვანეთამდე აღწევს. პირველი აღმოჩენის მიხედვით გამოყოფილი ამ კულტურის სახელი დასახუსტებული გახდა მას შემდეგ, რაც მსგავსი ძეგლები აღმოჩნდა რაჭასა და სვანეთში, რამაც საშუალება მისცა. მოცენბეკერს ამ კულტურისათვის ეწოდებინა „რაჭა-დიგორიის“ კულტურა [33, გვ. 17]. ჩვენ საგვებით ვიზიარებთ ამ მოსაზრებას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „რაჭა-დიგორიის“ კულტურის არეალში სვანეთის ჩრდილო რეგიონიც უნდა ვიგულისხმოთ.

„რაჭა-დიგორიის“ კულტურა, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ყობანის კულტურას, აღმოცენებული არ ჩანს წინამორბედი კულტურის ტრადიციებზე, მაგრამ ეს უკვე ცალკე პალეოს საგანია.

**L. Pantskhava, V. Maisuradze,  
G. Gobejishvili**

### TOWARD DATING BURIAL № 12 EXCAVATED AT BRILI NECROPOLIS IN 1939 (Summary)

Brili necropolis is situated 2 km north-westward of the village of Ghebi, Highland Racha. More than 200 burials have been excavated here, though cist № 12 and pit burial № 31 differ somewhat from the others. Despite the constructional distinctions of the above burials, grave goods found there are almost homogeneous. Burial № 12 is actually a two-tiered cist containing a quantity of bronze weapons, standards and jewellery. The burial has been dated to the Middle Bronze Age.

The analysis carried out, involving archaeological parallels, suggests a rather different chronology allowing to date it to the end of the 14<sup>th</sup> and beginning of the 12<sup>th</sup> centuries B.C.

### ლიტერატურა

1. გობეჯიშვილი გ. ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები, ისტორიის მეცნ. კანდ. სა-

მეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი, თბ., 1942.

2. გობეჯიშვილი გ. არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., 1952.

3. გოგაძე ელ. თრიალეთის ყორდანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი. თბ., 1972.

4. ლორთქიფანიძე თო. არგონავტიკა და ძველი კოლხეთი. თბ., 1986.

4a. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.

5. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991.

6. საქართველოს ისტორიის ნარკვეგები, I, საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნეები. თბ., 1970, გვ. 201-242.

7. დაბბაშიძე ირ. სამცხე ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში, ავტორევერატი ისტორიის მეცნ. კანდ. სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1999.

8. ჩუბინაშვილი ტ. მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1957.

9. ჯაფარიძე თო. არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში. თბ., 1969.

10. Алексеева Е. М. Античные бусы Северного Причерноморья. – САИ, Г 1-12, М., 1978.

11. Гогадзе Э. М., Панцхава Л. Н. Колхицкая культура эпохи бронзы и раннего железа. – ВГМГ, XLII-B, 1989, с. 35-40.

12. Джапаридзе О. М. Квасатальский могильник эпохи бронзы в Юго-Осетии. – КСИИМК, 60, 1955, с. 23-30.

13. Иессен А. А. Прикубанский очаг металлургии и металлообработки в конце медно-бронзового века. – МИА, 23, М.-Л., 1951, с. 75-124.

14. Иессен А. А. Археологические памятники Кабардино-Балкарии. – МИА, 3, 1941, с. 7-50.

15. Козенкова В. И. Типология и хронологическая классификация предметов кобанской культуры. – САИ, Вып. 2-5, М., 1982.

16. Козенкова В. И. Культурно-исторические процессы на Северном Кавказе в эпоху поздней бронзы и в раннем железном веке, М., 1996.

17. Козенкова В. И. Материальная основа быта кобанских племен, Западный вариант. – САИ, Вып. 2-5, М., 1998, с. 5-114.

18. Кореневский С. И. Втульчатые топоры оружие ближнего боя эпохи средней бронзы Северного Кавказа. – Кавказ и Средняя Азия в древности и средневековье, М., 1985, с. 20-41.

19. Крупнов Е. И. Материалы по археологии Северной Осетии докобанского периода. – МИА, 23, 1951, с. 17-74.

- 20. Крупнов Е. И.** Древняя история Северного Кавказа. М., 1960.
- 21. Куфтин Б. А.** К вопросу о ранних стадиях бронзовой культуры на территории Грузии. – КСИИМК, VIII, 1940, с. 5–35.
- 22. Куфтин Б. А.** Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.
- 23. Куфтин Б. А.** Археологическая маршрутная экспедиция в Юго-Осетию и Имеретию. Тб., 1949.
- 24. Куфтин Б. А.** Материалы к археологии Колхиды. I, Тб., 1949.
- 25. Лордкипанидзе О. Д.** Наследие древней Грузии. Тб., 1989.
- 25а. Марковин В. И.** Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы (II тыс. до н.э.). – МИА, 3, 1960.
- 26. Техов Б. В.** Позднебронзовая культура Лиахвского бассейна. Сталинир, 1957.
- 27. Техов Б. В.** Центральный Кавказ в XVI-X вв. до н.э. М., 1977.
- 28. Техов Б. В.** Тлийский могильник, I, Тб., 1980.
- 29. Уварова П. С.** Могильники Северного Кавказа. МАК, VIII, М., 1900.
- 30. Чартолани Ш. Г.** К истории нагорья Западной Грузии доклассовой эпохи. Тб., 1989.
- 31. Gagoshidze I.** in: Unterwegs zum Goldenen Vlies. Archäologische funde aus Georgien, Saarbrücken, 1995.
- 32. Koridze I.** in: National Treasures of Georgia, Catalog, Philip Wilson Publishers, London, 1999.
- 33. Motzenbäcker I.** Sammlung Kossnierska, B. 3. Berlin, 1996.

### ტაბულების აღწერილობა

- ტაბ. I – 1-4. ბრინჯაოს შტანდარტები (5-993:37, 32, 33, 34); 5-9. ბრინჯაოს ცულები (5-993:35, 34, 38, 36, 39).
- ტაბ. II – 1-14. ბრინჯაოს შუბისპირები (5-993:40-51); 15-21. ბრინჯაოს სატევრები (5-993:54-60).
- ტაბ. III – 1-12. ბრინჯაოს დისკოსებურთავიანი საკინძები (5-993:74, 76, 79, 73, 77, 81, 80, 83, 75, 84, 78, 82); 13-23. ბრინჯაოს სამაჯურები (5-993:70, 71, 63, 67, 62, 64, 65, 72, 69, 68, 66); 24, 25, 37-42. ბრინჯაოს საკიდები (5-993:86, 85, 90, 91, 96, 98-100);<sup>17</sup> 28-32. ვერცხლის თმის სამაგრები (5-993:101); 26-27. ბრინჯაოს ერთნახევარი ხვიები (5-993:93,


92); 33. გაშრის მძივები (5-993:102); 34-36. რკინის საკინძების თავისა და ღეროს ნატეხები.


### Description of the Plates

- Pl. I – 1-4. bronze standards (5-993:37, 32, 33, 34); 5-9. bronze axes (5-993:35, 34, 38, 36, 39).  
 Pl. II – 1-14. bronze spearheads (5-993:40-51); 15-21. bronze daggers (5-993:54-60).  
 Pl. III – 1-12. bronze disk-head pins (5-993:74, 76, 79, 73, 77, 81, 80, 83, 75, 84, 78, 82); 13-23. bronze bracelets (5-993:70, 71, 63, 67, 62, 64, 65, 72, 69, 68, 66); 24, 25, 37-42. bronze pendants (5-993:86, 85, 90, 91, 96, 98-100); 28-32. bronze hair pins (5-993:93, 92); 26-27. bronze one and a half volutes (5-993:101); 33. jet beads (5-993:102); 34-36. fragments of head and stem of an iron pin.


<sup>17</sup> საკიდები ვერბისთავის გამოსახულებით კოლ. № 5-993:94, 95, 97 გამოფენილია თსუ არქეოლოგიის კათედრის გამოფენაზე.

ঋণ. ।





ტაბ. III



## ელენური გიგოლაშვილი

### ბერცხლის არიბალოსი განილან

ნაშრომში<sup>18</sup> შესწავლილია ვანის ძვ.წ. V ს. № 11 მდიდრული სამარხის ერთ-ერთი მეტად საინტერესო მონაპოვარი – ვერცხლის არიბალოსი (სურ. 1). მას მრგვალი ტანი აქვს; ტანის ზედა და ქვედა ნაწილები შემკულია ე.წ. „ენების“ ორნამენტით (ან ლოტოსის გაშლილი ყვავილის ფურცლებით). ამ ფურცლებს შორის შექმნილ ფრიზზე, გრავირებით შესრულებული სფინქსების მსვლელობის სურათია წარმოდგენილი. არიბალოსი ლეკითოსის სებურპირიანია, ყურების ადგილზე ფრინველების გამოსახულებებია მოთავსებული. ჭურჭლის ძირს ქვემოდან გაოთხმაგებული ლოტოსის გამოსახულება ამკობს. სამარხში არიბალოსი ნაპოვნი იყო ხუფთან ერთად, რომელიც თავის დროზე ყურზე მიმაგრებული ყოფილა ძეწკვით. ჭურჭლის სიმაღლე 9 სმ-ია, პირის დიამეტრი – 3,5 სმ, ტანის დიამეტრი – 7,5-8 სმ [2, გვ. 24, სურ. 210; 3, გვ. 90, სურ. 404; 4, გვ. 94, სურ. 11].



სურ. 1

ცნობილია, რომ არიბალოსი ზეთის შესანახად განკუთვნილი ჭურჭელია, სფეროსებური ან ნახევარსფეროსებური ფორმის, რომელსაც ზონარზე ჩამოკიდებულს ხმარობდნენ. იგი ფართოდ გავრცელდა საბერძნეთში ძვ.წ. VII საუკუნიდან. არიბალოსი ორი ძირითადი ტიპისაა: უფრო ადრეული – რომელსაც ფართო, დისკოს ფორმის პირი აქვს, და გვიანდელი – უფრო ვიწრო, ნახევარსფეროსებურპირიანი, მას ლეკითოსისებურს უწიდებენ. პირველი – კორინთული

ტიპის არიბალოსია, მეორე – ატიკური ტიპისა [16, გვ. 194].

კორინთული ტიპის არიბალოსის გავრცელება მხოლოდ კორინთოთი არ იფარგლება. იგი გვხვდება როგორც კორინთული ტიპის ეტრუსკულ მინაბაძებში, ასევე ლაკონიის, ბეოტიის, აგრეთვე აღმოსავლეთ-ბერძნულ ნაწარმშიც. კორინთული ტიპის ბრინჯაოს არიბალოსები ნაპოვნია დელფოში, სპარტაში, სიცილიაზე. კორინთული არიბალოსი ატიკაშიც გაპონდათ. ძვ.წ. VI საუკუნის შეა ხანებიდან ისინი მოხატულ ატიკურ ჭურჭლებზეა წარმოდგენილი – ჯერ შავფიგურულ, ხოლო შემდეგ ადრეულ წითელფიგურულ ვაზებზე. ძვ.წ. VI ს. ბოლოსთვის კორინთული ტიპის არიბალოსი ატიკური ჭურჭლის მოხატულობიდან ქრება და აღვილს უთმობს ატიკურ ტიპს [1, გვ. 123-124; 16, გვ. 195-197].

როგორც ზემოთ აღინიშნა, ვანის არიბალოსი სწორედ ატიკური ტიპის ლეკითოსისებურპირიანი ჭურჭელია და ოთ. ლორთქიფანიძე მას ატიკური სახელოსნოს ნაწარმად მიიჩნევს. მისი აზრით, „სფინქსების თავი (მოკლედ შეჭრილი და შებლზე აქოჩრილი თმა) და გაორმაგებული მომრგვალებული ფრთები თითქოს იმეორებენ ატიკურ ტიპს, რომელიც წარმოდგენილია ბრიტანეთის მუზეუმის ორ წითელფიგურულ რიტონში, სფინქსის რომ წარმოსახავს. მათგან ერთი – ძვ.წ. V ს. მეორე მეოთხედში მოღვაწე ცნობილი ატიკელი ოსტატის – სოჭადის ნახელავია, ხოლო მეორე – პისტოქსენის. სფინქსებს წინა თათი ზეაწეული აქვთ და ადამიანის ხელისა და თითების სახითაა გაფორმებული, რაც სრულიად უჩვეულოა ატიკური და საერთოდ ბერძნული ტიპის სფინქსის გამოსახულებებისათვის. ადამიანისხელიანი (ზეაწეული) სფინქსი გამოსახულია თითქოს ერთ-ერთ ევბეურ შავფიგურულ ლეკითოსზე“ [2, გვ. 24].

კ. მაჩაბელი, თუმცა კი ვანის არიბალოსის სტილისტურ ანალიზს არ იძლევა, მაგრამ მის მიერ გამოცემულ ვერცხლის სხვადასხვა ნიმუშების კატალოგში მოკლედ აღნიშნავს, რომ ჭურჭლის (ე.ი. არიბალოსის) „გრაფიკულ სამკაულში აღმოსავლური პროტოტიპების ზეგავლენა იგრძნობა“ [4, გვ. 94].

აღსანიშნავია ჯ. ბორდმანის მოსაზრება, გამოთქმული მის მოხსენებაში ვანის 1987 წლის სიმპოზიუმზე – „მე მეჩვენება, – წერს იგი, რომ ცნობილ ორნამენტირებულ არიბალოსს ვანიდან, ბევრდ მეტი აქვს საერთო ანატოლიურ, შესაძლოა ლიდიურ, ბერძულ-სპარსულ ვერცხლის ნაწარმთან, ვიდრე მატერიალური საბერძნეთის ნიმუშებთან. იგი შეიძლება შევადაროთ ორნამენტირებულ ვერცხლისა და მოქრულ ვერცხლის ნივთებს შავი ზღვის ჩრდილოეთ რაიონე-

<sup>18</sup> სტატია ოდნავ შემოკლებული სახით დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე: Ancient Greeks West and East, Brill, Leiden-Boston-Köln, 1999, გვ. 605-613.

ბიდან, – ისეთს, როგორიცაა მაგალითად კელერ-მესის რიტონი“ [17, გვ. 197].

ასეთია დღესდღობით, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული, ერთმანეთისგან განსხვავებული აზრი ვანის არიბალოსის შესახებ. იმისთვის, რომ ჩემი დამოკიდებულება გამოვხატო ამ საკითხისადმი, არიბალოსის ანალიზს მივუძრუნდები. პირველ რიგში კი სფინქსების გამოსახულებებს შევეხები. ისინი გრავირებითა შესრულებული. ცხვირი დიდი ზომისა აქვთ. თავზე თმა წერტილებითა აღნიშნული. ტანი და კისერი დაფარულია წვრილი, ჰორიზონტალური მოკლე ხაზების მწკრივებით. ფრთები ბუმბულის აღმნიშვნელი ორრიგა ხაზებისგანაა შემდგარი, მომრგვალებულია, სფინქსების თავისკენ გადახრილი და ოდნავ წაწვეტებული. ყოველ სფინქსს მარჯვენა წინა თათი აწეული აქვს. კუდიც აწეულია და ლათინური ასო S-ის მსგავსი ფორმა აქვს მიღებული. ფეხები ორმაგი ხაზებით ორ ნაწილადაა გაყოფილი. სფინქსების ტანი თითქოს ოდნავ დამძიმებულია, უხეშად მოყვანილი. დარღვეულია ნახატის პროპორციები. ერთნაირი ფორმის არ არის სფინქსის ფურებიც – ზოგის უფრო დიდია, ზოგის პატარა. კუდი ზოგი სფინქსის შემთხვევაში ფრთას ეხება, ზოგან კი ფრთასა და კუდს შორის საკმაო მანძილია დატოვებული. ასევეა ფრთაც, ზოგიერთ შემთხვევაში იგი სფინქსის თავს თითქმის ეხება თავისი წვეტიანი ბოლოთი. ერთნაირი არ არის სფინქსების ტანის კონტური, არც აწეული ხელის მოყვანილობა. კუდის ბოლოებიც სფინქსებს ერთნაირად არა აქვთ შესქელებული.

სფინქსების ფრიზი ზემოდან და ქვემოდან შემოსაზღვრულია „ენების“ ორნამენტით. მათი სფინქსებისკენ მიმართული მხარეები მომრგვალებულია და ორმაგი კონტურით შესრულებული. „ენების“ შორის ხუთფურცლითან პალმეტებია ჩასმული. ასეთი „ენები“ (ან ფურცლები) ერთ-ერთი საკმაოდ გავრცელებული ბერძნული ორნამენტია [13, გვ. 223]. ძალზე ხშირად გამოიყება იგი როდოსულ-იონიური კერამიკის მოხატულობაში, განსაკუთრებით კი „ორიენტალიზებული“ ჯგუფის კერამიკის, რომელიც აერთიანებს მცირე აზიის სანაპიროს სხვადასხვაც ცენტრების სახელოსნოებს, ძირითადად კი ჩრდილოეთ იონიისას [9, გვ. 25]. იქ (როდოსულ-იონიურ კერამიკაში) „ენების“ შორის პალმეტები კი არ არის, როგორც ვანის არიბალოსზე, არამედ სამკუთხა ფორმის ე.წ. „ისრისებური“ ფიგურებია. ეს ტექნიკური ხერხი გამოყენებულია კელერმესის ვერცხლის სარკისა და ვერცხლის რიტონის შემკულობაში [12, გვ. 287; 13, გვ. 223]. ვანის არიბალოსზე „ენების“ შორის ჩახატულია პალმეტები, და თუ „ენების“ კონტური მეტ-ნაკლები სიზუსტითაა დატანილი, იგივეს ვერ ვიტყვით პალმეტებზე. ისინი სხვადასხვაზომისაა, სხვადასხვა ფორმის, ერთნაირი სიზუსტით არ არიან „ენების“ შორის მოთავსებული. განსაკუთრებით ეს ეხება ქვედა რიგის პალმეტებს. ზედა პალმეტები საერთოდ უფრო დიდიცაა. ვინაიდან ხუთფურცლიან პალმეტში შუა

ფურცელი საკმაოდ გრძელია სხვებთან შედარებით, ჩემი აზრით, აქ თითქოს დაცულია გეომეტრიზმის პრინციპი – პალმეტებს შესაძლოა სამკუთხა ფორმა აქვს მიცემული (სურ. 2).



სურ. 2

არიბალოსის ძირი, როგორც უკვე აღინიშნა, შემკულია გაოთხმაგებული ლოტოსის ყვავილის გამოსახულებით. ეს ძალზე ძველი ორნამენტული მოტივია, ასირიული ხელოვნებიდან გაღმოღებული [9, გვ. 9]. გაოთხმაგებული ლოტოსი, როგორც თვლის პ. პეინი – ეს არის ლოტოსის ყვავილებისა და კოკრებისგან შემდგარი გამოსახულების გადამუშავება ოთხკუთხა სივრცის შესავსებად [19, გვ. 147]. ანალოგიური ორნამენტული მოტივები გვხვდება როდოსულ-იონიურ ჭურჭელზეც, სადაც ისინი ამკობენ თევზებს, უფრო იშვიათად კი ონოხოიას მსგავსი ჭურჭლის ძირებსაც [9, გვ. 9-10]. ეს ორნამენტი გვხვდება აგრეთვე მოსართავად განკუთვნილ არქიტექტურულ დეტალებზე, მაგალითად პერახორაში; აღმოჩნდა იგი სარდის გათხრების დროსაც და სხვ. [20, გვ. 146; 21, გვ. 18, 36].

ვანის არიბალოსის ძირზე მოთავსებული გაოთხმაგებული ლოტოსის ყვავილის გამოსახულებაც დაუდევრად არის შესრულებული. ყვავილებს შორის მოქცეული კოკრები არათანაბარი ზომისაა, თვით ლოტოსის ყვავილის ფურცლების რაოდენობაც სხვადასხვაა, ერთი – ცამეტ-ფურცლიანია, ერთი – თერთმეტფურცლიანი, ორიც – ათფურცლიანი (სურ. 3).

ვანის არიბალოსის ასეთი ანალიზის საფუძველზე შესაძლებლად მიმაჩნია, რომ ჭურჭლის შემკულობა აღმოსავლური წრის ხელოვნების ტრადიციებზე აღზრდილ ხელოსანს მივაწერო. პირველ რიგში ამას მაფიქრებინებს სწორედ ნახატის დაუდევრად შესრულებული, არათანაბარი ზომის დეტალები, აგრეთვე სფინქსების არაპროპორციული გამოსახულებები. მსგავსი რამ, როგორც ცნობილია, უჩვეულოა ბერძნული ხელოვნებისთვის. ბერძენი მხატვრებისთვის დამახასიათებელია ნათელი, მკაფიო და მწყობრი კომპოზიციები [12, გვ. 284]. ბერძენი ოსტატი ნახატს მეტად გულმოდგინედ ასრულებდა, გა-

მოსახულებათა პოზებს, რაკურსსა და ცალკეულ წვრილმან დეტალებს, იქნებოდა ეს თვალი, თათი თუ ბუმბული, ზედმიწევნით ზუსტად ამუშავებდა [6, გვ. 102]. კანონიკური ნორმებიდან გადახრა ატიკური სკოლისთვის ჩვეულებრივ არ იყო დამახასიათებელი.



სურ. 3

მეორე, რაზედაც ყურადღებას შევაჩერებ, ორნამენტის დატანის ტექნიკაა. ამგვარი ტექნიკით შესრულებული ნახატი, როგორიცაა წვრილი ჭდეებით (ან შტრიხებით) ბეწვის აღნიშვნა, ატიკური ხელოვნების ნიმუშებზე არ გვხვდება, მაგრამ იყი ტიპიურია აღმოსავლური წრის ძეგლებისთვის. ჰასანლუს ციხე-სიმაგრის გათხრისას (ურმის ტბასთან) აღმოჩენილი იყო ოქროს თასი, რომელზედაც ცხოველების ბეწვი წვრილი, წყვეტილი ხაზებით იყო გამოსახული. გამოთხრელების აზრით, ამ თასის დამზადების ტექნიკა და სტილი მოწმობენ აქ ახალი, ადგილობრივი ტორევტიკული სკოლისა და მსხვილი მხატვრული ცენტრის არსებობას ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში [7, გვ. 69].

მსგავსი ტექნიკური ხერხით ორნამენტირებული ოქროსა და ვერცხლის სხვადასხვაგარი ჭურჭელი, საკმაო რაოდენობით აღმოჩნდა მარლიკის სამაროვანზე ირანში. ჰასანლუს თასთან შედარებით ისინი რამდენადმე გვანდელია [11, გვ. 66-67]. თითქმის ყველა ჭურჭლისთვის დამასასიათებელია ორნამენტის საერთო ტექნიკური ხერხები: მაღალი ან დაბალი რელიეფი, წყვეტილი ხაზების-ჭდეების განსაკუთრებული ტრასირება ბეწვისა და ფაფრის აღსანიშნავად, ორნამენტული მოტივები (როტული ვარდულები, რომლებიც ჭურჭლის ძირებს აძვობენ, „წნული“ ორნამენტი და სხვ.) [7, გვ. 62]. მარლიკის ძეგლებს სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში მანას სამეფოს კულტურას უკავშირებენ [2, გვ. 20]. V-IV პერიოდის ჰასანლუც განხილულია, როგორც მანას სახელმწიფოს ერთ-ერთი ცენტრი [7, გვ. 63]. აქედან (ე.ი. მანას სამეფოდან), დაახლოებით ძვ.წ. VIII საუკუნისთვის სამკაულისა და ლითონის ჭურჭლის დამუშავების ეს

ახალი ხერხი ვრცელდება მახლობელ აღმოსავლეთში, კავკასიაში, შემდეგ კი მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთში [2, გვ. 20].

ამრიგად ვფიქრობ, რომ ვანის არიბალოსი ატიკური სახელოსნოს ნაწარმი არ უნდა იყოს. არ არის გამორიცხული, რომ იგი იონიური საბერძნების საწარმოო ცენტრშია დამზადებული, სადაც ამ დროს ახლო-აღმოსავლური ხელოვნების ძლიერი ზეგავლენა იგრძნობა. არიბალოსის შემჯულობა, მისი ორნამენტი, ძალზე წააგავს როდოსულ-იონიური კერამიკის „ორიენტალიზებული“ ჯგუფის ჭურჭლის მოხატულობას: ასეთივე, ორმაგი კონტურით დატანილი „ენები“, მოუქნელი ფიგურები. როდოსულ-იონიურ ჭურჭელზე ცხოველის ფიგურების გადმოცემისას, მხატვარი მათ ფეხებზე ბეწვს ორმაგი ირიბი ხაზებით გამოყოფდა [12, გვ. 287]. იგივე ხერხია გამოყენებული არიბალოსის მომხატველი ხელოსნის მიერაც – სფინქსების ფეხებზეც ბეწვი ორმაგი ხაზითაა გამოყოფილი. დამახასიათებელია აგრეთვე ფრთების დამუშავებაც – ისინი სფინქსებს ბეჭებზე კი არა აქვთ დამაგრებული (თითქოს ბეჭებიდან ამოზრდილი), როგორც ეს ატიკური ტიპის სფინქსს ახასიათებს, არამედ თავისი ბუმბულით ფარავენ სფინქსების მკერდსაც – რაც ასევე ხშირად გვხვდება ფრთების გადმოცემისას აღმოსავლურ-ბერძნული ხელოვნების ძეგლებზე [12, გვ. 288, შდრ. 22, გვ. 249], მაგრამ არიბალოსის სფინქსებს ფრთები ბუმბულის აღმნიშვნელი ორ-რიგა ხაზებისგან აქვთ შედგენილი, მაშინ როდესაც, როდოსულ-იონიურ გაზებზე ფრთების ბუმბული ძირითადად ერთი რიგითაა მოცემული. არიბალოსის სფინქსების ფრთების მოხაზულობა, ბუმბულის ორ რიგად დატანა, ფრთების ნამგლისებური ფორმა – ძალზე ტიპიურია ფრინველების, სფინქსების და სხვა ფანტასტიკურ არსებათა გამოსახულებებისთვის აქმენიდურ ეპოქაში. ფრთების ამგვარი გამოხატვა აქემენიდურ ხელოვნებას განასხვავებს ასირიის, ლურისტანის, მარლიკის ძეგლების უფრო ადრეული ხელოვნებისაგან, სადაც ფრთა ძირითადად ან სწორადაა გადმოცემული ან, რაც უფრო იშვიათია, კუთხეს ქმნის [10, გვ. 17; 15, გვ. 196]. ჩვენი არიბალოსის სფინქსების ფრთების იკონოგრაფიული სქემა, ვფიქრობ სწორედ აქემენიდური ხელოვნების სტილისტურ თავისებურებას წარმოადგენს [5, გვ. 44].

აღსანიშნავია არიბალოსის კიდევ ერთი დეტალი – ფრინველისგამოსახულებიანი ყურები. საერთოდ ფრინველის გამოსახულებები საკმაოდ კარგად არის ცნობილი და ხშირად გვხვდება როგორც ბერძნულ სამყაროში, ისე აღმოსავლური წრის ხელოვნების ძეგლებზეც. მაგრამ ამ შემთხვევაში მე მეჩვენება, რომ ვანის არიბალოსის იხვის (?) გამოსახულებას უფრო აქემენიდური ხელოვნებისთვის დამახასიათებელი იერი აქვს – ტანი პროფილშია, თავი კი უკან, ზურგის სკენ აქვს მიბრუნებული, პოზა, რომელიც აღმოსავლური მხატვრული რეპერტუარიდან

არის გადმოღებული [8, გვ. 118; 14, გვ. 70; 15, გვ. 194; 18, გვ. 29].

საბოლოოდ მინდა აღვნიშნო, რომ, ჩემი აზრით, ვანის ვერცხლის არიბალოსი წარმოადგენს ხელოვნების შესანიშნავ ნიმუშს, რომელშიც შერწყმულია როგორც ატიკური (იგულისხმება ფორმის ძირითადი პრინციპი), ასევე იონიური, „ორიენტალიზებული“ სტილის მოტივები, ხოლო ზოგიერთ დეტალში აშკარად იჩენს თავს აქემენიდური ხელოვნებისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

### E. Gigolashvili

#### SILVER ARYBALLOS FROM VANI

(Summary)

The paper deals with a silver aryballos found at Vani city site in a richly furnished burial № 11 dated to the mid-5<sup>th</sup> cent. B.C. Its spherical body is decorated with “tongue pattern”. The central band bears the representation of a chain of marching sphinxes. A quadruple lotus is depicted on the bottom, while the handles are elaborated in the shape of birds. All ornaments are incised. Due to the lekythoid rim of the aryballos, it can be attributed to the so-called “Attic style”.

The Attic origin of the above aryballos has already been suggested by O. Lordkipanidze, while J. Boardman attributes it to Lydian “Graeco-Persian” specimens. According to the author, the Vani aryballos must have been manufactured in Ionian Greece, revealing strong influences of the Near Eastern art of the moment. The Vani aryballos represents a kind of combination of the attic shape, Ionian “orientalizing” style and some elements characteristic of Achaemenid art.

### ლიტერატურა

1. ლორთქიფანიძე ოთ. ანტიკური არქეოლოგია. თბ., 1971.

2. ლორთქიფანიძე ოთ. ვანის ნაქალაქარი. – ვანი I, თბ., 1972, გვ. 7-42.

3. ლორთქიფანიძე ოთ. ტორევტიკა. – ვანი VII, თბ., 1983, გვ. 89-91.

4. მაჩაბელი ქ. ძველი საქართველოს ვერცხლი, თბ. 1983.

5. ჭუონია ა. ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. – ვანი VI, თბ., 1981.

6& Грач Н. Л. Круглодонные серебряные сосуды из Кургана Куль-Оба. – ТГЭ, XXIV, 1984, с. 100-109.

7. Дандамаев М. А., Луконин В. Г. Культура и экономика древнего Ирана. М., 1980.

8. Кисель В. А. Стилистическая и технологическая атрибуция серебряного зеркала из Келермеса. – ВДИ, № 1, 1993, с. 111-125.

9. Копейкина Л. В. Родосско-ионийская керамика VII в. до н.э. с острова Березань и ее значение для изучения раннего этапа существования поселения. – Художественные изделия античных мастеров, Л., 1982, с. 6-35.

10. Кузьмина Е. Е. Золотая пластина с птицами из Амударьинского клада. – КСИА, 159, 1979, с. 16-21.

11. Луконин В. Г. Древний и раннесредневековый Иран. М., 1987.

12. Максимова А. И. Серебряное зеркало из Келермеса. – СА, XXI, 1954, с. 281-305.

13. Максимова А. И. Ритон из Келермеса. – СА, XXV, 1956, с. 215-235.

14. Тирацян Г. А. Некоторые черты материальной культуры Армении Закавказья V-IV вв. до н.э. – СА, № 3, 1964, с. 64-68.

15. Тирацян Г. А. Золотая пектораль из Армавира. – СА, № 4, 1968, с. 190-198.

16. Beazly J. D. Aryballos. – ABSA, XXIX, 1927-1928, p. 187-223.

17. Boardman J. Perceptions of Colchis. – Причерноморье VII-V вв. до н.э. Письменные источники и археология. Материалы V международного симпозиума по древней истории Причерноморья. Вани – 1987. Тб., 1990, p. 195-197.

18. Negahban E. O. A preliminary report on Marlak excavation. Teheran, 1964.

19. Payne H. Necrocorinthia, Oxford, 1931.

20. Payne H. et al. Perachora I, Oxford, 1940.

21. Shear Th. L. Architectural Terracottas (Sardis Terracottas), vol. X, Cambridge MCMXXVI.

22. Wright J. C. A poros Sphinx from Corinth. – Hesperia, vol. 46, N 3, 1977, p. 245-254.

### სურათების აღწერა

სურ. 1. ვერცხლის არიბალოსი.

სურ. 2. ვერცხლის არიბალოსის ჭანის ფრაგმენტი; „ენებს“ შორის მოთავსებულია სფინქსების გამოსახულებები.

სურ. 3. არიბალოსის ძირი, ორნამენტირებულია გაოთხმაგებული ლოტოსის ყვავილის გამოსახულებით.

### Description of the Figures

Fig. 1 – silver aryballos.

Fig. 2– fragment of the body of the silver aryballos: sphinxes are represented among “tongues”.

Fig. 3 – the bottom of the aryballos decorated with a quadruple lotus ornament.

## ქეთეგან რამიშვილი

### აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ზოომონიტული გამოსახულებანი (ჯიხი, ვერდი)

მცირე პლასტიკის იმ ძეგლებს შორის, რომელიც მოპოვებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთისა და მთის სამარიგებზე და რომლებიც სამარხეული კომპლექსების მიხედვით თარიღდება ა.წ. II-IV სს-ით, საყურადღებო ადგილი უჭირავს ჯიხვისა და ვერძის გამოსახულებებს. ისევე, როგორც ადრე განხილულ ცხენისა და ირმის გამოსახულებათა ჯუფში [15, გვ. 67-71; 13, გვ. 71-75; 14, გვ. 60-65], აქაც გვაქვს შესაბამის გამოყენებული ჯიხვის ორი ფიგურა. გარდა ამისა, საკმაოდ მრავლადაა ჯიხვის თავების გამოსახულებები, აგრეთვე ჯიხვების მრგვალი მინიატურული ქანდაკებები, რომლებიც სამარხეულებად (საკიდებად) ყოფილა გამოყენებული. რაც შეეხება ვერძის გამოსახულებებს, ამ ჯუფში გაერთიანებულია მინიატურული ფიგურები, ზურგზე საკიდი რგოლებით. გარდა ამისა, მათი გამოსახულებები გვხვდება სხვადასხვა საგნებზე – სამაჯურებზე, მედალიონზე.

როგორც მინაარსობრივი, ისე მხატვრულ-სტილისტური თავისებურებებით, მცირე პლასტიკის აქ განსახილველი ჯგუფი საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს და მათი გამოქვეყნება, ვფიქრობთ, გარკვეულ წვლილს შეიტანს ქართული პლასტიკური ხელოვნებისა და მატერიალური კულტურის კვლევაში, მაგრამ, ვიდრე განვიხილავდეთ იმ საკითხებს, რომელთა წარმოჭრასა და პასუხის გაცემის საშუალებას იძლევა აღნიშნული მასალა, წარმოგიდგენთ გამოკვლევის კატალოგურ ნაწილს, ჩვენთვის საინტერესო ნივთების მოკლე აღწერილობით.

1. „შესაბნევი“ ჯიხვის გამოსახულებით (09-XLVII-81-42)<sup>19</sup> აღმოჩნდა მე-5 სამარხში. წარმოადგენს მარჯვენა პროფილში მდგარ ჯიხვის ჰორიზონტურ გამოსახულებას, ფაქტობრივად, მრგვალი ქანდაკების ნახევარს. ტორსი უკანა მხრიდან შედრმავებულია, თავი კი მრგვალ ქანდაკებას წარმოადგენს და მარჯვნივ (მაყურებლისკენ) ¾-ით აქვს მობრუნებული. ჯიხვის მარჯვენა, საფასადო მხარე საკმაოდ რეალისტურად აგრეთვე ფიგურული ბოლოვდება. სახეზე თვალები რელიეფური ბურთულებითა გამოსახული. ფოთლისებური მოყვანილობის სტილიზებულ გახრეტილ ყურებში გაყრილი აქვს ბრინჯაოს ბრტყელგანივებეთიანი თითო რგოლი. ასეთივე რგოლები აქვს დრუნჩისა და კუდის ძირზე, რომლებმიც ბრინჯაოს ძეწებების ნაწყვეტილია ჩამობმული. ფეხების წინა და უკანა წყვილები ერთმანეთთან მოკლე გამირებითა გაერთიანებული. უკანა წყვილის გამირზე ჩამოკიდებულია ასევე ბრინჯაოს ძეწები, შედგენილი 35 რგოლისაგან, რომელიც ბოლოვდება ოდნავ გვერდებში ნერებილი, ბრტყელი, მართკუთხა საკიდით. ასეთივე ძეწები (25 რგოლით) ჩამოკიდებულია აგრეთვე წინა ფეხების შემაერთებელ გამირზე.

<sup>19</sup> ინდექსში 09-XLVII-81-42, 09 აღნიშნავს უნივერსიტეტის არქეოლოგიურ ექსპედიციას, მოდევნო რომაული ციფრები უბისი ნომერს. ამ შემთხვევაში XLVII აღნიშნავს წიფრანისძირის სამაროვანს. მომდევნო ციფრი გათხრის წელია, ბოლო ციფრი – ნივთის საველე ნომერი. LXI აღნიშნავს ნებისის, ხოლო XXV – უნივერსიტეტის სამაროვანს. ინდექსში 31-XXII-89-40, 31 აღნიშნავს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას, XXII – ბადრიანების სამაროვანს, 89 – გათხრის წელია, 40 – ნივთის საველე ნომერი.

და გადმოცემული. ტორსის ამოზიდული (მკერდი, გავა) და შედარებით ჩაწეული (წელი) პლასტიკური მასების მონაცემებით მიღწეულია მოცულობითი ეფექტი. ფიგურის გამომსახულობას აძლიერებს ნესტორებდაბერილი წინ გამოწეული დრუნჩი და ამაყად აზიდული შორეთში მაცქერალი, რქებით დამშვენებული თავი. მის დიდებულებას კიდევ უფრო ამკვეთობებს განვრეტილ ყურებში ჩაბმული მრგვალფირფიტოვანი საყურებები. უკანა (არახილულ) მხარეზე ბრინჯაოს ღეროებით პირობითად გამოსახული ფეხები გამოყენებული ყოფილა რკინის ნემსიანი შესაბნევის მოსაწყობად. ფეხების წინა და უკანა წყვილები ერთიმეორესთან ბრინჯაოს მოკლე გამირებითაა შეერთებული, რაზეც საკიდებიანი ძეწებები უნდა ყოფილიყო ჩამობმული. ზომები: სიგრძე – 5 სმ, სიმაღლე – 6,2 სმ, თავის სიგრძე – 1,1 სმ (ტაბ. I<sub>2</sub>).

2. „შესაბნევი“ ჯიხვის გამოსახულებით, ვერცხლის (09-XLVII-83-180(4)). აღმოჩნდა დანგრეულ მე-20 სამარხში. წარმოადგენს მარჯვენა პროფილში გამოსახულ მაღალ რელიეფში შესრულებულ ფიგურას, რომელსაც თავი მარჯვნივ (მნახველისკენ) აქვს მობრუნებული და სახით ანფასშია. ფიგურის ტორსი საფასადო მხარეს საკმაოდ რეალისტურად არის დამუშავებული, უკანა მხრიდან შედრმავებულია, თავი კი მრგვალ ქანდაკებას წარმოადგენს. ვერცხლის ჯიხვი მშვიდ სტატიკურ პოზაშია წარმოადგენილი. დეტალურადაა დამუშავებული ჯიხვის თავი, რომელიც ვერტიკალურად აზიდული, გრეხილი რქებით ბოლოვდება. სახეზე თვალები რელიეფური ბურთულებითაა გამოსახული. ფოთლისებური მოყვანილობის სტილიზებულ გახრეტილ ყურებში გაყრილი აქვს ბრინჯაოს ბრტყელგანივებეთიანი თითო რგოლი. ასეთივე რგოლები აქვს დრუნჩისა და კუდის ძირზე, რომლებმიც ბრინჯაოს ძეწებების ნაწყვეტილია ჩამობმული. ფეხების წინა და უკანა წყვილები ერთმანეთთან მოკლე გამირებითა გაერთიანებული. უკანა წყვილის გამირზე ჩამოკიდებულია ასევე ბრინჯაოს ძეწები, შედგენილი 35 რგოლისაგან, რომელიც ბოლოვდება ოდნავ გვერდებში ნერებილი, ბრტყელი, მართკუთხა საკიდით. ასეთივე ძეწები (25 რგოლით) ჩამოკიდებულია აგრეთვე წინა ფეხების შემაერთებელ გამირზე.

ჯიხვის უკანა (არახილული) შედრმავებული მხარე დამუშავებულია სქემატურად და მოსაწყობადაა გამოყენებული. უკანა ფეხის აღმნიშვნელ ღეროზე დახვეული ყოფილა რკინის ენის ფუქე, რომლის ნაშთიც ზედვება შემონახული, ენის წვერი კი წინა ფეხზე გამოყვანილ კაუჭში იქნებოდა ამოდებული. ამჟამად წინა ფეხის ნაწილი კაუჭითურთ მოტეხილია.

გამოსახულება დამზადებულია ყალიბში ჩამოსხმის წესით, დანარჩენი ატრიბუტები (ნემსი, ძეწვები, საკიდები და სხვ.) შემდეგ არის დამზადებული. ზომები: ფიგურის სიგრძე – 4,8 სმ, სიმაღლე – 6,8 სმ, თავის სიგრძე – 1,6 სმ (ტაბ. I).

3. ჯიხვის თავი, ვერცხლის, ნაკლული (09-LXI-86-520). აღმოჩნდა 164-ე სამარხში, რომელიც ზემოდან ედო 163-ე სამარხს. ნივთი მოთავსებული იყო 163-ე სამარხის ზედაპირზე. გამოსახულებას აქვს სქემატური სახე, რომელიც ვერცხლის სქელი ფირფიტის ჭედვითაა დამზადებული. თვალები და დრუნჩი რელიეფური რგოლებითაა შესრულებული. ქვედა ტუჩზე მირჩილული აქვს მცირე რგოლი, რომელშიც მომცრო მოძრავი რგოლი აქვს გამოფებული. თავზე პქონია ნატურალისტურად გამოსახული წყვილი გრეხილი რქა. გამოსახულებას აკლია ერთი რქა და ყური. ზომა: თავის სიგრძე – 2,6 სმ (ტაბ. I<sub>8</sub>).

4. ჯიხვის თავი, ვერცხლი (09-LXI-88-95). აღმოჩნდა 247-ე ქვის სამარხში, დაკრძალულის წელის არეში. წარმოადგენს მთლიანადსხმულ ჯიხვის თავს, სქემატურად დამუშავებული სახით, სადაც თვალები მცირე ბურთულებითაა გამოსახული. აქვს უკან გადაწყობილი, ბრტყელი, გრეხილი რქები. წვრილი მავთულით შესრულებული მრგვალი ყურები კი რქების ძირებზე არის მიერთებული. ყელის არეში აქვს მასიური საკიდი ყუნწი თუ რგოლი. ზომები: თავის სიგრძე – 2,1 სმ, რქების სიგანე წვერში – 4,4 სმ (ტაბ. I<sub>5</sub>).

5. ჯიხვის თავი, ვერცხლის (09-LXI-88-435). აღმოჩნდა სამაროვნის ფართობზე, კულტურულ ფენაში. წარმოადგენს მთლიანადსხმული მაღალრქებიანი თავის სტილიზებულ გამოსახულებას. მომცრო სახეზე თვალები რელიეფური ბურთულებითაა გამოსახული, რომლებიც ასიმეტრიულადაა განლაგებული. ყურებს პირობითად გამოსახავს გრძელი ღეროები, რომლებიც წვერით რქების ზედა ნაწილზეა მიერთებული. შებლზე აზის რელიეფური ბურთულა, რომელიც თვალების გამოსახველ ბურთულებთან ერთად ქმნის გარკვეულ რითმს. თავ-რქის გამოსახულება ზოგადად სამკუთხედის პრინციპზეა აგებული. ყურების ღეროებსა და რქებს შორის ცარიელი სივრცეები აგრეთვე სამკუთხედის ფორმისაა. ყელის არეში მირჩილული აქვს საკიდი რგოლი (ყუნწი). ზომა: თავის სიგრძე 3,8 სმ, რქების სიგანე – 6,5 სმ (ტაბ. I<sub>9</sub>).

6. ჯიხვის თავი, ვერცხლის (09-LXI-88-436). აღმოჩნდა განათხარ ფენაში. წარმოადგენს საკიდ-სამკაულად გამოყენებულ ჯიხვის თავ-რქის სტილიზებულ გამოსახულებას. თვალები გამოსახულია მცირე რელიეფური ბურთულებით, რომლებიც შებლზე დასმულ ასეთივე ბურთულასთან და რქების ზედა წიბოზე განლაგებულ თერთმეტ-თერთმეტ მცირე ბურცობებთან ერთად ქმნის გარკვეულ რითმს. ფოთლისებური მოყვანილობის

განივად გადაშლილი ყურები, რომლებიც სიმეტრიულად ამოზრდილ, ბურცობებიან, გრეხილრქებზე მიკრული, შემსხვილებულ დრუნჩითან ერთად ფიგურას მეტად გამომსახულების ხდის. ყელის არეში მიმაგრებული აქვს მრგვალი მცირე რგოლი საკიდისათვის. ზომა: თავის სიგრძე – 3,8 სმ.

7. ჯიხვის თავი, ბრინჯაოსი (09-LXI-88-466). აღმოჩნდა სამაროვნის აღმოსავლეთ ნაწილში, კულტურულ ფენაში, მიწის ზედაპირიდან 0,6 მ სიღრმეზე. წარმოადგენს მთლიანადსხმულ ჯიხვის თავ-რქის სქემატურ, სამკუთხედისებურ გამოსახულებას. თვალები მცირე წერტილებითაა გამოსახული. ყურები სუსტადა მინიშნებული, რომელთა შორის შუბლიდან ამოზრდილია გრეხილი, სიმეტრიული, ფრონტალურად გაშლილი რქები. მათი ქვედა ნაწილი შებრტყელებულია. კისრის არეში გამოსახულებას მიმაგრებული აქვს საკიდი რგოლი. ზომა: თავის სიგრძე – 2,5 სმ.

8. ჯიხვის ქანდაკება, ბრინჯაოსი (09-LXI-87-195). შემთხვევითი მონაპოვარი, აღმოჩნდა სამაროვნის აღმოსავლეთით, სახლის საძირკვლისათვის ნათხარ მიწაში. წარმოადგენს მთლიანადსხმული ჯიხვის მონოლითურ ფიგურას. ტორსი, გრძელ კისერთან ერთად, სქემატურადა დამუშავებული. მოგრძო სახეზე თვალები წერტილებითაა აღნიშნული. მომცრო ყურებს შორის სიმეტრიულადაა აღმართული წყვილი გრეხილი რქა. კუდი მცირე შვერილითაა გადმოცემული. ასევე სქემატურად გამოსახული ფეხების წინა და უკანა წყვილები ჩლიქის დონეზე ერთმანეთთანაა მიერთებული. ფიგურის მუცელი ქვევიდან შეღრუებულია. ზურგზე დამაგრებული აქვს საკიდი ყუნწი. ზომები: სიგრძე – 6 სმ, სიმაღლე – 5 სმ (ტაბ. I<sub>4</sub>).

9. ჯიხვის ქანდაკება, ბრინჯაოსი (31-XXII-89-91). აღმოჩნდილია მე-9 ორმოსამარხში. წარმოადგენს ჩამოსხმის წესით დამზადებულ, თავით პროფილში გამოსახულ ჯიხვის მრგვალ, სტატიკურ ქანდაკებას. სტილიზებული სახე დაგრძელებული, შემსხვილებული დრუნჩითა და ყურებთან მიერთებული, აზიდული რქებითაა წარმოდგენილი. ფეხების წინა და უკანა წყვილები, ჩლიქის დონეზე, ერთმანეთთანაა შეერთებული. ფიგურა მუცელის მხრიდან შეღრუებულია. მოზრდილი საკიდი ყუნწი უერთდება გრძელ კისერსა და ზურგს. ზომები: სიგრძე – 6,21 სმ, სიმაღლე – 4,8 სმ.

10. ჯიხვის ქანდაკება, ორი თავითა და საერთო ტორსით, ბრინჯაოსი (09-LXI-87-198). შემთხვევითი მონაპოვარი. აღმოჩნდა სამაროვნის საძნელე ფერდობზე, შენობებისათვის ნათხარ მიწაში. წარმოადგენს მთლიანადსხმულ ქანდაკებას, რომელზეც გამოსახულია პროფილში თავშექცევით მდგომი ჯიხვის ორი ბიუსტი საერთო ტორსითა და კიდურებით. მონოლითური სხეული ორი კისრითა და თავით არაპრო-

პორციულად დიდია ღეროსებურ, მოხრილ, თხელ ფეხებთან შედარებით. სახეები სტილიზებულია. რელიეფური ბურთულებითაა გამოსახული თვალები, რქები კი ნახევარმოვარისებურადა მოხრილი. მარჯვნა ჯიხების თავი უფრო მასიურია და მიუხედავად ერთგვარი დისკროპორციულობისა, ფიგურა მეტად გამომსახველია, რაც სილუეტის ვარშემომწერი ხაზის უწყვეტი მდინარებითაა მიღწეული. ზომები: სიგრძე – 4,7 სმ, სიმაღლე – 3,7 სმ (ტაბ. I<sub>3</sub>).

11. ვერძის მინიატურული ქანდაკება, ბრინჯაოსი (09-LXI-86-703). აღმოჩნდა 187-ე სამარხში დაკრძალულის წელის არეში. წარმოადგენს ჩამოსხმის წესით დამზადებულ სტილიზებულ სკულპტურას, რომლის ტორსი და კილურები სქემატურადა დამუშავებული. ასევე პირობითია ცხოველის სახე. შედარებით რეალისტურად მოდელირებულ თავზე ადგას სიმეტრიული, ფრინთალურად გაშლილი გრეხილი რქები. ზურგზე მირჩილული აქვს ყუნწი. ზომები: სიგრძე – 3 სმ, სიმაღლე ყუნწოან ერთად – 1,3 სმ.

12. ვერძის თავის გამოსახულება, ბრინჯაოსი (09-LXI-85-711). აღმოჩნდა სახლის ქვაბულში, მიწის ზედაპირიდან 0,6 მ-ის სიღრმეზე. წარმოადგენს ბრინჯაოს საკიდს ვერძის თავის სტილიზებული გამოსახულებით, რომლის თვალები და ნესტოები გადმოცემულია რელიეფური ბურთულებით, გრეხილი რქები კი წვრილი ღეროებითაა გამოსახული. უკანა მხარეს, კისრის არეში, საკიდი ყუნწი აქვს მირჩილული. ზომა: სიგრძე – 2,7 სმ.

13. ვერძის თავის გამოსახულება, ბრინჯაოსი (09-LXI-85-712). აღმოჩნდა სახლის ქვაბულში, მიწის ზედაპირიდან 0,7 მ-ის სიღრმეზე. წარმოადგენს ჩამოსხმის წესით დამზადებულ საკიდს, ვერძის თავის სტილიზებული გამოსახულებით. სახე სქემატურია, შებლზე აქვს ორი რელიეფური ბურთულა თუ მეჭეჭი, სიმეტრიული გრეხილი რქები კი ზემოდან თითო ასეთივე ბურთულითაა შემკული. უკანა მხარეს მოწყობილი აქვს საკიდი ყუნწი. ზომა: სიგრძე – 2,1 სმ.

14. ვერძის თავის გამოსახულება, ბრინჯაოსი (09-XXI-81-138). აღმოჩნდა 375-ე მდიდრულ სამარხში. დამზადებულია ჩამოსხმის წესით. წარმოადგენს ვერძის თავის მრგვალ ქანდაკებას, ნატურალისტური სიზუსტით გამოსახული ჩაგრეხილი რქებითა და სახით.

15. ვერძის თავი, ბრინჯაოსი (09-LXI-88-437). აღმოჩნდა სამაროვნის ფართობზე, ფენაში. წარმოადგენს ვერძის თავის მთლიანადსხმულ სტილიზებულ ფუგამოსახულებას, ოდნავ წაგრძელებული დრუნჩით, რომელზეც დაბალი ბურთულებით ნესტოებია აღნიშნული. ყბების გასწვრივ გამოსახული აქვს პორიზონტურად გაწოლილი ფოთლისებრი ყურები (შუაში თითო ღარით), რომლის წვერები ქვემოთ ჩაგრეხილი მასიური რქების ბოლოებზეა გადაფენილი. რქებს შორის აზის რელიეფური კოპი. უკანა

მხრიდან ჩაგრეხილი რქების გარეთა წიბოლითონის ოდნავ მოხრილი ღერაკით ერთიმეორესთანაა გაერთიანებული. ზომა: სიმაღლე – 2,1 სმ (ტაბ. II<sub>1</sub>).

16. ვერძის თავების გამოსახულებები, ბრინჯაოს სამაჯურზე (09-LXI-85-64). სამაჯური აღმოჩნდა მე-8 ორმოსამარხში, მიცვალებულის მაჯაზე. სამაჯურის ორნამენტირებული ღერო ბრტყელია და ოვალურადა მორკალული, სამაღლა გადატეხილი. სამაჯურის გახსნილი თავები შემკულია ვერძის დეკორატიული თავებით, რომლებიც ცალკეა ჩამოსხმული და შემდეგაა მირჩილული ბრტყელ ღეროზე. ვერძის თვალები და დრუნჩი წერტილებითაა აღნიშნული. ყურები კი ჩაგრეხილ რქებზეა გადაფენილი. ზომები: სამაჯურის დიამეტრი – 7,5 სმ; რკალის ღეროს სიგანე – 1,5 სმ (ტაბ. II<sub>2</sub>).

17. ვერძის თავების გამოსახულებები, ბრინჯაოს სამაჯურზე (09-LXI-86-619). სამაჯური აღმოჩნდა 172-ე სამარხში, დაკრძალულის მარჯვენა ხელის მაჯაზე. სამაჯურის გახსნილი თავები შემკულია ვერძის თავების სტილიზებული გამოსახულებით. თითოეულ მათგანს აქვს ორმაგად გრეხილი რქა. თვალები და ნესტოები მცირე ბურთულებითაა გამოსახული. შებლზეც თითო ასეთივე ბურთულაა, რაც მნათობის სიბოლოს უნდა წარმოადგენდეს. ვერძის თავები ცალკეა ჩამოსხმული და შემდეგ სამაჯურზე მიერთებული. შესაძლოა, თვით სამკაულის რკალიც ჩამოსხმის წესით იყოს დამზადებული. რკალის დიამეტრი 5,5 სმ.

18. ვერძის თავების გამოსახულებები ვერცხლის სამაჯურზე (09-LXI-86-515). სამაჯური აღმოჩნდა 164-ე სამარხში. წარმოადგენს ოვალურად მორკალულ, ბრტყელლეროიან, ნაჭდევი ხაზებით შემკულ, თავგახსნილ სამაჯურს, რომელზეც ვერძის თავებია მიერთებული. ნატურალისტური სიზუსტითაა გადმოცემული ვერძის სახე, სიმეტრიული, გრეხილი რქებითა და ბურთულისებური თვალებით. დეტალურადაა წარმოდგენილი დრუნჩი, გამოყვანილი ცხვირითა და დაბერილი ნესტოებით. ვერძის თავები დეკორატიული ხასიათისაა. დამზადებულია ჩამოსხმის წესით და შემდეგაა მირჩილული სამაჯურზე. ზომები: სამაჯურის დიამეტრი – 5,9 სმ, რკალის ღეროს სიგანე – 1,3 სმ (ტაბ. II<sub>1</sub>).

19. ვერძის თავის გამოსახულება ბრინჯაოს მედალიონზე (09-XXV-79-395). მედალიონი აღმოჩნდა 277-ე სამარხში, სადაც დაკრძალული იყო შეძლებული მხედარი. წარმოადგენს ჭვირულ რგოლს, შუაში ფარაკისებრი ბურცობით, რომელზეც ვერძის თავის სამი გამოსახულებითაა შემკული. ვერძის თავები მედალიონის წრეზეა განლაგებული, დრუნჩით გარე ნაპირისაკენ, და საკმაოდ რეალისტურადა მოდელირებული. სახის ნაკვთები: თვალები, დრუნჩი, რელიეფური გრეხილი რქები, ქმნის მოცულობით შთაბეჭდილებას. სამი გამოსახულებიდან ორს, განივად

მდებარეს, ქვედა მხრიდან მირჩილული აქვს მცირე რგოლები, რომელზეც გამოიძული ყოფილა ბრტყელდეროიანი რგოლებისაგან შედგენილი ძეწკვები, უკანა მხრიდან მედალიონს მიმაგრებული პქნება შესაბნევად განკუთხნილი რკინის ენა, რომელიც დაშლილია. შემორჩენილია მხოლოდ მისი ფუძის ნაშთი. სამკაული ჩამოსხმის წესითაა დამზადებული. მედალიონის დამეტრი – 3,7 სმ; შემორჩენილი ძეწკვის სიგრძე – 34 სმ; ძეწკვის ერთი რგოლის სიგრძე – 1,1 სმ (ფაბ. II<sub>3</sub>).

როგორც არქეოლოგიური მასალის აღწერილობიდან ჩანს, ჯიხვისა და ვერძის გამოსახულების არეალი, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შემოიფარგლება ფშავის არაგვის ხეობის ქვემო წელითა და უინვალით. ზოომორფულ ფიგურათა სიუხვით განსაკუთრებით გამოიჩინება ნებისმიერი ბადრიანების (გამთხრელი ც. რობაქიძე) და წიფნარისძირის (გამთხრელი ნ. მუხიგულაშვილი) სამაროვნები.

თარიღის შესახებ შესავალშიც გვქონდა აღნიშნული (II-IV სს.), რაც დამყარებულია მრავალრიცხოვანი სამარხეული თანმხლები მასალის ანალიზზე [33; 34; 15].

არაგვის აუზში აღმოჩენილი ჯიხვის გამოსახულებათა შორის გარეგნული ნიშნების, დანიშნულებისა და დამზადების ტექნიკის მიხედვით გამოიყოფა სამი ძირითადი ჯგუფი:

1. მშგილდსაკინძის ფუნქციის მქონე „შესაბნევები“ (09-XLVII-81-42; 09-XLVII-89-180/4).

2. ჯიხვის თავ-კისრის ფიგურები, რომლებიც საკიდებად ყოფილა გამოყენებული (09-LXI-88-95, 435, 436, 466; 09-LXI-86-520).

3. ჯიხვის მომცრო, მთლიანი ფიგურები, ზურგზე ძეწკვის გასაყრელი რგოლით ან ნახვრეტით (09-LXI-87-195; 09-LXI-88-198; 31-XXII-89-91).

რაც შეეხება ვერძის გამოსახულებებს, აქც გამოიყოფა სამი ჯგუფი:

1. მომცრო მთლიანადსხმული ფიგურა (მრგვალი ქანდაკება), ზურგზე ძეწკვის გასაყრელი რგოლით (09-LXI-85-703).

2. ვერძის თავ-კისრის ფიგურები, რომლებიც საკიდებად ყოფილა გამოყენებული (09-LXI-85-711, 712; 09-LXI-88-437; 09-XXV-81-138).

3. სხვადასხვა ნივთებზე – (სამაჯურის განსილ თავებზე (09-LXI-85-64; 09-LXI-86-515, 619; 31-XXII-89-40) და ბრინჯაოს მედალიონზე (09-XXV-79-395) განთავსებული ვერძის თავები.

ზოომორფული გამოსახულებები, ორიოდ გამონაკლისის გარდა, დამზადებულია ყალიბში ჩამოსხმის წესით. მასალად გამოყენებულია ბრინჯაო და ვერცხლი. „შესაბნევად“ გამოყენებულ ფიგურებს, დამატებით, გაკეთებული აქვთ რკინის შესაბნევი, ნემსისებრი ენა და ენის ამოსადები კაუჭი.

ჩვენს განსაკუთრებული ფურადლებას იმსახურებს „შესაბნევად“ გამოყენებული ჯიხვის ორი ფიგურა, რომლებიც პირველ ჯგუფშია გაერთიანებული, მსგავსად ადრე განხილული ცხნისა და ირმის „შესაბნევად“ გამოყენებული გამოსახულებებისა [14, გვ. 68-77]. ჯიხვის ორივე ფიგურა სტატიკურია და ზოგადად, რეალისტურდეკორატიულ მანერაშია გაძმოცემული. ამასთან, ზომიერადაა შერწყმული სტილიზაციის ელემენტები, განსაკუთრებით სახისა და რქების მოდელირებაში. უფრო მაღალ რელიეფში შესრულებულ ბრინჯაოს ჯიხვის ტორსის ცალკეული ნაკვთების (გავა, მკერდი) მოცულობითი ფორმების მონაცვლეობით მიღწეულია ფიგურის პლასტიკურობა.

ბრინჯაოს ჯიხვის ფიგურის ფორმა პროპორციული, ნატიფი და დახვეწილია, რაც სილუეტის გარშემომწერი ხაზის პლასტიკური დენადობითა და დინამიზმითაა განპირობებული. ტორსთან ერთად, კიდურებიც რეალისტურადაა წარმოდგენილი. მკეთრად არის პროფილირებული სახსრები და ჩლიქები. მეტად გამომსახველია ჯიხვის ამაყად აუზული, წინ, უსასრულობაში მაცერალი თავი, რომელსაც ნატურალისტური სიზუსტით გამოსახული გრეხილი რქები უმშვენებებს. მასიური რქები, ფურებზე ჩამოკიდებულ, მრგვალ ფირფატებთან ერთად, კომპოზიციას დასრულებულს ხდის. ფორმის განხოგადოებისას, დეტალები კი არ არის მივიწყებული, არამედ პირიქით, ისინი მარჯვედ არის გამოყენებული ნამუშევრის მთლიანობის წარმოსახენად.

ჯიხვის ვერცხლის ფიგურის ტორსის მოდელირებისას, თუმცა გავა და მკერდი მოცულობითი ფორმებით არის აქცენტირებული, მაგრამ გაცილებით უფრო სუსტად, ვიდრე ბრინჯაოს ეგზებლარებზე. ნატურალისტური სიზუსტითაა ნაჩვენები, მარჯვნივ მიბრუნებული თავის გამოწინამსარზე და კისრის ქვედა ნაწილში წარმოქმნილი ნაოჭები. ტორსთან შედარებით, დისპროპორციულად წვრილი, სქემატურად გამოსახული, ღეროსებრი ფეხები აძლიერებს ფიგურის სტატიკურობას. სამაგიეროდ, განსხვავებით ბრინჯაოს ჯიხვის ფიგურის განებებული მზერისაგან, ვერცხლის ჯიხვის ფიგურის მეტყველი მზერა უშუალოდ მაყურებლისკენ არის მიმართული, რაც მეტად ცოცხალსა და გამომსახველს ხდის ფიგურას და შემსხვილებულ ღრუნჩთან და დაბერილ ნესტორებთან ერთად ექსპრესიულ ხასიათს ანიჭებს მას.

ბრინჯაოს შესაბნევზე, ჯიხვის თავი 3/4-ითაა მარჯვნივ შემობრუნებული და მცირე ბურთულებით დაბოლოებული ძლიერი რქები ფრონტალურად იშლება. ვერცხლის „შესაბნევზე“ კი, ჯიხვის თავი ანფასშია მოცემული, ხოლო ბოლოებიანი ფეხები რქები ვერტიკალურადაა აზიდული. ორივე გამოსახულებას განვრეტილი ყურები რქებზე აქვს მიბჯენილი. თუ ბრინჯაოს ჯიხვი მხოლოდ ბრტყელი დისკოსებური საყრეებითაა მორთული, ვერცხლის ჯიხვი შემკუ-

ლია, სულ ცოტა, ექვსი სხივისებურად ჩაშვებული ბრინჯაოს ძეწკვით, რომლებიც ჩამობმული უნდა ყოფილიყო ყურებზე, დრუნჩზე და კუდთან მისაგრებულ როლებზე, აგრეთვე ფეხების შემაერთებელ გამრიებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ჯიხვის ამ ორ ფიგურას ერთმანეთისაგან განმასხვავებელი მრავალი დეტალი ახასიათებს, ზოგადი სტილით, ფუნქციური და სემანტიკური დატვირთვით, ცხენისა და ირმის „შესაბნევებთან“ ერთად, ისინი ქართული პლასტიკური ხელოვნების ერთი მთლიანი ჯგუფის იკონოგრაფიულად განსხვავებულ ვარიანტებს წარმოადგენებ.

„შესაბნევად“ გამოყენებულ ჯიხვის ცხოველ-სახოვან ფიგურებთან საკმაოდ თვალსაჩინო სიახლოეს ამჟღავნებს საკიდებად გამოყენებული ჯიხვის თავ-კისრის ჩვენ მიერ აღწერილი და II ჯგუფში გაერთიანებული ყუნწიანი ფიგურები. ისინი, მსგავსად შესაბნევის თავებისა, წარმოადგენენ მრგვალ ქანდაკებებს, სტილიზებული სახეებითა და მასიური გრეხილი რქებით. უეჭველია, რომ საერთო აღნაგობით და, რაც მთავარია, შინაარსობრივი დატვირთვით, ჯიხვისთვინი საკიდებიც „შესაბნევების“ ჯგუფშია გასაერთიანებელი. მათი არეალიც თითქმის ემთხვევა ერთიმეორეს. აღსანიშნავია, რომ ნებისი სამაროვანზე მოპოვებული ჯიხვების თავ-რქის გამოსახულებიანი საკიდების თითქმის ზუსტი შესატყვისები მოპოვებულია ზესტაფონის რაიონის სოფ. კლდეეთში (ტაბ. II) იმავე სამაროვანზე, სადაც აღმოჩნილია „შესაბნევი“ ცხენკაცის გამოსახულებით [7, გვ. 88-90, სურ. 19, ტაბ. VIII<sub>2</sub>]. აღნიშნული სამაროვანი დათარიღებულია ახ.წ. II საუკუნით.

სამეცნიერო ლიტერატურაში დღეისათვის საკმაოდ დამაჯერებლადაა ნაჩვენები, რომ ჯიხვი და ირემი წარმოადგენდა ცხოველთა მფარველი დათაების გამოხატულებას [25; 26; 4; 19; 20; 3 და სხვ.]. ჯიხვისა და ირმის სახეს საქართველოსა და კავკასიის ხალხთა უძველეს რელიგიაში გამორჩეული ადგილი ეჭირა. ეს მტკიცდება არა მარტო მრავალრიცხოვნი არქეოლოგიური მასალით, არამედ ქართველი და კავკასიელი ხალხების ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მონაცემებითაც.

კავკასიის უძველეს ხალხთა წარმოდგენაში ცხოველსახოვანი დათაება, ოქროსრქიანი, თეთრი, ან შებლზე დათაებრივნიშნიანი ჯიხვი ან ირემი დარაჯობდა და მწყემსავდა ნადირთა ჯოგს. თუ მონადირე დაუკვირვებლობით მოკლავდა ამ რჩეულ ცხოველს, იგი დასაღუპავდა იყო განწირული. მოგვიანებით, გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ფრთო ათვისების ხანაში, დათაება-ცხოველს ცვლის დათაება-ადამიანი, ხოლო ცხოველი დათაებები ადამიანი-დათაების ატრიბუტებად იქცევიან. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში შემორჩენილი ხალხური გადმოცემით, ცხოველთა მფარველ დათაებას წარმოადგენდა ულამაზესი ტყის ბინადარი, ნადირთ

პატრონი ქალი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში შეეძლო მიეღო ჯიხვის ან ირმის სახე და ისე გამოცხადებოდა მონადირეს. ამ თქმულებებიდან ჩვენს ყურადღებას იმსახურებს დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით, მთიანი სვანეთის ეთნოგრაფიული მასალები. სვანური თქმულებით, მთის ნადირის (ჯიხვის, ირმის, არჩვის) ჯოგებს მფარველობს ქალ-დვთაება დალი - ოქროსთმიანი ლამაზი არსება, რომელსაც სასახლე თეთრ კლდეში აქვს და იქიდან მწყემსავის თავის ქვეშევრდომებს. დალის შეეძლო მიეღო ირმის ან ჯიხვის სახე, გამოცხადებოდა მონადირეს და შეეტყუებინა თავის საპრძანებელში. ჯიხვებზე ნადირობა დღემდე პრესტი-ულ საქმედ ითვლება სვანეთში. სვანის წარმოდგენით, ნადირობა მარცხისთვის იყო განწირული, თუ მონადირეს ტყის მბრძანებლის კეთილგანწყობა არ ექნებოდა [19, გვ. 55].

სვანური დალის სახესხვაობას წარმოადგენს მეგრული „ტყაში მაფა“, ანუ ტყის მეუფე, ულამაზესი ქალი [32, გვ. 820], რომელსაც ემორჩილება ნადირთა ჯოგები.

აქ კიდევ არაერთი თქმულების მოტანა შეიძლებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, მაგრამ ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ხევსურული სამონადირო პოეზია [3], სადაც ნათლად ჩანს, რომ ხევსურთა რწმენა-წარმოდგენებში ღვთაება დალის ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეპავა. ამის მეტყველი დადასტურებაა ხევსურეთში დამოწმებული ხატ-სალოცავები „ოჩიდაალი“, „დალი ხაჯი“, „საიმურ დალი“ და სხვ., სადაც ხევსური მონადირები წირავლენ ჯიხებს [3, გვ. 146-149]. მაშასადამე, დასავლეთ საქართველოს მთიანეთისათვის დამახასიათებელი დალის კულტი, როგორც ჩანს, ხევსურეთშიც ყოფილა გავრცელებული. მის ზომომორფულ ორეულს აქაც ჯიხვი წარმოადგენს, რაც, ალბათ, უნდა გვაძლევდეს იმ ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას, რომ ისტორიული განვითარების რომელიდაც საფეხურზე, სვანურ-სანურ-წანურ ტომებთან აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას ჰქონია შეხება, მითუმეტეს, რომ ხალხური ზეპირსიტყვიერების მკვლევართა მიერ დამაჯერებლადაა დასაბუთებული, რომ ხევსურული საფეხურო სიმღერები და მისი შესრულების რიტუალი ახლო ნათესაობას ამჟღავნებს სვანურ და რაჭულ პოეზიაში დაცულ მასალებთან. ამ ფონზე უაღრესად საყურადღებოა, რომ გუდამაყრელების რწმენით, ნადირთ პატრონი, მშვენიერი პატარა ქალი, ჯიხვის სახით გამოეცხადება ხოლმე მონადირეს [3]. მთიულეთ-გუდამაყრებში ამგვარი ტრადიციის არსებობა, შესაძლოა მიუთითოვდეს იმ ერთ-ერთ გზაზეც, რომლითაც ხევში მცხოვრები სანარულ-წანარული ტომები (რომლებსაც მკვლევართა დიდი ნაწილი სვანებთან აიგვებს) ხევსურეთისა და ფშავის გავლით მოძრაობდნენ ისტორიული კახეთისაკენ. ამდენად შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ქისტები

ძველად ანატორის მთავარანგელოზის ეკლესიას „ოჩი დალის“ სალოცავს უწოდებენ, რაც შესაძლებელია იმაზეც მიუთითებდეს, რომ იქ ეკლესიის აგებამდე ცხოველთა ჯოგების მფარველი ქალ-ღვთაება დალის სამლოცველო იყო მოთავსებული.

გარდა საქართველოსი, კავკასიელ ხალხებში, ცხოველთა მფარველი ღვთაების ზომორფულ ინკარნაციებს ჯიხვი და ირემი წარმოადგენდა. ჯიხვის სახით სიმბოლიზირებული ქალ-ღვთაება დალი, რომლის განხოგადოებელი მეწყვილე ქართველურ სამყაროში ამირანაა, მკლევართა აზრით, ასტრალური არსებაა, ბუნების ნაყოფიერების ერთ-ერთი ძალაა (მსგავსად ინანასი და ღუმუზისა, თამუზისა და იშთარისა, ადონისისა და აფროლიტესი), რომელსაც შეუძლია მისივე წერტილით მოკლული ჯიხვის ძვლების ისევ აღდგენა-გაცოცხლება. ასეთ ვითარებაში სრულიად გასაგებია, არქეოლოგიური ძიებისას, თუ რატომ ჩნდება საქართველოს ტერიტორიაზე ასე მრავლად ჯიხვის, ირმის, ნიამორის თუ სხვა ცხოველთა გამოსახულებები, განსაკუთრებით მთისწინეთისა და მთაში, როგორც რწმენა-წარმოდგენების მატერიალური გამოვლინება.

ცხოველთა გამოსახულებები და მათ შორის, მცირე პლასტიგის ჩვენს მიერ შესწავლილი ნიმუშები რომ მართლაც ძველ რწმენა-წარმოდგენებთან იყო დაკავშირებული, მიუთითებს ის ნიშნები და ატრიბუტები, რომლებითაც ეს ფიგურებია შემკული. ამ ნიშნთა დანიშნულება იყო გამოსახულებების ღვთაებრიობის ხაზგასმა, მათ ფუნქციათა დაკონკრეტება. ამგვარ ნიშნებსა და ატრიბუტებზე ადრეც გვჭონდა საუბარი, როცა ცხენისა და ირმის სხეულებზე გამოსახულ ასტრალურ ნიშნებს ვეხებოდით [14]. ამჯერად ყურადღებას გავაძახვილებთ ბრინჯაოს ჯიხვის ყურებზე შებმულ ორ მრგვალ (წრიულ) ფირფიტაზე, საკიდებიან ძეწკვებზე, რომლებითაც შემკულია ვერცხლის ჯიხვის გამოსახულება, აგრეთვე ჯიხვისა და ვერმის თავებზე გამოსახულ რელიეფურ მრგვალ მეჭეჭებზე (კოპებზე).

როგორც ძველი აღმოსავლეთის მასალებიდან ჩანს, დისკო ანუ წრე, უძველესი დროიდან წარმოადგენდა ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებულ გეომეტრიულ სიმბოლოს, რომელიც გამოხატავს ცას ანუ ცარგვალს [5, გვ. 213-214]. მაშინდელ ადამიანთა რწმენით, წრეს არც დასაწყისი აქვს და არც ბოლო და არც მიმართულება. ძველი ეგვიპტელების წარმოდგენით, წრე ანუ დისკო მარადისობის სიმბოლო იყო. ამასთანავე, იგი მთელი რიგი ხალხების რწმენა-წარმოდგენებში გამოსახავდა უზენაეს ღვთაება-ღმერთს. ეგვიპტური იეროგლიფი – წრიულად დახვეული გველი, რომელსაც კუდი პირში უჭირავს, დროისა და სივრცის უსასრულობის ნიშანია. საყურადღებოა, რომ ადრექრისტიანულ სიმბოლიკაში წრე გამოსახავდა მარადისობას,

უკვდავებას [35, გვ. 42-43]. როგორც წმინდა კლიმენტი ალექსანდრიელი წერდა: „მე ღმრთისა არის უსასრულო წრე, რომელშიც თავს იყრის ყველა ძალა“. უდავოა, რომ ამ შემთხვევაში უძველესი სიმბოლო შეიისო ახალი ქრისტიანული შინაარსით.

ქართულ ხალხურ სინამდვილეში უნივერსალურ წრეს შეესატყვისება ბორჯდალი, რომელიც უაღრესად ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს მთასა და ბარში. ამ თავისებურ წრეს იმიტომ ვაქცევთ ყურადღებას, რომ არაგვის ხეობაში აღმოჩენილი მცირე პლასტიგის ძეგლები, კერძოდ ცხენისა და ირმის ფიგურები, ზოგჯერ შემკულია ბორჯდალით. სამეცნიერო ლიტერატურაში [16; 17] აღიარებულია, რომ ეს დინამიკური ფიგურა გამოხატავდა სიცოცხლის, ცეცხლის, მზის, მარადიულობის, მარადი განახლების სიმბოლოს და მჭიდროდ იყო დაკავშირებული უგველეს რწმენა-წარმოდგენებთან. წრის და ბორჯდალის თავისებურ სახესხვაობას წარმოადგენს ბორბალი, რომელიც კაბალონზე მოძრავი მზის სიმბოლოდა მიჩნეული [5, გვ. 214]. ამდენად, შეიძლება ვითიქროთ, რომ წრიული ფირფიტები (დისკოები) და მრგვალი რელიეფური კოპები თუ მეჭეჭები, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ხაზს უსგამს ჯიხვებისა და ვერძების ღვთაებრიობას, „ნაწილინობას“ და მათ კავშირს მზის კულტთან.

სიმბოლური დატვირთვა გააჩნია ძეწკვებს და მასზე ჩამობმულ საკიდებს, რომლითაც არაერთი ზოომორფული ფიგურაა შემკული. ძეწკვების ბოლოებზე ყველაზე ხშირად მიმაგრებულია მომცრო ზარაკები, ფოთლისებური ფირფიტები, დუგმისებური საკიდები და სხვ. ვერცხლის ჯიხვზე ჩამობმულ ძეწკვებზე, რომლებიც ჩვენი ვარაუდით მზის სხივების განსახიერება უნდა ყოფილიყო, მხოლოდ ერთი საკიდი იყო შემორჩენილი (ტაბ. I). ეს საკიდი წარმოადგენს ოდნავ გვერდებშეზნექილ მართკუთხა ფირფიტას. ამგვარი საკიდები სხვა ფიგურებსაც უნდა ჰქონდათ, რაღაც ძეწკვების მრავალი ნაწყვეტი იყო აღმოჩენილი ნების სამაროვანზე (ტაბ. II.5.9). მართკუთხედი, როგორც კვადრატის სახე-სხვაობა, წარმოადგენდა წრის საპირისპირო სიმბოლოს. ძველ სამყაროში კვადრატი (სწორკუთხედი) მიჩნეული იყო დედამიწის სიმბოლურ გამოსახულებად, ხოლო წრეში ჩასმული მართკუთხედი გამოხატავს ცისა და მიწის ერთიანობას [5, გვ. 215]. ამდენად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ნადირობისა მფარველი ქალღვთაების ერთ-ერთი ინკარნაციის – ჯიხვის შემკობა მართკუთხა საკიდით, შეიძლება მიუთითებდეს ნაყოფიერების მფარველის ფუნქციაზეც.

არაგვის ხეობაში აღმოჩენილი მცირე პლასტიკის საკმაოდ მოზრდილი ჯგუფის იკონოგრაფიისა და სემანტიკის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ გამოსახულებათა ამ სერიას რა კავშირი აქვს წინამორბედი პერიოდების მასალებთან. ამ მხრივ განსაკუთრებულ

ინტერესს იწვევს ჩვენი გამოსახულებების შედარება ბრინჯაოს ქართულ ჭვირულგამოსახულებიან აბზინდებთან. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ჭვირული აბზინდების მ. ხიდაშელისეული კლასიფიკაციის IV ჯგუფი, სადაც ზენური ზვიებით მოქუქროთმებულ ჩარჩოში მოქცეულ ცხოველთა მრავალფიგურიან კომპოზიციაში ცენტრალური ელემენტია ჯიხვის გამოსახულება. ჯიხვის ფიგურა მოცემულია მარჯვენა პროფილში, ხოლო მარჯვნივ მოძრუნებული თავი წარმოდგენილია მასიური გრეხილი რქებითა და აცქეტილი ფურებით. თვალები რელიეფური მეჭეჭებითაა მინიშნებული. ჯიხვს აქვს ვიწრო წელი, რომელიც სხეულს ორ ნაწილად ყოფის. ზოგადად, აქ საქმე გავქმს ცხოველების სტილიზებულ გამოსახულებებთან. ჯიხვების გამოსახულებათა უმტესობას თემოსა და წინამხარზე გამოსახული აქვთ კონცენტრული წრები, რაც, როგორც აღვნიშნეთ, უძველესი მოტივია და როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, იგი მზის კულტს უკავშირდება [29, გვ. 222]. თუმცა, როგორც მ. ხიდაშელი აღნიშნავს, კონცენტრული წრები თავისი გენეზისით, უპირველესად მთვარის კულტთან უნდა ყოფილიყო დაკავშირდებული [25, გვ. 79-85].

ჭვირულ აბზინდაზე გამოსახულ ჯიხვს რომ ჩამოვაშოროთ ჩარჩო და თანმხლები ცხოველები, მივიღებთ ფიგურას, რომელიც ზოგადი აღნაგობით, პოზით, საერთო სტილით, ახლოსაა წიფრანისძირის ჯიხვის გამოსახულებიან შესაბამებთან. მათი გენეტიკური კავშირი ეჭვს არ უნდა იწვევდეს. აქვე საყურადღებოა, რომ აბზინდებში ჩაწერილი ჯიხვის თავ-რქა ცალკე აღებული, თითქმის იდენტურია ნებისის სამაროვანზე მოპოვებული საკიდებისა, რომლებიც აგრეთვე ჯიხვის თავ-რქებს გამოხატავენ (II ჯგუფი). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნებისის სამაროვნის ჯიხვის თავების გამოსახულებებს კიდევ უფრო ძველ ძეგლებზე მოეპოვებათ პარალელები. მხედველობაში გავქმს ე.წ. ყაზბეგის განძმი დადასტურებული ერთფიგურიანი საკულტო შტანდარტების ნაწილები [21], სადაც ჯიხვების თავებია ერთმნეთზე დაშენებული ოთხ სართულად და დასრულებულია ხელში კვერთხის მქონე ღვთაების გამოსახულებით. ქვედა იარუსის ჯიხვებს პირში გამობმული აქვთ გვერდებშეჭრილი ზარაკები. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ როგორც ჭვირული აბზინდები [25, გვ. 49], ისე ყაზბეგის ზორმორფული პლასტიკის ძეგლები [21], თავისი სემანტიკური და სტილისტიკური მახასიათებლებით განეკუთვნება კოლხური კულტურის წრეს და რომ აბზინდებსა და ყაზბეგის „განძში“ გაერთიანებული ფიგურების საწყისი საძენია კავკასიური გვიანბრინჯაოსა და რკინის ფართოდ ათვისების პერიოდის ადგილობრივ კულტურებში, როცა საქართველოსა და კავკა-

სიაში ჩამოყალიბდა ცხოველური სტილი და შესაბამისი ხელოვნება.

ჯიხვის იკონოგრაფიის და მისი ადგილის გასარგევად ქართულ (კოლხურ) მხატვრული აზროვნებასა და რელიგიურ სისტემაში, უმდიდრეს მასალას იძლევა ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული სამარხეული კომპლექსები, სადაც სხვადასხვა გამოსახულებებთან ერთად წარმოდგენილია ჯიხვისა და ვერძის ფიგურებიც [8, გვ. 111-113, სურ. 44; 22, გვ. 34, სურ. 11]. მაგ. ყელსაბამი № 6 სამარხიდან შედგება ჯიხვის 56 ცალი გამოსახულებისაგან. თითოეული ფიგურა მიღებულია ორი გამოტვიფრული ნახევრის მირჩილვის შედეგად. ცხოველი ფეხმოკეცილია, ყურები წვერებით რქებზეა მიერთებული, თავ-რქა საქმაოდ რეალისტურად არის მოდელირებული [22, გვ. 104, სურ. 11, კატ. № 18]. სამარხი თარიღდება ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით. რაც შეეხება დიადებაზე გამოსახულ ჯიხვს, რომელსაც ლომები ესხმიან თავს, იგი მოპოვებულია ძვ.წ. V ს-ით დათარიღებულ ვანის № 11 სამარხში, სადაც ვერძებისთავებიანი ყელსაბამიცა აღმოჩენილი. ვანის ყელსაბამის შემკულობის ხასიათი და დამზადების ტექნიკური ხერხები დამახასიათებელია კოლხური ოქრომჭედლობისათვის. მკვლევართა აზრით, ამ გამოსახულებათა სიმბოლიზმი კოლხური წრმენა-წარმოდგენების ნიადაგზეა აღმოცენებული. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ჯიხვის ფიგურებზე, რადგანაც ჯიხვი სწორედ დასავლეთ საქართველოს მთისწინეთსა და მთაში ითვლებოდა ნაყოფიერების, გამრავლების, ნადირობის და ცხოველის მფარველი ღვთაების ერთ-ერთ სიმბოლოდ. ჯიხვის რქებს, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში ძღვნად მიარომევდნენ მაშინდელ სალოცავებს. ამიტომ ბუნებრივადა მისაჩნევი ის არქეოლოგიური ფაქტი, რომ ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, ძვ.წ. III-I სს-ის საკულტო კომპლექსის გათხრისას, შეწირულობათა შორის, ჯიხვის რქებიც აღმოჩნდა [37, გვ. 37].

კოლხურ მასალაში აგრეთვე ყურადღებას იქცევს ყელსაბამი ვერძის თავების ფიგურებით, რომელიც პირდაპირ ეხმაურება მითს კოლხური ოქროს საწმისის შესახებ [22, გვ. 37]. საყრადღებოა ვანის ამ გამოსახულებათა კავშირი ცნობილი ყაზბეგის განძის შესაბამის ფიგურებთან, რაც მიუთითებს ამ ორი წრის მასალათა გენეტიკურ ურთიერთკავშირზე. ამ თვალსაზრისით, უაღრესად საყურადღებოა ვანის № 11 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის სარწყული, რომლის ყურის ძირები წარმოადგენენ ვერძის თავების საკმაოდ რეალისტურ გამოსახულებებს, ხოლო ბრინჯაოს ერთი სარწყულის (თუ სიტუაციას) ხუფზე ცხოველთა უჩვეულო გარემოცვაში ჯიხვის საქმაოდ რეალისტური გამოსახულებაა მოცემული [9, გვ. 238, სურ. 224-225].

ჯიხვის გამოსახულებათა შესახებ მსჯელობისას საგანგებო ყურადღებას იქცევს ჩვენი კლასიფიკაციის III ჯგუფი, ე.წ. მრგვალი სკულპტურა, რომელიც ზოგადად უფრო მრავალფროვანია და უფრო დიდ ტერიტორიაზეა განვითარებული, ვიდრე „შესაბნევების“ ჯგუფი. ჯიხვის სკულპტურის ძირითადი დამახასიათებელია ის, რომ გარდა რიტუალური საკიდებისა და კულტთან დაკავშირებული ფიგურებისა, ზოგიერთი ქანდაკება ყოფითი ხასიათისა ჩანს, რაც შეიძლება აღმოცენებულიყო მხატვრული აზროვნების შედარებით განვითარებულ საფეხურზე. ძეწვებზე ჩამობმული და კულტთან დაკავშირებული მომცრო ფიგურები კი, შესაძლოა, შტანდარტებზე, სამლოცველოთა დროშებზე ან საკურთხეველთა (ბომონთა) სიახლოვეს იყო ჩამოკიდებული.

ჯიხვის ფიგურათა შორის საგანგებო ყურადღებას იქცევს ორთავიანი ჯიხვის გამოსახულება (იხ. აღწერილობა, ტაბ. I), რომელსაც საქართველოს გარდა, მრავალრიცხოვანი ტიპოლოგიური შესატყვისები მოეპოვება მცირე აზიაში, ირანის არქაულ ხელოვნებაში, სკვითურ-სარმატულ სამყაროში [25, გვ. 52-56]. ორთავიანი გამოსახულებები დამახასიათებელია ლურისტანის ზეგანზე გავრცელებული ბრინჯაოს კულტურისათვის, აგრეთვე ცნობილია უფრო ადრინდელ ელამურ არქაულ საბეჭდავებზე, შუამდინარეთის კიდევ უფრო ადრინდელ ძეგლებზე და სხვ. ერთი ჭვირული აბზინდა ორთავიანი ირემზე შემომჯდარი ქალღვთაების გამოსახულებით მოპოვებულია ონის რაიონის სოფ. ღებში XIX საუკუნეში და ინახება მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში [36, ტაბ. CXXXIV; 2, ტაბ. XXIII; 25, გვ. 101, ტაბ. VII, აბზინდა № 86]. აღნიშნული მოტივი საკმაოდ ძველია და, როგორც ჩანს, საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი ყოფილა, რადგან მან საქართველოში თითქმის ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე შემოინახა თავი (ნებისმის ტართავიანი ჯიხვის სკულპტურა თარიღდება III-IV სს. მიჯნით). საყურადღებოა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ფრინველისა და ვერძის პროტომები VII-IX საუკუნეებშიც არსებობდა [28, გვ. 176-177, სურ. 21-22].

არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ვერძის გამოსახულებების რაოდენობა არაგვის ხეობაში შედარებით მოკრძალებულია. ამათგან ჩვენს მიერ II ჯგუფში გაერთიანებული ფიგურები, რომლებიც ამ ცხრველების თავებს განასახიერებს, სტილისა და დამზადების ტექნიკის მიხედვით, თითქმის არ განსხვავდება ჯიხვების თავების გამოსახულებისაგან. უეჭველია, რომ ვერძის ეს საკიდი – თავის ქანდაკებები იგივე სემანტიკური არსის მატარებელია, როგორც ჯიხვის თავის საკიდები (ტაბ. II<sub>4</sub>).

ვერძის კულტის არსებობა საქართველოსა და კავკასიაში, როგორც ფიქრობენ, მჭიდროდ უკავშირდება სამეურნეო ყოფაში სამომთაბარო

მეცხვარეობის განვითარებას და, ბუნებრივია, რომ ამ ცხოველთა გამოსახულებების მომრაგლება იწყება ძვ.წ. II ათასწლეულიდან, მაგრამ განსაკუთრებით უხვად ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნიდან და I ათასწლეულის პირველი ნახევრიდან იჩენს თავს. სწორედ ამ პერიოდიდან, ცხვრის ფარის მეთაური – ვერძი უნდა შესულიყო ღვთაების იმ თანმხლებ ცხოველთა რიგში, რომლებიც სარგებლობდნენ ბუნების აღორძინების, განახლების, შინაურ და გარეულ ცხოველთა გამრავლების ქალღვთაების მფარველობით.

ცნობილი არქეოლოგიური მასალებიდან უაღრესად საინტერესოა ხოვლეგორის VI ფენაში, ერთ-ერთ სათავსოში (რომელსაც გამთხრელებმა ვერძისთავებიანი სათავსო უწოდეს) აღმოჩენილი ტერაკოტული ვერძისთავები, რომლებიც თონმხლებ მასალასთან ერთად ძვ.წ. XIII საუკუნითაა დათარიღებული [10, გვ. 31, ტაბ. XXIV, № 23831/4]. უფრო ძველია ხოვლეს VIII ფენაში აღმოჩენილი უხეში თიხისაგან ნაბერწი ცხვრის თავი, რომელიც ერთ-ერთი სათავსოს საკურთხეველზე იყო შემოდებული [10, გვ. 10]. აშკარაა, რომ ეს იყო სამლოცველო, რადგან იქვე მდებარე ოროთახიანი ნაგებობის ერთ ოთახში, იატაკზე, დაძერწილი იყო მზის სქემატური გამოსახულება. ხოვლეს ყველაზე ქვედა, VIII პორიზონტი თარიღდება ძვ.წ. XV საუკუნით [10, გვ. 19]. გამოთქმულია მოსახრება, რომ ხოვლეგორის სამლოცველოში თაყვანს სცემდნენ აგრარულ ღვთაებას, რომელიც მესაქონლე და მიწათმოქმედ ტომებს მფარველობდა [23, გვ. 33].

ქართველური ტომების ღვთაებათა პანთეონისა და მისი ინკარნაციების შესახებ საყურადღებო მასალებია მოპოვებული თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე, წინაურარტული ხანის ძეგლზე, ქ. ღვინში, სადაც I ათასწლეულის დასაწყისის თოხი ტაძარია აღმოჩენილი. ამ ტაძრების საკურთხეველები შემკული იყო ცხვრის და ხარის თავებით [31, გვ. 50-61].

მნიშვნელოვან მასალას შეიცავს მელი-ღელე I-ის სამლოცველო, სადაც სარიტუალო ჭურჭელთან ერთად ამოჩენილია ირმის, ცხვრის და გველის გამოსახულებები. ამ სამლოცველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ მასალებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბრინჯაოსა და თიხისაგან ნაკეთები შიშველი ქალის ფიგურები. ერთ-ერთ ქანდაკებას, რომელიც მიძრწილია ჭურჭელზე, ადამიანის თავის მაგივრად გამოსახული აქვს ცხვრის (ვერძის) თავი. სამლოცველო თარიღდება ძვ.წ. II-I ათასწლეულების მიჯნით [18, გვ. 113-115]. მელი-ღელე I-ის ტაძარი დაკავშირებულია ნაყოფიერებისა და ცხოველთა მფარველი ქალღვთაების კულტთან. ყველა ნიშნით, ეს ქალღვთაება უნდა ყოფილიყო ნადირობისა და მონადირეთა ღვთაების დალის ორეული, რაზეც მეტყველებს იქ ფიქსირებული ნადირობის არაერთი სცენა და გარეულ ცხო-

ველთა მრავალი გამოსახულება [18, გვ. 115-120]. თუ ვიმსჯელებთ ნაყოფიერების ამ ქალღვთაების ინკარნაციების მიხედვით (ირემი, ჯიხვი, ვერძი, ძაღლი, თევზი, გველი, ფრინველი, ტახი, ნიამორი), იგი დაკავშირებული ჩანს სამყაროს სამივე სკნელთან.

კავკასიის მიწათმოქმედ და მონადირე ტომთა წიაღში წარმოშობილი ეს მითოლოგიური კომპლექსი, რომელიც განექისით „ამირანის ეპოსის“ უძველეს ბირთვთანაა დაკავშირებული, საფუძვლად უდევს გვიანი ბრინჯაოს მთელ რელიგიურ აზროვნებას, რის საფუძველზეც ჩამოფალიბდა გამოსახულებათა ის კომპლექსი, მხატვრული აზროვნების ის მიმდინარეობები, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში კავკასიური ცხოველური სტილის სახელითაა ცნობილი. ამ მხატვრული უენომენის ყველაზე მკაფიო გამოვლინებაა კოლხურ-ყობანურ ცულებსა და ბრინჯაოს სარტყლებზე შემონახული გრაფიკული ხელოვნება და ყოველივე ამასთან გენეტიკურად დაკავშირებული ჭირული ბალთები, რომელთაც კავკასიური ცხოველური სტილი ძველი და ახალი წელთაღრიცხვების მიჯნამდე შემოაქვთ.

ვერძის გამოსახულებათა ის ჯგუფი, რომელიც საკიდების, მცირე ფიგურებისა თუ სამაჯურის გახსნილ თავებზე განთავსებული თავების სახითაა წარმოდგენილი (ტაბ. II<sub>1-2</sub>). მიუთითებს, რომ ა.წ. III-IV სს-ში მეცხარეობას აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთის და მთის მოსახლეობის მურნეობაში კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი ექირა, ამასთანვე ვერძი წარმოადგენდა ბუნების განახლებადი ღვთაების ერთ-ერთ თანმხლებ არსებას.

კავკასიის მეზობელ ქვეყნებში, განსაკუთრებით ირანში, ვერძი თოვლებოდა ღვთაება ჰვარნას განსახიერებად [27, გვ. 37] და დაკავშირებული იყო ირანის ღვთაებათა უმაღლეს წარმომადგენლებთან. საყურადღებოა, რომ ვერძი მშიდორდა დაკავშირებული სასანიანთა დინასტიის წარმოშობის მითთან. სწორედ ამიტომ ჰვარნა იქცა სასანელთა სამეფო დიდების სიძლოლოდ და ვერძი სამეფო ინსიგნიებზე გამოისახებოდა სამეფო ბაფთებითა და ფრთხებით შეძლი [27, გვ. 37]. ამ თვალისაზრისით, საყურადღებოა 1941 წელს არმაზისხევის № 23 ქვისსამარხში აღმოჩნილი ელითისებრი მოყვანილობის სარდიონის საბეჭდავი, ზონარის გასაყრელი ხვრელით. საბეჭდავის წაკეთილ სიბრტყეზე გამოსახულია ვერძი, თავით მარჯვნივ-მაღალ კისერზე ცხოველს შემოვლებული აქვს ბაფთა. სახის მოპირდაპირე მხარეს კი ნახევარმთვარის მსგავსი ნიშანია გამოსახული. გამოსახულება სტილის, საბეჭდავის ფორმისა და შესაძარებელი მასალის მიხედვით თარიღდება V-VI სს-ით [12, გვ. 33-34, 97, სურ. 46].

არაგვის ხეობაში მოპოვებული ვერძის გამოსახულებათა შორის ყერადღებას იქცევს III ჯგუფში გაერთიანებული ბრინჯაოს ბრტყელღროიანი სამაჯურები, რომელთა გახსნილ თავებზე მირჩილულია ვერძის თავ-რქის ცალკე ჩამოსხმული მინიატურული ფიგურები (ტაბ. II<sub>1-2</sub>). მათ უფრო ყოფითი დანიშნულება უნდა ჰქონ-

დათ, ვიდრე რელიგიური, თუმცა ძველი რწმენის ელემენტები ამ სამკაულშიც იქნებოდა შემონახული. მაგ., ერთ-ერთი სამაჯურის გახსნილ თავზე გამოსახული ვერძის ორმაგდახვეული რქები ერთი შენედვით თითქოს ორ სართულად არის განლაგებული, რაც ძლიერ მოგვაგონებს ყაზბეგის განძის შტანდარტებზე ოთხ სართულად განლაგებულ ჯიხვის თავრეს, თუმცა მათ შორის უზარმაზარი ქრონლოგიური სხვაობაა. შესაძლებელია, გამოსახულებათა ამგვარ განლაგებას თავისი სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნდა. ყაზბეგის განძის შემთხვევაში ნავარაუდებია, რომ მრავალსართულად განლაგებული რქები იყო ერთგვარი „კიბე“ შუასკნელის და ცის, ანუ ზესტელის დასაკავშირებლად. V საუკუნიდან ვერძის თავებით შემქული სამაჯურები, ჩანს, გამოდის ხმარებიდან, თუმცა ამგვარი ბრტყელღროიანი და გარედან გეომეტრიული ორნამენტით შემქული ცალები მთისწინეთში კიდევ კარგა ხანს იყო შემორჩენილი.

რაც შეეხება ვერძის სკულპტურულ მინიატურულ გამოსახულებას, მსგავსად სხვა იკონოგრაფიის ქონე ფიგურებისა, საკიდად ყოფილა გამოყენებული და მისი რიტუალური დანიშნულება ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ამრიგად, არაგვის ხეობაში მოპოვებული ჯიხვისა და ვერძის ფიგურები, სხვა დანარჩენ ცხოველსახოვან გამოსახულებებთან ერთად (იგულისხმება ჩვენ მიერ ადრე განხილული ირმის, ცხენის და სხვა ფიგურები), მიუხედავად იკონოგრაფიული მრავალფეროვნებისა, თავისი სტილისტური თავისებურებებით, დამზადების ტექნიკითა და სემანტიკური არსით, წარმოადგენს ერთ მთლიან მხატვრულ მოვლენას, რომელიც აღმოცენებული იყო მეურნეობრივი ყოფისა და რწმენა-წარმოდგენების ერთიანი სისტემის საფუძველზე და თავისი გენეზისით დაკავშირებულია საკმაოდ შორეულ ეპოქებთან. მიუხედავად არაერთი სიახლისა და თავისებურებისა, რითაც მცირე პლასტიკის ჩვენ მიერ წარმოდგენილი ძეგლები გამოირჩევა ადრეული მასალებისაგან (მაგ. რეალიზმისკინ სწრაფვა, სათანადოდ სტილიზაციის დაძლევის ცდები, მათი პრაქტიკული მნიშვნელობის წინ წამოწევა და ზოგიერთი ფიგურის შესაბნევად გამოყენება, აგრეოვე იღეური საწყისის გვერდით, მათთვის სამკაულის უუნქეცის მინიჭება, დეპორატიული ამოცანების წინ წამოწევა და სხვ.), ჩვენი გამოსახულებები პირდაპირი მემკვიდრეა უფრო ადრინდელი პერიოდის იმ ფენომენისა, რომელსაც კავკასიური ცხოველური სტილი ეწოდება. შეიძლება ითქვას, რომ მცირე პლასტიკის ჩვენ მიერ შესწავლილი მასალა წარმოადგენს კავკასიური ცხოველური სტილის ფინალს, მის დასასრულს, რაც ქრონოლოგიურად ქრისტიანული იდეოლოგიისა და კულტურის დამკაიძებების ხანს ემთხვევა. ქრისტიანობის ოფიციალურად აღიარების შემდეგ, ძველი იდეოლოგიის ეს უკანასკნელი გამოსახულებები დავიწყებას ეძლევა, თუმცა ზოგიერთი მათგანი, მაგ. ირემი და ცხვარი, ქრისტიანულ სინამდვილეშიც განაგრძობს არსებობას.

ჩვენი მასალის განხილვა კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ კავკასიურმა ცხოველურმა სტილმა თვითმყოფადი ხასიათი ბოლომდე შეინარჩუნა და თავისი თავი ამოწურა მხოლოდ ახალი იდეოლოგიის გავრცელების შემდეგ, რომელმაც ქართულ მხატვრულ აზროვნებას ახალი ამოცანები დაუსახა.

## K. Ramishvili

### ZOOMORPHIC REPRESENTATIONS (IBEX, RAM) FROM THE EASTERN GEORGIAN HIGHLAND

(Summary)

The paper deals with representations of ibex and ram – a part of a numerous group of minor art specimens obtained from the Aragvi basin. These interesting artifacts come from the Pshavi Aragvi gorge and Zhinvali necropolis and are dated in general to the 2<sup>nd</sup>-4<sup>th</sup> cent. A.D. It should be noted, however, that the most interesting group of this archaeological material – figures serving as “buckles” – are datable mainly to the 3<sup>rd</sup>-4<sup>th</sup> cent. A.D.

These specimens of zoomorphic art were manufactured by applying the casting and moulding technique and mostly are made of bronze, though silver also occurs.

The figurines coming from the Aragvi gorge, along with representations of deer and horse already dealt with in the preceding paper, despite their iconographic variety, judging by their stylistic features, manufacturing technique, functional purpose and semantics, represent a unique artistic phenomenon shaped on the grounds of a unified system of economic structure and religious beliefs. The above phenomenon in turn, is linked with most ancient periods, clearly marked by the dominant cultural elements of the Colchian world, the Colchian artistic thought pattern. Notwithstanding novelties and peculiarities that distinguish the specimens analysed in the present paper, it seems reasonable to regard them as a product of cultural continuity of the so-called “Caucasian animal style”. According to the author's conjecture, the group of minor art specimens from the Eastern Georgian highland represents the final stage of the “Caucasian animal style”, its ending. Chronologically it coincides with the strengthening of Christian culture and ideology in Georgia.

After the adoption of Christianity these last symbols of pagan ideology were lost - the figurines of ibex and ram among them, though some of them, e.g. representation of deer, survives into Christian culture as a symbol of a true believer's spirit.

## ლიტერატურა

1. ამირანაშვილი შ. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1961.
2. გობეჯიშვილი გ. ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები. საკანდიდატო დისერტაცია. თბ., 1942.
3. გოგოჭური დ. მელექსეობა ხევსურეთში. თბ., 1974.
4. ვირსალაძე ე. ქართული სამონადირეო ეპოსი. თბ., 1964.
5. კიბაძე ზ., ტონია ნ. მითოლოგია. თბ., 2000.
6. ლომთათიძე გ. საქართველოს მოსახლეობის სოციალური და კულტურული დახასიათებისათვის ახალი წელთაღრიცხვის I-III საუკუნეებში. – ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, 1955, გვ. 349-374.
7. ლომთათიძე გ. კლდევეთის სამაროვანი. თბ., 1957.
8. ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდაგა გვ. ჭყონია ა. არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს. – ვანი, I. თბ., 1972, გვ. 198-239.
9. ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ. არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარზე 1968 წელს. – ვანი, I. თბ., 1972, გვ. 186-196.
10. მუსხელიშვილი დ. ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა. თბ., 1978.
11. ნადირაძე ე. მემორიალურ ძეგლთა სიმბოლიკა. თბ., 1998.
12. რამიშვილი ქ. ი. სასანური გემები საქართველოში. თბ., 1979.
13. რამიშვილი ქ. რ. ნადირობის სცენები არაგვისპირის ვერცხლის სურებზე. – ძიებანი, № 4, 1999, გვ. 71-75.
14. რამიშვილი ქ. რ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ახ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის მცირე პლასტიკის ძეგლები (ცხენი). – ძიებანი, № 6, 2000, გვ. 68-77.
15. რობაქიძე ც. ნებისის სამაროვანზე მოპოვებული მცირე პლასტიკის ნიმუშები. – ძმ, № 1, 1990, გვ. 67-71.
16. სურგულაძე ი. ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. სადოქტორო დისერტაციის მაცნე, თბ., 1994, გვ. 3-67.
17. სურგულაძე ი. ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა. თბ., 1994.
18. ფიცხელაური კ. აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა უძველესი ისტორიის ძირითადი საკითხები. თბ., 1973.
19. ჩიქოვანი მ. ქართული ეპოსი, I. თბ., 1959.
20. ცანაგა ა. ქართული ზეპირსიტყვიერების მასალები. თბ., 1970.
21. წითლანაძე ლ. ხევის არქეოლოგიური ძეგლები (ყაზბეგის რაიონი). თბ., 1976.
22. ჭყონია ა. ოქროს სამკაული ვანის ნაქალაქარიდან (ვანი, VI). თბ., 1981.

23. ხახუტაიშვილი დ. უფლისციხე, I. თბ., 1964.

24. ხიდაშელი გ. საკულტო რელიგიური ჰარალელების კავკასიასა და ლურისტანს შორის. – ქაბ, III, 1970.

25. ხიდაშელი გ. ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში (ბრინჯაოს ქართული ჭვირულგამოსახულებიანი ბალთები). გამოკვლევა და კატალოგი. თბ., 1973.

26. ხიდაშელი გ. ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოებება ადრეული რკინის ხანაში (ბრინჯაოს გრავირებული სარტყელები). თბ., 1982.

27. Борисов А. Я., Луконин В. Г. Сасанидские геммы. Ленинград, 1963.

28. Ковалевская В. Б. Хронология древностей северокавказских алан. – Аланы: история и культура, III, Дауджикуа, 1995, с. 123-183.

29. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. Тб., 1943.

30. Куфтин Б. А. Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию. Тб., 1949.

31. Кушнарева К. Х. Древнейшие памятники Двина. Ереван, 1977.

32. Mapp Н. Я. Фрако-армянский Sabadios и сванская божество охоты. – Известия Императорской Академии Наук, СПб., 1812.

33. Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Глонти М. Г., Мухигулашвили Н. З., Робакидзе Ц. В., Чихладзе В. В., Циклаури Д. К., Маргвелашвили М. Г., Рчеулишвили Г. М., Ломидзе Ц. Ш., Циклаури И. Д., Церетели К. Б. Работы Жинвальской комплексной археологической экспедиции. – ПАИ, 1981 (1984), с. 59-68, табл. LXXXIII-XCIV.

34. Рамишвили Р. М., Джорбенадзе В. А., Чиковани Г. Г., Глонти М. Г., Гогадзе Э. М., Панцхава Л. Н., Мухигулашвили Н. З., Чихладзе В. В., Робакидзе Ц. В., Рчеулишвили Г. М., Маргвелашвили М. Г., Каландадзе З. А., Циклаури И. Д., Ломидзе Ц. Ш., Бучукuri А. И., Аладаури Б. Г. Археологические исследования в Арагвском ущелье. – ПАИ, 1983 (1986), с. 48-53, табл. LXXXIX-Cl.

35. Уваров А. С. Христианская символика. Часть первая: Символика древне-христианского периода. М., 1908.

36. Уварова П. С. Могильники Северного Кавказа. – МАК, VIII, с. 139-155.

37. Лордкипанидзе О. Д., Путурдзе Р. В., Матиашвили Н. Н., Толордава В. А., Лордкипанидзе Г. А., Кигурадзе Н. Ш., Гиголашвили Е. Г. Итоги работ Ванской экспедиции. – ПАИ, 1973 (1974), с. 35-41.

### ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1. ჯიხვის გამოსახულება მშვილდსაკინბის ფუნქციით, ვერცხლი, წიფრანისძირის სამაროვანი (09-XLVIII-83-180, კულტურული ფენიდან); 2. ჯიხვის გამოსახულება მშვილდსაკინბის ფუნქციით, ბრინჯაო (09-XLVIII-81-42, სამარხი № 5); 3. ჯიხვის ორთავიანი ფიგურა, ბრინჯაო, ნების სამაროვანი (09-LXI-87-198, სახლის მშენებლობის დროს დანგრეული სამარხიდან); 4. ჯიხვის ფიგურა საკიდით, ბრინჯაო (09-LXI-87-195, დანგრეული სამარხიდან); 5. ჯიხვის თავის გამოსახულება, ბრინჯაო (09-LXI-88-95, სამარხი № 247); 6. ჯიხვის თავის გამოსახულება, ბრინჯაო (09-LXI-88-69, სამარხი № 242); 7. ჯიხვის თავის გამოსახულება, ვერცხლი, კლდეეთის სამაროვანი (09-LXI-88-436, დანგრეული სამარხიდან); 8. ჯიხვის თავის გამოსახულება (09-LXI-88-520, სამარხი № 164); 9. ჯიხვის თავის გამოსახულება, ვერცხლი (09-LXI-88-435, კულტურული ფენიდან).


ტაბ. II – 1. ვერძის თავების გამოსახულება ვერცხლის სამაჯურზე (09-LXI-88-515, სამარხი № 164); 2. ვერძის თავების გამოსახულება ბრინჯაოს სამაჯურზე (09-LXI-85-64, სამარხი № 8); 3. მედალიონი ვერძისთავებით, ბრინჯაო, უინგალი (09-XXV-79-395, სამარხი № 277); 4. ვერძის თავის გამოსახულება, ბრინჯაო (09-LXI-85-412, კულტურულ ფენაში); 5-9. ბრინჯაოს ძეწვები სხვადასხვა მოვანილობის საკიდებით, ნების სამაროვანი (09-LXI-85-128, 126, 123, 123, 543).

### Description of the Plates


Pl.I. – 1. representation of ibex, silver, Tsipraniisdziri (09-LVIII-83-180, cultural layer); 2. representation of ibex, bronze, Tsipraniisdziri (09-XLVIII-81-42, burial № 5); 3. representation of double-headed ibex, bronze, Nedzikhi (09-LXI-87-198, cultural layer); 4. representation of ibex, bronze (09-LXI-87-195, cultural layer); 5 representation of the head of ibex, bronze (09-LXI-88-95, burial № 247); 6. representation of the head of ibex, bronze, (09-LXI-88-69, burial № 242); 7. representation of the head of ibex, silver, Kldeeti (09-LXI-88-436, cultural layer); 8. representation of the head of ibex, silver (09-LXI-88-520, burial № 164); 9. representation of the head of ibex, silver (09-LXI-88-435, cultural layer).

Pl. II. – 1. representations of the heads of ram on silver bracelet (09-LXI-88-515, burial № 164); 2. representation of the heads of ram on bronze bracelet (09-LXI-85-64, burial № 8); 3. heads of ram on bronze medallion, Zhinvali (09-XXV-79-395, burial № 277); 4. bronze representation of the head of ram (09-LXI-85-412, cultural layer); 5-9. pendants on bronze chains, Nedzikhi (09-LXI-85-128, 126, 123, 123, 543).

ტაბ. I



გაბ. II



## ცისანა ჩიკოიძე

### ანტიპური ხანის ქვემოთ სამართლები თელავიდან

შუა საუკუნეების საქართველოს ნაქალაქარების არქეოლოგიური შესწავლა ჩვენი საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. ცოდნის დაგროვებამ ცხადყო, რომ მრავალი პრობლემა ჯერ კიდევ დაუმუშავებელია. ამ ხარების შესხება უნდა მოხდეს ფაქტობრივი მასალის დაგროვებით. ამდენად ერთმა მცირე არქეოლოგიურმა აღმოჩენაში შესაძლოა შეავსოს ამა თუ იმ კუთხისა თუ ქალაქის ისტორიის კვლევისას არსებული ხარვეზი.

ჩვენ მხედველობაში გვაქვს თელავის ერთ-ერთ ძველ უბანში, მაწანურის ხევის მარცხენა ნაპირზე, „ძველ გალავანში“, მე-6 საშუალო სკოლის ეზოში გათხრილი გვიანელინისტური ხანის ქვევრსამარხები.<sup>20</sup>

წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, თელავი და მისი შემოგარენი ინტენსიურად იყო დასახლებული როგორც გვიან-ბრინჯაოს ხანაში, ისე მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. გარკვეულ პერიოდში იგი ქვეყნის პოლიტიკური ცენტრიც გახდა [6], მაგრამ ქალაქის ისტორიის კვლევისას მწირი აღმოჩედა ანტიკური ხანის მასალები. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოდ მიგვაჩნია ჩვენ მიერ ზემოხსენებული სამარხების აღმოჩენა. წინამდებარე ნაშრომს ამ ტიპის სამარხთა პკლევის პრეტეზია არ გააჩნია. ჩემი მიზანია გამოვაქვეჭოთ და სამეცნიერო მიმოქცევაში შევიტანოთ დღემდე უცნობი მასალა, რომელსაც, ჩემი აზრით, ორმაგი მნიშვნელობა აქვს: ერთი, რომ ქვევრსამარხთა აღმოჩენა თელავში პირველი შემთხვევა და მეორე – დაკრძალვის წესი საკმაოდ თავისებურია. ამდენად, ახალმა აღმოჩენამ, შესაძლოა, გარკვეული სიახლე შეიტანოს დაკრძალვის წესისა და რიტუალის შესწავლაში და ამასთან ერთად დაეხმაროს სკეციალისტებს ამ რეგიონის ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის კვლევაში.

ქვევრსამარხების შესახებ სადღეისოდ საკმაოდ ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა არ-სებობს, რომლის დიდი ნაწილი ეხება დასავლეთ საქართველოში გათხრილ ძეგლებს. განსაკუთრებით საყურადღებოა ვ. თოლორდავას მონოგრაფია, სადაც ერთობლივადა შესწავლილი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში აღმოჩენილი ქვევრსამარხები, მოცემულია მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავება, გამოკლენილია მათი ლოგალური თავისებურებანი, დადგნილია გავრცელებისა და ქრონოლოგიის საკითხები [1]. აღნიშნულ მონოგრაფიაში არ

არის გათვალისწინებული კახეთში აღმოჩენილი ძეგლები, რადგან ისინი მკვლევარის მიერ შედარებით გვიანი პერიოდისა და სხვა ეთნოგულტურული სამყაროს კუთვნილებადა მიჩნეული [1, გვ. 5, 178].

ამავე ავტორის უფრო ადრეულ ნაშრომში განხილულია კახეთის მთელ რიგ პუნქტებში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრსამარხები, რომელთა შესახებ მსჯელობა ავტორს უჭირს მასალის სიმცირის გამო [2, გვ. 156].

კახეთში ცნობილია ქვევრსამარხების აღმოჩენის რამდენიმე ადგილი: უჯარმა, სადაც ინვენტარის შესახებ არავითარი ცნობა არ არის; სოფ. ყოლოთო, სადაც ს. მენთეშვილმა გათხარა 7 ქვევრსამარხი, მიწაში ჰორიზონტალურად ჩაფლული, მიცალებულები ესვენა ხელფეხმოხრილი. სამარხეული ინვენტარი შედგება თიხის ჭურჭლისა და მცირეოდენი სამკულისაგან, დათარილებულია ძვ.წ. მიწურულით; სოფელი სანიორე, სადაც ქვევრები ჩაფლული იყო ჰორიზონტალურად, მიცალებულისათვის ჩაუტანებიათ ორი ოქროს საყურე ყურძნის მტევნის ფორმისა, ბრინჯაოს სამაჯური და ზარაკი. სამარხი დათარილებულია ძველ და ახალ წელთაღრიცხვათა მიჯნით [2, გვ. 157].

ქვევრსამარხადაა მიჩნეული გ. ნიორაძის მიერ სოფ. არხილოსკალოსთან გათხრილი ბავშვის სამარხი, სადაც ჩორჩი დასვენებული ყოფილ ქვევრის ნატეხზე და გარშემოლაგებული ჰქონია თიხის ჭურჭელი. დათარილებულია ძვ.წ. I საუკუნით [5, გვ. 89].

ასეთია კახეთის ტერიტორიაზე ქვევრსამარხთა აღმოჩენის სურათი. ამ ხანის შესაბამისი ნამოსახლარების კვალი კი აღნიშნულ მხარეში ჯერჯერობით არსად არ არის მიკვლეული.

თელავის სამარვანზე დიდი მოცულობის არქეოლოგიური სამუშაოს ჩატარება ვერ მოხერხდა ტექნიკური მიზეზების გამო. გაითხარა მხოლოდ 15 მ სიგრძისა და 8 მ სიგანის თხრილი, სულ 120 მ<sup>2</sup> ფართობი, სადაც სამარხი ქვევრები თავმოყრილია ერთ ბუდედ თხრილის დასავლეთ ნაწილში. აღმოჩნდა სულ 10 ქვევრსამარხი და ერთი ორმოსამარხი (სურ. 1). 7 ქვევრსამარხი ერთმანეთისაგან დაცილებულია 1-1,5 მეტრით. მათ გვერდითაა ორმოსამარხი, ორი ქვევრსამარხი კი (№№ 1 და 6) სამარხთა ამ ბუდისაგან მოცილებული აღმოჩნდა 2,60 და 4,50 მეტრით.


სამარხი ქვევრები ჩაფლულია 70 სმ-ის სიღრმეზე მიწის ზედაპირიდან. სამარხად გამოყენებულია ჩვეულებრივი საღინე ქვევრი, რომელიც წინასწარ გადაუხერხავთ მუცელთან ყველაზე ფართო ნაწილში და ჩაუფლავთ მიწაში ვერტიკალურად ძირით. ქვევრები ამოუკვით მოზრდილი რიყის ქვებით და მასზე დაუკრძა-

<sup>20</sup> ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ც. ჩიკოიძე (ხელმძღვანელი), ბ. მასურაძე, მ. აბდუშელიშვილი (მეცნ. თანამშრომლები), რ. სარალიძე (არქიტექტორი).

ლავთ მიცვალებული. ზემოდან დაუფარებიათ ქვევრის პირისა და კედლის ნატეხები.

10 ქვევრსამარხიდან სამში (№№ 1, 2, 9) დაუკრძალავთ ადამიანი, ოთხში (№№ 3, 4, 5, 8) – ცხოველები, სამი კი (№№ 6, 7, 10) ცარიელი აღმოჩნდა.

რია მოწითალოდ, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, აქვს გადაშლილი ქობაგამსხვილებული პირი, მაღალი ყელი, გამობერილი მუცელი, ქვემოთ მკვერტრად დაქანებული, ბრტყელი ვიწრო ძირი. ზედაპირი შემკულია რელიეფური წიბოებით, რომელიც დაღარულია მოკლე ხაზე-



სურ. 1

ქვევრსამარხების სამხრეთით, იმავე ბუდეში, აღმოჩნდა ერთი ორმოსამარხი ადამიანის ჩონჩითა და ინვენტარით.

#### სამარხეული კომპლექსები

**ორმოსამარხი № 1.** აღმოჩნდა თხრილის სამხრეთ კედელთან, თიხნარ ფენაში, ქვევრსამარხთა ღონებე. ჩონჩი დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ (თავით აღმოსავლეთით). მიცვალებული იწვა მარცხენა გვერდზე, ოდნავ მოხრილი, ხელის მტევნები სახესთან ჰქონდა მიტანილი. ანთროპოლოგთა განსაზღვრით ჩონჩი ქალისა აღმოჩნდა.<sup>21</sup>

მიცვალებულს სახის წინ ედგა ორი ჭურჭელი: მოყავისფროდ გამომწვარი თიხის ქოთანი და მოწითალოდ გამომწვარი თიხის სამტუჩა დოქი. თავის უკან იდო რკინის დანისპირი და ჰქონდა ბრინჯაოს ორი საყურე რგოლი. სამარხში ეყარა თიხის ჯამის პირ-კედლისა და სხვადასხვა ჭურჭლის ნატეხები (ტაბ. I, 6).

**ქვევრსამარხი № 1.** აღმოჩნდა სამარხთა ბუდიდან 4,5 მ მოშორებით. ქვევრი გამომწვა-

ბით. ქვევრი შუაზეა გადახერხილი და ვერტიკალურადაა ჩადგმული მიწაში ძირით. ქვევრში აღმოჩნდა ადამიანის არეული ძვლები.

ინვენტარი: რკინის შუბისპირი, თიხის ჯამისა და დოქის პირები, კედლის ნატეხები (ტაბ. I, 12).

**ქვევრსამარხი № 2.** ქვევრი გამომწვარია მოკარდისფროდ, წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. აქვს გადმოკეცილი, ქობაშესქელებული პირი, დაბალი ყელი, განიერი მუცელი და ბრტყელი ვიწრო ძირი. ზედაპირი შემკულია რელიეფური სარტყელით, რომელზედაც დაღარულია მოკლე ირიბი ხაზები. ქვევრი გადახერხილია მუცელთან და ვერტიკალურადაა ჩაფლული მიწაში ძირით (მუცლის დმ – 0,9 მ, პირის დმ – 42,5 სმ, კეცის სისქე – 1,5 სმ). ქვევრი მუცლამდე ამოგსებულია მოხრდილი რიყის ქვებით, რომელზედაც ესვენა ადამიანის ჩონჩი. სამარხი გადახურულა ქვევრის პირისა და კედლის ნატეხებით. ჩონჩი დამხრობილია სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ (თავით სამხრეთით), იწვა მარჯვენა გვერდზე ძლიერ მოხრილი, ხელები სახესთან ჰქონდა ატანილი, მუხლები კი – მკერდამდე. თავი ესვენა რიყის ქვა-

<sup>21</sup> ორმოს ზომები: 1,60 × 1,20 მ, ჩონჩის სიგრძე – 1,17 მ, ბარძაყის ძვლის სიგრძე – 0,33 მ.

ზე, ტანთან შედარებით უფრო შემაღლებულად (ბარძაყის ძვლის სიგრძე – 27 სმ).

ინვენტარი: თიხის ჯამის ძირის, ხელადის პირ-ყურისა და ჭურჭლის ძირისა და კედლის ნატეხები (ტაბ. I<sub>13-19</sub>).

**ქვერსამართი № 3.** ქვევრი გამომწვარია მოწითალოდ, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. აქვს ქობაგამსხვილებული პირი, მაღალი ყელი, განიერი მუცელი, ქვემოთ მკვეთრად დაქანებული კედლები და ვიწრო ბრტყელი ძირი. ზედაპირი შემკულია რელიეფური სარტყლით, რომელზედაც დაღარულია მოკლე ირიბი ხაზები. ქვევრის პირზე გამოწვამდე ამოტვიფრულია ხელოსნის ნიშანი – ორი მარყუეში. ქვევრი გადახერხილია მუცელთან და ჩაფლულია მიწაში ძირით ვერტიკალურად (ქვევრის დმ – 0,76 მ მუცელთან, პირის დმ – 0,44 მ, კეცის სიქე – 1,7 სმ, ძირის დმ – 0,12 მ). ქვევრი მუცელად ამოვსებულია მიწით და შიგ ჩამარტულია წვრილფეხა რქოსანი საქონლის ძვლები. გადახურულია ქვევრის პირისა და კედლის ნატეხებით.

ინვენტარი: თიხის ჯამის პირ-კედლისა და ჭურჭლის ყელისა და კედლის ნატეხები.

**ქვეგრსამართი № 4.** ქვევრი გამომწვარია მოვარდისფროდ, წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. აქვს ქობაგამსხვილებული პირი, დაბალი ყელი, განიერი მუცელი, ქვემოთ დაქანებული კალთა და ვიწრო ბრტყელი ძირი. ზედაპირი შემკულია რელიეფური სარტყლით, რომელზედაც ჩამოუყვება ამოჩხვლეტილი წერტილებისაგან შემდგარი მოკლე ხაზები. პირზე გამოწვამდე აქვს დატვიფრული პატარა წრები. ქვევრი გადახერხილია მუცელთან და ჩაფლულია მიწაში ვერტიკალურად, ძირით (დმ მუცელთან – 0,94 მ, პირის დმ – 0,4 მ, კეცის სისქე – 1,7 სმ, ძირის დმ – 0,13 მ). ქვევრი ამოვსებულია მუცელადე რიყის ქვებით, რომელზედაც დასვენებულია ირმის ორი მოზრდილი რქა. სამარხი გადახურულია ქვევრის პირისა და კედლის ნატეხებით.

ინვენტარი: თიხის მიღ-ნისკარტიანი ჭურჭლის, ხელადის ყურისა და ჯამების პირისა და კედლის ნატეხები (ტაბ. II<sub>1-8</sub>).

**ქვეგრსამართი № 5.** ქვევრი გამომწვარია მოვარდისფროდ, კარგად განლექილი წვრილმარცვლოვანი თიხისგან. აქვს ქობაგამსხვილებული პირი, დაბალი ყელი, განიერი მუცელი და ვიწრო ბრტყელი ძირი. გადახერხილია მუცელთან და ჩაფლულია მიწაში ვერტიკალურად, ძირით (დმ მუცელთან – 0,90 მ, პირის დმ – 0,3 მ, კეცის სისქე – 0,1 მ). ქვევრის ძირზე დაფენილია რიყის ქვები, რომელზედაც ცხოველის რქა და ძვლებია დასვენებული.

ინვენტარი: თიხის დამტვრეული ჭურჭლის კედლის ნატეხები (ტაბ. II<sub>9-12</sub>).

**ქვეგრსამართი № 6.** ქვევრი გამომწვარია მოწითალოდ, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან,

აქვს ქობაგამსხვილებული გადაშლილი პირი, მაღალი ყელი, განიერი მუცელი და ვიწრო ბრტყელი ძირი. ზედაპირი შემკულია რელიეფური სარტყლით, რომელზედაც დაღარულია მოკლე ირიბი ხაზები. ქვევრის პირზე გამოწვამდე ამოტვიფრულია ხელოსნის ნიშანი – ორი მარყუეში. ქვევრი გადახერხილია მუცელთან და ჩაფლულია მიწაში ძირით ვერტიკალურად (ქვევრის დმ – 0,76 მ მუცელთან, პირის დმ – 0,44 მ, კეცის სიქე – 1,7 სმ, ძირის დმ – 0,12 მ). ქვევრი ცარიელი აღმოჩნდა.

**ქვეგრსამართი № 7.** ქვევრი გამომწვარია მოწითალოდ, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. აქვს გადაშლილი პირი, მაღალი ყელი, განიერი მუცელი და ვიწრო ბრტყელი ძირი. ზედაპირი დაფარულია მერთალად ამოღარული კონკენტრული ხაზებით. შემკულია ოთხ-ოთხი ხაზისაგან შემდგარი ტალღური სარტყელით. ქვევრი გადახერხილია მუცელთან და ჩაფლულია მიწაში ვერტიკალურად, ძირით (დმ მუცელთან – 0,80 მ, ძირის დმ – 0,12 მ, კეცის სისქე – 0,13 მ, კეცის სისქე – 0,12 მ).

ქვევრი ცარიელი აღმოჩნდა.

**ქვეგრსამართი № 8.** ქვევრი გამომწვარია მოწითალოდ, მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, აქვს გადაშლილი პირი, მაღალი ყელი, განიერი მუცელი და ვიწრო ბრტყელი ძირი. ზედაპირი შემკულია ერთმანეთთან ახლოს მიჯრილი რელიეფური სარტყელებით, რომლებზედაც ამოღარულია მოკლე ირიბი ხაზები. ქვევრი მუცელთანაა გადახერხილი და ჩაფლულია მიწაში ვერტიკალურად, ძირით (დმ მუცელთან – 0,80 მ, ძირის დმ – 0,12 მ, კეცის სისქე – 0,13 მ).

ქვევრში აღმოჩნდა ირმის რქა და წვრილი საქონლის ძვლები.

**ქვეგრსამართი № 9.** ქვევრი გამომწვარია მოვარდისფროდ, წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. აქვს ქობაგამსხვილებული პირი, დაბალი ყელი, განიერი მუცელი და ბრტყელი, ვიწრო ძირი. ზედაპირი შემკულია ნათითურებით. ქვევრი გადახერხილია შუაზე და ჩაფლულია მიწაში ვერტიკალურად, ძირით (დმ მუცელთან – 0,96 მ, ძირის დმ – 0,15 მ, კეცის სისქე – 0,13 მ). ქვევრის ძირზე ეგდო ირმის რქის ნატეხი, ხოლო მუცელთან იდო ადამიანის ბარძაყის ძვალი.

ინვენტარი: თიხის დამტვრეული ჭურჭლის ნატეხები (ტაბ. II<sub>13-16</sub>).

**ქვეგრსამართი № 10.** ქვევრი გამომწვარია მოვარდისფროდ, წვრილმარცვლოვანი, კარგად განლექილი თიხისგან. აქვს გადაშლილი, ქობაგამსხვილებული პირი, დაბალი ყელი და ვიწრო ბრტყელი ძირი. ზედაპირი შემკულია რელიეფური სარტყლით. ქვევრი შუაზე გადახერხილი და ჩაფლულია მიწაში ვერტიკალურად, ძირით (დმ მუცელთან – 0,84 მ, კეცის სისქე – 0,12 მ).

ქვევრი ცარიელი აღმოჩნდა.

**დაკრძალვის წესი.** ყველა ეთნიკურ ჯგუფს აქვს მისთვის დამახასიათებელი დაკრძალვის წესი, რომლითაც მჭიდროდაა დაკავშირებული მისსავე რელიგიურ რწმუნა-წარმოდგენებთან. ამდენად ძველი სამაროვნების აღმოჩნდის ცალ-

კეული შემთხვევებიც კი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს შესაბამისი საზოგადოების ცხოვრების შესასწავლად.

თელავში გათხრილი ქვევრსამარხების დაკრძალვის წესში შეინიშნება მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი. ქვევრსამარხები ერთ ბუდედაა განლაგებული, რომლის გვერდზე გვხვდება ორმოსამარხიც. სამარხები, ისევე როგორც ყველგან, ინჰუმაციურია, დაკრძალულია თითო მიცვალებული, გვერდზე ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში.

აღსანიშნავია, რომ 10 ქვევრსამარხიდან მხოლოდ სამ ქვევრში იყო დაკრძალული ადამიანი, ოთხში – ირმის რქები და წვრილფეხა საქონელი, სამი კი სრულიად ცარიელი აღმოჩნდა. საფიქრებელია, რომ საქმე გვაქვს ერთ საოჯახო ბუდე-სამარხთან, რომელთა დაკრძალვის რიტუალთან უნდა იყოს დაკავშირებული ირმის რქებისა და საქონლის ასეთი საპატიო შეწირვა თუ დაკრძალვა. ამავე დროს შესაძლოა იმის ვარაუდიც, რომ ცარიელი ქვევრები ან კენოტაფებს წარმოადგენდა ან შეიცავდა დაკრძალვის რიტუალთან დაკავშირებულ შეწირულობას, ე.წ. „აღაბის“ ნაშებს.

ქვევრები ჩაფლულია მიწაში ვერტიკალურად, ძირით, სახურავად პირისა და კედლის ნაწილებია გამოყენებული.

ქვევრების მიწაში ვერტიკალურად ჩადგმა დამახასიათებელია საქართველოში აღმოჩნილი ქვევრსამარხებისათვის, მაგრამ მათი უმრავლესობა ჩაფლულია მიწაში პირით და „სახურავად“ ძირის ნაწილები ან ფილაქებია გამოყენებული. ამის პარალელურად არსებობს ქვევრების მიწაში პორიზონტალურად ჩადგმის წესიც. ამდენად თელავის ქვევრსამარხთა განსხვავებული ფორმა და დაკრძალვის წესი მისი ლოკალური თავისებურებებით უნდა აიხსნას.

სამარხების ბუდეებად განლაგებაც არ არის უცხო საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აღმოჩნილი სამაროვნებისათვის: დაბლაგომი [1, გვ. 7], დაფნარი [9, გვ. 14], მცხეთა-სამთავრო [2, გვ. 138]. მკვლევართა ერთი ნაწილი მას საოჯახო სამარხებად მიიჩნევს, რომლებიც იმართებოდა საცხოვრებელთან ახლოს [10, გვ. 7], მაგრამ იშვიათია ქვევრსამარხთა და ორმოსამარხთა ერთ ბუდეში თანაარსებობის შემთხვევები. მართალია, აღმოსავლეთ საქართველოში დაკრძალვის ეს ორი წესი ერთდღოულად არსებობს, მაგრამ მათი ცალკეული შემთხვევებია დამოწმებული სხვადასხვა რეგიონებში. მაგ., მცხეთა-სამთავროში გაბატონებული წესია ქვევრსამარხებში დაკრძალვა, უფლისციხეში კი – ორმოსამარხებში [1, გვ. 57]. გამონაკლისადაა მიჩნეული დაფნარში აღმოჩნილი ერთი სამარხი, როდესაც ქვევრსამარხთა გვერდით გვხვდება ორმოსამარხი. იგი ეწინააღმდეგება მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ქვევრსამარხების გაჩენა დაკავშირებულია შემდეგ რელიგიურ რწმენასთან – მიცვალებული უნდა იყოს სრუ-

ლიად იზოლირებული მიწისაგან. ეს შემთხვევა ახსნილია განსხვავებული წეს-ჩვეულებებით, რომელიც დღესაც გვხვდება სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში [9, გვ. 43]. აღნიშნული დაკრძალვის წესების თანაარსებობა არ აიხსნება არც სოციალური ფაქტორით, ვინაიდან მათი სამარხეული ინვენტარი სრულიად ერთნაირია.

აღბათ სამართლიანია გ. ლომთათიძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ორმოში დაკრძალვა ერთი ყველაზე უფრო ძველებური და დიდხანს გავრცელებული წესია საქართველოში და მაშინაც კი, როცა ძვ.წ. II ს-დან მცხეთის მასობრივ სამაროვანზე იწყება მიცვალებულთა ჩასვენება ჭურჭელში, ხოლო შემდეგ საგანგებო ნაგებობათა ჩადგმა მიწაში. ახ.წ. I საუკუნეებში კვლავ საკმაოდ გავრცელებულია ორმოსამარხები [3, გვ. 161].

თელავის სამაროვანზე დაკრძალვის წესის ერთ-ერთ თავისებურებად მიმართა აგრეთვე სამარხებში (როგორც ადამიანის, ისე ცხოველების) დამტვრეული ჭურჭლის ნატეხების ჩატანება. ამ მხრივ გამორჩეულია ორმოსამარხი, რომელშიც მთელი ჭურჭლებია ჩადგმული.

თელავის სამაროვანზე თითქოს გამოირჩევა ადამიანთა მთავარი სამარხები, რომელთათვისცაც დაკრძალული თუ შეწირული ცხოველები ან მათი სარიტუალო წმინდა ნაწილები.

ანალოგიური შეწირულობანი მცირეოდენი ცვლილებებით გვხვდება სამთავროს სამაროვანზე [2, გვ. 47], კლდეეთში [3, გვ. 168] და დასავლეთ აზერბაიჯანში – მინგეჩაურში.

ამრიგად, თელავში გათხრილი ქვევრსამარხები, როგორც ვნახეთ, ამჟავნებენ რა გარკვეულ თავისებურებებს, ამრავალფეროვნებენ ჩვენ ცოდნას საქართველოში გავრცელებული დაკრძალვის წესებისა და რელიგიური რწმენის შესახებ. მეორე მხრივ, აღნიშნულ სამარხებში კიდევ ერთხელ დასტურდება დამარხვის ის წესი, რომელიც ადრეც იყო ცნობილი საქართველოს სხვადასხვა კუთხებში გათხრილი იმაგდროული სამარხებიდან.

**ქვევრსამარხთა ინგენტარი.** ქვევრსამარხებში, როგორც წესი, მიცვალებულებს აყოლებდნენ ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო ნივთებს: თიხის ჭურჭელს, სამკაულს, მონეტებს.

თელავის ქვევრსამარხებში ინგენტარი ცოტაა და ღარიბული. იგი არ გამოირჩევა თიხის ჭურჭლის ფორმათა მრავალფეროვნებით. გვხვდება ორი მთელი ჭურჭელი, სხვადასხვა ჭურჭელთა ნატეხები, ბრინჯაოს წყვილი საყურე რგოლი და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ორი რკინის იარაღი: დანისა და შუბისპირები.

**ლითონი.** რკინის დანისპირი, ყუნწიანი, შემორჩენილი აქვს სატარე ნაწილი, რომელზედაც ხის ან რქის ტარი მაგრდებოდა (ტაბ. I.). ბოლო შევიწროებულია და მომრგვალებული. ორპირ-

ლესული (პირის სიგრძე – 8 სმ, ყუნწის სიგრძე – 2 სმ, მხრის სიგანე – 1,5 სმ).

დანები აღმოჩენილია სამთავროში, ბორში, ჩხორიწყუში, თრიალეთში, თეთრიწყაროში, არკნეთში, ყოლოთორში და სხვ. [2, გვ. 15]. რკინის მოხრილ დანებს ვ. თოლორდაგა სასხლავ იარა-ლად მიიჩნევს, ბ. კუფტინი კი მის მრავალმხრივ გამოყენებას ვარაუდობს [11, გვ. 37]. მსგავსი დანების შემცველ სამარხებს არკნეთიდან ოთ. ჯაფარიძე ძვ.წ. II-I საუკუნეებით ათარიღებს [7, გვ. 199].

რკინის შუბისპირი, მრგვალმასრიანი, მხრებ-დაქანებული და ბოლოწაწვეტილი, ორპირლე-სული (ტაბ. I<sub>2</sub>). შუაში, ორივე მხრიდან, ჩამო-უყვება რელიეფური ქედი (სიგრძე – 29 სმ, მასრის სიგრძე – 11 სმ, პირის სიგრძე – 18 სმ, მხრის სიგანე – 3 სმ).

როგორც ცნობილია, ქვევრსამარხებისათვის არ არის დამახსასიათებელი იარაღ-საჭურველი და გვხვდება იშვიათად, ერთეულის სახით. სა-მარხებიდან მათ გაქრობას უკავშირებენ იარაღ-საჭურველსა და სამეურნეო ნივთებზე კერძო საკუთრების გაქნას და მემკვიდრეობის ინსტი-ტუტის ჩამოყალიბებას [1, გვ. 59].

ანალოგიური შუბისპირები ცნობილია ყოლო-თოდან, ძევრიდან, ბანძიდან (შეიარაღებული მა-მაკაცის სამარხი) და დიდი რაოდენობით მინგე-ჩაურიდან. თანმხლები ინვენტარის მიხედვით ყოლოთოს სამარხები წელთაღრიცხვათა მიჯნით თარიღდება [2, გვ. 10], ძევრის ქვევრსამარხები – ახ.წ. II საუკუნით, ბანძის სამარხს ანტონინე პიუსის მონეტის მეშვეობით ახ.წ. II საუკუნეს მიაკუთვნებენ [4, გვ. 182], მინგეჩაურის ქვევრსამარხებსაც ძვ.წ. I ს-ით ათარიღებენ [8].

საყურე რგოლები, დამზადებული ბრინჯაოს მრგვალგანიველითიანი წვრილი მავთულისაგან, ირიზებულია მწვანედ (რგოლის დმ. – 21 სმ) (ტაბ. I<sub>5</sub>). აღმოჩნდა ორი ცალი. ასეთი მარტივი ფორმის საყურე რგოლი დროის დიდ მონა-კვეთზე გვხვდება და აძლენად დათარიღებისათ-ვის იგი არ გამოდგება [2, გვ. 150].

კერამიკა. სამაროვანზე, ორმოსამარხში, აღ-მოჩნდა ორი მთლიანი თიხის ჭურჭელი, ქვევრ-სამარხებში კი (ადამიანის და ცხოველისაშიც) ისინი ნატეხების სახით იყო ჩატანებული. თი-ხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა აგრეთვე კულტურულ ფენაშიც.

ჭურჭელთა ფორმის მიხედვით მასალაში გა-მოიყო ექვსი ჯაფუი: ქავევრები, სამტუჩაპირიანი დოქები, ქოთნები, ჯამები, მილსაწურიანი ჭურ-ჭელი და დერგები.

ქვევრები. აღმოჩნდა 10 ცალი. ტიპიური სა-მეურნეო ქვევრებია – მუცელთან გადახერხილი და მეორედ გამოყენებული. ყველას ემჩნევა ხეხვა-რეცხვის კვალი. ექცის ფერის მიხედვით გამოიყო ორი ჯაფუი: I) მოწითალოდ გამომ-წვარი, მქისე თიხისა, გადაშლილი პირით და

მაღალი ყელით (ყელის სიმაღლე – 3,5-4,5 სმ); 2) მოვარდისფროდ გამომწვარი, წვრილმარც-ვლოვანი თიხისა, ბრტყელი ბაკოთი და დაბალი ყელით (ყელის სიმაღლე – 1,5 სმ). ორივე ჯგუფის ქვევრები ძირისაკენ შევიწროებულია და აქვთ ვიწრო, ბრტყელი ძირები (ძირის დმ – 12-15 სმ, პირის დმ – 30-44 სმ, კეცის სისქე – 1,2-1,7 სმ). ქვევრები ორნამენტირებულია, შემცულია ოთხ-ოთხი ღრმად ამოღარული ტალღებისაგან შედგენილი სარტყლებით, რელიეფური წიბოთი, რელიეფური სარტყლით, რომელზედაც ამოღარულია მოკლე ირიბი ან ამოჩხვლეტილი წერტილებისაგან შემდგარი ხაზები, ნათითურები. ორი ქვევრის ბაკოზე შემორჩენილია ხელოსნის ნიშანი (ტაბ. III<sub>2</sub>).

სამტუჩაპირიანი ღოქები. გამომწვარია მოწითალოდ და ვარდისფრად წმინდა სტრუქ-ტურის თიხისაგან. აქვს სამტუჩა პირი, დაბალი ყელი, გამობერილი, ბიკონუსური მოყვნილობის მუცელი და ბრტყელი, ფართო ძირი. ყურის ნაკალევი ემჩნევა პირთან და მხარზე (სიმაღ-ლე – 15,7 სმ, პირის დმ – 7,5×7 სმ, ძირის დმ – 12 სმ, მუცლის დმ – 16,5 სმ (ტაბ. I<sub>1</sub>). ამ ტიპის ზოგიერთ ხელადას აქვს გრეხილი ყური (ტაბ. II<sub>8</sub>, III<sub>5</sub>), ზოგს კი – ოვალურ განივგე-თიანი. ერთ მათგანზე ჯვრის ფორმის ორნამენ-ტია ამოკაწრული (ტაბ. I<sub>5</sub>).

აღნიშნული ღოქები მსგავსია სამთავროს ქვევრსამარხებში აღმოჩენილი და ვ. ოთლორ-დავას მიერ V ტიპში გაერთიანებული სამტუჩა ღოქებისა [2, გვ. 25-26]. ასეთი ღოქები აღ-მოჩნდა არხილოსკალოში, გურჯაანში, ჩუმლაყ-ში, წინანდალში, ანაგაში, ყოლოთოში, მინგეჩაურში. ყველა ისინი თარიღდება ძვ.წ. I და ახ.წ. I საუკუნით.

ქოთნები. გამომწვარია მოყავისფროდ, წვრილმარცვლოვანი თიხისაგან, უთანაბროდ, კეცი მონაცრისფროა. აქვს მრგვალი, ოდნავ გა-დაშლილი პირი, დაბალი, სქელი ყელი, პი-რისკენ შევიწროებული მრგვალი მუცელი და ბრტყელი ძირი (სიმაღლე – 11,5 სმ, პირის დმ – 8 სმ, მუცლის დმ – 13 სმ).

აღნიშნული ქოთნები მსგავსია სამთავროს ქვევრსამარხებში აღმოჩენილი და VII ჯაფუი გაერთიანებული თიხის ქოთნებისა [2, გვ. 28], რომლებიც თარიღდება წელთაღრიცხვათა მიჯ-ნით.

ჯამები. ფორმის მიხედვით გამოიყო ორი ტიპი. ქუსლიანი ჯამები – გამომწვარი მოვარ-დისფროდ, წვრილმარცვლოვანი თიხისაგან. აქვს გამოყოფილი ქუსლი და შეღარული ძირი (ქუსლის სიმაღლე – 1,5, ძირის დმ – 5,5 სმ) (ტაბ. III<sub>7</sub>). უქუსლო ჯამები – გამომწვარი მოვარდისფროდ, წვრილმარცვლოვანი თიხისაგან, შიგნით გადმოკეცილი დაბალი პირით, გაშლი-ლილი კალთითა და უქუსლო ბრტყელი ძირით (პირის დმ – 17,5-26 სმ, სიმაღლე – 5,8-9 სმ, ძირის დმ – 11-12 სმ (ტაბ. III<sub>8-12</sub>).

მიღ საწურიანი ჭურჭელი, აღმოჩნდა ერთადერთი ნატეხი (ტაბ. III<sub>6</sub>). შემორჩენილია მოკლე, მრგვალნახვრეტიანი მიღის ნატეხი, გამომწვარია მონაცრისფროდ (მიღის სიგრძეა – 2,5 სმ, ნახვრეტის დმ – 0,7 სმ). მსგავსი ჭურჭელი გვხვდება ალაზნის ველზე კახეთში და აზერბაიჯანში, სოფ. ნიჯიში მრავალგარი ფორმით [5, გვ. 71]. მიღ-ნისკარტები აქვს როგორც მათარის ტიპის, ისე დოქტის ტიპის ჭურჭელსაც. მხოლოდ მიღის მიხედვით ფორმის აღდგენა ვერ მოხერხდა.

დერგები. მხოლოდ პირ-ყელის ნატეხებია შემორჩენილი, გამომწვარია მოვარდისფროდ, კარგად განლექილი თიხისაგან. აქვს გადაშლილი ფართო პირი, გამოყვანილი სქელი ყელი და გაშლილი მხარი (პირის დმ – 12,5-18 სმ) (ტაბ. III<sub>13-16</sub>). სამთავროსა და ურნისში ასეთი დერგები ჩვილ ბავშვთა სამარხებადაა გამოყენებული.

ამრიგად, თელავის სამაროვანზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის უმრავლესობა გამომწვარია წითლად ან ვარდისფრად, სადაა და უორნა-მენტო (ქვევრებს გარდა), ემსგავსება აღმოსავლეთ საქართველოს ქვევრსამარხებში აღმოჩენილი ამავე ხანის კერამიკას.

ქვევრსამარხთა თარიღისათვის, თელავში გათხოვილი ქვევრსამარხების სტრატიგრაფია არ იძლევა დათარიღებისათვის საჭირო მონაცემებს, ამიტომ მათი ასაკის განსაზღვრა შესაძლებელი ხდება მხოლოდ პარალელური მასალის მოშველიებით. როგორც უპე აღვნიშნეთ, თელავის ქვევრსამარხები დაკრძალვის წესითა და კერამიკული მასალითაც მეტ მსგავსებას იჩენს აღმოსავლეთ საქართველოს მასალებთან და ზოგიერთ დეტალებში მსგავსებას პოულობს დასავლეთ აზერბაიჯანის, კერძოდ, მინგეჩაურის ძეგლებთან. აღნიშნული სამარხები თარიღდება ძვ.წ. I და ახ.წ. I საუკუნეებით.

დღეისათვის მკვლევარნი დიდი ინტერესით ეკიდებიან ქვევრსამარხთა გაჩნია-გაგრცელების საკითხს. ცნობილია, რომ ქვევრსამარხები როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ჩნდება ძვ.წ. IV ს-ში. მ. ივაშჩენკომ მათი გაჩნია ქვეყნის ელინიზაციასა და უცხო ქვეყნებთან ურთიერთობას დაუკავშირა და მათი გავრცელება ივარაუდა დასავლეთ საქართველოდან აღმოსავლეთ საქართველოში, აქედან კი – აზერბაიჯანში [1, გვ. 57]. ე. პახომოვის აზრით კი, ისინი სამხრეთ აზერბაიჯანიდან დასავლეთ აზერბაიჯანში, ხოლო იქიდან კი აღმოსავლეთ საქართველოში თველოში ვრცელდება [12]. ამ მიმართებით დამაჯერებელი და დასაბუთებული კვლევა აქვს ჩატარებული ვ. თოლორდავას, რომელიც ქვევრსამარხთა გავრცელებას ქვეყნის შიგნით მომხდარი სოციალური და იდეოლოგიური ცვლილებებით ხსნის. ამასთან ერთად მკვლევარი არ გამორიცხავს მათ გავრცელებაში ამა თუ იმ ტერიტორიაზე მეზობელი ქვეყნების გავლენის როლს, მაგრამ წეს-ჩვეულებათა გაცვლა-გამოცვლას

იგი ქვეყნებს შორის მჭიდრო კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობას უკავშირებს. მას ქვევრსამარხთა აზერბაიჯანიდან გავრცელება დაუსაბუთებლად მიაჩნია, ვინაიდან მას სამი საუკუნით უსწრებს წინ აღმოსავლეთ საქართველოში გათხოვილი ქვევრსამარხები [1, გვ. 60-61].

ამრიგად, თელავში გათხოვილი ქვევრსამარხები პარალელური მასალის მოშველიებით ძვ.წ. I და ახ.წ. I საუკუნით თარიღდება. გათხოვებმა საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია მოგვცა ამ ქუთხის ისტორიისათვის. თავისთვის ქვევრსამარხების აღმოჩენის ფაქტი უკვე საქმაოდ მნიშვნელოვანია თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ დაკრძალვის ეს წესი დასტურდება კიდევ ერთ პუნქტში, რომელიც ლოკალური თავისებურების მიუხედავად მსგავსებას იჩენს საქართველოში აღმოჩენილ ქვევრსამარხებთან. მათი მსგავსება მინგეჩაურის სამარხებთან კი, აღბათ, ამ წეს-ჩვეულებების მსგავსებითა და მათი ტერიტორიული სიახლოებით აიხსნება.

დღევანდელი ქალაქის ტერიტორიაზე ამ ხანის სამარხების აღმოჩენა გვაგულისხმებინებს მისი შესაბამისი ნამოსახლარების არსებობასაც, რაც შემდგომი კვლევა-ძიების ამოცანად რჩება.

### Ts. Chikoidze

#### THE ANCIENT JAR BURIALS FROM TELAVI

(Summary)

The archaeological excavations of one of the ancient sites of Telavi have brought to light a necropolis providing new information concerning burial customs and rite. Ten jar burials and one pit burial of a nest shape disposition were excavated on the territory of the necropolis. Three of the jars represented a human grave, another three jars being empty. The remaining four contained sheep and goats bones and deer antlers. A human skeleton was found in the pit burial, the inventory consisted of a clay pot, jar, iron knife and two earrings - in the shape of bronze rings. An iron spearhead was found in burial № 1 along with a human skeleton. All burials contained fragments of clayware. It can be suggested that the jar burials together with the pit burial, must have been a family nest-type burial, while the burial rite included solemn animal sacrifice.

The stratigraphic characteristics of the jar burials do not provide the necessary evidence for dating. Therefore, parallel evidence was drawn upon in order to define the chronology of these burials.

On the grounds of the existing classification, the archaeological complex is dated to the 1<sup>st</sup> cent. B.C. - the 1<sup>st</sup> cent. A.D.

## ლიტერატურა

1. თოლორდავა გ. დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბ., 1980.
2. თოლორდავა გ. მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ.წ. III-I სს. – მსკა, III, 1963, გვ. 137-166.
3. ლომთათიძე გ. კლდეეთის სამაროვანი. თბ., 1957.
4. მაკლათია ს. 1920-1924 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის. – სსმ, IV, 1927, გვ. 161-188.
5. ნიორაძე გ. ალაზნის ველის გათხრები. თბ., 1980.
6. ჩიკოძე ც. ქალაქი თელავი (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა). თბ., 1979.
7. ჯაფარიძე თო. არქეოლოგიური გათხრები სოფ. არკნეთში. – თსუ შრომები, ტ. 63, 1956, გვ. 183-206.
8. Голубкина Т. И. Материалы к истории албанских племен Кавказа по данным кувшинных погребений Азербайджана (II в. до н.э. – III в. н.э.). Автореферат канд. дисс., Баку, 1962.
9. Кигурадзе Н. Ш., Лордкипаниძე Г. А. Дапнарское селище и могильник. – КСИА, 151, 1977, с. 55–64.
10. Кигурадзе Н. Ш. Дапнарский могильник. Тб., 1976.
11. Куфтин Б. А. Материалы к археологии Колхиды, т. II. Тб., 1950.
12. Пахомов Е. А & Монеты Мингечаура. – МКА, II, 1951, с. 146-148.

## სურათისა და ტაბულების აღწერილობა

- სურ. 1. – ქვევრსამრხთა განლაგების გეგმა.  
ტაბ. I – 1-6. ორმოსამარხის ინვენტარი: სამტურა დოქი, რკინის დანისპირი, ბრინჯაოს საყურე რგოლები, თიხის ქოთანი, ჭურჭლის ნატეხები; 7-12. № 1 ქვევრსამარხის ინვენტარი: რკინის შუბისპირი, თიხის ჭურჭლის ნატეხები; 13-19. № 2 ქვევრსამარხის ინვენტარი: თიხის ჭურჭლის ნატეხები.
- ტაბ. II – 1-8. № 4 ქვევრსამარხის ინვენტარი: თიხის ჭურჭლის ნატეხები; 9-12. № 5 ქვევრსამარხის ინვენტარი: თიხის ჭურჭლის ნატეხები; 13-16. № 9 ქვევრსამარხის ინვენტარი: თიხის ჭურჭლის ნატეხები.
- ტაბ. III – 1-2. ქვევრის პირის გვირგვინების ფრაგმენტები; 3-7. ქვევრსამარხებში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ნიმუშები; 8-12. ქვევრსამარხებში აღმოჩენილი ჯამები; 13-16. ქვევრსამარხებში აღმოჩენილი დერგები.

## Description of the plates and figures




Fig. 1 - Situation plan of the jar burials.

Pl. I - 1-6. jar burial goods: trefoil mouthed jar, iron knife blade, bronze hoop earrings, clay pot, fragments of clayware; 7-12. № 1 jar burial goods: iron spearhead, fragments of clayware; 13-19. № 2 jar burial goods: fragments of clayware.




Pl. II - 1-8. № 4 jar burial goods: fragments of clayware; 9-12. № 5 jar burial goods: fragments of clayware; 13-16. № 9 jar burial goods: fragments of clayware.

Pl. III - 1-2. fragments of the rims of jars; 3-7. specimens of clayware found in jar burials; 8-12. bowls found in jar burials; 13-16. dergi-type jars found in jar burials.









გაბ. I



ঋড. II




ঘোষ. III




13

.....



16




## ნინთ კილურაძე, თემურ თოდუა

### გერცხლის სარჩე პიჭვინტის სამაროვანი

ბიჭვინტის სამაროვანზე გამოვლენილ მრავალმხრივ საინტერესო სამარხეულ მასალათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს № 03-5 კირხსნარიან სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის სარკე [5, გვ. 139, ტაბ. LVIII<sub>8</sub>]. სარკე ჩამოსხმულია, ნახევარსფეროსებრი ფორმისა, დისკოს ზედაპირი დეკორირებულია ხუთი რკალისაგან შედგენილი ოთხი სარტყლის წრით, რომელიც გადაკვეთილია მეორე ასეთივე წრით. სახელური ქალის თითებს გამოსახავს. სარკე ფრაგმენტულია, აკლია სახელურის ნაწილი. დმ 12,8 სმ [სურ. 1]. როგორც ცნობილია, სარკის გამოგონებას ანტიკური ტრადიცია ძველ ბერძნებს მიაწერს.<sup>22</sup> სარკის გამოგონების ნოვატორად კი გვიანდელი წერილობითი წყაროები ჰეფესტოს ასახელებენ [Procl., in Plat., I, 142, 26]. უძველეს ბერძნულ ლიტერატურულ ძეგლებში კი სარკე საერთოდ არ იხსენიება. ასე მაგალითად, ჰომეროსი „ილიადაში“-ში [Hom., Iliad., XIV, 170-186] ჰერას ჩაცმულობის აღწერისას, სარკეს არ ასახელებს. პირველად სარკე ძვ.წ. VI-V სს. პოეტთან – პინდარესთან იხსენიება [Pind., VII, 15], თუმცა გადატანითი მნიშვნელობით და არა როგორც კონკრეტული საგანი. ამ სახით მას პირველად ვხვდებით ძვ.წ. V ს. ტრავიკოსებისა და კომედიოგრაფების თხზულებებში: სპილენძის სარკე ესქილეს ტრაგედიის ერთ-ერთ ფრაგმენტში [Aesch., fr., 393], ჰერას ოქროს სარკე ევრიპიდესთან [Eur., Tro., 1108]. ასე, რომ ანტიკურმა ტრადიციამ საკმაოდ მწირი ცნობები შემოგვინახა სარკის შესახებ. შედარებით უფრო სრულ ინფორმაციას გვაწვდიან არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი სარკეები თუ სხვადასხვა საგანზე მათი გამოსახულებანი. სწორედ ამ სახის მასალებით დასტურდება, რომ ძველ სამყაროში სარკე, ჯერ კიდევ კრეტა-მიკნის ეპოქაში იყო ცნობილი [15, ტაბ. II, 21]. მისი სერიული წარმოება კი საბერძნეთში ძვ.წ. VI საუკუნიდან იწყება [16, გვ. 244-249]. ამ დროიდან იყი ვრცელდება ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც [10, გვ. 106-107]. ანტიკურ სამყაროში ძირითადად სამი ტიპის სარკეა დადასტურებული: სახელურიანი, დასადგმელი და ყუთიანი სარკეები. ეს უკანასკნელი პირველად ძვ.წ. V-IV სს. მიჯნაზე ჩნდება [17, გვ. 131], ხოლო დასადგმელი სარკეები ფართოდ ჩანს გავრცელებული არქა-

ულ ხანაში. რაც შეეხება სახელურიან სარკეებს, ისინი პირველად ძვ.წ. VI ს. მეორე ნახევრიდან ჩნდებიან [10, გვ. 107; 110]. ამ ტიპის სარკეები ცალ-ცალკე დამზადებული სახელურისა და დისკოსაგან შედგებოდა. ორივე ნაწილი, როგორც წესი, სხვადასხვა მასალისაგან კეთდებოდა. დისკო პრიალა ლითონისაგან, მეტწილად ბრინჯაოსაგან, ხოლო სახელური ხისგან და სპილოს ძვლისაგან მზადდებოდა.



სურ. 1

რომაულ ხანაში სარკის დამზადების ტექნოლოგია მკვეთრად იცვლება: აღნიშნულ პერიოდში სარკის დისკოები ძირითადად მზადდებოდა ვერცხლისა და მინისაგან [10, გვ. 109]. სარკეები მხოლოდ ჩამოსხმის წესით კეთდებოდა. ყალიბში ჩამოსხმულ სარკის ზედაპირს წმენდნენ ღოჯითა და ქლიბით, ხოლო შემდეგ აპრიალებდნენ ფხნილისებური ნივთიერებით მის სრულ ბრწყინვალებამდე. გაფორმების თვალსაზრისითაც სხვაობა შეინიშნებოდა. რომაული ხანის სარკე წინარე ხანასთან შედარებით, სადა და მარტივი იყო. უმეტესწილად სახელურიანი და მრგვალდისკოიანი სარკეები ჭარბობდნენ.

საქართველოში, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთთან შედარებით, სარკეები ძალზე იშვიათად გვხვდება. კლასიკური და ელინისტური ხანის სარკეები ჩვენში სულ სამ ჰუნეტშია დადასტურებული და ისიც თითო ეგზემპლარითაა წარმოდგენილი. ერთი მათგანი დადასტურებულია ვანის ძვ.წ. V ს. ე.წ. „წარჩინებული კოლხი ქალის“ სამარხში [14, გვ. 65], მეორე ძვ.წ. III ს. მიწურულით დათარიღებულ დაბლაგომის მდიდ-

<sup>22</sup> ძველ ბერძნულ ენაში, ყველანაირი ფორმისა და ზომის სარკის აღსანიშნავად იხმარებოდა სიტყვა - „ΚΑΤΟΠΤΡΟΥ“. ამ ფორმით იყი გვხვდება როგორც ლიტერატურულ, ასევე ეპიგრაფიკულ ძეგლებში [Aesch. Fr. 288; Plut., Mor., 42b].

რულ სამარხში [3, გვ. 74, სურ. 116], ხოლო მესამე ახალგორის განძში, რომელსაც სამარხეულ ინვენტარად მიიჩნევენ [11, გვ. 63]. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სარკეები ბრინჯაოსია და იმპორტული უნდა იყოს.

რომაული ხანის საქართველოში კი სარკეები შედარებით უფრო ხშირად გაწვდება. ასე, მაგალითად, ბაგინეთის ორფერდასახურავიანი ქვის სარკოფაგში, რომელიც ახ.წ. II-III სს. თარიღდება, აღმოჩნდა ვერცხლის სარკეებისა და ვერცხლისავე სარკეების ნატეხები [2, გვ. 61], მცხეთაშივე ახ.წ. III ს. № 905 აკლდამაში აღმოჩნდილი ვერცხლის სარკე, რომელიც რომაულ იმპორტად არის მიჩნეული [1, გვ. 11-12; ტაბ. XV-XVII]. მრგვალი ფორმის სარკე, ოღონდ ბრინჯაოსი დაფიქსირებულია გაგრის ციხესთან შემთხვევით აღმოჩნდილ მდიდრულ სამარხეულ კომპლექსში, რომელიც IV-V სს. თარიღდება [6, გვ. 54, სურ. 37<sub>g</sub>]. განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენ მიერ ზემოაღწერილი ვერცხლის სარკე პიტიუნტის სამარხიდან. ამგვარი ტიპის სარკე აღნაგობითა და ორნამენტაციით განსხვავდება საქართველოში და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთშიც დღემდე აღმოჩნდილი სინქრონული ძეგლებისაგან. აშკარაა ისიც, რომ იგი რომაულ იმპორტს წარმოადგენს. დისკოს მოყვანილობით, პიტიუნტის სამარხში აღმოჩნდილი სარკე ძალზე ახლოს დგას სუციდავასა და კარპიცაში აღმოჩნდილ სარკეებთან, რომლებიც ახ.წ. II-III სს. თარიღდებიან [18, ტაბ. CLXXIV<sub>2</sub>]; სახელურის მოვანილობით და მისი გამოსახულების მხრივ ემსგავსება მცხეთის № 905 აკლდამაში აღმოჩნდილ ვერცხლის სარკეს. მთლიანობაში კი მის პირდაპირ ანალოგს წარმოადგენს კიოლნში აღმოჩნდილი ვერცხლის სარკე, რომელიც ზოგადად ახ.წ. I-II სს.-ითაა დათარიღდებული [9, გვ. 122, სურ. 80]. რაც შეეხება პიტიუნტის სამარხში აღმოჩნდილ სარკის თარიღს, დასახელებული ნივთის გამოცემელი გ. ლორთქიფანიძე მასზე არაფერს ამბობს, ხოლო სარკის შემცველ სამარხეულ ინვენტარს ახ.წ. IV ს. ათარიღებს<sup>23</sup> [5, გვ. 140]. ჩვენ არა გვაქვს გ. ლორთქიფანიძისეულ თარიღზე პრეტენზია, მაგრამ სარკე პარალელური მასალებით ახ.წ. II ს. უნდა დათარიღდეს.

რაც შეეხება პიტიუნტის სამარხიდან მომდინარე ვერცხლის სარკის ფუნქციას, ის მხოლოდ უტილიტარული მოხმარებით არ შემოიფარგლებდა. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ბერძენ-რომაელები, ასევე ძველი ხალხები, სარკეს მაგიურ ძალას ანიჭებდნენ. ასე, მაგალითად, სარკე გამოიყენებოდა პატრის დემეტრას საკურთხეველში წინასწარმეტყველების ჩატარე-

ბის დროს [10, გვ. 110]. იქ სარკის ანარეკლით ავადყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობას წინასწარმეტყველებდნენ; პელოპონესის მთელ რიგ საკურთხევლებში აღმოჩნდილია „სავოტივო“ სარკეები [16, გვ. 244]. მ. ინამე საკრალური მნიშვნელობით ხსნის დაბლაგომის მდიდრულ სამარხში ჩადებულ სარკეს, რაღაც მისი აზრით, იგი სოლარულ ნიშნიანია [4, გვ. 144]. შესაძლოა პიტიუნტის სარკესაც თავის დროზე საკრალური დატვირთვაც ჰქონდა. ამგვარ მოსაზრებას გარკვეულწილად მხარს უჭერს სარკის დეკორაციაც. სარკის დისკოზე წრეხაზებით რვაქიმიანი ვარსკვლავია გამოსახული. ასეთი გამოსახულება კი, უპირატესად აღმოსავლეთის ქვეყნებში სტილზებული მზის სიმბოლოს წარმოადგენდა<sup>24</sup> [13, გვ. 27] ბ თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ სარკეს, მისი მფლობელის გარდაცვალების შემდეგ ფუნქცია შეეცვალა და, როგორც ეს მიღებული იყო ბერძნულ-რომაულ სამყაროში, მიცვალებულთა კულტსაც დაკავშირებითა [7, გვ. 153]. ბერძნულ მითოლოგიაში სარკე დიონისეზაგრეოსის ერთ-ერთი ატრიბუტთაგანი იყო. ის ხშირად გამოიყენებოდა მის მისტერიებში და ორფიკოსთა მსოფლმხედველობას უკავშირდებოდა იმქვეყნიური სამყაროს შესახებ [8, გვ. 166]. შესაბამისად სარკეც დაკრძალვის სარიტუალო ცერემონიის ერთ-ერთ კომპონენტადაც უნდა მივჩინოთ. ნიშანდობლივია, რომ კულტურულ ფენებში სარკეები პრაქტიკულად არ გახდება. მათ ჩვეულებრივ სამარხებში აფიქსირებენ. შესაძლოა სამარხებში სარკეების ჩადება საიკოში გზის გახსნას გულისხმოდეს [7, გვ. 153]. ამგვარ წარმოადგენებს შეიძლება დაუკავშიროთ პიტიუნტის სამარხში და საქართველოს სხვა რეგიონის სამარხებში აღმოჩნდილი სარკეები.

## N. Kighuradze, T. Todua

### SILVER MIRROR FROM BICHVINTA NECROPOLIS (Summary)

A silver mirror was found in burial № 35 containing mortar discovered on the territory of the Bichvinta necropolis. The mirror of spherical shape is casted. The disk surface is decorated with two overlapping rhombs with concaved sides. The handle is treated in a form of female's fingers. The mirror is fragmentary, of 12.8 cm in diameter. It was apparently imported from Rome.

<sup>23</sup> ამგვარი დათარიღება უფუძნება სამარხეულ კომპლექსში არსებულ სპილენძის მონეტას, რომელიც ძალზე ცუდადა დაცული.

<sup>24</sup> ნიშანდობლივია, რომ ვერცხლის სარკესთან ერთად, სამარხში აღმოჩნდა ოქროს ვარდულიანი საფურუ. ამგვარი ორნამენტული მოტივაცია მკლევართა აზრით, მზის სიმბოლოს წარმოადგენდა [12, გვ. 25].

The mirror, found in a burial of Pityus, strongly resembles those discovered in Sutsidava and Karpitsa and dating from the 2<sup>nd</sup>-3<sup>rd</sup> centuries A.D. In general, it bears the closest analogy with a mirror from Cologne belonging to the 1<sup>st</sup>-2<sup>nd</sup> cent. A.D. Taking into account archaeological parallels, the mirror from Pityus seems to be datable to the 2<sup>nd</sup> cent. A.D. As for its functional purpose, the mirror must have been designed for sacred and ritual purposes.

### ლიტერატურა

1. აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი გ. მცხეთის წარჩინებულთა განსასვენებელი ახ.წ. III საუკუნისა – აკლდამა 905. – მცხეთა XI, თბ., 1996, გვ. 7-42.
2. აფაქიძე გ. ბაგინეთის კლდეგარის სარკოფაგი. – ძმ, № 33, 1973, გვ. 59-65.
3. ოოლორდაგა გ. მდიდრული სამარხი დაბლაგომიდან. – ვანი II, თბ., 1976, გვ. 68-78.
4. ინაძე გ. ძველი კოლხეთის საზოგადოება. თბ., 1994.
5. ლორთქიფანიძე გ. ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბ., 1991.
6. **Воронов Ю. Н.** Материалы по археологии Абазии и Санигии (II–VII вв.). – МАА, 1979, с. 49-58.
7. **Зубарь В. М.** О свинцовых зеркалах из некрополя Херсонеса. – ПАК, 1986, с. 150-154.
8. **Лосев А. Ф.** Античная мифология. М., 1957.
9. **Римское искусство и культура.** – Каталог выставки римско-германского музея в Кельне. М., 1969.
10. **Скржинская М. В.** Зеркала архаического периода из Ольвии и Березани. – АКСП, 1984, с. 105–129.
11. **Смирнов Я. И.** Ахалгорийский клад. Тб., 1934.
12. **Смирнов К. Ф.** Северский курган. М., 1953.
13. **Сокольский Н. И.** Крепость Аспургиан на Боспоре. – КСИА, 143, 1975, с. 21–30.
14. **Хоштариа Н. В.** Археологические раскопки в Вани. – კან, 1962, გვ. 65-80.
15. **Furtwängler A.** Die antiken Gemmen. Berlin, 1900
16. **Oberländer P.** Griechische Handspiegel. Hamburg, 1967
17. **Züchner W.** Griechische Klappspiegel. – JDAI, 14, 1942, S. 126-141.
18. **Tudor D.** Le dépôt de miroirs de verre double de plomb trouvé à Sucidava. – DACIA, III, 1959, p. 415-432.

### სურათის აღწერილობა

სურ. 1. – ვერცხლის სარკე ბიჭვინტის სამარგნიდან

### Description of the Figure:

Fig. 1 – Silver mirror from Bichvinta Cemetery.

## განტანგ ჯაფარიძე

### აღმოსავლეთ კოლეთის გზების საბითხი (ახალი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით)

ძველი საქართველოს საგაჭრო გზების შესწავლა კვლავ შეუნელებელ ინტერესს იწვევს. ჩვენი კვლევის სფეროში იმთავითვე მოექცა ცენტრალური კოლხეთის – რიონის შუა წელისა და, შემდგომ, აღმოსავლეთ კოლხეთან და აქედან იბერიაში (ქართლში) გადასასვლელი გზების ცალკეული მონაკვეთები. გვქონდა შესაძლებლობა დაზვერვები გვეწარმოებინა ბალდადის რ-ნის იმ მონაკვეთებში, რომელზეც მდ. ხანისწყლის გაყოლებით არსებული ე.წ. რკინის ჯვრის გზა გადიოდა (ზეპარი, საირმე, ხანი და სხვ.). არტაშატიდან სებასტოპოლისისაკენ მიმართული ეს გზა შემდეგ, ვარდციხის ნაქალაქარის გავლით და მდ. რიონ-ყირილის გადაკვეთით (აქ დადასტურებულია ტოპონიმი – „ფონე-ები“, აგრეთვე „რკინის ჯვარი“), დასავლეთ საქართველოს მთისწინეთის გავლით სებასტოპოლისში ჩადიოდა. მდ. კოდორთან არსებული გზასაყარით მნიშვნელოვანი გზის განშტოება მდინარის ხეობას მიუვებოდა და ჩრდილო კავკასიაში გადადიოდა (აბრეშუმის, ანუ ე.წ. მისიმიანეთის ამ გზას წერილობითი და არქეოლოგიური კონკრეტული მასალებით უკეთ გაედევნება თვალი).

ფასის-რიონის საგზაო მაგისტრალთან დაკავშირებულ გზათაგან ინტერესს იწვევს ცხენისწყლის ხეობაზე, ხონის გავლით, სოფ. მათხოვ-ხიდამდე (ნოლა) და აქედან ლეჩხუმისაკენ მიმავალი ძველი გზა. სტატიის ავტორს შესაძლებლობა ჰქონდა დაეზვერა, ხოლო ზოგან (რიონის შუა წელი, ხანისწყლისა და ცხენისწყლის ხეობები, აღმოსავლეთ კოლხეთში – მდ. ყვირილას, ბუჯას, ძუსას, ჩოლაბურის ხეობები, აგრეთვე ზღვისპირეთში – გონიო-აფსაროსში) არქეოლოგიური სამუშაოები ეწარმოებინა.<sup>25</sup>

ძველი საქართველოს გზების, საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობებისა და მათთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა შემდგომ გაღრმავებულ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას საჭიროებს. დღეს ჩვენს ხელთ არსებული საისტორიო წყაროების მონაცემები აშკარად ნაკლულია. უფრო ძველ ვითარებაზე რომ არაფერი ვთქვათ, უკეთ ანტიკური ხანისთვის ამგვარი, ძირითადად უცხოური წყაროების მონაცემები მაინც მოკლებულია სისრულეს. აქ ერთგვარად გამონაკლისია სტრაბონისა და მისი ზოგი წყაროს მონაცემები, რომლებიც შავი ზღვიდან ინდოეთისაკენ მიმავალი გზის შესახებ იძლევიან

ცნობებს. ისინი სხვადასხვა მკვლევართა საგანგებო კვლევის საგნად იქცა (ოთ. ლორთქიფანიძე, გ. გოზალიშვილი, ზ. იამპოლსკი და სხვ.).

მნიშვნელოვან მონაცემებს იძლევა ჩვენთვის ამჟამად საინტერესო პერიოდისათვის მოგვიანო ხანის წყაროები, მათ შორის სპეციალური გეოგრაფიული და კარტოგრაფიული ხასიათის ნაშრომები. მათგან საგანგებოდ აღვნიშნავთ კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“-ს და ე.წ. პეტიონგერის ტაბულის შესახებ [5, გვ. 39-65; 6, გვ. 99-117]. საკვლევი პერიოდის გზების საკითხს საგანგებოდ იკვლევდა ს. ერემიანიც [17, გვ. 93].

ჩვენთვის საინტერესო გზების შუა საუკუნეების ხანის ისტორიას საგანგებოდ შეეხო ნ. ბერძენიშვილი [2] და დ. მუსხელიშვილი [10, გვ. 13]. მათ მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვთ გამოქვეყნდებით. სპეციალურად შეეხო შორაპანთან დაკავშირებული გზების საკითხს ბ. ციიტიშვილი [12, გვ. 79-83].

სტრაბონის ცნობა შორაპნის მდებარეობასთან დაკავშირებით (XI, 3, 4), რომ იგი კოლხეთიდან იბერიაში შესასვლელთანა და რომ ფასისზე „აღმა ცურვა შეიძლება შორაპნამდე, ხოლო აქედან „...ფეხით, საურმე გზით 4 დღეში მიისვლება მტკვრამდე“ (XI, 2, 17), მართლაც ნათელი დადასტურება ფასისის არტერიით, ხოლო შემდეგ მტკვრამდე და, შესაძლოა, მთელ მანძილზე მის გასწრივ მნიშვნელოვანი სატრანზიტო გზის არსებობისა. როგორც ცნობილია, ამ გზის მოქმედების საწყის ეტაპად ადრეულინისტური ხანა მაინც ითვლებოდა [23, გვ. 288], მაგრამ მას გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდა ახ.წ. პირველ საუკუნეშიც, „...განსაკუთრებით ქვეყნის საშინაო ვაჭრობისათვის“ [7, გვ. 69].

ამრიგად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან, იბერიაზე გავლით, ინდოეთისაკენ მიმავალი გზა უნდა ყოფილიყო კოლხეთის (ეგრის-ლაზიკის) და მთელი საქართველოს ძირითადი საგზაო არტერია, როგორც სამდინარო, ასევე სახმელეთო მარშრუტის თვალსაზრისით.

სტრაბონის უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები განსაზღვრავენ შორაპნის, როგორც სასაზღვრო, ასევე საგზაო პუნქტის დიდ მნიშვნელობას. ამას, პირველ რიგში, მდ. რიონის, ყვირილითურთ, ანუ ფასისის მონაცემები განაპირობებდა. ადგილობრივი (დას. საქართველოს) მასშტაბით ამ გზის მნიშვნელობის შესახებ ჩვენ გვიანდელი წყაროებიც მიგვითთვებენ [16, გვ. 280, შენ. 44]. ამ მხრივ მნიშვნელოვანია იმერეთის 1737 წ. რუკის მონაცემები, რომელიც

<sup>25</sup> ეს სამუშაოები, კერძოდ შორაპნის „ქვეყნაში“, ფართო გაგებით, გრძელდებოდა უკანასნელ ხანებამდე (2001 წლის იანვარ-თებერვალი, ივლის-აგვისტო) და წინამდებარე სტატიაში მისი მონაცემებიცაა გათვალისწინებული.

ჩვენ ყურადღებას რიონის გასწვრივ მდებარე რიგ მნიშვნელოვან პუნქტებზე (ფოთი, ბაში, ვარდციხე, შორაპანი) მიაქცევს. ამ მონაცემების მიხედვით, ძლი რიონი გვიანდელ ხანებამდე სანაოსნო თვით შორაპნამდე: „საჭილოს (ნავი) ამ ყვირილის წყალობით შორაპნამდის (ცი)ზემდის ამოვა“ [4, გვ. 196].

მაგრამ ფასისის ამ სამდინარო გზას სტრაბონისა და სხვა ანტიკური ხანის მწერლების (არისტობულე, ერატოსთენე, პლინიუსი, ვარონი) მონაცემების მიხედვით უფრო ფართო მასშტაბი ჰქონია ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან. მას არაერთი სპეციალური ნაშრომი მიეძღვნა, სადაც ეს (ფასისის) სანაოსნო გზა გააზრებულია, როგორც შემადგენელი ნაწილი ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზისა. არქეოლოგიური მასალების ფართოდ მოხმობის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ოთ. ლორთქფფნიძის ნაშრომი – „ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ“ [9, გვ. 384] და სულ უკანასკნელ ხანს იგივე ავტორის სტრაბონის გეოგრაფიისადმი მიძღვნილი მონოგრაფია, სადაც აღნიშნული გზის კვლევა ახალი მასალებით არის შევსებული [27, გვ. 114-120, იქვე ლიტერატურა].

სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება სხვადასხვა მოსაზრებები როგორც ფასისის, ასევე მტკვრის სანავიგაციო შესაძლებლობების შესახებ. მკვლევართა ერთი ნაწილი მდ. მტკვრის მონაცემებს მისი შესართავიდან და ზემოთ არ მიიჩნევს ხელსაყრელად მასზე ნავიგაციის განვითარების თვალსაზრისით. ლ. ჭილაშვილის აზრით, ამ გზის მტკვრის მონაკვეთი სახმელეთოა და ამითაც არის განპირობებული ანტიკური ხანის იბერიის მთელი რიგი ქალაქების წარმოქმნა სწორედ მდ. მტკვრის მარცხნა სანაპიროზე [14, გვ. 49]. გარკვეულად ასეთი რამ იგულისხმება თვით ფასის-რიონის მიმართაც. შედარებით გვიანდელი წყაროებით იგულისხმება სამდინარო ტრანსპორტის ნაპირიდან თრევით გადაადგილება, ცხადია, დინების საწინააღმდეგოდ.

ბოლო დრომდე კამათს იწვევს ამ ძირითად სამდინარო გზასთან დაკავშირებული საკითხები: კერძოდ, რა დროიდან ფუნქციონირებდა იგი, როგორ შეიძლება ამ გზის მთელი სისტემის და მისი ცალკეული მონაკვეთების პერიოდული ფუნქციონირების დროის განსაზღვრა და, საერთოდ, შეიძლება თუ არა ამ საწყალოსნო გზის არსებობაზე საუბარი, თუკი მდინარე მტკვარი შესართავიდან მოყოლებული, მთელი რიგი სირთულეების გამო გამოუყენებელი იყო სანაოსნოდ.

მოგვიანო წყაროების მიხედვით, ასეთი სამდინარო კავშირი თბილისიდან კასპიის ზღვამდე თითქოს დადასტურებული ფაქტია, მაგრამ ასეთი მონაცემები მაინც იშვიათია და უფრო მთავარი კი, ალბათ ის არის, რომ ბევრად უფრო

გართულებული იქნებოდა მდ. მტკვრის დინების საწინააღმდეგოდ ტრანსპორტის ცურვა. ასეთ უკიდურეს პუნქტად უფრო ბარდავს მიიჩნევენ [25, 161-180].

შესაძლოა, აღნიშნული საგზაო მაგისტრალის ცალკეული მონაკვეთების, პირველ რიგში მტკვრის შესართავის გამოყენება, როგორც საწყალოსნო გზისა დროის სხვადასხვა მონაკვეთებში, პრაქტიკულად დიდ სირთულეებს უკავშირდებოდა და ეს, პირველ რიგში, მდინარეთა (როგორც მტკვრის, ასევე ფასის-რიონის) დინების საწინააღმდეგო ტრანსპორტირებას გულისხმობდა, და მაინც ასეთი გზის არსებობა რეალობას წარმოადგენდა. ამაზე აშკარად მიუთითებენ წყაროები და შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა [იხ. მაგ., 18, 25].

შეიძლება ითქვას, რომ რიონის შეუძლებელი რიგორუ მისგან ჩრდილოეთი (პატრიკეთი და მიმდებარე მონაკვეთი), ასევე სამხრეთი (გარდისციხის ანტიკური ხანის ტერასული დასახლებებისანი) დადასტურებული ადრეანტიკურ-ელინისტური ხანის დასახლებები მჭიდრო კავშირშია აღნიშნულ საგზაო მაგისტრალთან. ამასთან, ქუთაისის დაზვერვებისა [8, გვ. 118-120] და ვარდციხის ნაქალაქარის არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით აღნიშნული გზის ცალკეული მონაკვეთების ფუნქციონირების შესაძლებლობას აღრებიზანტიური ხანითაც განვსაზღრავდით [17, გვ. 139]. ამ საკითხს ჩვენ კვლავ დაუკარგებით.

ამჟამად კვლევის უპირველეს მიზანს წარმოადგენს 1980 წლიდან აღმოსავლეთ კოლხეთში დაზვერვებისა თუ გათხრების შედეგად მოპოვებული მასალების განხილვა. პირველ რიგში, ეს ციენ-ქალაქ შორაპნის გათხრების შედეგებს შეეხება. უნდა აღვინიშნოთ, რომ ეს მონაცემები, ჯერჯერობით მაინც, საკმაოდ მოკრძალებულია. ქრონოლოგია ჩვენ მიერ განსახილველი ძეგლების და მასალებისა ძირითადად ძვ.წ. VI ს. - ახ.წ. VI ს-ით განისაზღვრება. ვიზიარებთ რა მოსაზრებას, რომლის მიხედვით რიონ-ყვირილას მაგისტრალის და მასთან დაკავშირებული გზების ცალკეული მონაკვეთები წინარეულინისტური ხანიდან ფუნქციონირებენ (ო. ლორთქიფანიძე), ვინაირობთ იგივე შეიძლება ითქვას ძვ.წ. მიწურულის და ახ.წ. პირველი საუკუნეების ვითარების შესახებაც.

უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ შორაპნის ქვედა ქალაქის გათხრები ფაქტიურად მცირე სადაზვერვო სამუშაოებით შემოიფარგლა [28, გვ. 3-5]. ქვედა ქალაქში ნაპოვნი იმპორტული მასალიდან ფურადღებას იქცევს შავლაკანი ჭურჭლის ძირის მცირე ფრაგმენტი, რომელიც ლაპისა და კეცის მიხედვით, შესაძლოა, მცირეზიურ, გვიანდელი (გვიანელინისტური) ხანის რომელიმე საწარმოო ცენტრს უკავშირდებოდეს. აქვე მოპოვებული, ზოგადად ელინისტური ხანით დათარიღებული კოლხური ამფორების, ძირითადად ფურებისა და ძირების, ფრაგმენტე-

ბი, ჩვენი აზრით, ასევე შეიძლება მიუთითებდეს კოლხეთის ცენტრალური რაიონიდან აღმოსავლეთ კოლხეთისაკენ და აქედან იბერიაში ამგარი მასალის გავრცელების გზაზე; იბერიაში დადასტურებულია კოლხური ამფორების ფრაგმენტების პოვნის შემთხვევა, მაგ., უფლისცი-ხეში (დ. ხახუტაიშვილი).

უშუალოდ იმპორტული, ადრეული მასალებიდან ყურადღებას იქცევს შორაპნის ადრე შუა საუკუნეების ციხის ფარგლებში, შუა ტერასაზე, ზოგადად ელინისტური ხანით დათარიღებულ ფენაში ნაპოვნი მოყვითალო-ყავისფერი კეცის მქონე ამფორის ყურის ფრაგმენტი, რომელიც პორიზონტალურად მოხრილი ზედა ნაწილით უნდა ყოფილიყო მიერთებული ამფორის პირთან. აღნიშნულ ფრაგმენტს თითქოს ეტყობა თეთრი ანგობის კვალი, რაც უფრო ნათლად გაარკვევდა მის მიმართებას საწარმოო ცენტრთან. ამდენად, ამფორის ფრაგმენტის როდოსთან დაკავშირება ერთგვარად პირობითა.

კოლხეთში როდოსული ამფორების პოვნის შემთხვევები ბევრად უფრო იშვიათია, ვიდრე სმელთაშუაზღვისპირეთსა და ელინისტურ აღმოსავლეთში, ასევე ჩრდილო შავიზღვისპირეთში. დასავლეთ საქართველოში ეს მასალა უფრო იშვიათად გვხვდება ზღვისპირეთში, ისიც ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ყველაზე დიდი რაოდენობით როდოსული ამფორები ნაპოვნია ვანსა და მის მიდამოებში – საყანჩიასა და დაფნარში [12, გვ. 14].

შორაპნის როდოსული ამფორის ყურის ფრაგმენტს აკლია პორიზონტალური ნაწილი, სადაც, როგორც წესი, ამგვარ ამფორებს ორსავე ყურზე დამდა აქვთ დატანილი. ეს ართულებს როგორც საწარმოო ცენტრის დაზუსტებას, ასევე თარიღის განსაზღვრას. ვანში ნაპოვნი ამფორები ძირითადად ე.წ. პერგამონული კომპლექსის ჯგუფს განეკუთვნება და ძვ.წ. 220-180 წლებით თარიღდება, თუმცა იგივე მასალაში გვხვდება ისეთი ყურებიც, რომელთა თარიღი ძვ.წ. II ს-ის მეორე ხანევრით არის განსაზღვრული [12, გვ. 14]. ჩანს, როდოსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ზოგადად უფრო ძვ.წ. III-II ს-ით განისაზღვრება, რაზეც მიუთითებს კოლხეთში როდოსული, ასევე კონისა და კნიდის ამფორათა ფრაგმენტების პოვნის შემთხვევები [23, გვ. 280].

დასავლურ ნაკადს იმპორტული მასალებისა ერთგვარად ავსებს შორაპნშივე, შუა ტერასაზე (ტაბ. I, 2: ნაკვ. 56) ძველი ზღუდის წმენდის დროს, ქვედა დონეზე ნაპოვნი ფრაგმენტები შედარებით თხელკედლიანი ჭურჭლებისა, რომლებიც ამფორებს უნდა განეკუთვნებოდეს, რაზეც პირველ რიგში, მათი კეცის რაგვარობა და ზედაპირის თეთრი ანგობით დაფარვა მიუთითებს. ერთი ამგვარი, უფრო მოვარდისფრო კეცის

მქონე ფრაგმენტი, ზედაპირგადახეხილი და ამიტომ ანგობის გარეშე, ნაპოვნი იყო ქვედა ქალაქის თხრილშიც.

ამით ამოიწურება, სამწუხაროდ, უშუალოდ შორაპნის ნაქალაქართან დაკავშირებული იმპორტული მასალების ნუსხა. აქვე, ვიდრე აღმოსავლურ, იბერიიდან მომდინარე მასალას შევეხებოდეთ, უშუალოდ ფასისის მაგისტრალთან დაკავშირებულ კიდევ ერთ, ჩვენი აზრით საინტერესო, ძეგლს გვინდა შევეხოთ.

ეს არის ძდ. ყვირილას და მასთან შენაკად ძდ. ჩოლაბურის მონაკვეთი, ზესტაფონიდან დასავლეთით 10-ოდე კმ-ის მოცილებით. აქ ჯერ კიდევ 50-ან წლებში უშუალოდ ცენტრალური მონაკვეთის ფარგლებში, ჩხარის გზის გადასახვეთან დადასტურებული იყო მნიშვნელოვანი ძეგლი – „ციხურა“, მასთან მიმდებარე საკამაოდ ვრცელი (10 ჰა) ვაკის სამოსახლოთი, რომელზეც სხვადასხვა დროის, უპირატესად ადრეანტიკური ხანის, დასახლებასთან (თუ დასახლებათა ჯგუფთან) დაკავშირებული საინტერესო მასალები შეგროვდა არქეოლოგ ტ. ჩუბინიშვილის მიერ [3, გვ. 468]. აღნიშნულ დასახლებათა ცენტრი, რომელიც „ციხურის“ სახელითაა ცნობილი, წარმოადგენს ძდ. ჩოლაბურის მარცხნა სანაპირო ტერასისაგან ხელოვნური თხრილით გამოყოფილ ბუნებრივ ბორცვს, რომლის ჩვენი ზედაპირული დაზვერვებით (გ. ცქიტოშვილთან ერთად) 1980 წ. მოპოვებულ მასალებში ადრეანტიკური ხანისადმი მისაკუთხებული კოლხური კერამიკის ფრაგმენტები ჭარბობს (სამწუხაროდ, დღემდე არ განხორციელებულა ბორცვის მეცნიერული ფიქსაცია და არქეოლოგიური, დაზვერვითი გათხრები).

აღნიშნული ძეგლი უშუალოდ ემიჯნება ზესტაფონის რ-ნის სოფ. მეორე სვირის ანტიკური ხანის იმ დასახლებებს, სადაც კიდევ ორი, ასევე ხელოვნური ბორცვის შესახებ გვაქვს მონაცემები. ერთი მათგანი – მეორე ბორცვი, რომელიც საკუთრივ სოფ. მეორე სვირის მონაკვეთს უკავშირდება, ასევე „ციხურის“ სახელწოდებითა ცნობილი. ის 1998 წლის არქეოლოგიური დაზვერვების დროს შეისწავლებოდა [30, გვ. 83-92]. ბუნებრივი წაგრძელებული გორისაგან თხრილით განმხოლობებული, ადგილობრივ სამოსახლოთა ცენტრის – „ციხურას“ დაზვერვების დროს დადასტურდა ადრეანტიკური ხანის ნამოსახლართა ნაშთები. აქ ზედაპირულად ნაპოვნი იყო ძვ.წ. V ს. შავლაკიანი სკიფოსის ფრაგმენტი. ამ მნიშვნელოვან, გვიანი ბრინჯაოს ადრეულ ეტაპზე სამოსახლოდ ქცეულ ნასახლარზე ანტიკურ (ადრეანტიკურ-ელინისტურ) ხანში აღიზის აგურით ნაშენი ნაგებობებია საგულვებელი. ინტერესს იწვევს რომაულ-ბაზარტიური ხანის მასალები (მათ შორის კრამიტები), რაც აქამდე აღმოსავლეთ კოლხეთის ბორცვთაგან მხოლოდ პატრიკეთის „გორიკაზე“ იყო დადასტურებული. ეს მონაცემები ინტერესს იწვევს იმ თვალსაზრისითაც, რომ სამეცნიერო

<sup>26</sup> აღნიშნული მასალის განსაზღვრაში კონსულტაციას გვიწევდა ისტ. მეცნ. კანდიდატი რ. ფუთურიძე.

ლიტერატურაში სვირის მონაკვეთზე მხოლოდ ტოპონიმიკური მონაცემების საფუძველზე პლინიუსის და პტოლემაიოსის „სურიონი“ თუ „სურიისა“ იდენტიფიცირებული [19, გვ. 93; 21, გვ. 109]. ახალ არქეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, ვანის ნაქალაქარის ახლად აღმოჩენილი წარწერის გათვალისწინებით, მაინც შესაძლებლად მივიჩნევთ ზემოთ აღნიშნული მოსაზრება გავიზიაროთ და სვირის (სოფ. მეორე სვირი) მონაკვეთში მნიშვნელოვანი პუნქტის არსებობა დავუშვათ.<sup>27</sup>

ვფიქრობთ, ადრეანტიკურ და, საფიქრებელია, ელინისტურ და მოძღვენო ხანაში აღნიშნულ მონაკვეთში სამოსახლოთა, გამაგრებული ცენტრებით, მნიშვნელოვანი კონცენტრაცია შეიძლება განპირობებული იყოს ფასისის მაგისტრალით. ამასთან იმასაც აღვნიშნავთ, რომ მდ. ყვირილას და ჩოლაბურის შეერთების ეს მონაკვეთი წარმოადგენს გზასაყარს, რომლის განშტოება ჩოლაბურ-ძუსას გაყოლებით „სკანდის შარას“ მეშვეობით, საზანოს გავლით, ჭიათურა-საჩხერისაკენ მიემართებოდა და ქართლში გადადიოდა. ამრიგად, ბევრი მონაცემია, რომ ვიფიქროთ სვირის მონაკვეთში ფასისის სამდინარო გზის მნიშვნელოვანი პუნქტის (საბაჟოს?) არსებობაზე.

სოფ. მეორე სვირის „ციხეურის“ ძეველი და-სახლება, რომლის აღმოცენება გვიანი ბრინჯაოს ადრეული ეტაპით არის განსაზღვრული, დიდ ინტერესს იწვევს ფასის-რიონის საგზაო მაგისტრალის უძველესი ისტორიის შესწავლის თვალსაზრისითაც. ვფიქრობთ, იგი, ისევე როგორც სვირის მონაკვეთის მდ. ყვირილისა და ჩოლაბურის „ციხეურები“, ასევე სოფ. როდინაულის და ცხენთაროს მომიჯნავედ არსებული „ციხიათა“ (ადგილობრივი მცხოვრები როგორც ეძახიან), სოფ. ქვედა დიმის „ვატუას“ ნასახლარი, ისევე როგორც პატრიკეთის გორიკა, ერთგვარად არიან დაკავშირებულნი ამ საგზაო მაგისტრალთან. ამასთან, სოფ. ქვედა დიმის ნასახლარი ბორცვი და პატრიკეთი აშკარად შეიცავენ წინარეკანტიკურ ნასახლართა ნაშთებს, ხოლო სხვა ბორცვებზე, როგორც კოლხეთის დაბლობის ანტიკური ხანის ბორცვების დაზვერვების შედეგები უჩვენებს, თითქმის უკლებლივ დადასტურებულია უშუალოდ წინარეკანტიკური ხანის, ანდა ზოგადად ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული მასალები. ხოლო ეს ბორცვები (პატრიკეთი და სხვ.), როგორც ჩვენ ადრევე მივუთითებდით, შესაძლოა, გაკეტე განლაგებულ სამოსახლოთა ცენტრებს, ზოგ შემთხვევაში ციხეებს წარმოადგენენ. ცალკეული ბორცვები და ჯგუფები (როგორც ეს სოფ. მაღლაკში, მდ. გუბისწყლის პირის „ნაციხევართავის“ ბორცვების შემთხვევაშია დადასტურებული), შესაძლოა ასევე უკავშირდებოდ-

ნენ ფასისის სამდინარო ქსელის ცალკეულ მონაკვეთებს, როგორც ეს ცენტრალური და და-სავლეთი კოლხეთის მაგალითზე ზოგადად აღნიშნული (ოთ. ლორთქიფანიძე).

რომ-ყვირილის სამდინარო გზის ანტიკური ხანის მასალებზე მსჯელობის დროს, ცხადია, იმ ჯგუფზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოდან (ქართლიდან) უნდა იყოს შორაპანში მოხვედრილი. წინასწარ აღვნიშნავთ, რომ იგი აქ უფრო მტკვრის ხეობისა და მდ. ყვირილამდე არსებული სახმელეთო გზით უნდა იყოს შემოსული. მასალა არ არის მრავალრიცხვოვანი, მაგრამ მის შესახებ მსჯელობის, განსაკუთრებით დათარიღების დროს, გარკვეული სიფრთხილის გამოჩენა არის საჭირო. ძირითადი მასალა ისევ ციტადელის შუა ტერასის მონაკვეთში (ნაკვ. 56), ქვედა დონეზე, ძველ და ახალ (პილონებიან) ზღუდეთა შორის არსებულ, კვლევის თვალსაზრისით შეზღუდულ ფართობზეა ნაპოვნი, სა-დაც სტრატიგრაფიაზე დაკგირვება გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება. აღნიშნულ დონეზე ნაპოვნი მასალების თარიღი ზოგადად გვიანელინისტური ხანით განისაზღვრება. ასევე ქვედა დონეებს უკავშირდება ქვედა ტერასის ორ მონაკვეთში (ნაკვ. 73 და 84) გამოვლენილი მასალები.

აქ გვინდა შევეხოთ იმ გზებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდებიან საკუთრივ ციხე-ქალაქს. აქვე აღვნიშნავთ, რომ რამე კონკრეტული მატერიალური მონაცემები უშუალოდ ანტიკური ხანისათვის არ გაგვაჩნია და უფრო ვარა უდებით უნდა შემოვითარებლოთ, ამასთან გამოვიყენოთ მოძღვნო ხანის მონაცემები. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ივარაუდება, და ჩვენი არქეოლოგიური ძიების მონაცემებიც მოუთითებს, დასაშვებია ერთგვარი მემკვიდრეობა ანტიკური და მოძღვნო ხანის ციხე-ქალაქის გეგმარებაში, ანუ შორაპანში ზედა, კლდოვან კონცხზე ვიგარაულოთ ანტიკური და ადრებიზანტიური ხანის აკროპოლისი, ხოლო საკუთრივ ნაქალაქარის ტერიტორია ორი მდინარით შემოფარგლული გავაკებული ნაწილით განვისაზღვროთ. ამასთან ადრებიზანტიური ხანის ციხე-ქალაქს, რომლის ნაშთები, ზღუდე-კოშკების სახით, მხოლოდ შემაღლებულ კონცხზეა დადასტურებული, საკუთრივ გააჩნია ეწ.ციტადელი, რომლის ტოპოგრაფიას განსაზღვრავს კონცხის უკიდურესი, შემაღლებული, ასე-ვე კლდოვანი მასივი (ტაბ. I, 1).

უპანასკნელი ხანის არქეოლოგიური და სხვა მონაცემების საფუძველზე ჩვენ ვუშვებთ ქვედა ქალაქის ფარგლებში ადრებიზანტიური ხანის დასახლების რეალური არსებობის შესაძლებლობას (მხოლოდ ჯერჯერობით, არ გაგვაჩნია მონაცემები მისი შემომფარგვლელი ზღუდის ნაშთებზე).

ციხე-ქალაქის ისტორიის აღნიშნული ორი ძირითადი ქრონოლოგიური მონაკვეთის, ისევე როგორც მოძღვნო, უპირატესად გვიანი შუა-

<sup>27</sup> საამისოდ არ გამოდგება სვირის მთიან რეგიონში არსებული, ჩანს, გვიანი შუა საუკუნეების, მომცრო ციხე.

საუკუნეების ეტაპისათვის მნიშვნელოვან გზას, ტრადიციულად, რიონ-ყვირილას ანუ ფაზისის სამდინარო მაგისტრალი წარმოადგენდა. ამ გვიანდელი ეტაპისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას კხვდებით ს. ჯანაშიას სტეციალურ ნაშრომში ფასისზე [15, გვ. 271-281]. იგივე საკითხებს ქართული ზღვაოსნობის ისტორიასთან დაკავშირებით საგანგებოდ განიხილავს ო. ბერაძე [20, გვ. 245-255].

როგორც აღინიშნა, სტრაბონის მნიშვნელოვან ცნობას, რომ ფაზისი სანაოსნოა ვიდრე სარაპანისამდე, ზოგი მოგვიანო წყაროს მონაცემიც ავსებს – კერძოდ, იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის დროინდელი რუკა [4, გვ. 196]. ეს მონაცემები მიუხედავად იმისა, რომ სხვა გვიანდელი წყაროები და მოგზაურთა ჩანაწერები ფაზის-რიონის სანაოსნოდ გამოყენების შესაძლებელ უკიდურეს პუნქტებს უფრო დასავლეთით (ორპირი, ბაში, ვარციზე და სხვ.) სდებენ, უაღრესად მნიშვნელოვანია. ამაზე პირველ რიგში შემორჩენილი ნაშთები, კერძოდ, აღრებიზანტიური სანის ციხის ჩრდილო-დასავლეთი ფლატის-პირა ნაწილში შემორჩენილი კომპლექსი მიუთითებს. იგი, შეიძლება ითქვას, აქამდე სათანადოდ შესწავლილი არ ყოფილა. წარმოადგენილია ძველი ნიდის კურტნის, თაღის ნაწილითურთ, ბურჯის და წყალში დადასტურებული მასიური კედლის ფრაგმენტებით. დ. მშენიერაძე ნაგებობათა ერთ ნაწილს ყვირილაზე გადებული სამმალიანი ნიდის ნაშთებად მიიჩნევს [24, გვ. 40]. ინტერესს იწვევს გაზეთ „კვალში“ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში („კვალი“, 1884, № 32) გამოქვეწენებული უცნობი ავტორის მოსაზრება ბურჯის მონაკვეთში წყალში ჩადგმული ნაგებობის შესახებ. ანონიმური ავტორი წერს: „...ბურჯის გვერდით განზე დასავლეთ-სამხრეთისაკენ სამი თუ თოხი საჟენი სიგრძე კედელი აქვს გავლებული... უეჭველია, ამ კედელს სულ სხვა რაიმე დანიშნულება უნდა ჰქონოდა... ის კედელი კი არა, მოელი საობარი კოშკი ყოფილა, რომ დასავლეთიდან მომავალი მტერი საძმე არ გადმოეშვა, უნდა თვით კატარლები შეემაგრებინა და ზევით წყალ-წყალ აღარ ასულიყვნენ. ეს რაღაც უწინდელი კარანტინის, ანუ საბაჟოს სიმაგრის ნაშთს წარმოადგენს“.

შემდეგ დიდხანს ამ ნაგებობაზე ყურადღება თითქმის არავის გაუმახვილებია.<sup>28</sup> შორაპანში საველე სამუშაოების ფინალურ ეტაპზე ჩვენც მოგვეცა საშუალება წყალთან დაკავშირებული

<sup>28</sup> სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ 1932 წ. იმერეთში ისტორიულ-გეოგრაფიული დაზერვების დროს აკად. ს. ჯანაშიას ზოგადად გაუმახვილებია ყურადღება ციხის მდ. ყვირილას გასწრივ წყალში ჩადგმულ ნაგებობაზე (საველე დღიურის ჩანაწერი გაგვაცი ქნმა რ. ჯანაშიამ). კონკრეტულად ზემოთ აღნიშნულ ნაგებობას შეეხო გ. ჯაოშვილი [16, გვ. 31-35].

ამ და სხვა ნაგებობების (მაგ., გვირაბის წყალში ჩაღვმული კოშკი) მცირე გაწმენდის და ფოტო და გრაფიკული ფიქსაციის სამუშაოები ჩაგვეტარებინა (ტაბ. II, A, III, სურ. I).<sup>29</sup>

დღეისათვის ეს ნაგებობები ამგვარად წარმოიდგინება: 1. ნიდის ბურჯის (კურტნის ანუ სათავე ნაგებობის) ნაშთი თაღის ნაწილით (ტაბ. II, A-B). იგი, ისევე როგორც კომპლექსში შემავალი ორი სხვა ნაგებობა, ჩანს ძირითადად კლდოვან ქანზე დაშენებული (ტაბ. III, სურ. 2). ამასთან აღნიშნული ბურჯი მიშებულია შემაღლებული რელიეფის მქონე ასევე კლდოვან ქანზე. მასზე გადადიოდა ზიდიდან ქვედა ქალაქისაკენ მიმართული გზა. აღნიშნული ბურჯიდებან ჩრდილოეთით 5-ოდე მ-ის ინტერვალით ოთხკუთხა ფორმის აღმოსავლეთით ზურგმორგვალებული ბურჯის (?) ნაგრევია შემორჩენილი, ხოლო ზემოაღწერილთაგან დასავლეთით წყალში ნაწილობრივ შესტრილ კლდოვან ქანზე სხვადასხვა ზომის, უპირატესად რიყის ქვით ნაშენი კედლის ფრაგმენტი, უფრო კი ერთვარი პლატფორმაა დადასტურებული. შორაპანის რკინიგზის ნიდის 2001 წლის რეკონსტრუქცია-განახლებითი სამუშაოებისა და წყლის დონის დაწევის გამო ეს ნაგებობა უფრო თვალნათლივ გამოიგვეთა. კერძოდ, ნათლად გამოჩნდა ნაგებობის უკიდურესი დასავლეთი მონაკვეთის საპირე წყობა.

ეს ნაგებობა, რომელიც მდინარის კლდოვანი ქანის სანაპიროდან თითქმის 10-12 მ-ის სიგრძეზე შეჭრილი მდინარეში და რომლის სიგრძე 5 მ-მდე აღწევს, დასავლეთით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დახრილი გვერდი აქვს (აქ პლატფორმის სიგანე 3,30 მ-ია), ნავმისაღომთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. მის ჩრდილოეთით და, განსაკუთრებით სამხრეთით (სამხრეთ-აღმოსავლეთით) წყლით შეკებული უბე ამის შესაძლებლობას იძლეოდა (თუმცა ჩვენ არ ვიცით მდინარის მარცხენა სანაპიროს კონფიგურაცია აქ რკინიგზის ძველი ზიდის მშენებლობით გამოწვეული რელიეფისა და სანაპიროს მკვეთრი ცვლილების გამო).<sup>30</sup>

<sup>29</sup> ეს სამუშაოები მიმდინარეობდა 2001 წლის თებერვლის თვეში, რადგან აქვე ძველ ნაგებობათა მიჯნაზე ჩატარდა შორაპანის რკინიგზის ნიდის განახლების სამუშაოები.

<sup>30</sup> აქ მოკლედ განვმარტავთ, რომ შორაპანის ნავმისაღომის საკითხი საგანგებო შესწავლას საჭიროებს. ამასთან ვფიქრობთ, რომ ძველი ბურჯის მონაკვეთთან, წყლისკენ მიმართულ კლდოვან ქანზე ნაშენ კედლეს (პლატფორმას ?) ერთვარად დამბის, ანუ ჯებირის ფუნქციაც უნდა შეესრულებინა; იგი აზვირობებული ყვირილის სწრაფი დინებისაგან დაიცავდა მისგან სამხრეთით არსებულ წყლით საგესე ფართო უბეს, რომელიც ბოლო ხანებამდე შეინიშნებოდა. სამწუხაროდ, ჩვენ არ გაგვაჩნია პარალელები საქართველოში, ხოლო სხვაგან, მაგ. გერმანიაში, მდ. ლუნაის შენაკად ინის ნაბირთან, ნავსაღვურისათვის ასევე კლდოვანი ქანის დამბად გამოყენების შემთვევაზე ჩვენი ყურადღება გამახვილა პ. ო.

საინტერესოა, რომ აღნიშნული ნაგებობის აღმოსავლეთით არსებული ხიდის ბურჯის (?) ერთ-ერთი მოზრდილი ოთხკუთხა ქვის, როგორც პორიზონტალურ, ასევე ვერტიკალურ სიბრტყეზე რამდენიმე ნახვრეტია დადასტურებული. ისინი, შესაძლოა, გამოიყენებოდა, როგორც რკინის პალობისათვის, ასევე ოოკის ჩასაბმელად. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რკინის პალობი შემჩნეულია გვირაბის წყალში ჩადგმული კოშკურა ნაგებობის ჩრდილოეთის კედელზე. ხიდის ბურჯიდან ჩრდილოეთით 2-3 ათეულ მ-ზე რკინიგზის ხიდის მშენებლობის დროს თითქოს ნაპოვნი იყო ღუზები (ს. ჯანაშიას 1932 წ. აგვისტოს თვის საგელე დღიური). ამგვარად, კონკრეტულად ნავმისადგომი ძირითადად ზემოთ აღწერილი ნაგებობის ჩრდილოეთითაც, ანუ ციხეს-თან ახლოს შეიძლებოდა ყოფილიყო მოწყობილი.

ყველა ზემოთ აღნიშნული მონაცემი კარგად შეესაბამება 1737 წლის რუკის უკვე ნახსენებ წარწერას. იგი თითქმის ერთადერთია სტრაბონის მსგავსი ცნობის შემდეგ [20, გვ. 245]. ასევე საინტერესოა ცნობა „საჭილაოს ნავის“ შესახებ. საჭილაოში, ცხენისწყლის რიონის შესართავის მონაკვეთში, როგორც თ. ბერაძემ დაადგინა, აშენებდნენ ერთმორიან და ერთნიჩნიან მარტივ ნავებს [20, გვ. 245], რომელთაც უფრო ადგილად შეეძლოთ თხელ წყალში შეცურება. ნავმისადგომის არსებობა შეიძლება ვიგულისხმოთ ციხე-ქალაქის უშუალოდ კონცხის თავთან, ანუ მდ. ყვირილას და ძირულის შესართავთანაც. აქ ნაპოვნი იყო ქვის, შუა ნაწილში წრიულად ამოღარული (ჩანს თოკის ჩასაბმელად) სფერული ღუზა (დაცულია ზესტაფონის მხარეთმცოდნების მუზეუმში).

ყველა ზემოთ აღნიშნული მონაცემი, რომელიც უშუალოდ უკავშირდება წყალთან (მდინარეებთან) დაკავშირებულ სატრანსპორტო საშუალებებს, გარკვეულ ინტერესს იწვევს. შესაძლოა ამ ნაგებობებს უკავშირდებოდეს შორაპნის გვირაბიც, კერძოდ, მისი წყალში კლდოვან ქანზე დაშენებული ნაგებობა-კოშკი, რომლის გაწმენდა, სამწუხაროდ, დასრულებული არ არის. ვფიქრობთ, წყალში ჩადგმული ეს ნაგებობა, რომლის ქვედა ნაწილი მასიური კედლებით არის წარმოდგენილი და ამით არის მიღწეული მისი მონუმენტურობა და წყლისადგი მდგრადობა (მცირე მოცულობის ინტერიერის ნაწილიც უზრუნველყოფდა მდინარის წყლის ამოღებას), გაწმენდის წინასწარული მონაცემებითა და 1937 წ. რუკის გრაფიკული გამოხატვის მიხედვით (ნაგებობის ზედა ნაწილში შეინიშნება ქონგურები) შეიძლება კოშკად მივიჩნიოთ. ამდენად იგი ციხე-ქალაქის საფორტიფიკაციო სისტემის ერთერთ კვანძად შეიძლება ჩავთვალოთ, ხოლო მისი დაცვითი ფუნქცია წყალთან დაკავშირებულ

ჰოქმანმა [26, იქევე ლიტერატურა]. წყალში ამგარი, მაგრამ ხით ნაგები ნავმისადგომების შესახებ ზოგადად იხ. [31].

ნაგებობებსაც დავუკავშიროთ. ეს საკითხი, ცხადია, შემდგომ კვლევას საჭიროებს.

უაღრესად მნიშვნელოვანია ზემოთ აღნიშნულ ნაგებობათა დათარიღების საკითხი. ეს პირველ რიგში ხიდს შეეხება. სამმალიანად აქვს იგი წარმოდგენილი დ. მშვენიერაძეს, რადგან ერთგვარი ასიმეტრიით მდ. ყვირილის მეორე მხარეზე დაფიქსირებულია ასევე ხიდის კურტნის ბურჯი (იგი ერთგვარად დეფორმირებულია),<sup>31</sup> რაც ხიდის საერთო სიგრძის განსაზღვრის საშუალებას იძლევა. შეიძლება გავიზიაროთ მოსაზრება შორაპნის თანამედროვე რკინიგზის ხიდის მშენებელი ინჟინრის ნოდარ მუჯარიშვილისა, რომლის მიხედვით, მდ. ყვირილას მოცემულ მონაკვეთში ნაპირის ბურჯებს შორის არსებული დიდი მანძილის გამო არასაკმარისი იქნებოდა მხოლოდ სამი მალი. თუმცა ისიც შეიძლება დავუშვათ, რომ მალს აქ ხის მორები წარმოადგენდა, რომელთა სიგრძე, თუ სხვა ანალოგებით და სპეციალური ლიტერატურით ვიხელმძღვანელებთ, 20-25 მ შეიძლებოდა ყოფილიყო. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს აღრეული ხიდები ძირითადად ერთმალიანია, მაგრამ უკვე ვახტანგ გორგასლის დროისთვის დამატებითი მაღლებით აღჭურვეს. ასევე შეიძლებოდა მომხდარიყო შორაპნის მონაცემშიც. სხვა პირდაპირი მონაცემები მდ. ყვირილის თაღიანი ბურჯის და, შესაბამისად, ხიდის დათარიღებისათვის, არ გავაჩნია.

შეუსაუკუნეების საქართველოსათვის თაღიანი ხიდებია დამახასიათებელი (მაგ., აჭარის ხიდები და თვით შორაპნითან ახლოს ეწ. თამარის ხიდი). ცხადია, აქ ზოგად ანალოგებზეა საუბარი. მთავარი კი ის ტრადიციაა, რომელიც საქართველოში ხიდების მშენებლობაში ყოფილა დამკაიღრებული. პირადად გვვინია, რომ შორაპნის კომპლექსი უკვე აღრებისანტიური ხანიდან გულისხმობდა სათანადო ხიდის არსებობას და ნავმისადგომსაც. აქ შეიძლება უფრო ძველი ტრადიციაც დავინახოთ. უფრო აღრეულ თარიღს უშვებდა ხიდის მიმართ გ. ცქიტიშვილი [12, გვ. 80].<sup>32</sup>

თუ აღრებისანტიური და მოგვიანო ხანის ცინის ნავმისადგომის მეშვეობით წყლის ტრანსპორტით ფასის-ყვირილას სანაოსნო მაგისტრალთან მყარდებოდა კონტაქტი, იქვე არსებული ხიდის მეშვეობით, გზა, როგორც ივარაუდება [13, გვ. 81], ქვედა ქალაქში (აქ იყო „ბაზარიც“) შედიოდა, აქედან კი შემაღლებული რელიეფის მქონე ციტადელში. მეორე მხრივ, იგივე ხიდის მეშვეობით გზა საკუთრივ ზესტაფონის მონაცემების (ადგ. „საყავრია“) და ქვ. საქარის გაკლიოთ, მდ. ჩოლაბურზე არსებული ე.წ. თამარის

<sup>31</sup> ამ ბურჯის ნაწილი შეიძლება იყოს რკინიგზის ახალი ხიდის მშენებლობის დროს გამოვლენილი. წყლის მოზრდილი ფრაგმენტი.

<sup>32</sup> არქიტექტორი ოთ. თორთლაძე არ გამორიცხავს, რომ შორაპნის ხიდის შემორჩენილი ფრაგმენტი გაცილებით მოგვიანო ხანისა იყო.

ხიდით, ქუთაისისკენ მიემართებოდა. გზას თამარის ხიდიდან სოფ. ჭალატყე, ზოვრეთი, ალისუბანი, ჩხარი-სკანდისაკენ ჰქონდა მიმართულება და აღმოსავლეთ საქართველოში გადადიოდა.

2001 წ. იანვარ-თებერვლის თვეში სოფ. საქარაში, ჭალატყეში, ზოვრეთში, ღვანებითში ჩატარებულმა საველე-არქეოლოგიურმა და ისტორიულ-გეოგრაფიულმა ძეგბამ რიგი მნიშვნელოვანი მონაცემი წარმოაჩინა. პირველ რიგში უნდა აღნიშნოთ მდ. ჩოლაბურზე არსებული ე.წ. თამარის ხიდთან დაკავშირებული ძველი ნაგზაურის შესახებ. ამ საქმაოდ ფართო (3-4 მ-მდე სიგანის) გზას რამდენიმე ათეულ მეტრზე გაედევნება თვალი. იგი რიყის ქვის ფენილს წარმოადგენს (ალაგ-ალაგ ჩართულია თეთრი ქვაც, ასევე მდინარისეული).<sup>33</sup> ეს იმ გზის ნაწილია, რომელსაც სათანადო ლიტერატურაში „სკანდის შარას“, ან „ქართლის შარას“ სახელწოდებით იხსენიებენ. ჩვენ ადგილზე დავადასტურეთ სახელწოდება „შარა“. ერთგან – გრიშა ციხელი-შილის ეზოს სამხრეთით, ადგილის სახელად დაგვისახელეს „ორშარა“.<sup>34</sup> აქვე გვითხრეს: თამარის ხიდიდან „... გზა რომ გაეწევა, შეუერთდება საზანოს გზას“. ბ-ნ ურა ქათამაძის ცნობით, ხიდიდან გზა შეუხევეს მარჯვნივ, გაივლის ღელეს და მიემართება ბიჭიკო რახელაშვილის სახლისკენ. აქ სოფ. ზოვრეთის ძველ და ახალ გზებს შორის 80 მ-იანი ინტერვალია.

დიდ ინტერესს იწვევს სოფ. ქვადა-ზედა საზანოს გზა მდ. ძუსას გაყოლებით. არსებული დღევანდელი გზა შედარებით ახალია, მაგრამ მისი ცალკეული მონაკვეთები, ალბათ, ადრევე ფუნქციონირებდნენ. ამაზე უნდა მიუთითებდეს მდ. ძუსას მარცხენა ნაპირის ნასახლარები, როგორც ადრეულები (ადრეანტიკურ-ელინისტური სოფ. ქვედა საზანოს მონაკვეთში), ასევე ახ.წ. პირველი საუკუნეების და თვით ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლი როგორიც ქვედა საზანოს „კეინ-წიხია“ (ხელოვნური გორაა, თხრილით განმხოლებული). აქედან, აგრეთვე მდ. ბუჯას მარცხენა ნაპირით, გზა საზანოს სასახლის უბინისკენ მიეშურებოდა. ცნობილი ბუჯის ციხის (გ. ცეიტიშვილის მიხედვით იგი წყაროების საზანოს ციხეა) მიმართულებით, სადაც ჩვენი (გ. ცეიტიშვილის მონაწილეობით) 1980 წლს ჩატარებული დაზვერვების დროს იმპორტული რომაული კერამიკის შემცველი ნასახლარის ნაშთები იყო გამოვლენილი.

როგორც ქვ. საზანოს (მდ. ძუსას გასწვრივ), ასევე „სასახლის უბინის“ (მდ. ბუჯასა და მაზარულას გაყოლებაზე) გზები, სოფ. ქვედა საქარასთან გამავალი გზის მეშვეობით, უშუალოდ უკავშირდებოდნენ შორაპნისაკენ მიმავალ გზას.

<sup>33</sup> ამ გზის ცალკეული მონაკვეთები გვაჩვენა და სათანადო ინფორმაცია მოგვაწოდა ადგილობრივმა მკვიდრმა ბ-ნმა ურა ქათამაძემ.

<sup>34</sup> ამ საინტერესო ტოპონიმის შესახებ ცნობა მოგვაწოდა 87 წლის ადგილობრივმა მკვიდრმა ქ-ნმა ურა ერმინეს ასულმა ციხელაშვილმა.

გზა შორაპნში აღმოსავლეთიდან შროშაზე, აქედან ულევწიფლაგაკე-საღვინეზე გამოდიოდა. გ. ცეიტიშვილის მიხედვით, ეს გზა უშუალოდ მოადგებოდა ადრებიზანტიური სანის კომპლექსის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთს, საღაც აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისაკენ მიმართულ კედლებს შორის მართლაც შეინიშნება ურთვავარი ღიობი. არქეოლოგიური შესწავლით გაირკვა, რომ ზღუდის აღმოსავლეთით პილონებიანი კედლის ძველი ნაწილი თხემის ნაწილის ჩაქვევის გამო დაზიანებულია, ხოლო აღდგენილი, ასევე პილონებიანი, მაგრამ თხელი კედლი უკვე ჩრდილოეთით არის გაწეული. ამგვარად, აღმოსავლეთის კედლის აღნიშნულ მონაკვეთსა და ჩრდილოეთის კედლებს შორის ღიობისთვის ადგილის უქონლობის გამოციხეს შესასვლელი აქ ვერ ექნებოდა. ამ თვალსაზრისით ინტერესს იწვევს სამხრეთ-აღმოსავლეთი ზღუდის მონაკვეთი (ნაკვ. 84). აქ ჩრდილო-აღმოსავლეთით მიმართულ მრავალფენიან მასიურ კედელსა და მისგან სამხრეთით გარკვეული ინტერვალით დღემდე შემორჩენილ, ასევე აგურისსარტყლიან კედელს შორის გათხრებმა ღიობი დაადასტურა. მოვაინებით იგი შედარებით თხელი კედლით ამოუქოლავთ. ამ მონაკვეთს დღესაც აღმოსავლეთიდან მიმართული გზა მოადგებოდა. ჩანს, იგი უკვე აღრებიზანტიური ხანიდან მაინც ფუნქციონირებდა. ამაზე მიუთითებს რელიეფის მონაცემებიც [29, გვ. 5].

შორაპნის აღმოსავლეთით არსებულ სოფ-ლებთან (ფუთი, მწყერისციხე, კლდეეთი, ბორი, ილემი და სხვ.) და აქედან უფრო შორის, როგორც ქართლისაკენ, ასევე დასავლეთის და სამხრეთის მიმართულებით (დიმით, ხანზე და ზეკარზე) დამაკავშირებელს, ჩანს, წარმოადგენდა მდ. ძირულას მარცხენა ნაპირზე არსებული ხიდი, რომლის ნაშთები დღესაც შეინიშნება ფლატის ძირთან, აგრეთვე ბურჯის ფრაგმენტის სახით მდ. ძირულაში. სამწუხაროდ, ღღეს შემორჩენილი ფრაგმენტები შეუსწავლელია, არც თარიღია განსაზღვრული. გ. ცეიტიშვილი 1964 წ. მიუთითებდა, რომ აქ „... ამ ოციოდე წლის წინათ ჯერ კიდევ იყო სამჭედლოები (სამჭედლოები, როგორც ჩანს სწორედ გზაზე იყო მოწყობილი, უფრო ხშირად საბაზრო პუნქტებში შესასვლელთან. ეს სამჭედლოები ხშირად სასტუმროს მოვალეობასაც ასრულებდნენ). გზა მცირე აღმართის შემდეგ, გაივლის სოფ. ფუთს და გადავა ბორიმელას ხეობაში, გაივლის სოფ-ლებს: მწყერისციხეს, ბორს, კაცხს, ხარაგაულის ციხესთან ჩაგა მდ. ჩხერიმელას ხეობაში, ხოლო შემდეგ ფონას უღელტეხილით გადავა სურამში“ [13, გვ. 82]. ამასთან უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული გზა სოფ. კლდეეთის გავლით მიემართებოდა დიმის „ქვეენისაკენ“. ამ მხრივ კლდეეთში ინტერესს იწვევს შუა საუკუნეების ციხესთან დადასტურებული კლდეკარი და ზედა დიმის გორის (ნაციხვარის) „ციხისყელი“ ძველი ნაგზაურით.

ინტერესს იწვევს შორაპნის ჩრდილოეთით მდ. ყვირილაზე არსებული ხიდის ბურჯების ნაშთები, რომელზეც ყურადღებას ჯერ კიდევ გ. წერეთელი ამახვილებდა. ერთგან მათ რატომ-ლაც „კოშკებს“ უწოდებენ. აქ ჩვენ ბურჯები ვნახეთ სოფ. საღვინეში და უფრო ზემოთ, სა-დაც სოფ. დილიკაურიდან ყვირილაზე გადავ-ლით, ძველი გზა მოემართებოდა. აქვე ჩვენ 2001 წ. დეკემბერში ამ გზის მოდარაჯე დილი-კაურის ციხის დაფიქსირება შევქელით, მაგრამ დათარიღებისათვის საჭირო არქეოლოგიური მა-სალები ჯერჯერობით არ გაგვაჩნია.

სტრაბონის ცნობით 120 ხიდი ფასისზე მკვლევართ (ს. ჯანაშია და სხვ.) მდ. ყვირილას მონაკვეთს აგულისხმებინებს. ზემოთ აღნიშნული მატერიალური ნაშთები და წყაროების მო-ნაცემები შორაპნის აღმოსავლეთით სამოსახ-ლოთა რეალურ არსებობაზე მიუთითებს. ამას-თან აღნიშნული საკომუნიკაციო საშუალებები ქვეყნის მასშტაბით არსებულ ფართო ეკონო-მიკურ კონტაქტებსაც გულისხმობს (ს. ჯანა-შია).

6. ბერძენიშვილი დასავლეთით მიმართულ კიდევ ერთ, აღბათ ძირითად გზაზეც მიუთი-თებდა. უნდა ვიფიქროთ, აქვე შორაპნში შემო-დიოდა გზა გაღმამხრიდან, რომელიც აქედან წამოსული გაივლიდა კვალით-სვირ-აჯამეთს და რიონის მარცხნა ნაპირით (ვარდციხე-ვანი-გომი) მიემართებოდა შავი ზღვისკენ. მეორე მხრით შორაპნიდან გზა აღმოსავლეთისაკენ მიე-მართებოდა: 1. ძირულა-ჩერიმელას პირით, ძირუ-ლას პირით, 2. და ყვირილის პირით. ამრიგად, შორაპნი მნიშვნელოვანი ადგილი ჩანს, სადაც 5-6 მიმართულებით გზა იყრიდა თავს [1, გვ. 3].

ზეკარის უღელტეხილზე გარდამავალი ე.წ. რეინის ჯვრის გზაზე, რომელიც სებასტოპოლი-სისაკენ მიემართებოდა, საკვანძო პუნქტს ქ-ვარდციხე წარმოადგენდა. ამ გზაზე მნიშვნელო-ვან მონაცემებს იძლევა კასტორიუსის რუკა, ანუ ე.წ. პევტინგერის ტაბულა. მის მონაცემებს სხვა ავტორებიც, ადრეულიც (პტოლემაიოსი) და მოგვიანოც (მაგ., სიმბური გეოგრაფია), ავ-სებენ. კასტორიუსის რუკის მთელი რიგი მნიშ-ვნელოვანი პუნქტების იდენტიფიკაცია გართუ-ლებულია. არქეოლოგიური მონაცემებით პტოლე-მაიოსის „სარაკეს“ ჩვენ შორაპნის ვუკავშირებთ. უფრო ძნელია ფასის-შორაპნის მონაცემთის სხვა პუნქტების, კერძოდ კი სურიუმის (სური, სურტუმი) იდენტიფიკაცია. იგი იდენტიფიკირე-ბულია სვირთან, სურამთან, ვანთან და სულ ახ-ლაპან ციხე-გვჯთან (გ. გრიგოლია). აქ მნიშ-ვნელოვანია ის, რომ სურიუმი ა.წ. 1 საუკუ-ნისათვის კვლავ მნიშვნელოვანი პუნქტია და მოიხსენიება ასევე ადრებიზანტიურ წყაროებში.

ამ მხრივ ყურადღებას ისევ სვირის მონაცე-თი იქცევს. იგი ადრიდანვე ჩანს დასახლებული, ხოლო ადრეანტიკური ხანიდან აქტიური სამო-სახლოები დიდ აღმავლობას განიცდიან. მდ. ყვირილის და ჩოლაბურის ამ სამოსახლოების

ცენტრებს წარმოადგენდნენ ბუნებრივი, ან ტე-რასისაგან თხრილით განმხოლოებული ბორც-ვები – „ციხურები“. სვირში 3 ბორცვია, ამათ-გან ორს „ციხურა“ ჰქვია. უკანასკნელ ხანებში მდ. ჩოლაბურის ნაპირთან სოფ. ზოვრეთში კი-დევ ერთი ბუნებრივი, თხრილით გამოყოფილი ბორცვი, თხემზე ნაგებობათა ნაშთებით, გამოვ-ლინდა. ამასთან მდ. ჩოლაბურის ცნობილი „ცი-ხურის“ [3], რომლის ძირითადი თარიღი, ჩანს, ასევე ადრეანტიკური ხანით განისაზღვრება, მიმდებარე ფართობზე, თერჯოლის შამბანურის ქარხნის მშენებლობის დროს მნიშვნელოვან ფართობზე აგურებით ნაგები ა.წ. პირველ საუ-კუნების (?) შენობები დაუზიანებიათ. ეს მოუ-ლოდნელი ინფორმაცია წყაროების „სურიუმის“ სვირის მონაცემთში იდენტიფიცირების საკითხს ახალ ასაკეტს სძენს.

დავუბრუნდეთ შორაპნს, მისი სავაჭრო-ეკო-ნომიკური ცხოვრების შემდგომ ეტაპს. მანამდე-ლი სურათისათვის კი უნდა აღინიშნოს: თითქ-მის სრულებით არ გაგვაჩნია ნუმიზმატიკური მონაცემები.<sup>35</sup> ამ მხრივ ჩვენს ცოდნას, ნაწილო-ბრივ მაინც, შეავსებდა სოფ. კლდეეთისა და ბორის სრული მონაცემების გათვალისწინება, რაც შორაპნის „ქვეყნის“ სავაჭრო-ეკონომიკური და გზების საკითხის შესწავლას წინ წასწევდა.

1949 წ. შორაპნში მომუშავე ექსპედიციას (ხელმძღვ. აკად. ს. ყაუხებიშვილი) გადაეცა ორი არაბული მონეტა – IX ს. დირპემბები.<sup>36</sup> ისინი განმიღება მომდინარეობენ (სხვა მონეტები დღემ-დე ინახება ადგილობრივ, შორაპნში, კერძო პირთან).

ზემოთ აღნიშნული მონეტები კორბოულში, ასევე საგზაო მნიშვნელოვან პუნქტში ნაპოვნ IX საუკუნის დირპემბთან ერთად მიუთითებენ გარკვეულ ეკონომიკურ ურთიერთობებზე ქარ-თლთან, ანუ ქართლის მეშვეობით არაბულ სამ-ყაროსთან და არა ამ უკანასკნელთა პოლიტი-კურ ბატონობაზე ამ მხარეში.

მომდევნო ხანისათვის ჩვენ კიდევ უფრო მწირი ცნობები გაგაქს შორაპნის და მისი ქვეყ-ნის პოლიტიკური და განსაკუთრებით, ეკონო-მიკური ურთიერთობების და შესაბამისად გზე-ბის შესახებ, მაგრამ ამ მწირი ცნობებით შო-რაპნი მაინც რატომდაც ამ გვიანდელი ქალა-ქების (ჩხარი, ქუთაისი, ხონი და სხვ.) რიგში მოიხსენიება. 1737 წ. რუკის მინაწერის მიხედ-ვით მაშინაც კი, როცა შორაპნი „თათარმა დაიჭირა“, აქ „ყასაბა“ ანუ სავაჭრო ადგილია. ხოლო გ. ცქიტიშვილის მიერ დადასტურებული მასალით ქვედა ქალაქში, ყვირილას მხრიდან

<sup>35</sup> ცნობა აქ, ციხის აღმოსავლეთით, თანამედროვე დასახლებაში, ქევრსამარხისა და მასში მცემალე-ბულისათვის ჩატანებული მონეტის (კოლხური თეთ-რი?) შესახებ, რომელიც თითქოს გადეცა ხაშურის მუზეუმს, ჯერჯერობით არ დადასტურდა.

<sup>36</sup> ამ მონეტების განსაზღვრა ექუთვნის თ. ლომო-ურს. განს. გ. ცქიტიშვილმა გადმოგვცა მკვლევარის მიერ შედეგინილი პასპორტი.

შემომავალ გზასთან ტოპონიმი „ბაზარია“ და-დასტურებული. აქედან დასკვნა: როგორც გვი-ანი შეა საუკუნეების, ასევე ადრეულ დასახლე-ბათა ქალაქობას სავაჭრო ადგილის არსებობა განსაზღვრავდა, ხოლო ამ უკანასკნელთა არსებობას – მნიშვნელოვნად განვითარებული საგზაო სისტემა. იგივე განსაზღვრავდა თითოე-ული ქალაქისა თუ ციხის, ეკონომიკური რეგი-ონის ანუ „ქვეყნის“ სიცოცხლისუნარიანობას.

**V. Japaridze**

### ON THE ROADS OF EASTERN COLCHIS (ACCORDING TO RECENT ARCHAEOLOGICAL DATA)

(Summary)

The question of roads evokes special interest while dealing with the economic and trade issues of ancient Colchis (Lazica). Both the principal river route of Phasis-Kyros (Mtkvari) and adjacent network of roads presumably had been functioning since earliest times. Sarapanis (Shorapani) of the Graeco-Byzantine sources and its “country” (district) was situated exactly along the cited route by the Iberian border of Colchis. Information provided by Strabo (XI, II, 17) that the Phasis is navigable up to Sarapanis and its fortress can shelter the population of the whole town, clearly points to its significance [28, p. 12].

This route long since has become a matter of interest of many scholars, including N. Berdzenishvili, N. Lomouri, G. Tskitishvili, D. Muskhelishvili. A special study of the problem and commentaries on Strabo with a comprehensive review of archaeological data were published recently by O. Lordkipanidze (1996, p. 114-120 with the full list of references).

The first attempt at tackling the history of Sarapanis was made by the prominent Georgian Byzantinist S. Qaukhchishvili. In 1985-1990 the present writer himself carried out archaeological excavations at the site in order to study the questions of the history of Shorapani and its “country” in general, and related problems, including the roads of Colchis. Unfortunately, only a few relics somehow connected with roads and belonging to antiquity were revealed due to the fact that only work of minor scale was carried out at the lower city - its territory is almost completely occupied by modern settlement. Finds of imported goods include a small fragment of a black-glazed cup and two fragments of an amphora dated to the late Hellenistic period and apparently manufactured in Asia Minor [28, p. 4]. Fragments of Rhodian (3<sup>rd</sup>-2<sup>nd</sup> cent. B.C.) and white coated amphora (Koan?) were found on the territory of the

mediaeval fortress. Koan amphorae are mostly characteristic of the coastal line of Colchis (e. g. Apsaros finds dated to the end of the 1<sup>st</sup> B.C. – 1<sup>st</sup> cent. A.D.). The above articles must have been brought to Sarapanis via the Phasis river route. At the same time, almost the same layers revealed Iberian imported goods – light clayware, later specimens of red-painted ceramic, profiled black-polished pottery.

Remains of a structure evidenced on the left bank of the river Qvirila (Boas), near the fortress complex, should be noted in connection with land routes. They are as follows: an arched part of a foundation pier of a bridge, as well as traces of a pier, found slightly northward and a 10-12 m. long and 4 m. wide structure facing water (to the southwest) and built upon the rock (Pl. II, A; III, 2). The latter may prove the remains of a landing-stage. Its possible connection with the ancient bridge cannot be ruled out. Besides, this structure is linked somehow with the tower standing at the exit of the tunnel of the city fortress and which might have served as a guardian of the landing-stage [29, p. 7]. Finds of anchors nearby are noteworthy (Pl. III, 1). One such anchor was unearthed by the Classical site, at the confluence of the rivers Qvirila and Dzirula. This bridge was part of a road running from the lower city westward to Kutaisi (Kutatisi, Kutaia). Farther it crossed the so-called Tamar bridge over the river Cholaburi (where – as attested by the sources – remains of an ancient road are in evidence). From this point the road branched and ran to the fortress of Skanda and to the east - to Iberia. Monuments of the Classical period revealed in the village of Sachino on this section of the road are worth noting. Via another bridge on the river Dzirula one could travel south, then turn to the west – to Rodopolis or pursue several branches to the east, i. e. Iberia. The safety of these roads was ensured by the fortress of Sarapanis, the existence and functioning of which, in turn, depended upon the economic complex of its “country” and the unity of the roads.

#### ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტო-რიის საკითხები, წ. I. თბ., 1964.
2. ბერძენიშვილი ნ. გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. თბ., 1966.
3. ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტო-რიის საკითხები, წ. VIII. თბ., 1975.
4. ბურჯანაძე გ. ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუსა როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო. – მომბეჭ (ხელ-ნაწერთა ინსტიტუტი), 1, 1959, გვ. 177-198.

5. ლომოური ნ. კლავდიოს პტოლემაიოსი, ცნობები საქართველოს შესახებ. – მსკი, 32, 1955, გვ. 39-65.
6. ლომოური ნ. ძევლი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. – შრომები (ისტორიის ინსტ-ტი), ტ. 4, ნაკვ. I, 1958, გვ. 99-117.
7. ლომოური ქიფანიძე ო. ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია). თბ., 1968.
8. ლომოური ქიფანიძე ო. ანტიკური სამყარო და ძევლი კოლხეთი. თბ., 1966.
9. ლომოური ქიფანიძე ო. ანტიკურ ხანაში ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ მიმავალი სატრანზიტო-სავაჭრო გზის შესახებ. – სმამ, ტ. XIX, № 3, 1957, გვ. 377-384.
10. ლომოური ქიფანიძე ო., მუსხელიშვილი დ., საქართველოს უძველესი სავაჭრო-სატრანზიტო გზები. – უკრ. ივერია. 1999.
11. მუსხელიშვილი დ. საქართველოს ისტორიული კეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. 1. თბ., 1977.
12. ფუთურიძე რ. პერამიკული ტარა. – ვანი, ტ. VII. თბ., 1983, გვ. 9-29.
13. ცეიტიშვილი გ. ანტიკური ხანის შორაპანის საერისთაოს საკითხისათვის. – სიგპ, II, 1964, გვ. 71-105.
14. ჭილაშვილი ლ. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ნაწ. 1. თბ., 1968.
15. ჯანაშია ს. შრომები, ტ. 2, თბ., 1952.
16. ჯათშვილი გ. ციხე-ქალაქი შორაპანი. – მმ, № 52, 1979, გვ. 31-35.
17. ჯაფარიძე გ. ვარდციხის ნაქალაქარი, თბ., 1989.
18. გოზალიშვილი გ. კ. О древнем торговом пути в Закавказье. – Труды Ин-та истории АН Грузии, т. 2, 1956, с. 153-160.
19. Еремян С. Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов. – ВДИ, № 1, 1939, с. 79-97.
20. Берадзе Т. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии. Тб., 1989.
21. Ломоури Ю. Н. Из исторической географии древней Колхиды. – ВДИ, № 4, 1957, с. 96-110.
22. Лордкипанидзе О. Наследие древней Грузии. Тб., 1989.
23. Меликишвили Г. К истории древней Грузии. Тб., 1959.
24. Мшвениерадзе М. Строительное искусство в древней Грузии. Тб., 1959.
25. Ямпольский З. И. К изучению древнего пути из Каспийского моря по реке Куре через Грузию к Черному морю. – Труды Ин-та истории, т. 2, 1956, с. 161-180.
26. Höckmann O. Untersuchungen zum Hafen des römischen Kastells Boiotro (Nassau-Instadt), Ostbairische Grenzmarken. – Passauer Jahrbuch für Geschichte Kunst und Volkskunde, Jahr. 40 (1998).
27. Lordkipanidze O. Das alte Georgien (Kolkhis und Iberien) in Strabons Geographie. Neue Scholien. Amsterdam, 1996.
28. Japaridze V. M. New Archaeological Data About Shorapani (Sarapanis) in the Antique period. Tbilisi, 1990.
29. Japaridze V. M. Early mediaval Shorapani (in Byzantine Sources: Sarapanis) According to the Latest Excavation Finds. Preprint. Tbilisi, 1991.
30. Japaridze V. Archaeological Investigation on the Pipeline Route, Eastern Colchis. – მილ-სადენის არქეოლოგია, ტ. I, თბ., 1999, გვ. 82-92.
31. Pferdehirt B. Das Museum für Schiffahrt, I. Mainz, 1995.

### ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I – 1. შორაპანის სიტუაციური გეგმა: A – ციტადელი, ადრებიზანტიური ციხე; B – ქვედა ქალაქი; C – ადრეანტიკური და მომდევნო ხანის კოლხური სამოსახლო; D – გვირაბი და კოშკი; E – მდ. ყვირილას მარცხნა ნაპირის ნაგებობები; F-ახალი ხიდი ყვირილაზე; G-ხიდის ნაშთები მდ. ძირულაზე; 2. რომაული (ფრაგმენტულად, ნაკვ. 56-კედლის ფრაგმენტი და მტრიხულია) და ადრებიზანტიური ციხის გეგმა (D გვირაბი).

ტაბ. II – A. მდ. ყვირილას მარცხნა ნაპირის ნაგებობების (1-2. ბურჯები; 3. ნაგებობები (დამბა ?) გეგმა; B. ხიდის თაღიანი ბურჯის ფასადები.

ტაბ. III – 1. სარაპანისის გვირაბი და კოშკური ნაგებობანი; 2. მდ. ყვირილას (ბოას) მარცხნა ნაპირის ნაგებობა.

### Description of the Plates


Pl. I – 1. Plan of Shorapani: A – citadel, early Byzantine castle; B – Lower town; C – Early Classical and later Colchian settlement; D – tunnel and tower; E – constructions on the left bank of Qvirila; F – new bridge over Qvirila; G – remains of a bridge over Dzirula.

Pl. I,2 – Plan of the Roman and early Byzantine castle.

Pl. II – A. Plan of constructions on the left bank of the river Qvirila (1,2 – piers, 3 – dam); B. facades of an arched pier.

Pl. III – 1. a tunnel and a tower of Sarapanis; 2. construction on the left bank of the river Qvirila.

# Φαδ. I




2



1

გაბ. II



A



R. KVIRILA



0 5 m

-W-


-O-




B

0 3 m

Фа८. III



1



2

## თეიმურაზ ჩიქოგანი

### ჭურჭლის სულხან-საბა რობელიანისეული კლასიფიკაცია

სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725) თავი-  
სი მრავალმხრივი მოღვაწეობით ერთ-ერთი ყვე-  
ლაზე უფრო ნათელი ფიგურაა საქართველოს  
ისტორიაში. მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის  
მექანიზმით ერთველოლოგის ეს უშრეტი  
წყარო, შეიძლება ითქვას ცუდად არაა შესწავ-  
ლილი, მაგრამ როდესაც მისი რომელიმე ნამო-  
ღვაწარის ნებისმიერ სფეროს, კონკრეტული  
თვალსაზრისით მივუდგებით, აღმოჩნდება ხოლ-  
მე, რომ ბევრი მნიშვნელოვანი რამ ჯერ კიდევ  
ყურადღების გარეშეა დატოვებული. მკლე-  
ვართა ყურადღების მიღმა დარჩენილ ერთ-ერთ  
ასეთს განეკუთვნება, არქეოლოგისათვის უაღ-  
რესად საჭირო ჭურჭლის ტერმინოლოგია, რო-  
მელიც მის „სიტყვის კონაში“ საკმაოდ მაღალ-  
პროფესიულ დოხეზეა შესრულებული. ჭურჭ-  
ლის ტერმინოლოგია სულხან-საბას შინაარ-  
სობლივად ამომწურავად აქვს განხილული და  
მისი სახეობები, გადაუჭარბებლად შეიძლება  
ითქვას მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნი-  
ლებების მიხედვითა კლასიფიცირებული. „სიტ-  
ყვის კონაში“ თავმოყრილი და განმარტებული  
ტერმინოლოგია ფორმალური, ფუნქციონალური  
მასალის და ენობრივი კუთხით დაგენერირებული. ამასთან ერთად, ხაზ-  
გასმულია ისიც, რომ კლასიფიკაციაში, არც  
თუ იშვიათად ჭურჭლის დამზადების ტექნი-  
კაცაა გათვალისწინებული.

ვიდრე სულხან-საბას სული კლასიფიკაციის  
კომენტარებს შევუდგებოდეთ, პირველყოვლისა  
საჭიროდ მიგვაჩინია გავერკვეთ იმაში, თუ რა  
იგულისხმება ცნება-ტერმინ ჭურჭლში. ილია  
აბულაძის მიხედვით, ძველ ქართულში „ჭურ-  
ჭლი, ჭურჭერი“ იარაღის, ქონების, საკაუ-  
ლის, ჭურის, საჭურჭლესა და ვაშკარანის კრე-  
ბით სახელწოდებას წარმოადგენდა [1, გვ. 559]. ამ ტერმინებიდან ჩვენთვის, ამჟამად მხო-  
ლოდ ვაშკარანია უცნობი. ძველ ქართულში  
ვაშკარანის სახელწოდებაში საგანძური, სალა-  
რო და აგრეთვე აბგა და გუდა იგულისხმებო-  
და [1, გვ. 154]. ასევე კრებით, ზოგად სახელ-  
წოდებას წარმოადგენდა ტერმინი ჭურიც და  
მასში ძირითადად თიხის ნაკეთობანი და აგ-  
რეთვე იარაღი და მოკაზმულობა მოიაზრებოდა  
[1, გვ. 559]. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ივ-  
ჯავახიშვილი იარაღის ცნებაში სხვასთან ერ-  
თად ქვით ხუროს ხელსაწყოებსაც („ჭურჭლი-  
ნი ქვის სათლელი“) ითვალისწინებს [8, გვ.  
151].

ჭურჭელი სულხან-საბას შემდეგნაირად  
აქვს განმარტებული: „ჭურჭელი ზოგადი სახე-  
ლი არს ყოველთა ჭურჭელთა.“ შემდეგ აგრძე-  
ლებს რა მისი შინაარსის განმარტებას, აღნიშ-  
ნავს, რომ „ხოლო ესე ჭურჭელი განიყოფიან  
ათხუთმეტად: იარაღად, გუდარაკად, ლანკანად,  
ჯამად, საღვნედ, წდად, სარწყულად, ვაშკარა-  
ნად, ზარდახშად, ფუკად, სფირიდად, ჭურად,

საწყავად, შარაგულად“ [4, გვ. 891-893]. ყოვე-  
ლივე ამის ანუ ჭურჭლის ზოგად ცნებაში გა-  
ერთიანებულ ტერმინოლოგიურ კლასიფიკაცი-  
ას მოჰყვება ცალკეულ ნივთთა დანიშნულების  
მიხედვით კლასიფიკაცია. ასე მაგალითად,  
იარაღში დაჯგუფებულია საბრძოლო აღჭურვი-  
ლობა – „საჭურველი“ და „აბჯარი“ – მეომრის  
სულის დამცავი სამოსი, „საცვამთა ჯაჭვთა“  
[3, გვ. 461-462]. იარაღის კატეგორიაშივეა  
დაჯგუფებული მჭედლის და ხუროთა ხელ-  
საწყობი.

გვადარაკი//გუადარაკი-ის სახელწოდებაში  
სულხან-საბას დაჯგუფებული აქვს კერძეულის  
დასამზადებული ყველა ის ნივთი, რომლებიც  
ცეცხლზე იდგმის ანუ როგორც თვითონ უწო-  
დებს „საგბოლელი.“ ასეთებს განეკუთვნებიან  
ქვაბი, სიავი, კარდალა, ტაფა, ქოთანი, კოჭობი  
და სხვ. ამ ნივთებიდან დღეისათვის სიავია უც-  
ნობი, მაგრამ, როგორც ყოველ კონკრეტულ  
შემთხვევაში, იგი აქაც არ გვტოვებს გაურკვე-  
ველ მდგომარეობაში. სიავი სპილენძის ქვაბი  
ყოფილა [3, გვ. 315]. ყოველივე ეს კი იმის მა-  
უწყებელია, რომ გვიანი შუა საუკუნეების ქარ-  
თული ყოფისათვის, მასალის მიხედვით ორი  
სახეობის ქვაბი ყოფილა დამახასიათებელი. თი-  
ნისას კარდალი ეწოდებოდა, ხოლო ლითონი-  
სას ანუ სპილენძისას – სიავი. თანამედროვე  
ყოფაში, როგორც ვიცით ბევრი რამ შეიცვალა  
და გადაფასდა. ამჟამად თიხისაგან დამზადებუ-  
ლი ქვაბი კარდალად უკეთ აღიარ მოიხსენიება.  
იგი მხოლოდ ლითონისას ეწოდება. ხოლო რაც  
შეეხება თიხის საგბოლელს ანუ ცეცხლზე და-  
სადგმელ ყველა სახეობის ქვაბს, სახელწოდე-  
ბა ქოთანი დაუმკიდრდა.

ლანკანი ჭურჭლის სახელწოდებაში გაერ-  
თიანებული ყველა ის ნივთია, რომლებიც ლი-  
თონისაგანაა დამზადებული. „ლანკანი არს  
ჭურჭელი ილეკროსი.“ ხოლო ილეკრო „ეწო-  
დება ექროსა, ვერცხლსა, სპილენძსა, რკინასა,  
კალასა და ყოველივე მისთანათა ერთბაშად“  
[3, გვ. 148]. „სიტყვის კონაში“ განმარტებულ  
ნივთებს განეკუთვნება თევში, ფეშუმი, ბარქა-  
ში, ფიალა, ტაშტი და მისთანანი. ამ ნივთები-  
დან ჩვენთვის ბარქაშია უცნობი, რომელიც  
სულხან-საბასავე განმარტებით ღრმაპირიანი  
თევშია.

სულხან-საბა ლანკანისნაირთა მიმართ მასა-  
ლის მიხედვით კლასიფიკაციას როდი სჯერდე-  
ბა. იგი მიგვანიშნებს, რომ „ლანკანი არს ჭურ-  
ჭლი ტაბლითა.“ ტაბლა კი, როგორც ცნობი-  
ლია ფეხიანი ძირით, ქუსლით ხასიათდება,  
რაც იმის ბაუწყებელია, რომ ილეკროს ანუ  
ლაკანისნაირი ნივთები ფეხიანი ჭურჭელი ყო-  
ფილა. როგორც ვხედავთ, აქ ფორმის მიხედ-  
ვით კლასიფიკაციასთანაც გვაქვს საქმე.

ჯამი სულხან-საბას სული ჭურჭლის კლასი-  
ფიკაციაში დამოუკიდებელ ერთეულად არის

შესული და იგი გარკვეული ნიშნებით დამა-  
ხასიათებელი თავმოყრილი ნივთების საერთო  
სახელწოდებას წარმოადგენს. ამ საერთო სა-  
ხელწოდების ქვეშ თავმოყრილი ნივთები სით-  
ხისათვის გამოიყენება: „ჯამი არს ჭურჭელი  
ნოტიოთა,“ განმარტავს სულხან-საბა. მისი სა-  
ხეობები ყოფილა ბადია, ლოდა, ლოდაკი, უს-  
კურა, პინაკი, ფილჯამი და მისთანანი. რო-  
გორც ვეხდავთ, ამგვარი კლასიფიკაციის კრი-  
ტერიუმს მათი დანიშნულება და დასამზადებე-  
ლი მასალა წარმოადგენს. გარდა პინაკისა,  
რომელიც ლითონის, უპირატესად სპილენძის  
ნაკეთობას წარმოადგენს, ყველა დანარჩენი თი-  
ხისაა. ტერმინ ჯამის ცნებაში თავმოყრილი  
ყველა ნივთი ერთი და იგივე ფორმა-მოყვანილო-  
ბისაა და როგორც მისი ავტორი გვიმარტავს  
„ჯამისებრნი“ არიან, რაც „არქოლოგიური  
ტერმინოლოგიის ქართული განმარტებითი ლექ-  
სიკონის“ მთავარი სარედაქციო კოლეგიის მი-  
ერ შემუშავებულ შეკლაში თავსდება. მოუ-  
ლობის თვალსაზრისით ყველაზე დიდი ტევა-  
დობის ლოდაა, რომელსაც ბადია მოპყვება, ხო-  
ლო შემდეგ ფილჯამი, ჯამი და ლოდაკი.

ჭურჭლის გარკვეულ სახეობათა კლასიფი-  
კაციაში გაერთიანებული ზოგიერთი ნაკეთო-  
ბანი, ზოგჯერ მხოლოდ დანიშნულება-მოხმა-  
რების ნიშნის მიხედვითაა დაჯგუფებული. აღ-  
ნიშნულის საალუსტრაციოა ცნება-ტერმინი  
წედა ანუ ღვინის სასმისებში დაჯგუფებული  
ნივთები. წედა ძველქართული ტერმინია და  
სასმისთან ერთად ძვირფასი ლითონებისაგან  
(ოქრო-ვერცხლი) დამზადებულ თეფშსაც ნიშ-  
ნავდა [1, გვ. 541]. წედას სახელწოდების ქვეშ  
თავმოყრილ ღვინის სასმისებს სულხან-საბა  
აკონკრეტებს და ჩამოთვლის: ბარძიმი, ბიდახი,  
დოსტაქანი, თასი, კვანიში, სარიოში, კულა,  
ორთომელი, სტაქანი, ფიალა, ჩარა, ყანწი და  
სირჩა, რომლის ძველქართული სახელი ლახო-  
რა ყოფილა [3, გვ. 461]. ჩამონათვალს ჩვენ  
ჭინჭილას ანუ იგივე ჭიჭლას (რომელიც მის  
ლექსიკონში არის, მაგრამ ჩამონათვალში არაა  
შეტანილი) ზიარი ჭურჭლის პრინციპის, ზოო-  
მორფულ თიხის სასმისებს – „ირემს“, „ვერძსა“  
და „ხარსაც“ დავუმატებდით. ღვინის სასმი-  
სებში შეტანილია აგრეთვე არასასმისიც –  
სარიოში, რომელიც დიდი ჯამისებური ჭურ-  
ჭლი ყოფილა და მხოლოდ მათ გასარეცხად  
გამოიყენებოდა [4, გვ. 283]. სარიოში ანუ სა-  
რიოშე ნიკო და დავით ჩუბინიშვილების ლექ-  
სიკონშიც ანალოგიურადვეა განმარტებული [6,  
გვ. 335; 7, გვ. 1039]. რაც შეეხება საკუთრივ  
ტერმინ რიოშს, რომლისაგანაც არის ნაწარმო-  
ები აღნიშნული სახელწოდება სულხან-საბასა-  
ვე განმარტებით, რასაც ნიკო ჩუბინიშვილიც  
იმეორებს შერყვნილს ნიშნავს [4, გვ. 283; 6,  
გვ. 335].

სულხან-საბას მიერ კლასიფიცირებულ ღვი-  
ნის სასმისებიდან ჩვენთვის ბიდახი, დოსტა-  
ქანი, კვანიში და ორთომელი უცნობია. „სიტყ-  
ვის კონის“ აგტორი აქაც სათანადო სიმაღლე-  
ზეა და განმარტავს, რომ ბიდახი დიდი ფია-

ლაა, დოსტაქანი მოზრდილი სასმისია, ხოლო  
კვანიზი კი მცირე ტევადობის, ბრტყელძირა  
სასმისი ყოფილა და იგი იყის-არყის დასაღე-  
ვად გამოიყენებოდა. რაც შეეხება ორთომელს,  
იგი ყველა სახის დიდი ტევადობის საერთო  
სახელწოდება ყოფილა. ორთომელი იყო ზის,  
მინის და ლითონის (ოქრო-ვერცხლისა). სხვა-  
თამორის, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ღვინის  
სასმისებიდან სულხან-საბას აზარფება რატომ-  
დაც გამოტოვებული აქვს. აზარფება კი, რო-  
გორც ცნობილია გრძელტარიანი ვერცხლის  
სასმისია და XIX ს-ის საქართველოში საკმა-  
ოდ გავრცელებული იყო [6, გვ. 133; 7, გვ. 11].

ღვინის სასმისებთან დაკავშირებით არ შეგ-  
ვიძლია გვერდი ავუაროთ მაცდურს, რომელიც  
XX ს-ის 20-იან წლებამდე შიდა ქართლში  
ჯერ კიდევ ფართოდ გამოიყენებოდა. ჯუანშერ  
სონდულაშვილის აღწერილობით, მაცდური  
ცხვრის ფორმის ერთი ჩას ჭიქის ტევადობის  
თიხის სალალობო სასმისი იყო. ხასიათდებოდა  
ტუჩმილიანი მაღალი მუცლით, ბრტყელი ძირი-  
თა და რელიეფური ყურებით, რომლებიდანაც  
ერთ-ერთს ძნელად შესამჩნევი ნახვრეტი ჰქო-  
ნია დატანებული. ღვინო ტუჩმილიან პირში  
ისხმებოდა და იქიდანვე გაღმოუდინებოდა. მო-  
რიგი სადღეგრძელოს წარმოთქმისას, ვისაც  
მაცდურს გადასცემდნენ და მან მისი საიდუმ-  
ლო არ იცოდა, აუცილებლად ღვინო დაეღვრე-  
ბოდა, რაც მეინახეთა მხიარულებას იწვევდა.

ქართული ღვინის სასმისთა ნაირსახეობების  
სიმრავლე, პირველ ყოვლისა ამ ღვთიური სი-  
თხის მოხმარების მაღალ კულტურაზე მეტყვე-  
ლებს. როგორც ჩანს, სულხან-საბა ორბელია-  
ნის ეპოქაში, უკაველია ალბათ გაცილებით ად-  
რეც, ჩვენი წინაპრები ღვინოს მეტი მოწიწე-  
ბით ეკიდებოდნენ, ვიდრე ამჟამადაა. შესაბამი-  
სად, ალბათ პურობასაც უფრო მეტი ეშხი და  
ლაშათი უნდა ჰქონდა, რის შესახებაც ფრან-  
გი მოგზაური და ნებოციანტი შარდენი XVII  
ს-ის შეუ წლებში აღტაცებით წერდა [5, გვ.  
340, 497].

ჭურჭლის კლასიფიკაციაში სულხან-საბას  
ცალკე აქვს გამოყოფილი წყლისათვის საჭირო  
სახეობანი, რომელთა საერთო სახელწოდებად  
სარწყულს ხმარობს: „სარწყული არს ჭურჭე-  
ლი წყალთა: იათული, გოვზაკი, სტამნი, კუტა-  
ლი, წურწუმა, წყლის საქანელი, მათარა, თა-  
სუხა და მისთანანი“ [4, გვ. 461]. ამ ჩამონათვა-  
ლიდან, მათარის გარდა, შეიძლება ითქვას ყვე-  
ლა დანარჩენი მაგრამ როგორც ყო-  
ვლთვის, სათანადო გვერდებზე მოცემული  
აქვს მათი განმარტებანი. იათული თურქული  
წარმომავლობის ტერმინია და „ვერცხლის  
სარწყულს“ ნიშნავს. თასუხა წყლის კოლო-  
ტია. კოლოტი კი მსხვილფეხა რქოსანი საქონ-  
ლის ტყავისაგან დამზადებული, დიდი ტევადო-  
ბის რუმბია. რუმბი სპარსული წარმომავლობის  
ტერმინია. გოვზაკი-ც საწყლეა, მაგრამ რა მა-  
სალისაგანაა დამზადებული, ანდა რა ტევადო-  
ბისაა „სიტყვის კონაში“ არაფერია ნათქვამი.  
ნიკო ჩუბინიშვილის ლექსიკონში მის შესახებ  
ნათქვამია, რომ იგი დიდი საწყლეა [6, გვ.

180], ხოლო დავით ჩუბინიშვილის ლექსიკონის მიხედვით სპარსული წარმომავლობის ტერმინია და „დიდ სარწყულს,“ ანდა საღვინეს უნდა ნიშავდეს [7, გვ. 326].

სარწყულის დაჯგუფებაში საყურადღებო ტერმინად გამოიყრება წყლის საქანელა, რომელიც ჭის თავზე გამართულ წყლის ამოსალებ მოწყობილებას უნდა წარმოადგენდეს, რასაც სულხან-საბას განმარტებაც ადასტურებს: „საქანელი ჩამობმული თოკი თუ ლატანი.“

კუტალის განმარტება „სიტყვის კონაში“ რატომღაც გამოტოვებულია. ამ ხარევზს თითქოს 6. ჩუბინაშვილის ლექსიკონი ავსებს, სადაც ნათქვამია, რომ იგი „ხის ლულიანი სარწყულია,“ რაც მის გარეგნულ სახეს სრულად ვერ წარმოაჩენს. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ მისი განმარტება უფრო დაზუსტებულია: „კუტალი ხის ჭურჭელი ტუჩიანი – წყლისათვის“ [4, გვ. 273]. კუტალი საქართველოს ზოგიერთ ტყიან სოფლებში ამჟამადაც გამოიყენება. იგი სამი მტკაველის სიმაღლის, ძირიდან გულამოთლილი ხის ჭურჭელია. ყელი, საიდანაც წყალი ჩაისხმის, სამიოდე გოჯის სიმაღლისა და ტუჩისებური პირი აქვს. ძირი, რომელიც წყალგაუმტარადაა დაგმანული სამი ან ზოგჯერ ოთხი კოხტად გამოთლილი ფეხით მთავრდება, ხოლო ხელმოსაკიდი ყურები, ამფორის მსგავსადაა მორგებული. იყო აგრეთვე ცალყურა და დაბალყელა კუტალებიც [2, გვ. 130].

ჭურჭლის ცნებაში შემაგალი შემდეგი სახეობაა ვაშკარანი, რომელიც ქსოვილისაგან დამზადებული რაიმეს ჩასაყრელი თუ შესანახი ნივთების ზოგადი სახელწოდებაა. ამ სახელწოდების ქვეშ ერთიანდება გუალაგი, ტომარა, მანდიკი, მახალი, ხალთა, ჩახვი, ბალანტი, თალისა, თილანი, ხილინდარი, ჯუზდანი, ჩალათა და თალია [3, გვ. 461]. აქედან ამჟამად ჩვენთვის მხოლოდ ტომარა და ხალთა ცნობილი. ტერმინი გუალაგი სულხან-საბას მაფრაშასთან აქვს ახსნილი. იგი წერს, რომ „მაფრაშა სხუათა ენაა, ქართულად გუალიგი ჰქვიან,“ ხოლო საკუთრივ მაფრაშა თავის მხრივ მკვრივი ქსოვილის ბოხხაა. მანდიკი „სიტყვის კონაში“ განმარტებულია როგორც „ზოგადი სახელი არს ყოველთა შთასადებელთა.“ სამწუხაროდ, არაფერია იმის შესახებ ნათქვამი თუ რომელია ქართული წარმომავლობისა. სამაგიეროდ გარკვეულია მახალის წარმომავლობა. იგი ხურჯინის ქართული შესატყვისი ყოფილა. ჩახვი ჩვეულებრივი პარკია, ბალანტი – მცირე ტოპრაკი, ხოლო თალისა კი დიდი ბარდანაა. ბარდანა უხეში ქსოვილის დიდი ტომარაა, დღეს რომ ჯვალოს ტომარას ვეძახით. რაც შეეხება ამავე დანიშნულების შთასადებელს, თალიას, იგი ძებისაგან მოქსივილ ტომარას წარმოადგენდა, ხილინდარი ქამარზე საკიდი პესის ტყავის პარკია. ჯუზდანი სპარსული წარმომავლობის ტერმინია და ყელსაბამი ქისა ყოფილა. ნიკო ჩუბინაშვილი უფრო აზუსტებს და აღნიშნავს, მისი ქართული შესატყვისი ამიანურია და ბა-

დისებურად მოქსოვილ ქისას წარმოადგენდა [6, გვ. 478].

ზარდახშაც ჭურჭლეულის კლასიფიკაციაშია და ხის, ლითონისა და ქვისაგან ნაკეთები „მთასადებელი“ ნივთების საერთო სახელწოდებას წარმოადგენს. ზარდახშაში ერთიანდება კილიბარი, სკივრი, კოლოფი, მოთხე, ბოყვი და ჯლრე. ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი ტერმინებია მოთხე და ჯლრე. მოთხე კოლოფის აღმნიშვნელი ტერმინია და იგი ამჟამად ფშავებურეთში შემონახული, გეომეტრიული ორნამენტებით შემკული, მცირე ზომის ნივთების შესანახი მაქალოზის ფუნქციის მატარებელი უნდა იყოს.

სულხან-საბას ხისაგან დამზადებული სამზარეულო ჭურჭელი ცალკე აქვს გამოყოფილი და მათ საერთო სახელწოდებად ტერმინ ფუქას ხმარობს. „უკა არს ჭურჭელი ძელთაგან თლილი: ტაბაკი, სიფილი, რობა, როგო, ხის თევში, მოლი, გობი, ყარყარა, კოდი, ტაგანა, კოპა, კუტალი და მისთანანი“ [3, გვ. 461]. „სიტყვის კონის“ შესაბამის ადგილებზე ყველა მათგანი განმარტებულია და აღარ გავიმეორებთ. ყურადღებას მხოლოდ რამდენიმე მათგანზე გავამახვილებთ, რომლებიც თანამედროვე ქართულში უკვე აღარ იხმარება. ესენია: სიფილი, რობა, როგო, მოლი და ტაგანა. სიფილი ტაბლისებურ, პატარა ფეხიან მაგიდას ეწიდებოდა. რობა მცირე ტევადობის ხელგობია. როგო ფიცრული სკაა. იყო აგრეთვე გეჯის სტა, რომელიც ამჟამად ეთნოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. მოლი ლიტრანახვრის ტევადობის ხის საწყარია და ფხვიერი პროდუქტის საწყარის წარმოადგენდა [3, გვ. 333: 81].

სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ ასევე ცალკე აქვს დაჯგუფებული ჭილისაგან, ფინიკის ხის ბურძღლისა და ნედლი ქერქისაგან – ხრალისაგან დამზადებული „შთასადებელინი.“ მათი საერთო სახელწოდება სფირიდია. ამგარი ზოგიერთი მასალის ნივთის დამზადების ტრადიცია, აქა-იქ დღესაც შეინიშნება.

ასევე ცალკეა დაჯგუფებული თასმითა და წნელით დამზადებული ნივთები, რომლებიც შარაგულის საერთო სახელწოდებაშია მოქცეული. ამგვარი ჭურჭელი „შთასადებელთა“ კატეგორიას განეკუთნება და „არს ჭურჭელი წეპლითა და ღვედეცეცით რაიც არს.“ სამწუხაროდ, სახელბების სულხან-საბას ჩამოთვლილი არ აქვს, რაც, ალბათ, მათი საყოველთაო გავრცელებით უნდა იყოს გამოწვეული. თანამედროვე ყოფა სამუალებას იძლევა ჩამოვთვალოთ მათი სახეობანი: გიდელი, გოდორი, კალათა, კოკიზა, ლასტი, ჯინი. აგრეთვე თასმის აბგები, ჩანთები და მონადირის მხარსაკიდები, რომლებსაც შინამრეწველები XX ს-ის 50-იან წლებამდე ჯერ კიდევ რაოდენობით ამზადებდნენ.

როგორც ვხედავთ, „შთასადებელ ჭურჭლეულის“ ბოლო ორ დაჯგუფებაში – სფირილსა და შარაგულში ერთმანეთისაგან განსწავებული ტექნიკით დამზადებული ნივთებია თავმოყრილი.

„სიტყვის კონაში“ ასევე ცალკეა დაჯგუფებული საწყაოები ანუ ზომა-წონის ერთეულები, რომლებიც ფორმალური ნიშნებითაა კლასიფირებული. „საწყავი არს ჭურჭელი ყოველთა მარცვლეულთა და ნოტიოთა აღსაწყავი: კოდი და მისთანანი: კოკა, ჩაფი და მისთანანი“ [3, გვ. 462]. სულხან-საბას ჩამოთვლილი და ლექსიკონის სხვადასხვა გვერდებზე განმარტებული აქვს ფხვიერი პროდუქტების საწყაოები: კოდი, ჩანახი, ქილა, ლიტრა, ისარნა ანუ თაღარი. ასევე ჩამოთვლილი და განმარტებულია თხევადი ანუ ნოტიოსათვის გამიზული საწყაოები: კოკა, ჩაფი, ჩარექი, ხელადა, რომლებიც იძავდროულად დგინის ჭურჭელსაც წარმოადგენენ.

„სიტყვის კონაში“ ცალკეა კლასიფირებული თიხისაგან დამზადებული დიდი ტევადობის ჭურჭელი. სულხან-საბა საგანგებოდ აღნიშნავს, რომ „ჭური არს კეცთაგან ჭურჭელი: ქვევრი, ყვიბარი, ქოცო, დერგი, კოჭობი, ხალანი, ლაგვინი და ლაგვინარი და მისთანანი.“ ჩამონათვლიდან ამჟამად ჩვენთვის ხალანი, ლაგვინი და ლაგვინარია ნაკლებად ცნობილი. შესაბამის გვერდებზე არსებული განმარტებების მიხედვით ლაგვინი პირფართო საწყლეა, ხოლო ლაგვინარი ამავე დანიშნულებისაა, ოღონდ შედარებით მომცროა. ხალანი კი პირფართო ქოთანი ყოფილა. ამ განმარტებიდან გამოდის, რომ ყოფილა ორგვარი ქოთანი – პირფართო და შედარებით გირწოყველიანი, რომელსაც უშუალოდ ქოთანი ეწოდებოდა. აქ ისიცაა აღსანიშნავი, რომ ერთიც და შეორეც საღულარ ჭურჭელს წარმოადგენდა. ქოთანისარ ჭურჭელს წარმოადგენდა აგრეთვე კოჭობიც, რომელიც მათთან შედარებით მცირ ტევალობისა ყოფილა. თიხის ჭურჭელს გაბარიტების მიხედვით თუ დავაჯგუფებთ, რაც სულხან-საბას კარგად აქვს კლასიფირებული, ყველაზე დიდი ტევადობისა იყო ქვევრი, მას მოსდევს ყვიბარი, უფრო მომცრო ქოცოა, ხოლო დერგი კი „ჭური უმცირესი“ ყოფილა [3, გვ. 99] და ყველა მათგანი ღვინის ჭურჭლეულს წარმოადგენდა.

დასასრულს ყურადღება კვლავ იმაზე უნდა გავამახვილოთ, რომ ჭურჭლის სახეობების მიხედვით დაჯგუფებაში ჩვენი სახელოვანი წინაპრის თანამედროვე შეცნირული კლასიფიკაციისათვის დამახასიათებელი თითქმის მთელი სპექტრი აქვს გამოყენებული: ფორმა, ფურქცია, მასალა, დამზადების ტექნიკა და ტევადობა. ყოველივე ეს კი იმის მაუწყებელია, რომ სულხან-საბა ორბელიანმა ნივთიერი კულტურის, ჩვენს შემთხვევაში ჭურჭლის ცნებაში შემვალ სახეობათა კლასიფიკაციის საქმეში დიდად გაუსწრო იმ დროს, რომელშიაც მას უხდებოდა მოღვაწეობა. მან მოგვცა გვიანი შუა საუკუნეების ეპოქის საქართველოს საოჯახო და სამეურნეო ყოფისათვის დამახასიათებელი ჭურჭლეულის ტერმინოლოგიური კლასიფიკაცია, რომელიც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, გარკვეულად პასუხობს თანამედროვე ეთნოარქიოლოგიურ მოთხოვნილებებს. მისა ტერმინოლოგიური კლასიფიკაცია, განსაკუთრებით კი თიხისა და ლითონის ნაწარმისა, ხელს შეუწ-

ყობს არქეოლოგებს ვათხრების შედეგად მიკვლეული ანალიგიური მასალისაგან დამზადებული ნივთების სახელწოდებების დადგენის საქმეში. ამასთან ერთად ისიც გვინდა დავსძინოთ: ქართული ენის ლექსიკა უცხო ტერმინოლოგისაგან, შეძლებისდაგვარად რომ გაიწმინდოს, აუცილებლად საჭიროა ხელახლა დაინერგოს დაუმსახურებლად მივიწყებული, ტევადი შინაარსის ქველები მქონე ძველქართული წარმომავლობის ის მარგალიტები, რომლებიც ესოდენ უხვადა სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“. ამაზე ოცნებობდა სულმნათი ივანე ჯავახიშვილი და ეს ამოცანა ჰქონდა დასახული „არქეოლოგიური ტერმინოლოგიის ქართული განმარტებითი ლექსიკონის“ სარედაქციო კოლეგიას.

## T. Chikovani

### TERMS DENOTING KITCHENWARE ACCORDING TO SULKHAN-SABA ORBELIANI'S CLASSIFICATION (Summary)

“Sitqvis kona kartuli” – an explanatory dictionary of the Georgian language compiled by the great thinker, writer and statesman Sulkhan-Saba Orbeliani (1658-1785) – apart from its primary function - provides valuable data for the study of the material culture of Georgia in the Late Middle Ages. The Dictionary contains a number of terms denoting kitchenware (kitchen utensils, tableware, storage vessels for dry substances, water and wine, as well as drinking vessels, etc.). The ware is classified by the author according to the shape, function, texture and volume of vessels. Critical analysis and further usage of the above classification may contribute greatly to the definition of names of archaeological artifacts of the same origin.

## ლიტერატურა

1. აბულაძე ილ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბ., 1973.
2. მასალები საქართველოს შინამრეწველობის და ხელოსნობის ისტორიისათვის. თბ., 1979.
3. ორბელიანი სულხან-საბა. სიტყვის კონა. თბ., 1949.
4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. თბ., 1986.
5. შარდენი. მოგზაურობა. თბ., 1975.
6. ჩუბინაშვილი 6. ქართული ლექსიკონი. თბ., 1961.
7. ჩუბინიშვილი დ. ქართულ-რუსული ლექსიკონი. თბ., 1984.
8. ჯავახიშვილი ივ. მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. თბ., 1946.

# არქეოლოგიის ისტორია

## HISTORY OF ARCHAEOLOGY

### თინა აბულაშვილი

#### ბ. ა. გუფტინი თრიალეთის ყორდანების მკვლევარი

თრიალეთში ყორდანების საველე-არქეოლოგიურ შესწავლას ბ. კუფტინი აწარმოებდა 1936-40, 1947-48 წლებში. რამდენადაც ყორდანელი სამარხები საქართველოში გათხრილი არ იყო, ეს სამუშაოები დიდ სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენდა.

თრიალეთში ჩატარებული გათხრების შედეგად ბ. კუფტინის მიერ შესწავლილი იყო 50-მდე ყორდანი. მოპოვებული მასალისა და მუზეუმში დაცული ადრინდელი კოლექციების შესწავლის საფუძველზე ბ. კუფტინმა გამოყო მანამდე სრულიად უცნობი „მტკვარ-არაქსის“ და „თრიალეთის“ კულტურები. ყორდანების უფროსი ჯგუფი ადრინდინჯაოს ხანას მიაკუთვნა, ხოლო უცროსი ჯგუფი – შეუძრინჯაოს ხანას, ანუ თრიალეთის ყორდანების „აყვავების პერიოდს“ [5].

სადღეისოდ, ახალი აღმოჩენების შექმნები ცხადი გახდა, რომ თრიალეთის ყორდანები ბევრი იმდაგვარ ინფორმაციას შეიცავს, რასაც ადრე ყურადღება არ ექცეოდა: მაგ. ყრილები, რიტუალური გზები და სხვ. [4, გვ. 48]. ამდენად, დღის წესრიგში დადგა ამ ძეგლების შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის შეგროვება. ბ. კუფტინის მიერ წარმოებული საველე დღიურებში დაფიქსირებულია ის ცნობები, რომლებიც პუბლიცირებული არ არის და ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევარებს. რეგიონში არსებული არქეოლოგიური ძეგლების კვლევისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა იმ პუნქტის აღნიშვნას, სადაც გათხრები იყო ჩატარებული ან სადაზვერვო თხრილებით იყო მოსინჯული, მაგრამ თავის დროზე ეს პუნქტები ბ. კუფტინს რუკაზე არ დაუტანია, რადგან აქ არქეოლოგიური მასალა არ აღმოჩნდა (დანგრეული და გაძარცული ყორდანები). გარკვეულ ინტერესს იწვევს მეთოდიკაც, რომელსაც ბ. კუფტინი იყენებდა გათხრების დროს იმ ექსტრემალურ პირობებში. ამდენად, ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანია ამ საკითხებთან დაკავშირებული გამოუქვეყნებელი მასალის წარმოჩენა, მათი შეჯარება პუბლიცირებული გამოკვლევების შედეგებთან და ამის საფუძველზე ბ. კუფტინის მიერ თრიალეთის ყორდანების შესწავლის ისტორიის ერთი ნაწილის აღდგენა.

ნაშრომი ეხება: საქართველოში ყორდანების შესწავლის ისტორიას ბ. კუფტინადე; სამუშაო პირობებს, რომელშიც ბ. კუფტინი უწევდა გათხრების წარმოება; გათხრების ჩატარების მეთოდს. ნაშრომს ახლავს რუკა და სია იმ ყორდანებისა, რომლებიც შეისწავლა ან მხოლოდ დააფიქსირა ბ. კუფტინმა, ამათგან, როგორც ზემოთ იყო აღნიშვნი, ნაწილი გამოუქვეყნებელია.

ბ. ა. კუფტინის მიერ თრიალეთში ჩატარებული სამუშაოების სრულად წარმოდგენისა და შესწავლისათვის, ჩვენ ვისარგებლეთ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული საარქივო მასალით, ბ. კუფტინის მიერ წარმოებული საველე დღიურებით, რომლებზეც მუშაობის საშუალება და კონსულტაცია გაგვიწია ისტ. მეცნ. კანდიდატმა ბ-მა ე. გოგაძემ, რისთვისაც უდიდეს მაღლობას ვუხდით. მაღლობას ვუხდით ასევე ისტ. მეცნ. კანდიდატს ბ-ნ გ. მინდიაშვილს, რომელიც დაგვეხმარა ძეგლების იღებიფიცირებასა და რუკაზე დატანაში.

საქართველოში ყორდანების შესწავლა-ფიქსაციას ჯერ კიდევ 1837 წელს მიაქციეს ყურადღება. საქართველოს სტატისტიკური კომიტეტის მიერ შექმნილი იყო ისტორიული ძეგლების აღრიცხვა-დაცვისათვის, სპეციალური ინსტრუქცია-მითითება, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ყორდანებისა და მსგავსი სიძველეების გამოვლენა-აღნუსხვაზე იყო გამახვილებული [1, გვ. 3]. თრიალეთისადმი უდიდესი ყურადღება გამოიჩინა ე. თაყაიშვილმა. იგი 1896 წელს ბორჩალოს მაზრის, თრიალეთის საბოქაულოს (კერძოდ წალკის) რამდენიმე სოფელში აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს.

ე. თაყაიშვილს აღნიშვნული აქვს აგრეთვე სოფ. წინწყაროსთან ყველაზე დიდი ყორდანი წალკის ყორდანებს შორის, რომელიც შემდგომ ბ. კუფტინმა გათხარა და ცნობილია „კარანტინის“ სახელით. ეს ყორდანი უყრო ადრე აღნიშვნულია წილოსნის რუკაზე, რომელიც ერთვის კომაროვის 1882 წლის მიმოხილვას [8]. როგორც გ. ლომთათიძე წერს, ბ. კუფტინი გარკვეული თვალსაზრისით წალკისაკენ სწორედ ე. თაყაიშვილის ნამუშევრამა და ნააზრევმა მიიზიდა [3, გვ. 46-47].

წალკაში ჩატარებულმა ცალკეულმა გათხრებმა ა. იაკიმოვის, ა. გრენის, კომაროვის მიერ, მნიშვნელოვანი კავალი მაინც ვერ დატოვეს ჩვენთვის საინტერესო მასალის კვლევის ისტორიაში. თვით გათხრილი მასალა ნაწილობრივ მოხვდა მუზეუმში და სხვა ინვენტარის კატალოგში არასწორად აღმოჩნდა ჩაწერილი (იხ. ლალაიანცის საინვენტარო კოლექცია) [8].

ექსპედიცია, რომელსაც ბ. კუფტინი ხელმძღვანელობდა, ორგანიზებული იყო საქართველოს სსრ-ს და სახკომსაბჭოსთან არსებული ძეგლთა დაცვის კომიტეტისა და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ისტორიული განყოფილების მიერ. სამუშაოები ტარდებოდა ხრამპესის მშენებლობის ტერიტორიაზე, სადაც უნდა შექმნილიყო ხელოვნური ტბა. ამის გამო აქ აუცილებელი იყო უძველესი კულტურის ძეგლების

შესწავლა. ექსპედიციას აფინანსებდა ხრამპესის აღმინისტრაცია და მეგლოთა დაცის კომიტეტი.

ექსპედიციაში (რომელიც 1936 წელს წალკის კომპლექსური ექსპედიციის ერთ-ერთი რაზმი იყო) სხვადასხვა წლებში მონაწილეობდნენ: არქეოლოგი მ. ივაშჩენკო, ნ. მარის სახელობის სახელმწიფო კავკასიათმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტები: ნ. ხოშტარია, ვ. აუმალი; გეოლოგ-ტექნიკოსი ს. ნადიმაშვილი; ფოტოგრაფები – ო. ლეონტიევი, ა. ევტეევი, ა. კუფტინი (რომელიც 1939 წ. ქ. სოჭიდან მოიწვიეს); მხატვრები – ლ. გილჩევსკაია, ნ. ხატისკაცი, ი. ქასაშვილი, ო. კიროვა, ა. ოგანეზოვი. რესტავრატორი – გ. ყიფიანი-სოკოლოვსკაია, მომმარაგებლები – მ. ქიძე, ვ. ლლონტი.

მუშაობის პერიოდში არსებობდა ხელისშემსლელი მიზეზები. უპირველეს ყოვლისა საქმეს ართულებდა ის გარემოება, რომ ექსპედიცია უნდა შემოფარგლულიყო მხოლოდ ვიწრო დასატბორი ტერიტორიით, რაც მის სახდვრებს გარეთ გასვლის და დაკვირვების საშუალებას ხელს უშლიდა [8]. გარდა ამისა გათხრები უნდა ჩატარებულიყო სწრაფად, განსაზღვრული დროის განმავლობაში. სეზონი იყო (აგვისტო-ოქტომბერი, ივლისი-ნოემბერი). ამ პერიოდში წალკის კლიმატი ძალზე მკაცრია, ხშირად წვიმაში და თოვლში მუშაობდნენ. ექსპედიცია დაბანა კუდული იყო სოფ. ბარმაკისზე. ხრამპესის აღმინისტრაციამ მათ ობიექტებზე სასიარულოდ ფარგლენი გადასცა, ხოლო თვით ბ. კუფტინს – ცხენი. მაგრამ ხრამპესის აღმინისტრაცია ხშირად არ ასრულებდა ხელშეკრულების პირობებს, რის საფუძველზეც მათ ექსპედიციისათვის თანხა უნდა გადაერთიანოთ მუშების დასაქირავებლად. ამის გამო ექსპედიცია მუშახელისა და ფულის ნაკლებობას განიცდიდა.

ბ. კუფტინი ხშირად აგზავნიდა დეპეშებს ძეგლთა დაცვის კომიტეტში, მაგრამ არანარჩევისა ადგილი არ ჰქონდა. გარდა ამისა, ადგილობრივი კოლმეურნეობების თავმჯდომარები ზოგ შემთხვევაში იგნორირებას უკეთებდნენ ბ. კუფტინის მოთხოვნებს მუშახელის გამოყოფის თაობაზე. ამის გამო ექსპედიცია იძულებული იყო მხოლოდ დაზვერვები ეწარმოებინა. ხშირად კი, ბ. კუფტინი სამუშაოს შესასრულებლად საკუთარ ფულს და თანამშრომელთა ხელფას ხარჯავდა.

სამუშაოები მიმდინარეობდა ერთდროულად რამდენიმე ყორდანზე, აგრეთვე მღვიმებში, ითხრებოდა სამარხები. იმის გამო, რომ ბ. კუფტინი ხანდახან ავადმყოფობდა (1936 წელს მღვიმეში ფეხი დაიზიანა; 1937 წელს თირკმლის ტკივილის გამო მხოლოდ 15 სექტემბერს მოახერხა წალკაში ჩასვლა), ყორდანების გათხრა გარკვეულ პერიოდში მ. ივაშჩენკოს ჰქონდა მინდობილი. წოროედ ამ პერიოდში გათხრების ფოტოგრაფირება და ჩახატვა თითქმის არ ხდებოდა. 1937 წელს „პარანტინის“ და „კორუხ-ტაშის“ გათხრის დროს, რომლებიც ბ. კუფტინის მითითებებით მ. ივაშჩენკოს ხელმძღვანელობით წარმოებდა, ნეგატივების მხოლოდ 24 კადრი აღმოჩნდა, ამასთან

მხოლოდ გათხრების პროცესი იყო გადაღებული. გათხრების დეტალები, ჭრილები, არტეფაქტები, ნიადაგი, საერთოდ არ იყო ფიქსირებული. „პარანტინიდან“ მხოლოდ 3 სამარხი და 1 სამარხის ფილა იყო გადაღებული, ხოლო კორუხ-ტაშზე – მხოლოდ 1 კადრი. ფოტოგრაფი მიზნობრივად გამოიყენებული არ იყო და საინტერესო ძეგლები ჩახატვის და ფიქსაციის გარეშე დარჩა. შემდგომში ბ. კუფტინი ხშირად თვითონაც აწარმოებდა ჩახატვას და ფოტოფიქსაციას. გათხრების ექსტრემალურ პირობებში წარმოების გამო და იმის გამო, რომ ყორდანის ორმოს ადგილმდებარება ადვილი ამოსაცნობი არ იყო, (ხშირად იგი ექსცენტრულად მდებარეობდა ყრილთან მიმართებაში, გაურკვეველი ფორმა ჰქონდა და არც თუ იშვიათად 2 ან 3 ათას კვ.მ ფართობს იკავებდა) [6, გვ. 79], ბ. კუფტინი ყორდანების გათხრისას ერთ რომელიმე კონკრეტულ მეთოდს არასდროს ემყარებოდა. დასაკრძალავი კამერის აღმოსაჩენად, იგი ზოგჯერ ყორდანის ცენტრალურ ნაწილში ავლებდა თხრილს, ხან კვადრატების ჭადრაკულად ამოღების მეთოდს იყენებდა (კვადრატს იგი სიმბოლურად უწოდებდა, რადგან გათხრილ ფართობს ხშირად მართკუთხედის, რომბის ან სიგრძივი ფორმა ჰქონდა), ხან კი ქაოსურად, მთელი ყორდანის ტერიტორიაზე თხრიდა შურვებს და მათ შიგნით ეტაპობრივად ფენების მოხსნათ ღრმავდებოდა. ფენის მოხსნა ხდებოდა განსაზღვრულ დონემდე: ქვის ზომის ან ნიადაგის შემადგენელი შრეებისა და ფერის მიხედვით.

მცირე ზომის ყორდანების გათხრისას (მაგ. ქუჩეკ-თევე – მისი სიმაღლე 1 მ-ია) ბ. კუფტინი უპირატესობას ყორდანის ცენტრალურ ნაწილში ყრილის ფენებად მოხსნას ანიჭებდა.

ზოგადად ყორდანების გათხრის ბ. კუფტინი-სეულ მეთოდს ჩვენ ვხედავთ „ბეიუგ-თევეს“, „შეფიაკის № 2 (XV) და შეფიაკის № 4 (XVII) ყორდანების მაგალითზე.


ყორდანი ბეიუგ-თევე მდებარეობს სოფ. სან-თიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 2-2,5 კმ-ის დაშორებით (იხ. რუკაზე № 1). ყორდანი გეგმაში ოვალურია, მისი უდიდესი დიამეტრი 65 მ-ს აღწევს და მიმართულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. უმცირესი დიამეტრი 40 მ-ია, სიმაღლე – 4 მ.

ამ ყორდანის გათხრა ბ. კუფტინს თავდაპირველად შემდეგნაირად წარმოედგინა: ყორდანის სამხრეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით უნდა გაჭრილიყო 20 მ სიგანის თხრილი. ეს სამუშაო 1000 შრომადღეს მოითხოვდა, ამიტომ არჩეულ იქნა დასაკრძალავი კამერის გამოვლენის სხვა მეთოდი. თავდაპირველად მოხდა ბეიუგ-თევეს აზომვა, ფოტოგრაფირება, აღწერა [8; 7, გვ. 14]. ყრილის სტრუქტურის გამოსარკვევად, ყორდანის აღმოსავლეთ ფერდობზე გაიჭრა 16 მ სიგრძის სადაზვერვო თხრილი, სამხრეთის მიმართულებით. თხრილად ცხადყო, რომ ყორდანი აგებული იყო რიყის ქვებისაგან, რომლის ქვეშაც შაგმიწანიადაგიანი ფენი ჩანდა. თხრილში არანაირი არქეოლოგიური მასალა არ

აღმოჩნდა (იხ. ტაბ. I, ნახ. 1. ციფრებით აღნიშნულია ძეგლის გათხრის თანმიმდევრობა).

ვერტიკალურ ჭრილზე დაკვირვების მიზნით და იმისათვის, რომ უფრო მყარად დაფიქსირებულიყო ყრილის საზღვრები, არსებული თხრილი გაგრძელებულ იქნა როგორც სამხრეთის მიმართულებით, ასევე დაღრმავდა დედაქანში.

სადაზვერვო თხრილის მთლიანმა სიგრძემ 33 მ შეადგინა. რის შედეგადაც დადგინდა, რომ თხრილის ჩრდილოეთი საზღვრიდან ქვის ყრილი ვრცელდებოდა 17 მ სიგრძეზე, შემდეგ იწყებოდა შავმიწანიადაგიანი ფენა, რომელიც გადადიოდა ყვითელ თიხაში. იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ნამდვილად ყორლანი იყო, ყორლანის შიგნით მდებარე საცდელი თხრილის გასწვრივ გაკეთდა სამი შურფი, რომელმაც რიყის ქვაყრილის ქვეშ ისეთივე შავმიწანიადაგი გამოავლინა, როგორც ყორლანის გარეთ იყო.



სურ. 1. თრიალეთში ბ. კუფტინის გათხრების რუკა


ვინაიდან სადაზვერვო თხრილმა არქეოლოგიური მასალა არ გამოავლინა ბ. კუფტინმა სხვა ხერხს მიმართა, კერძოდ, ყორლანის სამხრეთიდან ცენტრისაკენ, დედაქანის დონემდე გაავლო 10 მ-ის სიგანის თხრილი. გათხრის ასეთი მეთოდი ეკონომიური და ეფექტური იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ დასაკრძალავი კამერა ყორლანის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდებოდა, ხოლო თუ იგი იქ არ გამოვლინდებოდა, მაშინ ასეთივე სიგანის თხრილი გაიჭრებოდა ცენტრიდან

აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართულებით.

იმის გამო, რომ ყორლანის აღმოსავლეთი ნაწილი დასავლეთ ნაწილთან შედარებით უფრო მაღალი იყო და უმაღლესი წერტილი გეომეტრიული ცენტრის აღმოსავლეთით მდებარეობდა, თხრილის გაჭრა ისე გადაწყდა, რომ მასი ფართობის დიდი ნაწილი ცენტრიდან აღმოსავლეთით მოხვედრილოყო.

გავლებული თხრილის სიგრძე ყორლანის აღმოსავლეთ-დასავლეთი ღერძიდან, სამხრეთის მიმართულებით 37,5 მ-ს შეადგენდა. თხრილის აღმოსავლეთი კიდე ყორლანის ჩრდილო-სამხრეთი ღერძიდან 8 მ-ით იყო დაშორებული, ხოლო დასავლეთი კიდე 2 მ-ით.

თხრილის უკანა ნაწილის სიმაღლე 3,5 მ-ს აღწევდა, ჩრდილო-აღმოსავლეთით ყრილის სიმაღლე – 2,5 მ-ს, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით



2,45 მ-ს შეადგენდა.

თვით ჭრილი, ბ. კუფტინის სიტყვებით თუ ვიტყვით, საქაოდ იმპოზანტურად გამოიყურებოდა. მის გვერდით კედლებზე მშვენივრად ჩანდა პროფილი და ყრილის აღნავობა. იგი საქაოდ დიდი ზომის ქვებისაგან შედგებოდა, რომელთა შორის სიცარიელე იკვეთებოდა. მიწაყრილის გავლის შემდეგ ორმოს კიდე ვამოჩნდა. იგი დედაქანის დონიდან 0,5 მ-ზე გამოვლინდა. მთელი სივრცის ფართობი ორმოს ზედაპირთან

100 კვ.მ შეადგენდა. ორმოს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ წაგრძელებული ფორმა ჰქონდა. ეკონომიკური თვალსაზრისით სიგრძის განთავისუფლება დაიწყო ჩრდილოეთიდან 1/5 მ სიღრმეზე, ორმო შრეების მოხსნით გასუფთავდა. 1 ქვის სიმაღლეზე აიღეს ქვის ფენა, რომლის ქვეშ თიხის ფენა სიგანეზი 5-6 მ-ს, ხოლო სიმაღლეზი 1 მ-ს აღწევდა. თიხის ფენის აღების შემდეგ ორმო გასუფთავდა. ორმოს სიგრძე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ დედაქანის დონეზე 10 მ იყო, ფსკერთან – 7 მ. სიგანე დედაქანის დონეზე 6,5 მ, ფსკერთან – 2,5 მ. სიღრმე დედაქანის დონიდან – 2 მ [7, გვ. 14; 8].

შეფიაკის № 2 (XV) ყორღანი „გორდუეგულენ გონი“ (აქ მცხოვრები გლეხის სახელი) მდებარეობს სოფ. შეფიაკის მახლობლად (იხ. რუკაზე № 15).

ყორღანს ოთხკუთხა ფორმა ჰქონდა, მომრგვალებული კუთხებით [6, გვ. 80] (იხ. ტაბ. I, ნახ. 2; ტაბ. II-III). მისი სიგრძე აღმოსავლეთიდან დასავლეთით 45 მ-ს შეადგენდა, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთით – 35 მ-ს. ცენტრალური ნაწილი ჩაღრმავებული ჰქონდა, ჩრდილოეთი, სამხრეთი და დასავლეთი კიდეები კი ამაღლებული, რომლებიც პატარა მიწაყრილებს „ლილვაკებს“ ქმნიდნენ. აღმოსავლეთ ნაწილში ასეთი „ლილვაკი“ არ შეიმჩნეოდა. ჩრდილოეთი „ლილვაკი“ სამხრეთით შედარებით უფრო მაღალი იყო. ყველაზე მაღალი წერტილი ჩრდილო დასავლეთ კუთხეში მდებარეობდა. ამ თავისებური ყრილის შესასწავლად ბ. კუფტინმა განივი ჭრილის გაკეთება გადაწყვიტა. ყორღანის დასავლეთ ნაწილში 1/3 ფართობზე გაიჭრა 15 მ სიგრძის და 3 მ სიგანის თხრილი, რომელიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ იყო მიმართული. თხრილი თავდაპირველად 5 კვადრატული დაიყო. ყრილი შედგებოდა პატარა რიყის ქვებისაგან, რომელთა ქვეშ 0,7 სმ სიღრმეზე კირქვის ღორღი ჩანდა.

პირველად გაითხარა მე-2 და მე-4 კვადრატი. კვადრატებში 50-70 სმ-ის სიღრმეზე მოხდა ფენის მოხსნა, და სამხრეთით გაფართოვდა. საერთო თხრილი გაგრძელდა როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით, 40-50 სმ-ზე ფენის მოხსნით. შემდეგ თხრილი 9 კვადრატად დაიყო. თიხის ფენის ქვეშ, შავმიწანიადაგიანი ფენის აღმოსაჩენად მე-9 კვადრატში 2,1 მ-ზე მოხდა დაღრმავება. 1-ელ კვადრატში თიხის ფენის სისქე 55 სმ შეადგენდა. მე-3 კვადრატში 2,85 მ-ზე შავმიწანიადაგის ქვეშ თიხის ფენა აღმოჩნდა. მე-5-9 კვადრატებში 90 სმ-ზე ჩაღრმავდნენ.

ორმოს აღმოსავლეთი საზღვრის დასადგენად, მე-5 კვადრატის გასწვრივ გვერდივგერდ დაემატა A და B კვადრატი და მოხდა მათი ძირითადი თხრილის დონემდე დაღრმავება. მთლიანად თხრილის ცენტრალური ნაწილი 1/5 მ-მდე დაღრმავდა. დაემატა B, Г, გ, И, К, Л, М, Н<sup>37</sup> კვად-

რატები, რომლებიც 2 მ-მდე დაღრმავდა. მთელი ორმოს გასუფთავება მოხდა 2,2 მ სიღრმეზე. თხრილმა გადაკვეთა ორმო, რომლის დიამეტრი 12 მ-ს აღწევდა. ორმოს სიგრძე დედაქანის დონეზე 17 მ-ს აღწევდა, სიგანე – 11 მ-ს. ფსკერთან სიგრძე – 11 მ-ს, ხოლო სიგანე 6 მ-ს აღწევდა [7, გვ. 20; 9]. ორმოს ოვალური ფორმა ჰქონდა.

შეფიაკის № 4 (XVII) ყორღანი „ხაშაბკოდეი გონც“ მდებარეობს სოფ. შეფიაკიდან ჩრდილო-დასავლეთით 0,5 კმ-ზე (რუკა, № 17). ყორღანი საკმაოდ დიდი ზომის იყო და ოვალური ფორმა ჰქონდა. მისი სიგრძე 45 მ შეადგენდა, ხოლო სიგანე – 37 მ. ყრილის აღება დაიწყო ყორღანის სამხრეთით მდებარე წაგრძელებული ოთხკუთხედის 12×3 მ ფართობზე. აქ ბ. კუფტინმა გათხრის ჭადრაკული მეთოდი გამოიყენა. მთელი ფართობი დაიყო 14 კვადრატად. პირველად გაითხარა მე-2 და მე-4 კვადრატები 80 სმ სიღრმეზე. 1-ელ კვადრატში, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში 80 სმ სიღრმეზე თიხის ფენა გამოჩნდა. გაითხარა მე-6 კვადრატი, რომელიც მე-3 და მე-10 კვადრატებს შორის მდებარეობდა, აქ 80 სმ სიღრმეზე კერამიკის ფრაგმენტები აღმოჩნდა. ამავე ღროს მიმდინარეობდა მე-12 და მე-14, აგრეთვე მე-3, მე-5 და მე-7 კვადრატების გათხრა (იხ. ტაბ. I, ნახ. 3; ტაბ. IV, V).

ამ ყორღანის სტრატიგრაფიული ჭრილი შემდეგნაირად გამოიყერებოდა: კორდოვანი ფენის ქვეშ 20 სმ-ის სიღრმეზე შავმიწანიადაგიანი ფენა მოდინოდა შიგ დაახლოებით 60 სმ-ის სიდიდის ქვებით, შემდეგ 40 სმ სისქის თიხის ფენა, ბოლოს კი დედაქანის შავმიწანიადაგი.

მოხდა მთელი ფართობის გათანაბრება, 2 მ სიღრმეზე ჩაღრმავება. დედაქანის დონიდან 0,8 მ სიღრმეზე მომრგვალდა ცენტრალური მოედანი და დაღვინდა ორმოს კიდეები. ორმო დაღრმავდა 60-70 სმ-ზე. დასაკრძალავი კამერა დედაქანის დონიდან 0,8 მ-ზე მდებარეობდა. ორმოს ოვალური ფორმა ჰქონდა, რომელიც დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ იყო ორიწატურებული. მისი სიგრძე დედაქანის დონიდან 15 მ შეადგენდა, სიგანე – 11 მ, ფსკერზე სიგრძე 13,5 მ შეადგენდა, სიგანე – 10,5 მ; სიღრმე ორმოს ზედაპირიდან 5-5,5 მ იყო [7, გვ. 21; 9; 6, გვ. 79].

იქ, სადაც ჭრილი არანაირ არქეოლოგიურ მასალას არ იძლეოდა, ბ. კუფტინი მუშაობას წყვეტდა და დროის სიმცირის გამო ამ ყორღანების შესწავლა არ ხდებოდა.

ჩენ რუკაზე დავიტანეთ № 1-46 გამოქვეყნებული ყორღანი, რომლებიც ბ. კუფტინმა გათხარა და შეისწავლა [2, გვ. 15, 16, 38, 39]; № 47-68 გამოქვეყნებული ყორღანი, რომლებშიც გათხრისას არანაირი მასალა არ აღმოჩნდა ან გაბარული იყო; № 69-86 გამოქვეყნებული ყორღანი, რომლებიც ბ. კუფტინმა აღმოაჩინა, მაგრამ არ გაუთხრია; № 87-91 ყორღანი, რომლებიც გაუთხრელია და დატანილია ბ. კუფტინის რუკაზე [7, რუკა].

<sup>37</sup> ჩენ ნახაზზე ვერ დავიტანეთ ა, ა, გ, ე, ე, ე, ი, ი კვადრატები, ბ. კუფტინის მათი ადგილმდებარეობა

რუკის საფუძვლად აღებული გვაქვს ბ. კუფტინის ხელმძღვანელობით ორიალეთში ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციების რუკა, რომელიც ლ. ურუკიაშვილის, ე. გოგაძის წიგნშია მოცემული [7, რუკა]. იმის გამო, რომ ბ. კუფტინი მიტოვებულ ძეგლებს ნომრებს უხსნიდა, ჩვენი ნუმერაცია ყოველთვის არ ემთხვევა ბ. კუფტინის რუკაზე მოცემულ ნუმერაციას. ძეგლების მდებარეობა რუკაზე აღნიშნულია რიცხვებით, რომლებიც შეესაბამება მათ რიგით ნომერს ტექსტში.

1. I ყორდანი – ბეიუქ-თეფვე.
2. II ყორდანი – მცირე ყორდანი.
3. III ყორდანი – „წრიულქებიანი“.
4. IV ყორდანი – „კარანტინი.“
5. V ყორდანი – „კორუხ-ტაში.“
6. VI ყორდანი – „ჩუჩუქ-თეფვე.“
7. VII ყორდანი – „აპოსტოლინ-თეფვე.“
8. VIII ყორდანი – „თუმასინ-თეფვესისთან.“
9. IX ყორდანი – მცირე ყორდანი „თუმასინ თეფვესისთან.“
10. X ყორდანი – შეფიაკის № 1 ყორდანი.
11. XI ყორდანი – ბეშთაშენის ყორდანი (ზოგჯერ აღინიშნება როგორც შეფიაკის № 11 ყორდანი).
12. XII ყორდანი – ბეშთაშენის № 12 ყორდანი.
13. XIII ყორდანი – ბეშთაშენის № 13 ყორდანი.
14. XIV ყორდანი – ბეშთაშენის № 14 ყორდანი.
15. XV ყორდანი – შეფიაკის № 2 ყორდანი.
16. XVI ყორდანი – შეფიაკის № 3 ყორდანი.
17. XVII ყორდანი – შეფიაკის № 4 ყორდანი.
18. XVIII ყორდანი – ბეშთაშენის № 9 ყორდანი.
19. XIX ყორდანი – ბეშთაშენის № 7 ყორდანი.
20. XX ყორდანი – ბაიბურთის ყორდანი.
21. XXI ყორდანი – ბაიბურთის ყორდანი.<sup>38</sup>
22. XXII ყორდანი – შეფიაკის № 5 ყორდანი.
23. XXIII ყორდანი – ქვიანი.
24. XXIV ყორდანი – „დურნა თეფვესი.“
25. XXV ყორდანი – „ბეიუქ აიუ თეფვესი.“
26. XXVI ყორდანი –
27. XXVII ყორდანი – „დურნა თეფვესი“
28. XXVIII ყორდანი – საბით ახჩას № 1 ყორდანი.
29. XXIX ყორდანი – საბით ახჩას № 2 ყორდანი.
30. XXX ყორდანი – საბით ახჩას № 3 ყორდანი.

<sup>38</sup> XX და XXI ყორდანებს წიგნში „Àδοιά̄σσε̄-ά̄-πιέ̄ά̄ ბά̄πιέ̄ά̄ ა̄ Өბე̄ά̄-ά̄-ბე̄“, ბ. კუფტინი ბაიბურთის სამარხებს უწოდებს, რომლებიც გვიანბრინვაოს ხანისაა [6, გვ. 75-76]. ამ ყორდანებზე ზოგადი ინფორმაცია არსებობს, ამიტომ ისინი ამჟამადაც კომპლექსების დადგენას და შესწავლას საჭიროებს.

31. XXXI ყორდანი – საბით ახჩას № 4 ყორდანი.
32. XXXII ყორდანი – ჯინისის ყორდანი.
33. XXXIII ყორდანი – კუშჩის ოქროსმძივიანი ყორდანი.
34. XXXIV ყორდანი – „ირმის ყორდანი.“
35. XXXV ყორდანი – „ლარიბული ყორდანი.“
36. XXXVI ყორდანი – „თოფ-ქარი“ № 1.
37. XXXVII ყორდანი – თაფარავნის ყორდანი № 1.
38. XXXVIII ყორდანი – თაფარავნის ყორდანი № 2.
39. XXXIX ყორდანი – თაფარავნის № 4.
40. XL ყორდანი – თაფარავნის ყორდანი № 3.
41. XLI ყორდანი – ტაბაწყურის დიდი დანგრეული ყორდანი.
42. XLII ყორდანი – ტაბაწყურის მიწაყრილიანი მცირე ყორდანი.
43. XLIII ყორდანი – ტაბაწყურის ყორდანი.
44. XLIV ყორდანი – ტაბაწყურის ყორდანი.
45. XLV ყორდანი – „თოფ-ქარი“ № 2.
46. XLVI ყორდანი – „მწვანე ყორდანი“ – „კანაშ თაფა.“
47. ყორდანი მარალ-დერესი – მდებარეობს სოფ. სანთის დასავლეთით, ციცაბო ქედის ძირში, რგოლისებური ყორდანის ანალოგიურია, მლეიფიანი (გზიანი), დიამეტრი 22 მ და 13,5 მ, სიმაღლე 1,5 მ, ოვალური ფორმის უინგენტარო [8].
48. ყორდანი „პრიზმული“ – მდებ. მდინარე ბაშკე-სუს მარცხენა სანაპიროს აღმოსავლეთით, მთა „აიუწდაჩი“-ს (წმინდა მთა) ჩრდილო-დასავლეთით ბრტყელ პლატოზე, სოფ. საფარ-ხარაბიდან დაახ. 1 კმ-ზე, სიმაღლე 2,5 მ, გარშემოწერილობა – 100 მ. ეს ყორდანი გათხრილი იყო ადგილობრივი მასწავლებლის აკრიტასის მიერ [8].
49. ყორდანი სანთის ქვამიწაყრილიანი – მდებ. სოფ. სანთის ჩრდილოეთით ოდნავ შემაღლებულ ფერდობზე. ქვამიწაყრილიანი ყრილი ჩრდილოეთიდან შესამჩნევად ჰქონდა ჩამოჭრილი. გაძარცული [8].
50. ყორდანი „ქუჩუკ ფიუ თეფვესი“ – მდებ. სოფ. ბაშკევში. ყორდან „ბეიუქ აიუ თეფვესი“ აღმოსავლეთით, კალოსთან. უინგენტარო [10].
51. ყორდანი – მდებ. სოფ. ედიქილისაში, მდინარე ხრამსა და მის შენაკად გაიანის შორის მდებარე სამკუთხედში. მრგვალი ფორმის. სიმაღლე 7-8 მ, ზედაპირი ოთხკუთხა [10].
52. ყორდანი ქვიანი – მდებ. სოფ. ბეშთაშენში. არანაირი მონაპოვარი [10].
53. ყორდანი „ტუმბულ თეფვე“ – მდებ. სოფ. ბარმაკისიზიდან სოფ. ხადიკისაკენ მიმავალი გზის სამხრეთით და ამ სოფლების მინდვრების საზღვარს წარმოადგენს. მასზე ტრიანგულაციის ნიშანი იყო აღმართული (ხის პირამიდა) [10].
54. მცირე ყორდანი – მდებ. ბაიბურთ-გარშემის წვერზე. არანაირი მონაპოვარი [10; 2, გვ. 39].

55. ყორღანი – მდებ. სოფ. კიუმბატში, სა-საფლაოს მახლობლად, გაძარცული [10].

56. დიდი ყორღანი („ბეიუქ-თეფე“) – მდებ. სოფლების: ავარანლოს, კიუმბატის და ჯინისის საზღვარზე. არასწორი ნახევარმთვარის ფორ-მის. სიმაღლე 2,5 მ, დიდი დიამეტრი 45 მ [10].

57. ყორღანი „ანტონინ თეფესი“ – მდებ. სოფ. სანთაში [10] 2 გვ. 23].

58. საბით-ახჩას № 5 ყორღანი – მდებ. სოფ. საბით-ახჩაში [10] 7 გვ. 23].

59. დიდი ყორღანი – მდებ. სოფ. სანთაში [10].

60. ყორღანი, პატარა „კუჩქ თეფე“ – მდებ. სოფ. ავრანლოს მინდვრებზე. ოვალური ფორ-მის, ხვნისაგან დაზიანებული (გაითხარა და დაღვინდა, რომ ყორღანი არ იყო) [12].

61. ყორღანი ქვის – მდებ. მთა შავნაბადას ძირში, წყარო „კოხაბურ“-თან (ბრმა აბური), გა-ძარცული [12].

62. მასწავლებლის ყორღანი – მდებ. სოფ. ავრანლოში, 1941 წელს გათხრილი იყო ადგი-ლობრივი მასწავლებლის მიერ, გაძარცული [12].

63. ყორღანი „ტიკმა ტაშ“ – მდებ. ტაბაწყუ-რის ტბასთან, უღელტეხილთან (ეს სახელი ჰქვია სასაზღვრო ქვას) [12].

64. ყორღანი – მდებ. სოფ. კიუმბატში (ახა-ლი გუმბათი) ეკლესიასთან, სასაფლაოსთან, გაძარცული (გათხრილი იყო ადგილობრივი მას-წავლებლის მიერ) [12].

65. ყორღანი – მდებ. სოფ. სანთაში. სიმაღლე 1,70 მ, უინვენტარო [10; 2, გვ. 39].

66. ქვიანი ყორღანი – მდებ. სოფ. სანთის გზასთან ახლოს [10].

67. ყორღანების ველი „თექელი დაში“ – მდებ. თაფარავნის ტბასთან. ბოგდანოვების რაიო-ნის საზღვარზე (ამავე სახელისაა სასაზღვრო ქვა – მენცირი), სხვადასხვა ზომის ბელტიანი ბორცვები, დიდი ზომის ფილისებური ქვებით, რომლებიც ერთმანეთის კიდეებს ფარავნ. დამა-ხასიათებელია ხშირი ობსიდიანის ნატეხების არსებობა [11].

68. ტაბაწყურის № 5 ყორღანი – მდებ. ტა-ბაწყურის ტბის აღმოსავლეთით, სრულიად ცა-რიელი [2 გვ. 39] 7 გვ. 27].

69. ყორღანი „ბეიუქ გონც“ – მდებ. სოფ. შეფიაკის ჩრდილოეთით მეოთხედ კილომეტრზე „ჩერუკურის“ მიჯნაზე. მასზე ტრიანგულაციუ-რი კოშკი იდგა [8].

70. ყორღანი „ბეიუქ-გონც“ – მდებ. სოფ. შეფიაკის ჩრდილოეთით № 69-ე ყორღანის მახ-ლობლად [8].

71. დიდი ყორღანი – მდებ. სოფ. კუმბატში. ადგილს ბერძნულად „დოსია“ (სინათლე) ჰქვია. ხვნისაგან დამახანგებული ყრილით, რომელიც სა-მი შერწყმული შემაღლებისაგან შედგება [12].

72. ყორღანი – მდებ. მთა შავნაბადასთან წყარო „კოხ-აბურისა“ და სოფ. საბით-ახჩას

შორის ქვედა მხარეს გზასთან, მრგვალი ფორ-მის, მიწაქვიანი ყრილით [12].

73. დიდი ყორღანი – მდებ. სოფ. ედიქილისას ქვედა მხარეს. თავისი სიდიდით აღმატება „ბეიუქ-თეფეს“ და „კარანტინს“ [8].

74. დიდი ყორღანი – კარგად ჩანს სოფ. ბეშ-თაშენის და სოფ. ბარმაკსიზის გამყოფი თხე-მიდან, (ამ თხემს „გარში“ ჰქვია) მრგვალი ფორმის, 5 მ სიმაღლის, წვერზე ოდნავ ჩაღრმა-ვებული მოედნით [10].

75. 2 ქვიანი ყორღანი – მდებ. სოფ. ნარ-დევანის გზასთან, „მწვანე“ ყორღანის აღმოსავ-ლეთით [10].

76. ყორღანი – მდებ. სოფ. სანთაში (დიდი ყორღანის ახლოს) [11].

77. ყორღანები – მდებ. ზედა წალკისა და ქვედა წალკის გამყოფ პლატოზე, დასასრულე-ბელი გზის მარჯვნივ [10].

78. ყორღანი – მდებ. სოფ. ჯინისში, მდე-ლოზე, ჭაობთან ახლოს სოფ. ედიქილისიდან ნახევარ გზაზე [10].

79. ყორღანი – მდებ. სოფ. ჯინისსა და სოფ. ავრანლოს საზღვარზე [10].

80. პატარა ყორღანი – მდებ. სოფ. ყარა-ყომის მოპირდაპირე მხარეს ყორღანების „დურ-ნა-თეფესი“ II-ის და „აიუ-თეფესის“ შორის (ამ ყორღანის ადგილმდებარეობა ბ. კუფტინმა გადმოცემით იცოდა) [10].

81. ყორღანების ველი – ტბა ტაბაწყურისკენ მიმავალ ბილიკზე უღელტეხილამდე მესამე პლა-ტოზე (აქვე თათრების სასაფლაო), ეს ყორ-ღანები გადადინან უღელტეხილის მეორე მხარეს, დასავლეთ ფერდობის ზედა ნაწილში [10].

82. 3 ყორღანი – მდებ. მდინარე ქციის ზედა წელში, ადგილს ჰქვია „ნარიანი“ [12].

83. 2 ყორღანი – მდებ. სოფ. ბეშთაშენის სათიბებზე, თავად ბარათოვის ყოფილ მიწაზე. ბორცვებს შორის ხევში სამლოცველო „მედამ ავროს“ აღმოსავლეთით. სოფ. ახალიკის უკან, ხეობის შუაში, მდებარეობს პატარა ტბა „პოშ-ტუნ გოლ“ [12].

84. ყორღანი „ჩინგის-თეფე“ და ყორღანები – მდებ. ტბა თაფარავნის წყალგამყოფთან, საძოვ-რებზე, მოლოტოვიდან 7 კმ-ზე (გრანიოზული ყორღანი) [10].

85. ყორღანები – მდებ. სოფ. ბურნაშეთის ზევით, შემაღლებულ პლატოზე, საძოვრებზე [10].

86. ყორღანები – მდებ. სოფ. კუშჩიდან ხა-რებისკენ მიმავალ გზაზე, მარჯვენა მხარეს. მიწაქვიანი ყრილით დიამეტრი 30-35 მ, სი-მაღლე 2 მ, ერთმანეთთან 100 მ დაშორებაა [11].

87. ყორღანი – მდებ. სოფ. ყიზილქილასას თავზე.

88. ყორღანი – მდებ. სოფ. ნარდევანთან.

89. ყორღანი – მდებ. სოფ. ნარდევანთან.

90. ყორღანი – მდებ. ტბა „იარი გიოლ“-ის ქვედა მხარეს.  
91. ყორღანი – მდებ. სოფ. ბარმაკსიზის თავზე.

**T. Abulashvili**

**B. KUFTIN - A RESEARCHER OF TRIALETI BARROWS  
(Summary)**

B. Kuftin studied the barrow culture in Trialeti in 1936-1940 and 1947-1948.

It is obvious that the kurgans excavated by Kuftin contain valuable archaeological data. Hence, these kurgans call for a special scrutiny of hitherto constructional elements and ritual roads.

During his work, Kuftin applied different techniques according to the peculiar characteristics of sites: making a ditch at the central part of a kurgan in order to discover the burial chamber (Pl. I, fig.1) or sporadic digging of trenches covering the whole territory of a barrow and gradual removal of cultural layers (Pl. I, fig. 2). He would also dig squares following a chequer pattern (Pl. I, fig.3). Due to shortage of time, the researcher did not continue excavating kurgans where the exploratory ditches revealed no archaeological material.

A map drawn by B. Kuftin, as given in the monograph by L. Zhorzhikashvili and E. Gogadze, is presented in the paper, where the author of the present paper has pointed out all kurgans the researcher had excavated and studied or excavated but had not numbered or had discovered a barrow but had not indicated it on the map. Such barrows are as follows: kurgans № 47-68 lacking archaeological material or robbed; kurgans № 69-86 discovered but not excavated by Kuftin; kurgans № 87-91 not excavated by the researcher but indicated on his map. The location of the indicated sites on the map is given with figures corresponding to their numerical order in the paper.

**ლიტერატურა**

1. გამყრელიძე გ. ქართული არქეოლოგიის ისტორიიდან. თბ. 1996.
2. გოგაძე ე. თრიალეთის ყორღანული კულტურა, პერიოდიზაცია და გენეზისი. თბ. 1972.
3. ლომთათიძე გ. ქართული კულტურის მემატიანე ე. თაყაიშვილი. თბ., 1990.
4. ნარიძანიშვილი გ. ძვ.წ. II ათასწლეულის სარიტუალო გზები თრიალეთში. – ძიებანი, № 5, 2000, გვ. 47-51.
5. ჯაპარიძე Օ. К 100 летию со дня рождения акад. Б. А. Куфтина. – РА, № 3, 1993, с. 246–149.

**6. Куфтин Б. А. Археологические раскопки в Триалети. Тб., 1941.**

**7. Жоржикашвили Л., Гогадзе Э. Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы. Тб., 1974.**

**8. Дневник работ археологического отряда Цалкской комплексной экспедиции 1936 года (დღიური დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდებში).**

**9. Дневник работ Цалкинской археологической экспедиции 1938 года (დღიური დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდებში).**

**10. Дневник работ Цалкинской археологической экспедиции 1939 года (დღიური დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდებში).**

**11. Дневник работ Цалкинской археологической экспедиции 1940 года (დღიური დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდებში).**

**12. Дневник работ Цалкинской археологической экспедиции 1948 года (დღიური დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდებში).**

**ტაბულების აღწერილობა<sup>39</sup>**

ტაბ. I – თხრილების გავლების თანმიმდევრობა № 1, № 15 და № 17 ყორღანებზე, გაკეთებულია ჩვენ მიერ ბ. კუჭტინის დღიურების მიხედვით.

ტაბ. II – № 15 ყორღანის გეგმა და ჭრილი.

ტაბ. III – № 15 ყორღანის დასაკრძალავი ინვენტარის განლაგება სამარხ კამერაში.

ტაბ. IV – № 17 ყორღანის გეგმა და ჭრილი.

ტაბ. V – № 17 ყორღანის დასაკრძალავი ინვენტარის განლაგება სამარხ-კამერაში.

**Description of the Plates**

Pl. I – The sequence of digging the trenches at kourgans Nos 1,15 and 17, drawn by the author on the basis of Kuftin's journal.

Pl. II – Plan and cross-section of kurgan 15.



Pl. III – The arrangement of the burial inventory in the burial chamber of kurgan 15.

Pl. IV – Plan and cross-section of kurgan 17.


Pl. V – The arrangement of the burial inventory in the burial chamber of kurgan 17.

<sup>39</sup> ტაბ. I გაკეთებულია ჩვენ მიერ, ხოლო ტაბ. II, III, IV და V ბ. კუჭტინის მიერ.

§§δ. 1




§§δ. 2




§§δ. 3

Φαδ. II




Фас. III


ШЕЛЯК КУРГАН № XV  
1938 г.



ঋড়. IV



Фас. V



ШЕПЯК. КУРГАН № XVII  
1938 г.

**ფრედერიკ დიუბუა დე მონერე**  
(1798-1850)



ფრედერიკ დიუბუა დე მონერე, შვეიცარიელი ფრანგი მოგზაური, ნეშატელის აკადემიის პროფესორი — ისტორიკოსი, არქეოლოგი, ნატურალისტი, დაიბადა 1798 წლის 28 მაისს მოტიეში (შვეიცარია), გარდაიცვალა იქვე 1850 წლის 7 მაისს.

დიუბუა დადასტურებული არიან XVI საუკუნიდან ლოკლის მახლობლად, დაბა მონპერეში. ეს გეოგრაფიული სახელწოდება უფრო მოგვიანებით დაემატა მისი წინაპრების გვარს. ამ ადგილიდანაა მეცნიერი დაკავშირებული მთასთან და მის მოსახლეობასთან, ხოლო დედის — არდი დ'ოვერნიეს მხრიდან, ის ახლო კონტაქტშია ტბასთან, რომლის ნაპირები წარმოადგენს მთელი მისი ბავშვობის გარემოცვას. ამ კავშირებმა და ბუნების სიყვარულმა ასახვა ჰქონა მის ნაშრომებში.

ახალგაზრდობის წლები ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ მუშაით შრომაში გაატარა. მან მიიღო საფუძვლიანი საუნივერსიტო განათლება. არქეოლოგიური და გეოლოგიური ექსკურსიებით მოიარა შვეიცარია, კურლანდია, ლიტვა, პოლონეთი. ღრმად შეისწავლა სკანდინავური სიძელეები და ამის შემდეგ დაიწყო უკრაინისა და რუსეთის სამხრეთის გამოკვლევა.

მეცნიერი ბერს მოგზაურობდა, მაგრამ მისივე თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო და ორიგინალური იყო მისი მოგზაურობა 1831-34 წწ. შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე, ყორიმსა და ამიერკავკასიაში. სევასტიონიდან რედუტ-კალემდე მოგზაური გაუგა შავი ზღვის აღმოსავლეთ მხარეს, თანმიმდევრობით მოიარა ქუთაისი, გელათი, ახალციხე, ზემო თმოგვი, ვარძია, ბორჯომის ხეობა, რაჭა, ლეჩხუმი. უკან დაბრუნდა, როთა დაეთვალიერებინა რიონის ხეობა, სამეგრელო, სვანეთი, ნოქალაქევი, ფაზისი, გურია, შემდეგ ისევ ქუთაისი, საიდანაც ჩავიდა თბილისში გორის, უფლისციხისა და ატენის გავლით.

დიუბუა დე მონპერე იწყებს ამ მხარეების ისტორიულ, არქეოლოგიურ, გეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ შესწავლას.

იგი გვევლინება, როგორც კეთილმოსურნე და საქართველოს ისტორიით და კულტურით უაღრესად დაინტერესებული მკვლევარი. მოგზაურობის განმავლობაში მას დაწვრილებით შეპქონდა დღიურებში თავისი შთაბეჭდილებები, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხალხთა ისტორიის საკითხებს, იწერდა მისთვის საინტერესო ყველა ფაქტსა თუ ცნობას, იხატავდა ხუროთმოძღვრულ ბეგლებსა და წარწერებს. მონაცერებს, მეცნიერსა და პიროვნებას, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული კავკასიისა და საქართველოს ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა, ყურადღების გარეშე არ დაუტოვებია მის წინამორბედ მოგზაურთა და მეცნიერთა ნაშრომები თუ გამოკვლევები კავკასიისა და საქართველოს შესახებ. იგი ფაქტებით ამოწმებდა ყველა ცნობას კავკასიის შესახებ, რომელიც მან იცოდა ადრეანტიკური, შუა საუკუნეების თუ ახალი უვროცელი ლიტერატურიდან. იგი კარგად იცნობდა შემდეგი ავტორების: პომერისის, აპოლონიის როდოსელის, სტრაბონის, პროკოპის, სენ-მარტინის, კლაპროტის, ლამბერტის, უოზეფ-მარი ზამპის, უან შარდენის, გიულდენშტედტის, გამბას, მარი ბროსესა და სხვათა შრომებს და იმოწმებდა მათ თავის თხზულებებში. დიუბუა ყურადღებით სწავლობდა ყველაფერს, თვით კავკასიის ძველ რუკებსაც კი, იგი მათ ამოწმებდა და აკრიტიკებდა, ამყარებდა პირად კონტაქტებს და ნაცნობობას იმ მეცნიერებთან, რომლებიც კავკასიას სწავლობდნენ, იყენებდა მათ მიერ მოწმოდებულ გამოუქვეყნებელ ცნობებს, ისტორიულ დოკუმენტებს და სხვ.

ყირიმსა და კავკასიაში მოგზაურობის შედეგად მეცნიერმა მოაგრივა უმდიდრესი ცნობები, მან გამოაქვენა ექვსტომიანი ნაშრომი — „მოგზაურობა კავკასიის გარშემო, ჩერქეზებთან და აფხაზებთან, კოლხეთში, საქართველოში, სომხეთში და ყირიმში.“ ნაშრომს თან ერთგიც სპეციალურად შედგენილი ატლასი. ეს თხზულება გამოიცა პარიზში 1839-1843 წწ. ("Voyage autour du Caucase, chez les Tcherkesses et les Abkhases, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimée," 6 vol. avec atlas, Paris, 1839 à 1843). 1858 წელს მას მიენიჭა საფრანგეთის გეოგრაფიული საზოგადოების დიდი ოქროს მედალი.

აი, რას წერს დიუბუა დე მონპერე თავის თხზულების შესავალ ნაწილში: „მკითხველს ვთხოვ იყოს შემწყნარებელი. თუმცა მე ამ თხზულების შექმნას მოგვანდომე მოგზაურობის თოხი, ხოლო რედაქტირების რამდენიმე წელი, ვფიქრობ, რომ იგი მაინც არ არის სრულყოფილი და მას ხარვეზები აღმოაჩნდება. ჩემი მოგზაურობის განმავლობაში, ხშირად მეგზურისა და გიღის გარეშე დარჩენილი, ჩემი თავის იმედად ვრჩებოდი, მაგრამ როდესაც ვამბობ, რომ ვიყავი მარტო, ამით სრულებით არ მინდა ჩემად ჩავთვალო ნაშრომში ის, რასაც მე უნდა ვუმად-

ლოდე რამდენიმე ადამიანის დახმარებას. მინდა საოცარი მაღლიერების გრძნობით მოვაწეობით ის კეთილშობილი და დაუზარელი ადამიანები, რომელთა დახმარების გარეშე მე გამიჭირდებოდა ბევრი საინტერესო ფაქტის წარმოჩენა.... მათ შორის არიან წარმოშობით მეგრელი თავადი [გვარი არ არის მითითებული – ლ.მ.] და ახალგაზრდა მარი ბროსე, რომლებმაც დიდი მოთმინებითა და რუდუნებით გაშიფრეს ქართული წარწერები იგულისხმება დიუბუს მიერ მიკვლეული და გადმოხატული ხერთვისის ციხე-სიმაგრის და აწყურის ყოვლადწმინდა ღვთის-შობლის ეკლესის შესასვლელ კარზე არსებული ძევლი ქართული წარწერებისა და სხვათა ამოკითხვა – ლ.მ]. მთელი ჩემი მოგზაურობის განმავლობაში, მე ყველგან მსვლებოდნენ იმ გულწრფელი და დიდი სტუმარობოვარობით, რაც ესე დამახასიათებელია კავკასიის ხალხებისათვის. სხვადასხვა კლასის მოხელეები თუ კერძო პირები, ყველანი თავაზიანად ცდილოდნენ ხელი შეეწყოთ ჩემი კვლევა-ძიებისათვის. ადელ-გების გარეშე არ შემიძლია გავიხსნო ამდენი კეთილგანწყობა, ინტერესის გამოვლინება, დახმარების სურვილი და ყველგან უამრავი მფარველი და მეგობარი, რომლებიც მე შევიძინე ჩემს გრძელ მოგზაურობაში.

ჩემ მიერ შესრულებული ატლასი, რომელსაც მე ყოველთვის უკითებ ტექსტში, დაყოფილია ხუთ ნაწილად ან სერიად. გეოგრაფიული ნაწილი შეიცავს დახალოებით 24 გეორგს. ესენია კავკასიის სხვადასხვა ნაწილების სპეციალური გეგმები; ფერწერული ნაწილი შედგება 75 ხედისაგან; არქიტექტურის სერია განკუთვნილია ბიზანტიური, ქართული, სომხური და სპარსული სტილის ხუროთმოძღვრული ძეგლებისათვის. არქეოლოგიურ სერიაში შეკრებილია ანტიკური ხანის ლარნაკები, გამომწვარი თიხისაგან შექმნილი ნივთები, ქანდაკებები, აკლდამები, სამაროვნები და ის საგნები, რომლებსაც ისინი შეიცავენ, ბარელიეფები, წარწერები და სხვ. მეხუთე სერია მიძღვნილია გეოლოგიისადმი.

ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს შრომები კავკასიის შესახებ გახდა ერთ-ერთი მოტივი მისი მიწვევისა ნეშატელის მეცნიერებათა აკადემიის კათედრის ხელმძღვანელად.

1839 წელს, წერს მისი მოღვაწეობის მკვლევარი დენის კნოფლერი, როდესაც პროფესიონალურების დიუბუა დე მონპერემ წაიკითხა თავისი პირველი ლექცია ნეშატელის აკადემიაში, ის უკვე ორმოცი წლისა იყო და სიცოცხლის მხოლოდ ერთი ათეული წელიდან პქონდა დარჩენილი. მისი ნაყოფიერი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ამ თარიღამდე მიმდინარეობდა.

„თუ თავს ვაძლევდი უფლებას, ვყოფილიყავი ამაყი, ეს იყო მხოლოდ მაშინ, როცა ვფიქრობდი, რომ მეც ნეშატელელი ვარ“ – იტყვის მოგზაურობიდან სამშობლოში დაბრუნებული მონპერე თავის მოკლე, მაგრამ ინფორმაციებით მდიდარ ავტობიოგრაფიაში.

მეცნიერის წარმატებულ მოღვაწეობას საუბრებელი შეუქმნა სწავლაში ბერლინში, მასწავლებლობაში პოლონეთში, მოგზაურობაში რუსეთის სამხრეთში და ა.შ.

როგორც არქეოლოგიის პროფესორმა, მან კარგად იცოდა, რომ გერაფერი ვერ ცვლის საგანთან პირდაპირ კონტაქტს. ამას ადასტურებს მისი ჩანაწერი, რომლითაც მთავრდება 1843 წელს გაკეთებული ბიბლიოგრაფია ელინურ სიძველეთა ლექციისათვის: „მე ვწუხვარ, წერდა იგი, რომ ჩვენ არა გვაქვს უფრო მდიდარი ბერძნული მუზეუმი. მიუხედავად ამისა, ბ-ნ შარლ-ფილიპ ბოსეს (1773-1845 წწ.) შემოწირულობა უკვე კარგი დასაწყისია და ვიმედოვნებ, რომ თანდათანობით ჩვენ შევძლებთ თავი მოვუყაროთ სიძველეთა სხვა კოლექციებს, რაც შეავსებს ჩვენ ცოდნას ბერძნული ხელოვნების შესახებ.“

1840 წელს, ნეშატელის გიმნაზიასთან თულათინურ კოლეჯთან, მართლაც გაიხსნა პატარა ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომლის ხელმძღვანელობა, ბუნებრივია, მიენდო დიუბუა დე მონპერეს. მასვე ხვდა პატივი 1842 წლის სექტემბერში მუზეუმში მიეღო პრუსიის მეფე ფრედერიკ გიორგ IV და დედოფლალი. მისი ხელმძღვანელობის დროს მუზეუმი გამდიდრდა კიდევ რამდენიმე შემოწირულობით, კერძოდ, გრაფ ალბერ დე პურტალეს (1812-1861 წწ.) კოლექციიდან, რომელიც გამორჩეული იყო ბერძნული მონტების საინტერესო სერიით.

1846 წელს დიუბუა დე მონპერემ მუზეუმში შეიტანა რომაული ნივთები, რომლებიც მან თვითონ აღმოაჩინა კოლომბიეში გათხრების დროს. მაგრამ, სამწუხაროდ, მიუხედავად მისი დიდი სურვილისა შეექმნა არქეოლოგიური მუზეუმი, გარემოება სრულიად არ იყო ხელსაყრელი მუზეუმის გაფართოების ან უბრალოდ არქეოლოგიური ფონდების დაცვისათვის. 1848 წელს დიუბუამ დატოვა დირექტორის თანამდებობა ისე, რომ ვერ შეძლო თავისი ჭეშმარიტი ოცნების განხორციელება. მისი საკუთარი სიძველეთა კოლექცია, სადაც ივარაუდება, რომ შედიოდა კავკასიაში შეგროვილი ნივთებიც, ისევე როგორც მუზეუმში არსებული სხვა ფონდები, გადაეცა ქ. ციურის ხს.

თავისი მოგზაურობის გამოცემის შემდეგ, მეცნიერი განაგრძობდა ნაყოფიერ მოღვაწეობას. წახალისებულმა ჯილდოებითა და ქება-დიდებით, რომელსაც ყველი მხრიდან იღებდა, მან დაიწყო შეეიცარის მთავრობის ხელშეწყობით თავისი „ნეშატელურ სიძველეთა“ გამოქვეყნება, მაგრამ ამ ნაშრომისათვის ტექსტის ბოლომდე მოზადება მან ვეღარ მოასწრო. ერთ-ერთმა შეგობარმა შეაგროვა განსვენებულის მიერ მოპოვებულ აურაცხელ მასალაში ოცი გვერდი, რომელიც წაუმძღვარა „ნეშატელურ სიძველეებს“ და ალბომი გამოიცა.

„მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ავტორის სიკვდილის შემდეგ გამოცემული ამ ნაშრომის მნიშვნელობა, – წერს ერნესტ შანტრი თავის „ანთორპოლოგიურ გამოკვლევებში“ (1885-1887)

— ის ჩვენთვის ყოველთვის შორს იქნება მისი თხზულების: „კავკასიაში მოგზაურობი“-დან, საიდანაც მან მოიტანა ის პირველყოფილი გადამდები ციებ-ცხელება, რითაც ასეთი განსაცვიფრებელია კავკასია და რომელსაც უნდა უმაღლოდეს მონპერე თავის ხანგრძლივ დიდებას და ამასთანავე მის მიმართ ყველა იმ მეცნიერის მადლიერებას, რომელიც მისი მოგზაურობის შემდეგ შეუდგა პონტო-კასპიური აუზის გამოკვლევას.“

აი, როგორ ახასიათებს ერნესტ შანტრი დიუბუა დე მონპერეს „კავკასიაში მოგზაურობას“: „მინდა ვთქვა, რომ ეს არის ყველაზე საუკეთესო წიგნი, რომელიც კი როდესმე დაწერილა კავკასიის შესახებ. თუმცა მისი თვალსაზრისი რამდენიმე საკითხზე დღეს შეიძლება გადამეტებულად მივიჩნიოთ, შეუძლებელია არ დააფასო ის შეუპოვრობა და მიზანსწრაფულობა, რაც ახასიათებდა მის მოგზაურობას კავკასიაში. ისტორიკოსი, არქეოლოგი, გეოლოგი, არტისტული ბუნების ადამიანი, ასეთი იყო ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე, რომელმაც შეძლო საუცხოო ნიჭის წყალობით, თავი მოეყარა ყველაფერ იმისათვის, რაც კი მანამდე ყოფილა გამოქვეწნებული ამ, ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი მხარის შესახებ თითქმის ყველა მოსაზრება, რომლებიც შემდგომში იქნა გამოიტქმული კავკასიის უძველეს ეთნოლოგიასა და ისტორიაზე, სათავეს მის ამ ნაშრომში იდებს... დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი ეხებოდა თითქმის ყველა თემატიკას, ყოველთვის ერთი და იმავე სიცხადითა და თანაბარი, ძალდაუტანებელი სტილით. ყველა მონაცემს, რომელსაც ის სხვა წყაროებსა თუ ლიტერატურაში პოულობდა, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მის გამოკვლეაში. მაგრამ ამ ნაშრომის მთავარი ღირსება მაინც ისაა, თუ რაოდენ დიდ ადგილს უთმობდა ავტორი დაკვირვებას. ეს ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია იმ მწირი საშუალებების გათვალისწინებით, რაც მაშინ გააჩნდა მეცნიერებას თავის განკარგულებაში. მიუხედავად იმისა, რომ მას ხშირად იტაცებდა დაუსაბუთებელი გაიგივებები, უნდა ვაღიაროთ, რომ მან თავის პიპორებზებზე დაყრდნობით მოიპოვა ფაქტების საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომელთა მეცნიერული ანალიზის საშუალებას მისი ეპოქა არ იძლეოდა. მიუხედავად იმისა, რომ მონპერეს არ მოუვლია დაღესტანი და მტკვრისა და თერგის ნაპირებზე გაშლილი ველები, იგი მაინც უნდა მივიჩნიოთ მთელი კავკასიის გაბედულ მკვლევარად. მის შემდეგ, მოგზაურობები ამ მხარეში იფარგლებოდა განსაზღვრული რეგიონებით ან მეცნიერების სპეციალური დარგით.“

მარი ბროსე კი ასე აფასებს მეცნიერის მოღვაწეობას: „მისი წიგნები წარმოადგენენ თითქმის ენციკლოპედიას კავკასიისას, რომლის ცალკეული ნაწილების გადაჭარბება შეიძლება, მაგრამ მასთან მთლიანად გათანაბრება ძნელი იქნება.“

სხვა უცხოელ მოგზაურთაგან განსხვავებით, როგორც ამას ზემოთ მოხსენიებული მეცნიერებიც აღნიშნავენ, თავისი დიაპაზონითა და სამეცნიერო ინტერესთა მრავალფეროვნებით საქართველოს ისტორიისა და მის სიძველეთა პლევაში, განსაკუთრებული ადგილი უკავია ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს. მის ნაშრომებში თავმოყრილია მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალა. მიუხედავად ზოგიერთი შეცდომისა თუ უზუსტობისა, იგი გვაძლევს არა მარტო ისტორიულ სიძველეთა მიმოხილვას, არამედ მეტად საინტერესო ცნობებსაც XIX საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ამა თუ იმ მხარის სოციალურ სტრუქტურაზე, მის ცხოვრებასა და ყოფაზე. დიუბუა იძლევა უზარმაზარ ეთნოგრაფიულ მასალას, საინტერესო მონაცემებს ამიერკავკასიის ისტორიული გეოგრაფიის შესახებ, მას გასაოცარი სიზუსტით აქვს მოცემული ასეულობით დასახლებული პუნქტი. იგი ეხება არქეოლოგიას, ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, გეოლოგიას, ეთნიკურ და დემოგრაფიულ საკითხებს. როგორც ვხედავთ, მეცნიერს საოცრად ფართო თვალთახედვის არეალი აქვს.

მის თხზულებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მეცნიერის მიურ აღწერილი ან ჩახატული მატერიალური კულტურის ძეგლები იმდენად, რამდენადაც ზოგიერთი მათგანი აღარ არსებობს, ზოგი კი სახეშეცვლილია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ნაშრომში თავმოყრილ უამრავ ფაქტობრივ მასალასთან ერთად გაცემთხებულია მისი მეცნიერული განადლიზების საინტერესო ცდა. მთელი რიგი ფაქტები თუ მოვლენები ავტორს სწორად, მართებულად აქვს გადმოცემული. მან არა მარტო აღწერა მატერიალური კულტურის ძეგლები, არამედ სცადა გაეაზრებინა და განეზოგადებინა მის მიურ მიკვლეული და შეგროვილი ძველი საქართველოს ნივთიერი მასალა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ უცხოელი მკვლევარებისა თუ მეცნიერების ასეთი ნაშრომებით ევროპელები ეცნობოდნენ საქართველოს ისტორიასა და კულტურას, ინტერესდებოდნენ მისი წარსულითა და აწმოოთ.

ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს თხზულებას „მოგზაურობა კავკასიის გარშემო,“ როგორც ისტორიულ წყაროს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქართულ ისტორიულ სიძველეთა შესწავლის საქმეში.

#### ლიტერატურა

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3. თბ., 1978,

2. Brosset M. Rapport sur un voyage archéologique dans la Géorgie, avec atlas, Paris, 1849-1852.

3. Chantre E. Recherches anthropologiques dans le Caucase, Paris, 1885, T. I, p. XXIII-XXIV.

4. Dubois de Montpereux, Fr. Voyage autour du Caucase. T. I. Paris, 1839.

ლეილა მაღრაძე

## მილოცვა

### ლამარა (დოდო) სახარობა

ჩვენთვის ყველასათვის საყვარელ და პატივ-ცემულ თანამშრომელს ლამარა (დოდო) სახაროგას საიუბილეო თარიღი აქვს.

არქეოლოგთა მთელი კოლექტივი ულოცავს და უსურვებს ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს. ორმოც წელზე მეტია, ქალბატონმა დოდომ თავისი ცხოვრება დაუკავშირა ქართულ არქეოლოგიას და უანგაროლ ემსახურება მას.

დოდო სახაროვა დაიბადა ქალაქ თბილისში, მოსამსახურის ოჯახში.

1948 წელს მან დაამთავრა ქ. თბილისის ქალთა პირველი სკოლა. ამავე წელს იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე.

1953 წელს მან წარმატებით დაამთავრა უნივერსიტეტი ისტორიკოსის კვალიფიკაციით და ჩააბარა გამოცდები ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც მის ხელმძღვანელად დაინიშნა აკად. ნ. ბერძნიშვილი, ხოლო სპეციალზაციას არქეოლოგიაში გერმანე გობეჯიშვილთან გადიოდა.

1956 წელს მან დაამთავრა ასპირანტურა და ჩაირიცხა ამავე ინსტიტუტის არქეოლოგის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად.

1966 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ცხენისწყლის ზემო წელის გვიანდრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები“.

1970 წლიდან ლ. სახაროვა გადაყვანილი იყო უფროს მეცნიერ თანამშრომლად. საველე არქეოლოგიურ მუშაობას ლ. სახაროვა იწყებს 1952 წლიდან. ჯერ კიდევ სტუდენტი სხვადასხვა დროს აქტიურად მონაწილეობდა და ეუფლებოდა ველზე მუშაობის პრაქტიკას კახეთში (უჯარმა), რაჭაში (ბრილი). შემდეგ იგი თანამშრომლობს თეთრიწყაროს, ქუთაისის ქედების, დიდი თბილისის, კოლხეთის, აფხაზეთის, კოდორის ხეობისა და სხვა არქეოლოგიურ ექსპედიციებში.

### ოთარ ჯაფარიძე 80 ზღისაა

ცნობილ ქართველ არქეოლოგს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, პროფ. ო. ჯაფარიძეს 80 წელი შეუსრულდა. იგი დაიბადა 1921 წლის 16 სექტემბერს თბილისში. 1939 წელს დაამავრა თბილისის 25-ე საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგაც დატოვებულ იქნა ასპირანტურაში. 1944 წლიდან ო. ჯაფარი-

1962 წელს ლ. სახაროვა ხელმძღვანელობს არქეოლოგიურ სამუშაოებს ლეჩებუმში. არქეოლოგიურ დაზვერვებთან ერთად გათხრილ იქნა ანტიკური ხანის სამარხები სოფ. ცხეთაში.

1970-71 წწ. ლამარა სახაროვა აგრძელებს არქეოლოგიურ სამუშაოებს სოფ. ცხეთაში. მის მიერ მიკვლეულ იქნა წინაანტიკური ხანის ნამოსახლარი, რომელმაც დაადასტურა ამ რეგიონში მანამდე უცნობი ძვწ. VIII-VII სს. კოლხური კერამიკა.

ლ. სახაროვას კვლევის ძირითად საგანს კოლხურ კულტურის შესწავლა წარმოადგენდა.

მისი ნაშრომების უმეტესობა (მონოგრაფია, სტატიები) ისტორიული ლეჩების არქეოლოგიური ძეგლების კვლევას ეძღვნება. მაგალითად, „გვაინბრინჯაოს ხანის ლეჩების სამიწათმოქმედო იარაღების შესწავლისათვის“, „ბრინჯაოს უძველესი მხატვრული ჭურჭელი“, „ლეჩების ბრინჯაოს განძები“, „ლეჩების წინაანტიკური ხანის ნამოსახლარი“ და სხვ.

მაგრამ ლ. სახაროვას ინტერესი მხოლოდ აღნიშვნული რეგიონით როდი იფარგლება. მას ასევე აინტერესებს კოლხური კულტურის ზოგადი პრობლემები. იგი მუშაობს კოლხურ-ყობანური კულტურის საკითხებზე, კოლხური კულტურის ლოკალურ კერებზე, გენეზისზე, პერიოდზაკიაზე, ამ ორი კულტურის ურთიერთობაზე.

მისი ნაშრომები ყოველთვის იქცევს ყურადღებას შესრულების მაღალი დონით.

კიდევ ერთხელ ვუსურვოთ ჩვენ საყვარელ დოდოს ჯანმრთელობა, კარგად ყოფნა, მეცნიერებაში ახალი მიღწევები და ბედნიერება, მის შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად.

ლ. წითლანაძე

ძე მუშაობას იწყებს ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილებაში.

1948 წელს მან ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1962 წელს ასევე ბრწყინვალედ იქნა დაცული სადოქტორო დისერტაციაც.

1952 წლიდან ბატონი ო. ჯაფარიძის მოღვაწეობა ძირითადად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული. 1963 წელს

იგი არჩეული იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის კათედრის პროფესორად. 1967 წლიდან იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის კათედრას უდგას სათავეში. 25 წელზე მეტი წელი განმავლობაში იგი დაუდალავად ემსახურებოდა ამ კათედრას. 1968-1982 წწ. ო. ჯაფარიძე შეთავსებით მუშაობდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. 1982 წლიდან ღლებდე კი მოღვაწეობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრში.

1979 წელს ო. ჯაფარიძე არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1995 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიის კულტურული მუზეუმის ცენტრში.

ბატონი ო. ჯაფარიძის შრომები მირითადად საქართველოსა და კავკასიის ბრინჯაოს ხანის კულტურების კვლევა-ძიებისადმია მიძღვნილი. მისი ადრეული ნაშრომები ეძღვნება კოლხური კულტურის შესწავლას. შემდგომ პერიოდში ო. ჯაფარიძე ბრინჯაოს კულტურის ადრეულ საფეხურებს იკვლევს. ო. ჯაფარიძეს უდიდესი ღვაწლი მოუძღვის შუაბრინჯაოს თრიალეთური კულტურის კვლევის საქმეში. ყველაზე ხანგრძლივი გათხრები და საინტერესო გამოკვლევები მან „თრიალეთის ბრწყინვალე“ კულტურას მიუძღვნა.

ო. ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქვემო ქართლის გა-

## 0006 ჯალალანია 75 წლისაბ

ქალბატონ ირინეს დაბადებიდან 75 და სამეცნიერო მოღვაწეობის დაწყებიდან 50 წელი შეუსრულდა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მანდილოსნის ასაკი კი არ უნდა დაიმალოს, არამედ საზეიმოდ აღინიშნოს. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი ულოცავს ცნობილ მეცნიერს საიუბილეო თარიღს, სურვებს ხანგრძლივი სიცოცხლეს, წარმატებებს სამეცნიერო ასპარეზე და პირად ცხოვრებაში.

ირინე ლევანის ასული ჯალალანია დაიბადა 1926 წელის 20 აგვისტოს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1934 წელს შევიდა თბილისის მე-3 საცდელ-საჩვენებელ სკოლაში (ამჟამად ო. ჭავჭავაძის სახ. 23-ე საშუალო სკოლა). 1944 წელს, სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც ასევე წარჩინებით დაამთავრა 1949 წელს.

1949 წლის 6 სექტემბერს ო. ჯალალანიამ მუშაობა დაწყო აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში ლაბორატოის თანამდებობაზე. ერთი წლის შემდეგ იგი გადაიყვანეს უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. დამწყები მეცნიერ-მუშაკი-სათვის დიდი ბედნიერება იყო ის, რომ მისი ხელმძღვანელები იყვნენ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების

ერთიანებულ ექსპედიციას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ადრესამიწათმოქმედო კულტურების კვლევას. ამ კულტურის მრავალი პრობლემატური საკითხებისადმია მიძღვნილი მისი არაერთი საინტერესო სტატია.

1978-1982 წწ. იგი ხელმძღვანელობდა მარტყოფის რაიონში აღმოჩენილი ადრეული ყორდანული კულტურის ძეგლების გათხრებს და შესწავლას. ამ პრობლემებისადმია მიძღვნილი მისი არაერთი საინტერესო ნაშრომი და მონოგრაფია.

ო. ჯაფარიძე ბევრს მუშაობს ეთნოგრენების პრობლემებზე, საგანგებოდ ჩერდება ამ საკითხებზე თავის მრავალრიცხვან მონოგრაფიებში თუ სამეცნიერო სტატიებში, რომელთა ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა.

მეცნიერული მოღვაწეობის გარდა ო. ჯაფარიძე შესანიშნავი აღმზრდელი და პედაგოგია. მას მრავალი ასპირანტი და მაძიებელი ჰყავს გაზრდილი. მისი ყოფილი ასპირანტები და მაძიებლები დღეს მეცნიერებათა კანდიდატები და დოქტორები არიან, არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ვუსურვებთ ბატონ ოთარს დიდხანს სიცოცხლეს, ჯამროველობას და სიმხნევეს ქართული მეცნიერებისა და ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

## ბ. მაისურაძე

კლასიკოსები დოც. თამარ ლომოური და პროფ. ევგენი ალექსანდრეს ძე პახომოვი. მათი ხელმძღვანელობით ო. ჯალალანია დაუუფლა ნუმიზმატიკის როგორც საკითხების შემთხვევაა. ცხოვრებაში ყველას ასე არ უმართლებდა პედაგოგების მხრივ. იუბილარის კვლევის სფეროში მირითადად მოქცეულია V-XIV სს. საქართველოში მოჭრილი და სინქრონულად საქართველოს სამონეტო ცირკულაციაში ჩართული აღმოსავლური მონეტები. 1958 წელს ე. პახომოვის ხელმძღვანელობით ო. ჯალალანიამ მოაზადა მონოგრაფია "Истории монетного дела в Грузии XIII века" და იმავე წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ამ თემაზე.

ო. ჯალალანიამ აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში იმუშავა 1969 წლამდე. ოცი წლის განმავლობაში იგი უკლიდი, აწესრიგებდა (რა თქმა უნდა, სხვებთან ერთად) მუზეუმის უმდიდრეს ნუმიზმატიკურ ფონდებს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ო. ლომოურის მუზეუმიდან წასვლის შემდეგ იგი, ათეული წლების მანძილზე, იყო აღმოსავლური მონეტების ერთადერთი სპეციალისტი. ამიტომ მირითადი სიმძიმე მის მხრებზე გადადიდა, რადგან უცხოური ნუმიზმატიკური ძეგლებიდან ეს მონეტები ყველაზე მრავალრიცხვანია მუ-

ზეუმის ფონდებში. ამის პარალელურად ირ. ჯალაღანია მონაწილეობდა მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობაში – ურბნისში, როდიონოვკაში (ფარავნის ტბა), საზღრავდა და მეცნიერულად ამუშავებდა სხვადასხვა არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებულ ნუმიზმატიკურ მასალას.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ირ. ჯალაღანიას მოღვაწეობასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც: ნუმიზმატიკის განყოფილების სამი თანამშრომლის აგზორიბით (დ. კაბანაძე, თ. აბრამიშვილი, ირ. ჯალაღანია) მომზადდა „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული მონეტების კატალოგი“ (რომელმაც, სამწუხაროდ, სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, დღის სინათლე ვერ იხილა). ლომის წილი ამ ნაშრომის მომზადებაში უდევს ქალბატონ ირინეს.

1969 წელს ირ. ჯალაღანია სამუშაოდ გადადის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუასაუკუნეების არქეოლოგიის განყოფილებაში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჩამოყალიბების შემდეგ (1977 წელი) იგი დღემდე ამ დაწესებულების სწავლული მდივანია. გარდა ამისა, ის იყო არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის დარგში ხარისხების მიმნიჭებული სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი. სწავლული მდივანია იგი ამჟამადაც არქეოლოგიის, ნუმიზმატიკისა და სფრაგისტიკის სამეცნიერო საბჭოსი. ამ კუთხითაც მას ლიდზე დიდი დატვირთვა აქვს.

არქეოლოგიური კვლევის ცენტრში გადასვლის შემდეგ ირ. ჯალაღანიას სამეცნიერო ინტერესისა და კვლევა-მიების სფერო მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მან მეცნიერულად განსაზღვრა და პუბლიკაციისთვის მოამზადა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დიდი ექსპედიციების მიერ (რუსთავის, თბილისის, ქინვალის, დმანისის და სხვ.) მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალა. 1970-იანი წლების დასაწყისიდან ზედიზედ გამოდის მისი ნაშრომების სერია: „ქუფური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში“ (1972 წ.), „თბილისის არქეოლოგიური კვლევა-მიების დროს მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალა“ (კრ. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II, 1974 წ.), „საქართველოს სამონეტო განძები, I“ (1976 წ.), „რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალა“ (კრ. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, III, 1977 წ.), „Клад сасанидских и византийских монет из Тетри Цкаро“, ч. I, 1980; ч. II, 1983; „დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ნუმიზმატიკური მონაპოვარი“ (კრ. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, V, 1987 წ.). აქ ქვეყნდება მასალის ერთი ნაწილი. დმანისის ნუმიზმატიკური მასალის შესახებ მონოგრაფიულ გამოკვლევას ავტორი ამზადებს.

ამ ნაშრომით ირ. ჯალაღანია უშუალოდ აგრძელებს თ. ლომოურის მიერ დაწყებულ წარმატებულ კვლევას. მან სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა სასანური, სასანურ-ბიზანტიური, სასანურ-არაბული და არაბული მონეტების სრულიად ახალი განძები. პარალელურად მოახდინა უკვე ცნობილი განძების შემადგენლობაში შემავალი მონეტების რეატრიბუცია ახალი სამეცნიერო ლიტერატურის შუქშე მის მიერ შესწავლილი ზოგიერთი განძი რამდენიმე ათას ეგზემპლარს შეიცავს, მათ შორის იშვიათ და უნიკალურ ცალებს. მოხსენიებულ პუბლიკაციებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ამა თუ იმ სამონეტო ჯგუფის ემიტენტის დადგენის, ზარაფხანების ლოგალიზაციის, დათარიღებისა და მათი საქართველოში შემოსვლის გზების გარკვევის საკითხებს.

1979 წელს გამოქვეყნდა ირ. ჯალაღანია შემაჯამებელი მონოგრაფია "Иноземная монета в денежном обращении Грузии V–XVIII вв.", სადაც განხილულია საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ვრცელი რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობების მრავალი კარდინალური ასპექტი, საქართველოში უცხოური მონეტების ცირკულაციის საკითხები V–XVIII სს-ში. ამ წიგნს გვერდს ვერ აუვლის შეასუკუნების საქართველოს ეკონომიკით დაინტერესებული ვერც ერთი მკლევარი. 1982 წელს ამ თემაზე ირ. ჯალაღანიამ მოსკოვში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

უკანასკნელ წლებში ირ. ჯალაღანიამ გდუნდუასთან ერთად დაასრულა ორი ფუნდამენტური მონოგრაფია: „საქართველოში მოჭრილი მონეტები (კორპუსი)“ და „საქართველოს სამონეტო განძები (ძვ.წ. VI-ას.წ. XIX სს.)“.

იუბილარი რესპუბლიკური და საკავშირო სამეცნიერო სესიებისა და კონფერენციების მრავალგზის მონაწილეა (მოსკოვი, ლენინგრადი, ბაქო, ტალინი).

ნაყოფიერად თანამშრომლობდა ირ. ჯალაღანია ქართული ენციკლოპედიის რედაქციასთან.

არ არის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ცხოვრების არც ერთი სფერო, რომელშიაც იუბილარი აქტიურ მონაწილეობას არ იღებდეს. მის გარეშე აქ არ ტარდება არც ერთი სერიოზული ღონისძიება.

ვინც ირინე ჯალაღანიას ახალგაზრდობაში იცნობდა, მას არ შეიძლება არ ახსოვდეს მისი უზარმაზარი ენერგია, რომელსაც იგი ყოველწუთს აფრიკევევდა. ძალიან სასიამოვნოა, რომ მას შენარჩუნებული აქვს ამ ენერგიის დიდი ნაწილი და ისევე პუნქტუალურად და დაუზარებლად ასრულებს მასზე დაკისრებულ არც თუ ისე იოლ მოვალეობას.

ქალბატონი ირინე! ამბობენ, წლები სიმდიდრეა. თუ ეს ასეა, მაშინ კიდევ დიდხანს იცოცხლეთ, იყავით ჯანმრთელი და შემართებული. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო თარიღს.

გ. დუნდუა

## ვერა (ცაცა) თოლორდაბა

2001 წლის 19 დეკემბერს ვერა თოლორდაბას, ჩვენს ძვირფას ცაცას, საიუბილეო ასაკი შეუსრულდა. სიყვრულით ვულოცავთ მას ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და ყოველივე სიკეთეს ვუსურვებთ.

ცაცა თოლორდაგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის წარჩინებით დაამთავრებისთანავე აქტიურად ჩაება საქართველოს არქეოლოგთა საქმიანობაში. მან ასპირანტურის კურსიც უნივერსიტეტში გაიარა პროფ. გიორგი ნიორაძის ხელმძღვანელობით. ამ ხანებში ცაცამ მრავალ ექსპედიციაში მიიღო მონაწილეობა (უჯარმა, ბიჭვინტა, ხოვლე, მცხეთა-სამთავრო, ეშერი, საჩხერე, ურბნისი და სხვ.) და საველე მუშაობის დიდი გამოცდილება შეიძინა.

1968 წელს მან წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ.წ. III-I საუკუნეებში“.

ვ. თოლორდაგა აქტიურად მონაწილეობს საველე-არქეოლოგიურ კვლევა-ძიებაში. ის ბიჭვინტისა (1952-1968 წლებში) და ვანის (1967 წლიდან დღემდე) არქეოლოგიური ექსპედიციების უცვლელი მონაწილეა. 1970-1974 წლებში ის ხელმძღვანელობს ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის დაბლაკომის რაზმს. დაბლაკომში მისი მუშაობა აღინიშნა რიგი საინტერესო აღმოჩენებით, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ვანის ნაქალაქარის მომიჯნავე სასოფლო თემების – ე.წ. ურბანისტული ტერიტორიის – შესწავლის საქმეში. 1975 წლიდან კი მისი ხელმძღვანელობით ითხრება ვანის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთი სექტორი. ეს გათხრებიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თავისი შედეგებით. საკმარისია დავასახელოთ ძვ.წ. VIII-VII საუკუნეების საკულტო კომპლექსის თუ ბრინჯაოს ქნდაკებების სამსახურო ქურის აღმოჩენა, ძვ.წ. IV საუკუნის მდიდრული სამარხები მისი გათხრების ანგარიშები გამოიჩინა მაღალი სამეცნიერო დონით, საკვლევი მასალის ღრმა ცოდნით, არქეოლოგიური მასალის სკრუპულობური ანალიზითა და საინტერესო დასკვნებით.

ვ. თოლორდაგა წლების მანძილზე წარმატებით მუშაობს ანტიკური ხანის საქართველოს არქეოლოგიის საკითხებზე. მისმა გამოკვლევება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ანტიკური ხანის საქართველოს მატერიალური კულტურის შესწავლაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ნაშრომი „დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში“, რომელიც 1980 წელს დაისტამბა და მკვლევართა საყოველთაო აღიარება მოიპოვა. ავტორმა პირველმა ერთობლივად შეისწავლა ელინისტური ხანის ქვევრსა-მარხები (დაბლაკომი, დაფნარი, რიონ-სუფსის ორმდინარეთი, „ქუთაისის ქვეყანა“, მდინარე

ტეხურის აუზი, ციხიაგორა, თეთრიწყარო, მცხეთა და სხვ.); გამოავლინა მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებანი თუ ლოკალური თავისებურებანი; თვალი გაადევნა ქვევრსამარხების გავრცელების გეოგრაფიას ქრონოლოგიური პრინციპით. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ამ ნაშრომს გვერდს ვერ აუცვლის ანტიკური ხანის ვერც ერთი სპეციალისტი ქართლისა და კოლხეთის სოციალ-ეკონომიკური ვითარებისა თუ კულტურის საკითხების კვლევისას.

ვ. თოლორდაგა საქართველოს არქეოლოგიური ატლასის ანტიკური ხანის სამაროვნების ნაკვეთის რედაქტორია.

ის სისტემატურად მონაწილეობს მოხსენებით საინსტიტუტო, რესპუბლიკურ თუ ვანის საერთაშორისო სიმპოზიუმებზე.

ჩვენი ცაცა დაჯილდოებულია, სხვა უამრავ მომზიბლავ ადამიანურ თვისებებს შორის, იშვიათი უნარით – მოსმენის ნიჭით; და ყოველთვის მზადაა გულისყურით მოეკიდოს რჩევის საკითხავად მოსული კოლეგის ნააზრევსა თუ განცდილს. ვუსურვებთ ჩვენს საყვარელ ცაცას უშრეტ ოპტიმიზმსა და მშვიდ დღეგრძელობას. ღმერთმა დიდხანს არ მოგვიშალოს თქვენს კოლეგებსა და ახლობლებს, ძვირფასო ცაცა, თქვენი ნააზრევი, რომელიც ყოველთვის საინტერესოა, მახვილი თვალი, რომელიც ყველაფერს ამჩნევს, და ბასრი სიტყვა, რომელიც მუდამ სამართლიანია.

ვანის ექსპედიცია

## ქ რ თ ხ ი პ ა C H R O N I C L E

### საგელე სამუშაოები 2000 წელს

არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ექსპედიციები კვლავაც წარმატებით მუშაობდნენ ველზე: სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.დ. მ. გაბუნია) მცირეზომის სასინჯი თხრილები ( $2 \times 1$  მ) გააკეთა ადიგენის რაიონის სოფ. ამხერში „ამხერისგორაზე“. შედეგად №№ 3 და 4 თხრილში მცირერაოდენობით გამოვლინდა ქვისგან დამზადებული იარაღი და ცხოველთა ძვლების ფრაგმენტები.

მესხეთის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.დ. ვ. ლიჩენი) სამუშაოები აწარმოვა ახალციხისა და ასპინძის რაიონის მაღალმთიან ნაწილში, სადაც ზესტაფონიდან თურქეთის საზღვრამდე მაღალი ძაბის ელგადამცემი ხაზის გაყვანაა დაგეგმილი. დაზვერვების შედეგად განისაზღვრა სოფ. ანდრიაწმინდასთან წმ. თევდორეს ეკლესიიდან და წმ. გიორგის ეკლესიიდან ანძების დაშორების მანძილები. ექსპედიციამ კულტურული ფენა შეისწავლა ვალე-თურქეთის ნავთსადენის მილის ტრასაზე ორჭოსანის ნამოსახლარის პერიფერიულ ნაწილში. თხრილში ( $4 \times 4$  მ) გამოვლინდა: ქვევრის, დერგისა და ქოთნის ტიპის ჭურჭლის, ლუთერის პირ-გვერდის ფრაგმენტები და ხუთუთხედი ანტეფიქსი ირმისა და ტოლმელავა ჯვრის რელიეფური გამოსახულებით. მოპოვებული მასალა VI-IX საუკუნეებით განისაზღვრა.

წალკა-თრიადლეთის ექსპედიცია (ხელმძღვ. ი.მ.კ. გ. ნარიმანიშვილი) ორ რაზმად მუშაობდა. ერთი განაგრძობდა თრიადლეთის ტერიტორიაზე არსებული „ციკლოპური“ ნამოსახლარებისა და სიმაგრეების დოკუმენტურ ფიქსაციას წალკის რაიონის დასავლეთ ნაწილში. ამასთან აქ გამოვლენილ იქნა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის, ციკლოპურისაგან განსხვავებული ორი ნამოსახლარი, რომელთაგან ერთი გორაზე, მეორე კი ველზე განლაგებული. ექსპედიციის წევრებმა ასევე ჩატარეს OSGF-ის გრანტით გათვალისწინებული საფიქსაციო სამუშაოები პატარა აბულისა და შაორის მთის საკულტო კომპლექსებზე. ექსპედიციის მეორე, ბეშთაშენის რაზმი (უფროისი ი.მ.კ. ნ. შანშაშვილი) მუშაობდა წალკის წყალსაცავის ფსკრზე, სადაც აიგრიფა სხვადასხვა პერიოდისა და ხასიათის მასალა: ქვის პალეოლითური ხელცული, ობსიდანისა და კაუის ისრისპირები, ლამელები, შუა საუკუნეების მოჭიქვლი ჭურჭლის ფრაგმენტები და მინის სამაჯურები. ასევე გაითხარა ადრე და გვიანი ბრინჯაოს ხანის სამარხები.

სამუშაოები გრძელდებოდა კახეთის მხარეშიც, სადაც ერთობლივმა ქართულ-გერმანულმა ექსპედიციებმა (ხელმძღვ. ი.მ.დ. კ. ფიცხელაური) დაზვერვები და დაზვერვითი გათხრები განახორციელეს დედოფლისწყაროს რაიონში. გერმანელმა კოლეგებმა აგეგმეს ექსპედიციის ხელმძღვანელის მიერ მითითებული

დვ.წ. I ათასწლეულის ათამდე ნამოსახლარი. ამასთან ერთად, ექსპედიციამ გადარჩენითი სამუშაოები ჩატარა დანგრეული და გაძარცული სამარხების ნაშთების შესასწავლად და აღრიცხა და აზომა გვინაბრინჯაო-ადრერკინის ხანის მრავალი ნამოსახლარი. დაზვერვებმა მოიცვა შირაქი, ვაშლოვანის ნაკრძალი, ალაზნის ველის ვიწრო ნაწილი ადგილ „მოსაბრუნთან“ და „ამირანის ველი“, სადაც მრავალი აკლდამა და ყორლანული სამარხი იქნა დაფიქსირებული.

კუხეთის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.კ. ც. ჩიკოიძე) იმუშავა ბაქო-სუფსის მილსადენის 62-63 კმ-ზე, მშენებლობით ძლიერ დაზიანებულ ნასოფლარზე. ძეგლი ფაქტიურად განადგურებულია. I უბაზე გაკეთებულ რვა თხრილში გაიწმინდა მხოლოდ ნავებობისგან გადარჩენილი ნაცრინი იატაკის ნაწილი, რომელიც, ისევე როგორც ზედაპირულად ნასოფლარის I უბის მთელ ფართობზე აქრეფილი შასალა, VI-VIII სა-ით თარიღდება. II უბის შესწავლამ გამოავლინა თირში ამოკვეთილი და ქვით ამოყვანილი შენობის საძირკველი და სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ორმოთა ძირები, ქვევრისა და თიხის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხით. მათი ასაკი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით, ელინისტური პერიოდით და შეა საუკუნეებით შეიძლება განისაზღვროს. ძეგლის ძლიერი დაზიანება არ იძლევა რამდენადმე დაზუსტებული მოსაზრებების გამოთქმის სამუშალებას.

კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ი.მ.კ. ზ. მახარაძე) მუშაობდა ციხიაგორის სატაძრო კომპლექსის დიდი ეზოს სექტორში. გაითხარა 140 კვ.მ ფართობი. ჩატარებულმა გათხრებმა გამოავლინა, რომ ელინისტური ხანის სატაძრო კომპლექსის არსებობის ღროს მისი ეზო სამჯერ გადაკეთდა და ეს ცვლილებები ერთიანი გეგმით ხორციელდებოდა. ამავე სექტორში გაითხარა ნაგებობის ნაშთი, რომელიც აქემენიდური ხანის ფენას მიეკუთვნება და ძვ.წ. V-IV სა-ით თარიღდება.

ვანის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.დ. ოთლორთქიფანიძე) ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე ჩატარა კონსერვაცია-რესტავრაციისათვის საჭირო გაწმენდითი სამუშაოები, ცენტრალურ ტერასაზე კი გაგრძელდა წინა წლებში გამოვლენილი კოშკიდან სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთით არსებული კურტინისა და მისგან სამხრეთით მდებარე ტერიტორიის გათხრები. ამავე კოშკის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს გაითხარა კოშკზე მიშენებული თავდაცვითი კედლის ერთი მონაკვეთი. გათხრებმა ამ უბის ორ მონაკვეთზე საშუალება მისცა ექსპედიციას გაერკვია სამშენებლო დონეებისა და ნერევის შედეგად წარმოქმნილი ყრილების სტრატიგრაფია, რომლის მიხედვითაც დადგინდა მშენებლობის შემდეგი თანმიმდევრობა: კოშკი (1), კოშკს მიბჯენილი წყობის ნაწილი (2), მკვრივი ნაშალი თირისაგან გაკეთებული საფუძველი (3),

რიყის ქვებისაგან შედგენილი ყრილი (4), ამ რიყის ქვებზე ამოყვანილი თავდაცვითი კედლის შიდა პერანგი (5), „ბრინჯაოს სამსხველო“ (6) და სულ ბოლოს – კოშკზე მიშენებული წყობის ზედა რიგი (7). ნაქალაქარის ზედა ტერასაზე გათხრები ჩატარდა „ორმო-სათავსოს“ შესასვლელისა და მიმდებარე ფართობის შესწავლის მიზნით (ნაკვეთი 214, კვ. ძ.9-ძ.9). კლდოვან დედაქანამდე დაყვანილ 16 მ<sup>2</sup> თხრილში, ისევე როგორც ზედა ტერასის ყველა სხვა მონაკვეთზე, გვიანელინისტური ხანის კერამიკული მასალა გამოვლინდა, თირში კი – სხვადასხვა ზომის გაურკვეველი დანიშნულების რამდენიმე ფოსო. საანგარიშო წელს ზედა ტერასის ამ მონაკვეთში ჩატარებული სამუშაოები საშუალებას აძლევს მკელევარებს აյ სამჭედლოს არსებობა ივარაუდონ, რასაც, მათი აზრით, ნახშირის მარაგისა და საქშენების აღმოჩენა უნდა ადასტურებდეს.

**გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ** (ხელმძღვ. ი.მ.დ. გ. სადრაძე) საქართველოს მილსადენის კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე 2000 წლის 1-30 ოქტომბრის ჩათვლით სუფსის ტერმინალის სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩაატარა სტაციონარული გათხრები. პარალელურად მიმდინარეობდა ნავთობის ძველი მილსადენის სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან დაკავშირებული სამეთვალყურეო საქმიანობა და არქეოლოგიური დაზვერვები ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონებში. ექსპედიციამ ნავთობის გასაწმენდად ამოღებული აუზების ტერიტორიაზე დაადასტურა დაზიანებული კულტურული ფენები და ძეგლების გავრცელების არეალის დასადგენად გაავლო სადაზვერვო თხრილები. ორ ნაკვეთზე გაკეთებულ თხრილებში დადასტურდა როგორც დაზიანებული და გადაადგილებული კულტურული ფენები, ისე ნამოსახლარის უძრავი ფენის ნაშთები. აյ აღმოჩენილი სათავსო, შემოჩენილი ნაშთების გავრცელების მიხედვით, გეგმაში მრგვალი, უფრო ზუსტად, ელიფსური ფორმის ხის მსუბუქი ნაგებობა უნდა იყოს. ამრიგად აშკარაა, რომ სუფსის ტერმინალის ჩრდილ-აღმოსავლეთ მხარეს, მშენებლებმა დეოილინგის პროექტის განხორციელების პროცესში, დააზიანეს ძვ.წ. VI-IV სს. ნამოსახლარი.

**ჰიდროარქეოლოგიურმა ექსპედიციამ** (ხელმძღვ. ი.მ.დ. გ. გამყრელიძე) 2000 წლის ივნის-ივლისის თვეებში, დანიელ არქეოლოგებთან ერთად (კვეუფის ხელმძღვ. დ-რი ბორნ ლივენი) გააგრძელა ქ. ფოთის შემოგარენში ზღვის შელფისა და პალიასტომის ტბის არქეოლოგიური დაზვერვა-შესწავლა. ექსპედიცია იმ საერთაშორისო პროგრამის ნაწილი იყო, რომელიც ძველი ქალაქ ფასისის ლოკალიზებას ისახავს მიზნად (პროექტის ხელმძღვ. პროფ. ოთ. ლორთქიფანიძე, კოორდინატორი ი.მ.დ. გ. ლიჩელი). ექსპედიციამ შეამოწმა ის ადგილი, სადაც მეოვეზები 60-80 მ სიღრმიდან ბადით იღებენ ხოლმე კერამიკის ფრაგმენტებს და თვითონაც მოახერხა ტრალით რამდენიმე ფრაგმენტის ამოღება. ასევე იმუშავა ექსპედიციამ პალიასტომის ადრევე აღმოჩენილ ნასახლარზე, რომელ-

საც „ნატეხებს“ ეძახიან. აქაც ფსკერის ქვეშ არსებული კულტურული ფენიდან ამოღებული მასალის მიხედვით დააზუსტა „ნატეხების“ ყურეში III-VIII საუკუნეების კერამიკის გავრცელების საზღვრები. ექსპედიციამ ასევე დაზვერა რიონ-ფიჩორის შუამდინარეთი და რამდენიმე საყურადღებო ბორცვი აღმოაჩინა.

2000 წელს კოლხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ი.მ.დ. რ. პაპუაშვილი) ძირითადი საველე არქეოლოგიური სამუშაოები განახორციელა ხობის რაიონის სოფ. ყვლევში, ნავთობპროდუქტების გადასატვირთი ტერმინალის მშენებლობის ზონაში. ფართომასშტაბანი სამუშაოები წარიმართა მდ. ხობის მარჯვენა სანაპიროზე, ზღვიდან 200 მ აღმოსავლეთით მდებარე ნამოსახლარ ბორცვზე, რომლის ფართობი 2,5 ჰა-ს აღემატება. ის სამი მხრიდან შემოზღუდულია თხრილით, ხოლო სამხრეთიდან კი მას მდინარე ხობი ჩამოუდის და ნაწილობრივ დაზიანებულია. ბორცვზე სტრატიგრაფიულად ოთხი კულტურული ფენია გამოიკვეთა. ყველაზე გვიანდელია XIX ს-ის პირველი ნახევრის საპორტო ქალაქ რედუტ-კალეს ნაგრევები შესაბამისი ნივთიერი ძეგლებით. ბორცვის მთელ ფართობზე ვრცელდება ძვ.წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეების კულტურული ფენები, რომლებიც წარმოადგენს ხით ნაგები და ბათქშით შელესილი შენობების ნაგრევებს. ამ ფენაში დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი თიხის, ბრინჯაოს, რკინისა და ხის ნაწარმი, საკულტო საგნები, პალეონტოლოგიური და ოსტეოლოგიური მასალა. ბორცვის ცალკეულ მონაკვეთებზე დასტურდება ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულის ფენებიც შესაბამისი ნივთიერი მასალით. ყველაზე ადრეული ფენები ძეგლი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის შეანებით განისაზღვრება და ისინიც ცალკეულ მონაკვეთებზე ფიქსირდება. ამ ფენებისათვის დამახსასიათებელია ხის შეულესავი ნაგებობების ცალკეული ფრაგმენტებისა და ზოგჯერ ხისაველობების დადასტურების ფაქტი. ნივთიერი მასალა მხოლოდ თიხის ნაწარმითა წარმოდგენილი. ამ ფენის დიდი ნაწილი ზღვის დონიდან 0,5-1,4 მ-ით დაბლა მდებარეობს.

მცირე მასშტაბის სამუშაოები განხორციელდა მდ. ცივის მარცხნისა სანაპიროზეც, მისი ხობისწყალთან შესართავიდან 300-500 მ სამხრეთით. აქ გამოვლინდა ძვ.წ. V-IV სს. დასახლება, სადაც მოპოვებულია როგორც კოლხური, ასევე საბერძნეთის სხვადასხვა ცენტრში დამზადებული თიხის ნაწარმი.

**სვანეთის ექსპედიციამ** (ხელმძღვ. ი.მ.დ. შ. ჩართოლანი) სამუშაოები გააგრძელა ზემო სვანეთში, სადაც განძის მაძიებელთა კვალდაკვალ შეისწავლა და დააფიქსირა შეასაუკუნეების ისეთი ძეგლების გეგმარება და არქიტექტურული თავისებურებები, როგორიცაა: „ლურის ციხე“ და ლალამის მაცხოვრის ეკლესის მინაშენი. ძეგლების შემოწმების მიზნით შემოიარასფელების ლატალის, მულახისა და იფარის ძეგლები. საინტერესო მონაპოვართა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს „ლურის ციხეზე“ აღმოჩენილი ადრეული შეასაუკუნეების დროინდელი რკინის ცული და გვიანანტიკური ხანის თიხის

ჭურჭლის ფრაგმენტები. ლაღამის მინაშენში ჩატარებულმა გათხრებმა ცხადი გახდა ამ მინაშენების და მის ჩრდილოეთ ნაწილში არსებული კოშკის აშენების თარიღის ქვედა ზღვარი – არა უდრეს XIII საუკუნე.

ქრონიკა ექსპედიციების ანგარიშების მიხედვით შეადგინა გ. მინდიაშვილმა

## Field Work in 2000

Expeditions of the Centre for Archaeological Studies continued successful work in the field in 2000. **The Archaeological Expedition of the Southern Georgian Upland** (Director M. Gabunia) dug small ( $2 \times 1$  m) exploratory ditches at “Amkherisgora” in the village of Amkheri (Adigeni district). Excavation of ditches № 3 and № 4 brought to light few stone tools and fragments of animal bones.

**The Meskheti Archaeological Expedition** (Director V. Licheli) carried out an archaeological survey in the highland of Akhaltsikhe and Aspindza districts - the territory to be crossed by a high voltage electricity transmission line. As a result of the archaeological survey the necessary distance between the churches of St. George and St. Theodorus near the village of Andriatsminda and the electricity power pylons to be installed has been determined. The expedition investigated a cultural layer on the periphery of Orchosani site situated on the Vale-Turkey oil pipeline route. Digging of a ditch ( $4 \times 4$  m) revealed fragments of a wine jar, dergi, jar and pot type vessels, louteria and a pentagonal antefix, with relief representation of a deer and cross with equal-length shafts. The material obtained was dated to the 6<sup>th</sup>-9<sup>th</sup> cent.

Two teams of the **Tsalka-Trialeti Archaeological Expedition** (Director G. Narimanashvili) carried out field work. One team proceeded with recording the “cyclopean” sites and fortresses in the western part of Tsalka district - territory of Trialeti. Two sites dating from the Late Bronze-Early Iron Age and differing from the “cyclopean” settlements were found. One of them was situated on a hill, while the other was located in a plain. Patara Abuli and Shaori mountain cult complexes were recorded as scheduled by the OSGF grant. The second - Beshtasheni team of the expedition (Director N. Shanshashvili) surveyed the bottom of the Tsalka water storage reservoir. Archaeological material of different periods and types was collected: Palaeolithic stone handaxes, arrowheads made of obsidian and flint, lamellae, fragments of glazed pottery and glass bracelets dating from the Middle Ages. Early and Late Bronze Age burials were also excavated.

Archaeological work continued in Kakheti region too. Here, in Dedoplis Tsqaro district,

survey and exploratory diggings were conducted by a joint **Georgian-German Archaeological Expedition** (Director K. Pitskhelauri). The German colleagues have surveyed about ten sites belonging to the 1<sup>st</sup> millennium B.C. pointed out by the director of the expedition. Besides, the expedition carried out salvage work aimed at investigation of destroyed or robbed burial remains as well as conducted measuring and recording of numerous sites dating from the Late Bronze-Early Iron Age. Archaeological survey was carried out in Shiraki, Vashlovani reservation, a narrow strip of Alazani valley at the point of “Mosabruni” and “Amiranis Veli”, revealing numerous tombs and barrow burials.

**The Kukheti Expedition** (Director Ts. Chikoidze) conducted excavation at the 62<sup>nd</sup>-63<sup>rd</sup> km of the Baku-Supsa Pipeline site strongly damaged by constructional work. The archaeological monument is actually completely destroyed. Eight ditches in square I revealed only a part of a floor covered with ashes. The floor along with surfacial archaeological material collected in the area of square I of the site can be dated to the 6<sup>th</sup>-8<sup>th</sup> cent. Investigation of square II revealed a foundation cut in the sandstone and built up with cobble-stone and pit bottoms of different shape and size, containing fragments of pottery. They must date from the Late Bronze-Early Iron Age, Hellenistic period and the Middle Ages. The condition of the site does not permit any definite dating.

**The Kaspi District Expedition** (Director Z. Makharadze) excavated an area of some 140 m<sup>2</sup> in the large yard of the Tsikhiagora temple complex. The diggings carried out have shown that the yard had been reconstructed three times according to deliberate planning during the existence of the Hellenistic temple complex. Remains of a structure belonging to the Achaemenid layer and dating from the 5<sup>th</sup>-4<sup>th</sup> cent. B.C. were brought to light in the same sector.

**The Vani Expedition** (Director O. Lordkipanidze) carried out clearing work necessary for the preservation-restoration of the site at the lower terrace, while the diggings of the curtain found south-westwards of a tower recently brought to light and of the territory lying south to the curtain were continued at the central terrace of the site. A section of a fortification wall adjoining the south-eastern side of the tower was excavated. Diggings carried out in this square afforded the archaeologists to determine the stratigraphy of the constructional levels and heaps formed as a result of destruction. On the grounds of stratigraphic data, in turn, the following order of construction was suggested: tower (1), fragment of the masonry adjoining the tower (2), dense crumbled sandstone foundation (3), cobble-stone embankment (4), inner fence of the fortification wall built on the cobble-stone foundation (5),

“bronze foundry” (6) and finally, the upper row of masonry adjoining the tower (7). Excavations were carried out on the upper terrace of the city site in order to investigate the entrance of “store-pit” and its adjacent area (square d<sub>8.9</sub>-e<sub>8.9</sub> of site № 214). Archaeological ditch covering an area of some 16 m<sup>2</sup> and reaching the rocky ground, like all excavated sections of the upper terrace, revealed pottery belonging to the Late Hellenistic period, while a few sockets of ambiguous designation were found in the sandstone. Data obtained from the excavated section of the upper terrace allow the archaeologists to presume the existence here of a foundry, the conjecture being backed by the discovery of coal stock and ash-pits.

**Guria Archaeological Expedition** (Director V. Sadradze) according to the agreement concluded with the Pipeline Company of Georgia, carried out stationary excavations to the south-east of the Supsa terminal during 1-30<sup>th</sup> of October, 2000. The expedition conducted at the same time monitoring connected with the reconstruction of the old oil pipeline and archaeological survey in Ozurgeti, Chokhatauri and Lanchkhuti districts. Since traces of damaged cultural layers were attested on the territory of reservoirs dug for oil refinement, exploratory ditches were excavated in order to clarify the spread of archaeological site. Ditches dug in two sections revealed both moved cultural layers and the remains of an intact layer of a settlement-site. A store-room found here must have been a light wooden structure of round or more precisely, elliptic shape. Thus, it seems evident that during the constructional works carried out in the framework of the deoiling project to the north-east of the Supsa terminal, a site of the 6<sup>th</sup>-4<sup>th</sup> cent. B.C. was damaged.

**Hydroarchaeological Expedition** (Director G. Gamkrelidze) together with Danish colleagues (Director Dr. B. Liven) proceeded with archaeological survey-investigation of the sea shelf in the vicinity of Poti and lake Paliastomi. The expedition represents a part of the international program aiming at location of the ancient site of the city of Phasis (Director of the project O. Lordkipanidze, Coordinator V. Licheli). The expedition investigated the point where fishermen occasionally get fragments of pottery at the depth of 60-80 m and the expedition itself managed to obtain a few fragments using a trawl. Working in the same way at the site “Natekhebi” of lake Paliastomi, the expedition ascertained the spread of 3<sup>rd</sup>-8<sup>th</sup> cent. pottery in the bay of Natekhebi on the grounds of material extracted from the cultural layer attested under the bottom of lake Paliastomi. The expedition surveyed the Rioni-Pichori interfluvium and discovered a few interesting mounds.

The main field archaeological activities of the year 2000 by the **Kolkheti Archaeological**

**Expedition** (Director R. Papuashvili) was carried out in the village of Qulevi (Khobi district) -the construction area of the terminal for the shipment of oil products. Wide-scale excavations were conducted at the site covering an area of more than 2.5 ha, located on a hill situated 200 m eastward of the sea, on the right bank of the river Khobi. The site is bordered by trenches from three sides and by the Khobi to the south. Stratigraphy indicates the existence of four cultural layers. The latest layer is represented by the material coming from the port city of Redut-Kale and is dated to the first half of the 19<sup>th</sup> cent. Cultural layers of the beginning of the 1<sup>st</sup> millennium B.C. are spread all over the territory of the site and represent mainly the remains of plastered wooden structures. The layer revealed quantities of clay, bronze, iron and wooden artifacts, cult objects, palaeontological and osteological material. Layers dating from the end of the 2<sup>nd</sup> millennium B.C. with corresponding archaeological finds were attested at certain sections of the site. The earliest layers belong to the mid-2<sup>nd</sup> millennium B.C. and are brought to light at several sections of the site. Fragments of wooden structures lacking plastering and occasionally wooden fences were found precisely in the above layers. Only clay objects are characteristic of these layers, located mostly 0.5-1.4 below the sea level.

Small diggings were conducted on the left bank of the river Tsivi, 300-500 m south of the confluence of the rivers Tsivi and Khobistsqali. A site dating from the 5<sup>th</sup>-4<sup>th</sup> cent. B.C. was brought to light, revealing both Colchian and Greek clayware.

**Svaneti Archaeological Expedition** (Director Sh. Chartolani) proceeded with recording of architectural planning and features of the following Mediaeval monuments in Zemo Svaneti: fortress of Ghuri and the annex of the Saviour church of Laghami. In order to supervise and check the monuments, the expedition reached the villages of Latali, Mulakhi, and Ipari. Fragments of pottery belonging to the Late Classical period and an iron axe dating from the Early Middle Ages, found at Ghuris Tsikhe, are noteworthy. Excavations carried out in the annexes of the Laghami church clarified the terminus ante quem - the 13<sup>th</sup> cent. for the construction of these annexes and a tower located in their northern part.

The chronicle, based on documentary reports, was compiled by **G. Mindiashvili**